

ბარი ჩაწიძე

პოლიტიკური იდეოლოგია



გარი ჩაფიქი

ჰოლიტიკური
იდეოლოგია

თბილისი 2012

„პოლიტიკური იდეოლოგია, მწერლისა და მეცნიერის, პროფესორ გარი ჩაფიძის ორმოცდაათოთხმეულის შეთქმულსმეტე წიგნია, რომელიც ჭეშმარიტად დამხმარე სახელმძღვანელოა, როგორც მეცნიერთათვის, ასევე სტუდენტებისათვის, იგი დღევანდელი დღის გადასახედიდან მოიცავს პოლიტიკური მიმართულების აწმყოსა და მომავლის სრულ სინთეზს, ამიტომ ერთნაირად კითხვადია ნებისმიერი პროფესიის ადამიანთათვის.

რედაქტორი — ვ. უშუბიძემ, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი.

ISBN 978-9941-0-4874-6

პოლიტიკური იდეოლოგია

დღევანდელ ურთულეს ცხოვრებისეულ პირობებში, პოლიტიკა და პოლიტიკური კლიმატი, მართლაც და განსაკუთრებული ყურადღების ცენტრშია, დღევანდელობას ყველაზე მეტად შეესადაგება მაქს ვებერის ცნობილი ფრაზა, რომ ადამიანმა ან პოლიტიკით, ან პოლიტიკისთვის უნდა იცხოვროს, პოლიტოლოგიის მეცნიერება სწორედ ამ ხასიათს ატარებს და მაინც, რა არის იგი? მისი როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების დახასიათებისთვის აუცილებელია: აზრი გამოვთქვათ საერთოდ მეცნიერების ობიექტისა და საგნის ურთიერთმიმართების შესახებ; ყურადღება გავამახვილოთ იმის ახსნაზე, თუ რას ნიშნავს მეცნიერების სპეციფიკურობა მეცნიერებათა კლასიფიკაციის ძირითადი სქემების გათვალისწინებით.

მეცნიერებისათვის დამახასიათებელი ნიშნების, მისი რაობის და პრინციპების შესახებ აზროვნების ისტორიაში სხვადასხვა, ურთიერთსაპირისპირო მოსაზრებები არის გამოთქმული.

მეცნიერებათმცოდნეობაში (მეცნიერება მეცნიერების ფუნქციონირებისა და განვითარების, მეცნიერული ცოდნისა და მეცნიერული მოღვაწეობის სტრუქტურისა და დინამიკის, მეცნიერებათა კლასიფიკაციის, სხვა სოციალურ ინსტიტუტებთან, საზოგადოების მატერიალური და სულიერი ცხოვრების სფეროებთან ურთიერთობის შესახებ) მეცნიერებათა კლასიფიკაციის პრინციპად შინაგანი კავშირების გარკვევის საფუძველზე მეცნიერებათა განსხვავებული დარგების ლოგიკური განლაგებაა მიჩნეული. ამის მიხედვით კლასიფიკაცია ეფუძნება: 1. კვლევის ობიექტების ურთიერთკავშირის გათვალისწინებას, ანდა თვით დარგის სიახლოვეს მიმდებარე დარგთან (გნოსეოლოგიური თვალ-

საზრისი); 2. მეცნიერების დარგებს შორის არსებული კავშირების გაგებას (მეთოდოლოგიური თვალსაზრისი); 3. მეცნიერებათა ზოგადი ურთიერთკავშირის სხვადასხვა მხარეს, რომლებიც დამახასიათებელია მეცნიერებათა ძირითადი რიგის საწყისი და საბოლოო ფუნქციისათვის (ლოგიკური თვალსაზრისი).

ანტიკური მოაზროვნეები (უპირველეს ყოვლისა, არისტოტელე) ცოდნის 3 ძირითად დარგს გამოყოფდნენ: ბუნება (ფიზიკა), საზოგადოება (ეთიკა) და აზროვნება (ლოგიკა). შემდგომ პერიოდში, როდესაც თავისი „საკუთარი ადგილი“ სხვადასხვა მეცნიერებებმაც დაიკავეს, მეცნიერებათა კლასიფიკაციის ახალი პრინციპის „შემოღება“ გახდა საჭირო. XV-XVIII საუკუნეებისათვის ასეთ საფუძვლად მიჩნეული იქნა კლასიფიკაცია გარეგანი ნიშნების მიხედვით, რომელიც ე.წ. სუბიექტური (კლასიკური წარმომადგენელი ოგიუსტ კონტი), მეცნიერებათა შორის არსებული კავშირები გარეგანი კავშირებია, ამიტომ მეცნიერებები უნდა განლაგდნენ ერთიმეორის გვერდით, სუბორდინაციის პრინციპის დამცველებს (იმანუელ კანტი) კი მეცნიერებათა დარგებს შორის არსებული კავშირები შინაგან და ორგანულ კავშირებად მიაჩნდათ.

XX საუკუნემ გადამწყვეტი კორექტივები შეიტანა მეცნიერებათა კლასიფიკაციის სქემებსა და მოდელებში, „დაანგრია თითქოს ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვეტილი აბსოლუტურ ჭეშმარიტებად მიჩნეული სტრუქტურები (პირველ რიგში მატერიის მოძრაობის ფორმების მიხედვით მეცნიერებათა კლასიფიკაციის ენგელსისეული მოდელი), ახალ მეცნიერებათა წარმოშობა-განვითარებამ ახალი პერსპექტივები დასახა. ასე, მაგალითად: მიკროსამყაროს შესახებ გაჩნდა სპეციფიკური მეცნიერებები – სუბატომური ბირთვული, კვანტური, მექანიკური ფიზიკა; მეცნიერებათა კლასიფიკა-

ციის სტრუქტურებში თავისი ადგილი მტკიცედ დაიმკვიდრა ე.წ. შუალედურმა მეცნიერებებმა – ბიონიკამ, ბიოქიმიამ ბიოფიზიკამ, გეოქიმიამ და ა.შ. საჭირო გახდა სხვადასხვა მოვლენების შესახებ ერთი დარგის შემოღება (მაგალითად, მეცნიერებანი მაკრო და მიკრო ობიექტების შესახებ); გაიზარდა კერძო მეცნიერებათა ზოგად, აბსტრაქტულ და უფრო კონკრეტულ დარგებად დაყოფის აუცილებლობა; სულ უფრო გამრავალფეროვნდა მეცნიერებათა შეფასების მსოფლმხედველობითი ფორმები (სცენტური, ანტიცენტური და ა.შ.). მიუხედავად ამისა, მეცნიერებათა კლასიფიკაციის ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ჩამოყალიბდა მეცნიერების ობიექტის, საგნის, საკითხის, მიზნის, ამოცანისა და მნიშვნელობის შესახებ გარკვეულწილად ზოგადი, ყველასათვის მისაღები, ე.ი. მეთოდოლოგიური ხასიათის, დებულებები. რასაკვირველია, მეცნიერების რაობის გარკვევისათვის ამ ფუნდამენტალური პრობლემების შესახებაც აზრთა სხვადასხვაობა არსებობს, მაგრამ ამის მიუხედავად, შეიძლება თამამად ითქვას, რომ მეცნიერების ფუნქციონირებისათვის შესაბამისი ობიექტისა და საგნის არსებობის აუცილებლობის შესახებ, აზრთა ერთიანობა პრივილირებს.

მეცნიერებათა კლასიფიკაციის სქემაში ამა თუ იმ მეცნიერების „ჩასმა“ მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც ამ მეცნიერებას „აქვს“: თავისი შესაბამისი ობიექტი, შესასწავლი საგანი, შესასწავლი საკითხები – პრობლემები, რომელთაგანაც ერთი (ძირითადი) ცალკე „გამოიყოფა“. პოლიტოლოგია რომ დამოუკიდებელი მეცნიერება იყოს, ამისათვის აუცილებელია, მას ჰქონდეს თავისი შესასწავლი საგანი, რომელიც შესაბამისი ობიექტის ერთ-ერთ მხარეს უნდა ასახავდეს, ამასთანავე პოლიტოლოგიას უნდა ჰქონდეს თავისი მიზნები, ამოცანები, პრაქტიკული მნიშვნელობა, რომელიც, შესაბამისი ობიექტის ერთ-ერთ მხარეს უნდა

ასახავდეს და რომელიც, საბოლოო ჯამში, მის სპეციფიკას შეადგენს.

მეცნიერების ობიექტი თავისი ბუნებით იმდენად მრავალფეროვანი, მრავალწახნაგოვანი და მრავალასპექტიანია, რომ მის სხვადასხვა მხარეს სულ სხვადასხვა მეცნიერებები სწავლობენ. ასე მაგალითად: ბუნება თავისი მრავალფეროვნებით ბუნების (როგორც მეცნიერებაა ობიექტის) შემსწავლელ ისეთ მეცნიერებათა ასპარეზია, როგორებიცაა ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, გეოლოგია, ასტრონომია და ა.შ. ისინი ბუნების (ბუნებათმეცნიერებათა ობიექტის) გარკვეულ მხარეებს, ასპექტებს, შესაბამისად გარკვეულ კანონზომიერებებს სწავლობენ, მათ იმეცნებენ და კანონებისა და კატეგორიების სახით მეცნიერულ სისტემებს აყალიბებენ.

იგივე უნდა ითქვას საზოგადოების, როგორც მეცნიერებათა ობიექტის შესახებ: საზოგადოების შემსწავლელი მეცნიერებები – ისტორია, პოლიტიკური ეკონომია, ლინგვისტიკა იურიისპრუდენცია და ა.შ. – საზოგადოების გარკვეულ კანონზომიერებებს შეისწავლიან.

ერთი და იმავე ობიექტის სხვადასხვა მხარის, ასპექტის, კანონზომიერების შესახებ სხვადასხვა მეცნიერებათა არსებობა თვით ამ ობიექტის მრავალფეროვნებით, მისი სტრუქტურული შემადგენლობის მუდმივი ცვლილებებითა და განვითარებით, მათი სხვა შემადგენლებთან ურთიერთმიმართებისა და ურთიერთკავშირის გასაოცარი თავისებურებებით არის განპირობებული.

ნებისმიერი მეცნიერების ობიექტისა და საგნის არსებობა აუცილებლად გულისხმობს ამ მეცნიერების შესამეცნებელი კანონზომიერების არსებობას, რომელიც ამ მეცნიერების „საკუთრებაა“. მეცნიერების ამოცანაა შეიმეცნოს ამ კანონზომიერების არსი, სხვა კანონზომიერებების შესახებ სხვადასხვა მეცნიერების არსებობა. ეს იმიტომ, რომ წინააღმდეგ

შემთხვევაში, უნდა „წავშალოთ“ მეცნიერებათა შორის „გამყოფი საზღვრები“. უნდა უარვევით ჰარმონიულად, მიზანშეწონილად აგებული ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების, ე.ი. სინამდვილის საიდუმლოებანი.

ახალ მეცნიერებათა წარმოშობა-განვითარება, არსებულ მეცნიერებათაგან „უახლოეს მეცნიერებათა შობა“ (მაგალითად, ფიზიკისაგან მცირე ნაწილაკების ფიზიკის „გამოყოფა“) იმას ადასტურებს, რომ, ერთი მხრივ, შესამეცნებელი ობიექტები მეტად მრავალფეროვანია და ამდენად მათ შესახებ აუცილებელია სხვადასხვა მეცნიერებათა არსებობა, ხოლო, მეორე მხრივ, ახალი მეცნიერების „აღმოჩენა“ გზაა ღვთაებრივი საიდუმლოების სიღრმისეული წვდომისა. თუმცა ადამიანის ცოდნა, მისი შემეცნების საზღვრის მიღწევის შემდეგ ცოდნის ადგილს რწმენა იჭერს. სწორედ ამის შესახებ დიდი გერმანელი მოაზროვნე იმანუელ კანტი ნაშრომში – „რელიგია მხოლოდ გონების საზღვრებში“ – წერდა, რომ „რწმენის ყველა სახეში... კვლევა-ძიება მათი შინაგანი თავისებურების იქით აუცილებლად აწყდება რაღაც საიდუმლოებას, ე.ი. რაღაც წმიდას, რასაც, მართალია, ყოველი ერთეული იცნობს, მაგრამ მაინც საჯაროდ ცნობილი, ე.ი. ყველას მიერ გაზიარებული, არ შეიძლება იყოს. როგორც წმინდა, იგი უნდა იყოს მორალური და, ამდენად – გონების საგანი. შინაგანად – პრაქტიკული გამოყენებისათვის უნდა შეიძლებოდეს მისი შემეცნება, მაგრამ როგორც რაღაც საიდუმლოსი“.

ტერმინი „პოლიტიკა“ ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს ქალაქს, სახელმწიფოს. ძველი ბერძენი მოაზროვნეები მას იყენებდნენ სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა ფორმების აღსანიშნავად. იმ პერიოდს ერთ-ერთი ნაწარმოები, რომელიც უშუალოდ მიეძღვნა სახელმწიფოს მმართველობის ფორმების შესწავლას, იყო არისტოტელეს ცნობილი ტრაქტატი „პოლიტიკა“.

პოლიტიკა საზოგადოების განვითარების გარკვეულ ისტორიულ საფეხურზე წარმოიშვა. წინაკლასობრივ საზოგადოებაში, სადაც ადამიანები გაერთიანებული იყვნენ სისხლით ნათესაობის საფუძველზე, პოლიტიკაზე მოთხოვნის აუცილებლობა არ არსებობდა. პირველგვაროვნულ საზოგადოებაში ადამიანთა ურთიერთობებს აწესრიგებდა ტრადიციებისა და რელიგიური ნორმების ძალა. მათში განმტკიცებული იყო ერთობლივი შრომისა და ცხოვრების მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება.

საწარმოო ძალების განვითარებამ, შრომის იარაღების გაუმჯობესებამ და შესაბამისად შრომის საზოგადოებრივმა დანაწილებამ გამოიწვია პირველყოფილი გვაროვნულ-ტომობრივი საზოგადოების დაშლა. წარმოიშვა ქონებრივი უთანასწორობა, დაიწყო უთანხმოება და კონფლიქტები ადამიანთა შორის მატერიალური რესურსების გამო. ამ კონფლიქტების მოგვარება ტრადიციული ნორმების მეშვეობით შეუძლებელი გახდა, ვინაიდან ეს წინააღმდეგობანი წარმოიშობოდა ადამიანთა უფრო მსხვილ გაერთიანებებს შორის და მოიცავდა მართვის მნიშვნელობას და ხელისუფლების ეფექტური ორგანიზაციის შექმნას. ადამიანთა ახალი ერთობები იკავებენ განსაზღვრულ ტერიტორიას. საჭირო გახდა მისი დაცვა გარეშე თავდასხმებისა და შინაგანი კონფლიქტებისაგან. წარმოიშვა ადამიანთა განსაკუთრებული ჯგუფი, რომლებიც ანხორციელებდნენ ხელისუფლებისა და მმართველობის ფუნქციებს. ეს სახემწიფოს წარმოშობას ნიშნავდა, სახელმწიფოსი, რომელიც თავისი სოციალური შინაარსით კლასობრივი გახდა, და რომელთა შორის ურთიერთობა პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა.

ამრიგად, კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობა პოლიტიკის წარმოშობას მოასწავებდა. პოლიტიკა – ეს არის ადამიანებს შორის ურთიერთობის სისტემა, რომელიც წარ-

მოიშობა საზოგადოებაში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციისა და გამოყენებასთან დაკავშირებით.

პოლიტიკა ანტიკური პერიოდიდან დაწყებული შუა საუკუნეების ჩათვლით განიხილებოდა ეთიკური თვალსაზრისით. პლატონი და არისტოტელე მას განიხილავდნენ, როგორც ადამიანთა ცივილიზებული თანაარსებობის ერთადერთ ფორმას. არისტოტელეს აზრით, პოლიტიკა მოწოდებულია შეასრულოს ზნეობრივ-აღმზრდელიობითი როლი, რათა მიღწეული იქნეს საერთო კეთილდღეობა და სამართლიანობა. პოლიტიკის ინსტრუმენტია სახელმწიფო. სახელმწიფო კეთილდღეობას წარმოადგენს სამართლიანობა, ის, რაც ემსახურება საერთო კეთილდღეობას. არისტოტელეს მტკიცებით, არის ცხოვრების სრულყოფილი ფორმა, ბედნიერი ცხოვრების გარემო და ა.შ.

ახალ დროში ნ. მაკიაველმა პოლიტიკა გაათავისუფლა რელიგიურ-ეთიკური თვალსაზრისისაგან. მისი აზრით, პოლიტიკა არის ბატონობა, მოღვაწეობა ბატონობის განსამტკიცებლად და ხელისუფლების სუბიექტის წინააღმდეგობის დასათრგუნავად. მარქსიზმის თვალსაზრისით, პოლიტიკა არის კლასების ბრძოლა ხელისუფლებისათვის ხოლო სახელმწიფო ხელისუფლება გამოხატავს საზოგადოებაში გაბატონებული კლასის ინტერესებს. ცნობილმა თეზისმა: „პოლიტიკა არის ეკონომიკის კონცენტრირებული გამოხატვა“. თავისი დასაბუთება პოვა ეკონომიკური დეტერმინიზმის კონცეფციაში, რომელიც პოლიტიკას განსაზღვრავს როგორც ზედნაშენს ეკონომიკურ ბაზისზე. ამ შემთხვევაში პოლიტიკას, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების სპეციფიკურ სფეროს, არ გააჩნია დამოუკიდებლობა. რასაკვირველია, ეკონომიკური ფაქტორები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ პოლიტიკის მიმართ, მაგრამ არ შეიძლება, მათი როლის გაზვიადება. პოლიტიკასაც შეუძლია გადამწყვეტი ზემოქმედება მოახდინოს ეკონომიკაზე.

პოლიტიკა, როგორც რთული და ყოვლისმომცველი საზოგადოებრივი მოვლენა, მოიცავს მთელ რიგ ურთიერთდაკავშირებული მოვლენებისა და პროცესების კომპლექსს. მათგან უმთავრესია:

– მსხვილი სოციალური ჯგუფებისა და შესაბამისი ხელისუფლებრივი ორგანიზაციების მმართველობითი მოღვაწეობა ამ ჯგუფების, ან მთელი საზოგადოების ინტერესების შესაბამისად. ამ შემთხვევაში პოლიტიკა გაგებულა როგორც შესაძლებლობის ხელოვნება;

– სოციალურ ჯგუფებს შორის ის პოლიტიკური ურთიერთობები, რომლებიც პოლიტიკური ხელისუფლების მოპოვებას, შენარჩუნებასა და გამოყენებას უკავშირდება;

– პოლიტიკური ინტერესებისა და მისი ფუნქციონირების ნორმები, რომელთა მეშვეობით ხორციელდება პოლიტიკური მიზნები, ინტერესები და ხელისუფლება;

– პოლიტიკური ცნობიერება და პოლიტიკური კულტურა, რომელთა საფუძველზე ხორციელდება პოლიტიკური მოღვაწეობა;

– პოლიტიკური ზემოქმედების სუბიექტები და ობიექტები: პიროვნება, სოციალური ერთობა, კლასი, მასა, სახელმწიფო;

– სოციალური ჯგუფების ინტერესების რეგულირება და შეთანხმება, კონფლიქტის მოგვარება და საზოგადოების მთლიანობის უზრუნველყოფა;

– სახელმწიფოს მართვის საქმეებში მონაწილეობა, სხვადასხვა პოლიტიკური ძალების ხელისუფლებაზე გავლენა, მომავალი პოლიტიკური განვითარების გეგმების რეალიზაციისათვის პრაქტიკული მოღვაწეობა;

– პოლიტიკა, როგორც მეცნიერება და ხელოვნება, რადგანაც პოლიტიკა დაკავშირებულია იდეებთან, ცოდნასთან და ემყარება მათ.

პოლიტიკის სუბსტანცია არის პოლიტიკური ხელისუფ-

ლება. თანამედროვე პოლიტოლოგიაში დომინირებს სწორედ პოლიტიკის ხელისუფლებრივი ინტერპრეტაცია, რომელიც პოლიტიკის არსს, მის ბუნებას გამოხატავს, როდესაც ადამიანი შედის პოლიტიკის სამყაროში, ამყარებს ურთიერთობას პოლიტიკის სხვადასხვა სუბიექტებთან, მას ამოძრავებს არა მარტო პირადი მიზნები და ინტერესები, არამედ ამ მიზნებსა და ინტერესებს უკავშირებს სხვა ადამიანების სოციალური ერთობის პრობლემებს. პირადი და საზოგადო ინტერესების შეთანხმება და კავშირი ნებისმიერი პოლიტიკის აუცილებელი და უმნიშვნელოვანესი ნიშანია.

პოლიტიკის ეს ასპექტი უშუალოდ უკავშირდება პოლიტიკური სისტემის ისეთი ცენტრალური ინსტიტუტის არსებობას, როგორცაა სახელმწიფო. სწორედ სახელმწიფო არის ის პოლიტიკური ინსტიტუტი, რმელიც წყვეტს იმ პრობლემებსა და ამოცანებს, რომლებიც აინტერესებს მთელ საზოგადოებას, მის თითოეულ წევრს, პოლიტიკის ამ უმნიშვნელოვანეს ნიშანზე ყურადღებას ამახვილებენ პოლიტიკური მეცნიერების სხვადასხვა წარმომადგენლები. სახელმწიფო, როგორც პოლიტიკის კონცენტრირებული გამოხატვა, ყოველთვის მოწოდებულია შეახამოს ცალკეული სოციალური ჯგუფებისა და პიროვნების ინტერესები მთელი სოციალური სისტემის მოთხოვნებებთან. პოლიტიკის ნებისმიერ ასპექტში ეს წონასწორობა არ უნდა დაირღვეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ მოხდა რომელიმე მათგანის აბსოლუტიზაცია, მისთვის ეს დამლუბველი ფაქტორი გახდება.

ყურადღება უნდა მივაქციოთ პოლიტიკის შემდეგ თავისებურებას: პოლიტიკა ყოველთვის დაკავშირებულია ადამიანთა დიდი მასების მოქმედებებთან. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ის უკავშირდება მათი ინტერესების გამოხატვას და რეალიზაციას. პოლიტიკის ეს ასპექტი არ გამოხატავს ცალკეული პიროვნებების როლს, პოლიტიკის დამოკიდებულებას ცალ-

კეულ ადამიანებზე, მაგრამ ცალკეული პიროვნების მოქმედება ყოველთვის უკავშირდება უფრო ფუნდამენტურ გაერთიანებებსა და ინტერესებს, რომლებიც უპირატესად კლინდებიან პოლიტიკურ პროგრამებში, დოქტრინებსა და დეკლარაციებში.

პოლიტიკაში განსაკუთრებული სიმძაფრით კლინდება ადამიანთა გრძნობები, ემოციები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში პოლიტიკური ქცევის უმნიშვნელოვანესი ფაქტორებია. მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ ემოციებზე დამყარებულ პოლიტიკურ მოქმედებებს გააჩნიათ უარყოფითი ან კიდევ, დაბალი ეფექტი.

პოლიტიკის არსობრივი მახასიათებელია მისი ხელისუფლებრივი ხასიათი. სწორედ მისი მეშვეობით ხორციელდება იძულება, პოლიტიკური ნების განხორციელება, რომლის შედეგად ადამიანთა ქცევას ეძლევა მიზანმიმართული და ცივილიზებული ხასიათი.

პოლიტიკურ მეცნიერებაში მეტად პრობლემურია პოლიტიკის საზღვრების დადგენა საზოგადოებაში. სხვადასხვა მეცნიერები ამ საკითხზე განსხვავებულ შეხედულებებს გვთავაზობენ. ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ პოლიტიკა მოიცავს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს. მეორე ნაწილი მას უკავშირებს სახელმწიფო ხელისუფლების მოქმედებას. როგორც ცნობილია დემოკრატიულ სახელმწიფოში მინიმუმამდე უნდა შემცირდეს სახელმწიფოს ჩარევა სამოქალაქო საზოგადოების ცხოვრებაში. მოკლედ, უნდა შეიზღუდოს პოლიტიკის მოქმედების სფერო. თუ სამოქალაქო საზოგადოების ცხოვრება ვითარდება კონფლიქტების გარეშე, მაშინ საკითხის ასე დაყენება მართებულია, მეორეს მხრივ, საზოგადოება დაზღვეული არ არის პოლიტიკური კონფლიქტებისა და დესტრუქციული მოქმედებებისაგან. ასეთ შემთხვევაში პოლიტიკის მოქმედების არეალი ფართოვდება.

ამრიგად, პოლიტიკის სფერო მოძრავია. ის შეიძლება გაფართოვდეს ან შეიზღუდოს. ეს დამოკიდებულია კონკრეტულ პოლიტიკურ ვითარებასა და სიტუაციაზე.

პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი დანიშნულებაა ჯგუფური ინტერესების ინტეგრაცია ან საერთო ინტერესების შეცვლა, ჯგუფური ინტერესებით, ან კიდევ, ამ უკანასკნელის წარმოდგენა საერთო ინტერესად, ისტორიულმა გამოცდილებამ ცხადყო, რომ ასეთ პოლიტიკას დამღუპველი შედეგები მოაქვს საზოგადოებისათვის. რასაკვირველია, სრული ერთიანობის მიღწევა საზოგადოების შიგნით შეუძლებელია, მაგრამ შესაძლებელია საზოგადოებრივი ცხოვრების სტაბილური და ნორმალური განვითარების პირობების შექმნა.

ინტეგრაციის აუცილებელი მექანიზმის არსებობა აიხსნება იმით, რომ ერთის მხრივ, არსებობს საზოგადოების ერთიანობის, მისი ღირებულების აღიარების მოთხოვნილება, მეორეს მხრივ, ინტეგრაციის მხარდაჭერა თავისთავად არ მიიღწევა, ამასთანავე მთლიანობას უპირისპირდება ვიწროჯგუფური, ეგოისტური და პარტიკულარული ინტერესები. ინტეგრაციის ფუნქცია ყველაზე მკაფიოდ ვლინდება ისეთ პოლიტიკაში, სადაც გათვალისწინებულია საზოგადოებაში არსებული კონფლიქტები და ამასთანავე, განსაზღვრულია მათი შეთანხმების საფუძველი, კომპრომისი, თანამშრომლობა და ა.შ. პოლიტიკის დეზინტეგრაციული ფუნქცია ვლინდება რომელიმე ჯგუფის ინტერესების უგულვებელყოფაში, ან კიდევ სხვა ჯგუფის ინტერესებთან დაპირისპირებაში. პოლიტიკა საერთო საზოგადოებრივი ფენომენია. ამასთანავე, ის ზოგადსაკაცობრიო მოვლენაა. მის გარეშე არ იყო და არც შეიძლება არსებობდეს არც ერთი ცივილიზაცია.

ამრიგად, პოლიტიკა – ეს არის საზოგადოებრივი ცხოვრების ორგანიზაცია ხელისუფლების მეშვეობით, მისი ფუნქციონირების პროცესი, სხვადასხვა ინტერესების შეხამებისა

და საზოგადოების მთლიანობის მიღწევისა და შენარჩუნების პროცესი. ელიტის მიერ, საზოგადოების მართვის პროცესი პოლიტიკური ინტერესების გამოყენების საფუძველზე.

მეცნიერების საგანი მეცნიერების ობიექტისაგან იმით განსხვავდება, რომ თავისი მოცულობით საგანი ობიექტზე უფრო ვიწროა, საგანი ობიექტის ერთ-ერთი ასპექტია, ერთ-ერთი მხარეა. თუ ობიექტის შესახებ შესაძლებელია ორი ან რამდენიმე მეცნიერების არსებობა, საგნის შესახებ არ შეიძლება რამდენიმე განსხვავებული მეცნიერების არსებობა. მეცნიერების ობიექტის სირთულიდან, საგნის მრავალასპექტიანობა იმით განსხვავდება, რომ ეს უკანასკნელი ერთი რიგის მოვლენას წარმოადგენს. ერთი მეცნიერების ქვედისციპლინების შესწავლის საგანია, და ეს მაშინ, როდესაც მეცნიერების ობიექტის შესახებ არსებული სხვადასხვა დისციპლინები განსხვავებული რიგის მეცნიერებათა სახით ყალიბდება. ასე, მაგალითად: ფიზიკის შესასწავლი ობიექტი არის ბუნება, ხოლო საგანი ბუნების ფიზიკური მხარე – ფიზიკური კანონზომიერებები. ფიზიკა, თავისთავად, ფიზიკური მოვლენების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, მთელი რიგი ისეთი ქვედისციპლინებისგან შედგება, როგორცაა: მცირე ნაწილაკთა ფიზიკა, ატომისტური ფიზიკა და ა.შ. მეტიც, ფიზიკური და ბიოლოგიური კანონზომიერებების ურთიერთშემოქმედებიდან გამომდინარე, არსებობს „შუალედური“ მეცნიერება – ბიოფიზიკა, მაგრამ ფიზიკა როგორც მეცნიერება, ყველა შემთხვევაში, ერთი მხარის – ფიზიკური პროცესის – კანონზომიერებებს სწავლობს.

ამ აზრით, მეცნიერების საგანი კიდევ უფრო აზუსტებს, აკონკრეტებს მეცნიერების ობიექტის თუ რომელ მხარეს, რომელ ასპექტს სწავლობს ეს მეცნიერება. სწორედ ამის შესახებ წერდა იმანუელ კანტი „პროლეგომენებში“, რომ „თუ რომელიმე შემეცნებას მეცნიერების სახით

დავალაგებთ, ამისათვის აუცილებელია წინასწარ სისწორით გამოვარკვიოთ, ის განმასხვავებელია, რაც მას სხვასთან საერთო არა აქვს და არც, მაშასადამე, მის თავისებურებას შეადგენს; წინააღმდეგ შემთხვევაში საზღვრები ყველა მეცნიერებისა ერთმანეთში აირევა და არც ერთი მათგანი, მისი ბუნების მიხედვით, საფუძვლიანად გარკვეული არ იქნებოდა“.

პოლიტოლოგიის შესასწავლ საგნად არ შეიძლება საზოგადოების მიჩნევა, როგორც ამას ზოგიერთი ავტორი აკეთებს. საზოგადოება პოლიტოლოგიის, ისე როგორც საზოგადოების შემსწავლელი სხვა მეცნიერებების, შესასწავლი ობიექტია და არა საგანი. ხოლო თუ რა არის პოლიტოლოგიის შესასწავლი საგანი, ჩვენი აზრით, ეს სწორედ კანტიანული განსაზღვრის შესაბამისად უნდა გადაწყდეს, ე.ი. პოლიტოლოგიის საგნის დაზუსტების დროს აუცილებელია, ვაჩვენოთ ის განსხვავებები, რაც მას, როგორც დამოუკიდებელ მეცნიერებას სხვა მეცნიერებებისაგან გამოყოფს. მაგრამ სანამ ამას გავარკვევდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია ზოგადად მეცნიერების სხვა ნიშნებზეც მივუთითოთ.

მეცნიერების არსებობის ერთ-ერთი ძირითადი პირობაა ის, რომ ამ მეცნიერებას თავისი სპეციფიკა უნდა ჰქონდეს. მართალია, მეცნიერების სპეციფიკა, ძირითადად, ამ მეცნიერების შესასწავლი საგნის სხვა მეცნიერებათა საგნებისაგან გამოცალკევებით დგინდება. მაგრამ, ამასთან ერთად, მეცნიერების სპეციფიკურობა იმითაც უნდა დახასიათდეს, რომ კონკრეტულ მეცნიერებაში განხლული საკითხები, პრობლემები არ უნდა წარმოადგენდნენ სხვა მეცნიერებათა ძირითად კატეგორიებს. ამ პრობლემებსა და საკითხებს ეს მეცნიერება თავის „საკუთრებად“ უნდა აცხადებდეს, მათზე „ზრუნავდეს“ და თავის მხრივ, თვით ამ მეცნიერების სპეციფიკურობამ სხვა მეცნიერებათაგან მისი განსხვავება უნდა წარმოსახოს.

ამა თუ იმ დამოუკიდებელი მეცნიერების არსებობის აუცილებელი პირობა უნდა იყოს ამ მეცნიერების საგნის კვლევის აუცილებლობაც. თუ მეცნიერებას არ ექნება გარკვეული მიზანი და არ მოითვანს იგი გარკვეულ სარგებლობას, მაშინ ეს მეცნიერება ვერ შეასრულებს თავის ფუნქციებს. არ ექნება მას გამოყენებითი მნიშვნელობა.

დაწვრილებით რომ არ შევჩერდეთ მეცნიერების დამახასიათებელ ყველა ძირითად ნიშანზე ზოგადად მაინც ჩამოვთვლით მათ. ეს ნიშნებია: სისტემატურობა, დამტკიცებულობა, სპეციფიკური კანონებისა და კატეგორიების არსებობა, კანონებით აპერიერება, ჭეშმარიტება, რომლის კრიტერიუმები საზოგადოდ მიღებულია და სხვა.

პოლიტოლოგია რომ დამოუკიდებელი მეცნიერება იყოს და არა რომელიმე სხვა მეცნიერების ერთ-ერთი ქვედისციპლინა, ამისათვის საჭიროა მას ჰქონეს თავისი „საკუთარი“ შესასწავლი საგანი, გააჩნდეს სპეციფიკურობა, ისახავდეს კონკრეტულ მიზნებს და ა.შ. პოლიტოლოგიის საგანი, ზოგადი აზრით, პოლიტიკაა, კონკრეტულად – პოლიტიკური პროცესი, მისი განვითარების დინამიკა, ამ პროცესის კანონზომიერება. აქვე აუცილებლად მიგვაჩნია იმაზე მითითება, რომ პოლიტოლოგიის საგნის აღნიშნული დეფინიციის ზოგადი და კონკრეტული განსაზღვრება ერთმანეთს ავსებს, უფრო ზუსტად, ერთმანეთს განმარტავს. კერძოდ, როდესაც ვამბობთ, რომ პოლიტოლოგია არის მეცნიერება პოლიტიკის შესახებ, ვგულისხმობთ, რომ პოლიტიკა წარმოდგენილია გარკვეული პროცესის სახით, რომელსაც თავისი საკუთარი განვითარების გზა, დინამიკა აქვს და რომ, რასაკვირველია, თავისი კანონზომიერება გააჩნია. ამით იმის თქმა გვინდა, რომ პოლიტიკური პროცესი, თავისი კანონზომიერებით პოლიტიკის საკითხი კი არ არის, არამედ პოლიტიკის ანალოგიური ცნება.

აღნიშნული გაგება ჩვენი აზრით, მოსალოდნელი უზუსტობისგან დაგვიცავს, როდესაც მეცნიერების საგნად მისი შესასწავლი საკითხის ან საკითხთა რიგის დასახელება ხდება. პოლიტოლოგიის საგნის განსაზღვრისას ხშირია პოლიტოლოგიის მიერ შესასწავლი საკითხის ან საკითხების ამავე მეცნიერების საგნად წარმოდგენა. ასე, მაგალითად: ავტორთა საკმარ ნაწილი პოლიტოლოგიის საგნის განსაზღვრისას ჩამოთვლის პოლიტოლოგიის მიერ შესასწავლ საკითხთა იმ წრეს, რომელიც 1948 წელს იუნესკოს მიერ მიღებული რეზოლუციით არის შემოსაზღვრული. სახელდობრ, ასეთი საკითხებია: პოლიტიკური თეორია – პოლიტიკური ინსტიტუტები; პარტიები, საზოგადოებრივი აზრი, საერთაშორისო ურთიერთობები.

ასევე, მკვლევართა ერთი ნაწილი (პ. ლასსუელი, კ. ფრიდრიხი, რ. დალი და სხვა). პოლიტოლოგიის შესასწავლ ისეთ საკითხს, როგორცაა „პოლიტიკური ხელისუფლება“, პოლიტოლოგიის საგნად მიიჩნევს, რაც არასწორია. არ შეიძლება მეცნიერების საგნისა და მეცნიერების შესასწავლი ამა თუ იმ ცალკე საკითხის ან საკითხების ერთმანეთში არევა. „პოლიტიკური ხელისუფლება“ – პოლიტოლოგიის უძირითადესი საკითხი ყველა სხვა საკითხის „აღფა“ და „ომეგა“, მაგრამ იგი ზემოთ აღნიშნული აზრით, პოლიტოლოგიის საგანი არ არის.

თავისთავად ცხადია, რომ მეცნიერების მიერ შესასწავლი საგანი და შესასწავლი საკითხები ერთმანეთს არ უპირისპირდებიან. მეცნიერების შესასწავლი საკითხები, პრობლემები ამავე მეცნიერების საგნის საკითხებია, მისი არსის გამომხატველია, მით უმეტეს ის უძირითადესი საკითხი, რომელიც სხვა საკითხების ხასიათს განსაზღვრავს.

მაშასადამე ზემოთქმულიდან გამომდინარე: პოლიტოლოგიის შესასწავლი ობიექტი არის საზოგადოება, მისი შესას-

წავლი საგანი პოლიტიკა – პოლიტიკური პროცესი თავისი განვითარების და არსის კანონზომიერებით, ხოლო ძირითადი საკითხი – პოლიტიკური ხელისუფლება.

არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ პოლიტოლოგიის ბევრი საკითხი ერთმანეთს არც უკავშირდებიან და არც განმარტავენ, მაგრამ პოლიტიკური სისტემა და პოლიტიკური ურთიერთობები პოლიტიკური ხელისუფლების ხასიათით განისაზღვრება; პოლიტიკური ინსტიტუტები პოლიტიკური ხელისუფლების ტიპების შესაბამისად იცვლება; ამა თუ იმ სოციალურ-პოლიტიკური მოძრაობის მიზანი მისი პოლიტიკური ბატონობის დამყარება არის და ა.შ. ამიტომ პოლიტიკური ხელისუფლება პოლიტოლოგიის უძირითადესი საკითხია, რომელიც, საბოლოო ჯამში, პოლიტოლოგიის ყველა სხვა საკითხის არსს განსაზღვრავს. ამერიკული პოლიტოლოგიის კლასიკოსის ტ. პარსონსის განმარტებით, ხელისუფლებას პოლიტიკურ სისტემაში ის ადგილი უჭირავს, რაც, მაგალითად, ფულს ეკონომიკურ პროცესში „განზოგადებული შუამავალი“, ხელისუფლება ასეთივე შუამავალია პოლიტიკურ სისტემაში. ხელისუფლების ცნება ამოუწურავია თავისი შინაარსით. ხელისუფლების ცნება ამოუწურავია თავისი შინაარსით. იგი თავისი მრავალფეროვნებით პოლიტოლოგიურ ლიტერატურაში „უძირო“ ზღვასთან არის შედარებული. ფრანგი პოლიტოლოგის მ. კროზეს განმარტებით „ხელისუფლების არც ლიკვიდაცია შეიძლება და არც ნაციონალიზაცია. იგი, როგორც ჰიდრას თავები, მოკვეთის შემდეგ უფრო ძლიერ და მრავლად ამოდის“.

აქვე განვმარტავთ, რომ პოლიტიკურ ხელისუფლებასთან ერთად არსებობს ეკონომიკური, იდეოლოგიური, სოციალურ-ფსიქოლოგიური ხელისუფლების ტიპებიც.

პოლიტიკური ხელისუფლების რაობას, ნაწილობრივ, ცნობილი პოლიტოლოგების მიერ „ხელისუფლების“ პოლი-

ტოლოგიური კატეგორიის დეფინიციის მაგალითებიც ცხად-
ყოფს:

პოლიტოლოგიის ფუძემდებლის, მაქს-ვებერის განმარტე-
ბით: „ხელისუფლება ნიშნავს ყოველგვარ შესაძლებლობას,
განახორციელო პირადი ნება-სურვილი სხვების შეხედულე-
ბათა წინააღმდეგ... ბრძანება შეიძლება ვუწოდოთ შესაძლებ-
ლობას ვმართოთ ადამიანთა გარკვეული ჯგუფი გარკვეული
შინაარსის ბრძანებით“.

ჩვენი აზრით, ხელისუფლების არსი შესანიშნავად გან-
საზღვრა პოლიტოლოგიის ფრანგული სკოლის წარმომად-
გენელმა მ. დიუვერჟემ, როდესაც მან ხელისუფლება ორ-
თავიან იანუხს შეადარა და განმარტა, რომ ხელისუფლება
ერთი მხრივ, ეს არის საზოგადოების ერთი ჯგუფის მეორე
ჯგუფზე ბატონობის ინსტრუმენტი, რომელსაც პირველი
იყენებს მეორის საზიანოდ, ხოლო მეორე მხრივ – ეს არის
საყოველთაო კეთილდღეობისათვის საჭირო იარაღი, რომ-
ლის მეოხებითაც შენარჩუნებული უნდა იქნეს ერთგვარი
სოციალური წესრიგი კოლექტივის ყველა წევრის ერთგვა-
რი ინტეგრაცია. დიუვერჟე იმასაც განმარტავს, რომ იანუ-
ხის აღნიშნულ ორ მხარეს შორის არსებული პროპორციის
სხვადასხვაგვარობის მიუხედავად, რაც თავისთავად ეპოქის,
პირობებისა და სახელმწიფოს სირთულიდან გამომდინა-
რეობს, ხელისუფლების ეს ორი მხარე ყოველთვის ერთმა-
ნეთთან თანამშრომლობს.

ცნობილი პოლიტოლოგის – სოციალური კონფლიქტების
სპეციალისტი – ჟ. ფრიონდის განმარტებით, ხელისუფლება
არის სახელმწიფოებში ან სახელმწიფოში არსებულ ადამიან-
თა ჯგუფებს შორის ურთიერთობის პოლიტიკის არსი. ინგ-
ლისური და ამერიკული პოლიტოლოგიური სკოლის თვალ-
საჩინო წარმომადგენლის, ნ. მორგენტუს აზრით, „როდესაც
ჩვენ ვლაპარაკობთ ხელისუფლების შესახებ, ვგულისხმობთ

ადამიანის მიერ სხვა ადამიანთა ცნობიერებასა და მოქმედებაზე კონტროლის განხორციელებას“.

დასახელებული სკოლის მეორე წარმომადგენლის, ხელისუფლების რელაციონალურ ინტერპრეტაციის ავტორის, პ. ბლაუსის განმარტებით, ხელისუფლება არის გაცვლის კერძო სახე, როდესაც ინდივიდს აქვს ძალაუფლება სხვებზე, როდესაც ისინი მუდმივად მასზე არიან დამოკიდებული იმ აზრით, რომ საჭიროებენ გარკვეულ კეთილდღეობას, რომელსაც სხვაგან ვერ მიიღებენ;

ამერიკული პოლიტოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებლის, პ. ლაუსსეულის აზრით, ხელისუფლება არის ცალკეული პირის ან ჯგუფის უნარი – შემოქმედება მოახდინოს სხვათა საქმიანობაზე. ეს განმარტება კიდევ უფრო დააკონკრეტა იელნი უნივერსიტეტის მხცოვანმა პოლიტოლოგმა, პროფესორმა რობერტ დალიმ, როდესაც აღნიშნა, რომ ხელისუფლება ნიშნავს იმას, რომ „ა“-ს გააჩნია ხელისუფლება „ბ“-ზე იმდენად, რამდენადაც მას შეუძლია აიძულოს „ბ“, გააკეთოს ის, რასაც იგი ნებაყოფლობით არ გააკეთებდა. რ. დალის ხელისუფლების „ცალმხრივ“ დიფინიციამ იერთვარი განზოგადება შეაქვს ინგლისელ პოლიტოლოგ ჯ. ტომპსონს. მისი აზრით, რადგან ხელისუფლების გავლენა ცხოვრების ყველა სფეროში ვლინდება, ამიტომ მისი შედეგები შესწავლილი უნდა იქნეს ყველა დონეზე: ყველა მიმართებით, კერძოდ: ხელისუფლება ეს არის ინდივიდის უნარი – თავისი ინტერესების მიზნებისა და მდგომარეობის შესაბამისად ჩაერიოს საქმეებში და შეცვალოს ისინი; ინსტიტუციონალურ დონეზე; ყველა მიმართებით. კერძოდ: ა) ხელისუფლება ეს არის, ინდივიდის უნარი – თავისი ინტერესების, მიზნებისა და მდგომარეობის შესაბამისად ჩაერიოს საქმეებში და შეცვალოს ისინი; ინსტიტუციონალურ დონეზე ხელისუფლება არის, უნარი მისცეს საშუალება ადამიანთა ამა თუ იმ ჯგუფს

ან ინსტიტუტებს, მიიღონ გადაწყვეტილებანი და ცხოვრებაში განახორციელონ ისინი; ბ) ხელისუფლების კონსტიტუციური უნარი კი შემოისაზღვრება გარკვეული სოციალური სტრუქტურით. ამგვარად, ტომპსონის განმარტების თანახმად: ხელისუფლება არ შემოიფარგლება ერთი ინდივიდის – („ა“-ს) მეორე ინდივიდზე („ბ“-ზე) მაიძულებელი ზემოქმედების ფენომენით. იგი უფრო მრავალპლანოვანი მოვლენაა და სხვადასხვა წრეებში აღწევს, სხვადასხვა დონეებზე განსხვავებულად ვლინდება.

მაშასადამე, როგორც პოლიტიკური ხელისუფლების შესახებ არსებული მოსაზრებების ამ ვიწრო მიმოხილვიდანაც ირკვევა, არა თუ საერთოდ პოლიტოლოგიის, არამედ მის ძირითად საკითხს – პოლიტიკურ ხელისუფლებას – მეტად მრავალმხრივი ასპექტი აქვს, რომელთა შესახებაც ურთიერთსაპირისპირო შეხედულებები არსებობს.

პოლიტოლოგია არის ინტეგრალური მეცნიერება, რომელიც მოიცავს პოლიტიკურ ფილოსოფიას, პოლიტიკურ სოციოლოგიას, პოლიტიკურ ფსიქოლოგიას და ა.შ. საჭიროა გაირკვეს მათი ურთიერთმიმართება.

პოლიტიკური ფილოსოფია წარმოადგენს პოლიტოლოგიის განვითარების ფილოსოფიური ეტაპის შემკვიდრეს. ის სწავლობს პოლიტიკას, როგორც ერთიან ფენომენს, პოლიტიკის მნიშვნელობას ადამიანისათვის, იკვლევს ურთიერთობას პიროვნებას, საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის და შეიმუშავებს პოლიტიკური თანაცხოვრების იდეალებსა და ნორმატულ პრინციპებს. პოლიტიკური ფილოსოფია იძლევა პასუხს კითხვებზე: რატომ და რისთვის არსებობენ ესა თუ ის პოლიტიკური მოვლენები და როგორი უნდა იყვნენ ისინი? პოლიტიკური ფილოსოფია ძირითადად ხელმძღვანელობს ნორმატიულ-ღირებულებითი მიდგომით. მოკლედ რომ ვთქვათ, პოლიტიკური ფილოსოფია სწავ-

ლობს ხელისუფლებრივი ურთიერთობის ღირებულებით ასპექტებს. ამრიგად, პოლიტიკური ფილოსოფია პოლიტიკური ცოდნის მეთოდოლოგიური საფუძველია, ადამიანის მსოფლმხედველობის ფუნდამენტია. პოლიტიკურ სოციოლოგიას ზოგიერთი მეცნიერი აიგივებს პოლიტოლოგიასთან, რაც არასწორია. ეს ორი ცნება ახლოსაა ერთმანეთთან, მაგრამ ერთიდაიგივე მაინც არ არის. პოლიტიკური სოციოლოგია სწავლობს ურთიერთობას პოლიტიკასა და საზოგადოებას, სოციალურ წყობასა და პოლიტიკურ ინსტიტუტებს, პროცესებს შორის. პოლიტიკური სოციოლოგია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სამოქალაქო საზოგადოების ხელისუფლების განაწილებაზე გავლენის შესწავლას, პოლიტიკური და სოციალური ურთიერთობების ურთიერთკავშირსა და ურთიერთგადასვლას, პოლიტიკური პროცესების სოციალურ შინაარსსა და სოციალურ სუბიექტებზე პოლიტიკურ ზემოქმედებას, პოლიტიკური მოღვაწეობის სოციალურ შედეგებს. ეს მეცნიერება პოლიტოლოგიისა და სოციოლოგიის ურთიერთობების წერტილში მდებარეობს და განსაზღვრავს პოლიტიკის სოციალურ განპირობებულობას.

პოლიტიკური ფსიქოლოგია სწავლობს საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრების ფსიქოლოგიურ კომპონენტებს (განწყობილება, შეხედულებები, გრძნობა, ღირებულებითი ორიენტაციები), რომლებიც წარმოიშობიან და ვლინდებიან ერის, კლასის, სოციალური ჯგუფის, მთავრობების, ინვალიდების პოლიტიკური შეგნების დონეზე და რეალიზდებიან მათ კონკრეტულ პოლიტიკურ მოქმედებაში. მოკლედ, პოლიტიკური ფსიქოლოგია სწავლობს პოლიტიკური ქცევის სუბიექტურ მექანიზმებს, პოლიტიკურ-ფსიქოლოგიურ გამოკვლევას ფართოდ იყენებენ ელექტორატის, პოლიტიკური ქცევის შესწავლისათვის, აგრეთვე პოლიტიკური ლიდერობის, პო-

ლიტიკური სოციალიზაციის, პოლიტიკური კონფლიქტის საკითხზე მუშაობისას.

პოლიტიკური ანთროპოლოგია შეისწავლის პოლიტიკის დამოკიდებულებას ადამიანის ისეთ მონაცემებზე, როგორცაა ბიოლოგიური, ინტელექტუალური, სოციალური, კულტურული, რელიგიური და სხვა, აგრეთვე პოლიტიკური წყობილების უკუგავლენა პიროვნებაზე.

პოლიტიკური ისტორია შეისწავლის პოლიტიკურ თეორიებს, შეხედულებებს და მოვლენებს ერთმანეთთან კავშირსა და ქრონოლოგიურ თანმიმდევრობაში. მას აინტერესებს პოლიტიკური ინსტიტუტებისა და ნორმების ცვლილებები საზოგადოების ევოლუციის პროცესში. კაცობრიობის ისტორია გარკვეული აზრით წარსულის პოლიტიკაა. ისტორიის ცოდნის გარეშე შეუძლებელია გავიგოთ აწმყო, განვსაზღვროთ მომავალი. ამიტომ ნებისმიერი მნიშვნელოვანი პოლიტიკური გამოკვლევა ითვალისწინებს წარსულის პოლიტიკური ისტორიის ცოდნას.

ამგვარად, პოლიტოლოგია როგორც მეცნიერება, მჭიდროდაა დაკავშირებული სხვა პოლიტიკურ მეცნიერებებთან, იყენებს მათ მონაცემებს, კოორდინაციას უკეთებს მათ და ქმნის პოლიტიკური სამყაროს მთლიან სურათს.

პოლიტიკური მეცნიერების მნიშვნელობა არსებითად განისაზღვრება იმ ფუნქციებით, რომელსაც ის ასრულებს საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებაში. უწინარეს ყოვლისა, ეს ფუნქციებია: 1. შემეცნებითი ფუნქცია მოწოდებულია შემეცნოს ობიექტური, პოლიტიკური რეალობა და მოგვცეს ფუნდამენტალური ცოდნა ხელისუფლებრივი ბუნების, წყაროების, მისი რაციონალური ორგანიზაციის საშუალებების შესახებ. 2. ინსტრუმენტალური ფუნქცია ითვალისწინებს იმ ეფექტური საშუალებების განსაზღვრას, რომლის მეშვეობით შესაძლებელია საზოგადოების პოლიტიკური სფეროს

გარდაქმნა თანხმობისა და პოლიტიკის სუბიექტების ინტერესების გათვალისწინების საფუძველზე. აღმზრდელობითი ფუნქცია მოწოდებულია აღზარდოს ხელმძღვანელები, პროფესიონალი პოლიტიკოსები, აამაღლოს მასების პოლიტიკური კულტურა. 4. მმართველობითი ფუნქციის მნიშვნელოვანი ამოცანაა სწორი გადაწყვეტილებების მიღება, მართვის პრინციპების დადგენა. მწვავე პოლიტიკური სიტუაციების დარეგულირება შესაძლებელია მაღალი მმართველობითი კულტურის პირობებში. 5. დიაგნოსტიკური ფუნქცია მოწოდებულია, შემუშავებული პროგრამების შესაბამისად განსაზღვროს საზოგადოების პოლიტიკური კურსი, მისი სოციალური განვითარების ტენდენციები. 6. პროგნოზირების ფუნქციამ უნდა უზრუნველყოს პოლიტიკური პროცესების განვითარების სასურველი და შესაძლებელი ვარიანტების შემუშავება ისე, რომ გათვალისწინებული იქნა ისეთი ფაქტორების მოქმედება, როგორიცაა საერთაშორისო, ეკონომიკური, სოციალური, იდეოლოგიური და ა.შ.

„ამერიკული პოლიტოლოგია“, „გერმანული პოლიტოლოგია“, „იტალიური პოლიტოლოგია“, „ფრანგული პოლიტოლოგია“ და ა.შ. ამ ცნებების შინაარსი არ „მძიმდება“ რაიმე სახის პოლიტიკური სტერეოტიპებით, მათ არა აქვთ პოლიტიკური სისტემის უპირატესობის პრეტენზიები. როგორც ეს დაკანონებული იყო ეგრეთწოდებულ „საბჭოთა მეცნიერების“, „საბჭოთა“ ბიოლოგიის, ფიზიკის, მათემატიკის და ა.შ. პოლიტიზირებულ ცნებებში. ზემოთმითითებულ განმარტებებში მინიშნებულია მხოლოდ იმ ეთნიკურ, სპეციფიკურ თვისებებზე, რომლებიც ამა თუ იმ სახელმწიფოს აზროვნებას საერთოდ, და კერძოდ პოლიტოლოგიურ აზროვნებას ახასიათებს. ნიშანდობლივია ის, რომ პოლიტიკურ მეცნიერებათა საერთაშორისო ასოციაციის XIV მსოფლიო კონგრესმა (ვაშინგტონი, 1988 წელი) კატეგორიულად უარ-

ყო რა პოლიტოლოგიის „კაპიტალისტურ პოლიტოლოგიად“ და „სოციალისტურ პოლიტოლოგიად“ დაყოფა, პოლიტოლოგიის მეცნიერების განვითარების აუცილებელ პრინციპად ამ მეცნიერების დეპოლიტიზაცია, „გლობალიზაცია“ გამოაცხადა.

პოლიტოლოგიის რაობის გაგებაში, მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის პოლიტიკური ცხოვრების განსხვავებული ინტერპრეტაციის შედეგად, ძირითადად, ორი მიმართულება გამოიკვეთა: პირველის მიმდევრები პოლიტიკას იმ ინსტიტუტებთან აიგივებდნენ, რომლებშიც იგი ვლინდებოდა, ამიტომ ისინი პოლიტიკური მეცნიერების შესასწავლ ობიექტად პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ ინსტიტუტებს მიიჩნევდნენ. მეორე მიმდინარეობის წარმომადგენლების მსჯელობის თანახმად, აღნიშნული ინსტიტუტები პოლიტიკის გამოხატვის ისტორიულად განპირობებული მხოლოდ ერთ-ერთი ფორმაა. პოლიტიკა კი, მათი აზრით, საქმიანობის შედეგებით და მოქმედებების მიხედვით უნდა ყოფილიყო გაანალიზებული. ამ შემთხვევაში პოლიტოლოგიის შესასწავლ ძირითად პრობლემად პოლიტიკური ხელისუფლება იყო მიჩნეული. როგორც უკვე აღვნიშნეთ პოლიტოლოგიის შემდგომ განვითარებაში სწორედ ასეთი სახის გაგებამ განამტკიცა პოზიციები და საკმაოდ მტკიცედ დაიმკვიდრა ადგილი.

მითითებული და სხვა მოსაზრებების საფუძველზე შემდეგი სახის განსხვავებული კონცეპტუალური ხასიათის დებულებები ჩამოყალიბდა: პოლიტიკა სახელმწიფოთამცოდნეობაა; პოლიტოლოგიას თავისი შესასწავლი საგანი არა აქვს. იგი არის პოლიტიკური მეცნიერების თვითმყოფადობის გათვალისწინებასთან ერთად, აუცილებელია მისი განვითარების ისტორიის ძირითადი თავისებურებების მხედველობაში მიღება. ასე მაგალითად: გერმანული პოლიტოლოგიისათ-

ვის საერთოდ დამახასიათებელია თეორიულ-ფილოსოფიური პრიმატის აღიარება; იტალიური პოლიტოლოგიის ერთ-ერთი არსებითი თავისებურება სამართალმცოდნეობისა და ისტორიული მეცნიერებებისაგან გამოიჯენისადმი ყურადღების გამახვილებაში ვლინდება; ფრანგული პოლიტოლოგია განსაკუთრებულ ყურადღებას პოლიტიკური პროცესების კონსტიტუციური სამართლის პრინციპების გამოყენებით განხილვის ტრადიციული მოთხოვნების დაცვას უთმობს: კანადაში პოლიტოლოგია თავისებური დამახასიათებელი ისტორიული, კულტურული და გეოგრაფიული ფაქტორების შესაბამისად ვითარდება და ა.შ. გასათვალისწინებელია ის, რომ ცალკე აღებულ ქვეყანაში პოლიტიკური აზრის, პოლიტიკური ფილოსოფიის განვითარებას თავის „საკუთარი“ ეტაპები აქვს, რომლის შესაბამისად იცვლებოდა პრობლემები, შეხედულებები. აღნიშნულის საილუსტრაციოდ მოკლედ მიმოვიხილავთ ამერიკული პოლიტოლოგიის ზოგიერთ თავისებურებას და შევეცდებით მისი თანამედროვე მდგომარეობის ზოგადი სურათის წარმოდგენას.

თანამედროვე ამერიკული პოლიტოლოგიის მამამთავრად ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორები ჩარლზ მერრიამი და ჰაროლდ ლასსუელი ითვლებიან. წიგნში „პოლიტიკის ახალი ასპექტი“ (1925 წ.) მერრიამმა პოლიტოლოგიის განვითარების აუცილებელ პირობად ჩათვალა მისი კავშირი სხვა მეცნიერებებთან, ემპირიული კვლევის შედეგად მიღებულ კონკრეტული ხასიათის მასალებთან. მან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო პოლიტოლოგიის მედიცინასთან, ფსიქოლოგიასთან კავშირის აუცილებლობის ასპექტს ე.ი. მერრიამმა პირველმა წამოაყენა პოლიტოლოგების ფსიქოლოგებთან თანამშრომლობის იდეა, ამით ხელი შეუწყო ამერიკული პოლიტოლოგიის შემდგომ განვითარებას. თუ წლების განმავლობაში (XIX საუკუნის 20 წლებიდან) პოლიტოლოგიური

პრობლემების ფარგლები პოლიტიკური ფილოსოფიით შემო-
იფარგლებოდა, ამერიკული პოლიტოლოგია პოლიტიკური
ქცევების შემსწავლელ მეცნიერებად გადაიქცა. განმტკიცდა
პოლიტიკის თეორიის ბიჰევიორისტული მეთოდის პრიმატი,
რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდისათ-
ვის ამერიკული პოლიტოლოგიის ძირითად მეთოდოლოგიურ
პრინციპად იქნა მიჩნეული, რაც უშუალოდ ჰაროლდ ლასსუ-
ელის (1920-1978 წწ.) სახელთან არის დაკავშირებული.

3. ლასსუელმა შეიმუშავა პოლიტიკისადმი ფუნქციონა-
ლური დამოკიდებულების პრინციპები. მან პოლიტიკური
ქცევების შესწავლის საფუძვლად ფსიქოლოგიის, ფსიქონა-
ლიზის და ფსიქიატრიის მეთოდები გამოიყენა, რითაც განამ-
ტკიცა ის მოსაზრება, რომლის თანახმად პოლიტოლოგიის
მეთოდოლოგიური საფუძველი ბიჰევიორიზმი უნდა იყოს
და, რომ ადამიანთა პრაქტიკული ქცევა-მოქმედების ხანგ-
რძლივი დაკვირვებისა და მეთვალყურეობის შედეგად შე-
საძლებელია რეალურ პოლიტიკურ განზრახვათა დადგენა.
ლასსუელმა სრულყოფილად გამოიყენა ზიგმუნდ ფროიდის
მოძღვრება. იგი პოლიტიკური ფსიქონალიზის თეორიის
ფუძემდებელია.

მაშასადამე, ამერიკულ პოლიტოლოგიაში ფსიქონალი-
ტიკური პრინციპების განვითარებამ პოლიტოლოგიის მეც-
ნიერების განვითარება გამოიწვია. მაგრამ ახლის აღიარება
არ მომხდარა ძველი ტრადიციების სრული ნეგაციით. ამერი-
კულ პოლიტოლოგიას არასოდეს უარყვია პრაგმატისტული
პრინციპები, რეალური პოლიტიკური სიტუაციების ემპირი-
ული კვლევის შედეგად მიღებული დასკვნების პრიორიტეტი
და მის შესაბამისად პრაქტიკული ხასიათის მოდელებისადმი
პატივისცემა. სწორედ ამიტომ ამერიკულ პოლიტოლოგიაში
სათანადო ადგილი უჭირავს ტოტალიტარული რეჟიმების
კვლევას, პოლიტიკური ლიდერობის საკითხს, პოლიტიკურ

განწყობას, მასების მოძრაობის, აქტივიზაციის, საზოგადოებრივი აზრის მნიშვნელობის, განიარაღების პრობლემებს და ა.შ. ყოველივე ამას პრაქტიკული შედეგები მოჰყვება.

აღნიშნული და სხვა პრობლემების განხილვის დროს ამერიკელი პოლიტოლოგები ფართოდ იყენებდნენ სხვა ქვეყნების პოლიტოლოგების ნააზრევს უპირველეს ყოვლისა ვ. პარეტოს „ელიტის“ გ. მოსკას „მმართველი კლასის“, რ. მიხელსის „ოლიგარქიის რკინისებური კანონის“ პოლიტოლოგიურ კონცეფციებს და განსაკუთრებით მაქს ვებერის პოლიტიკური სოციოლოგიის პრინციპებს.

ამერიკული პოლიტოლოგია ვითარდებოდა სხვადასხვა კონცეფციებისა და თეორიების შეჯერების შედეგად. იგი არ არის ცალმხრივი სინკრეტიზმი, მისი ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა გონივრული, პრაქტიკული ხასიათის სინკრეტიზმი.

უახლოესი პერიოდის ამერიკულ პოლიტოლოგიაში აღინიშნება ორი ტენდენციის ფუნქციონირება. პირველი: მათემატიკური სისტემური მოდელების აგების საშუალებით სახელმწიფოს პოლიტიკურ და სოციალურ ამოცანათა გადასაჭრელად ოპტიმალური პარადიგმების შედგენა და მეორე: კონკრეტულ-სოციოლოგიური გამოკვლევების საშუალებით, საზოგადოებრივი აზრის შესწავლის საფუძველზე ზემოქმედების ბერკეტების შემუშავების ეფექტიურობის ზრდა. ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ თითქოსდა ეს ორი ტენდენცია ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ვითარდებოდეს. ადგილი აქვს მათ შერწყმას. აღნიშნულის ნათელ დადასტურებას ამერიკული პოლიტოლოგიის ერთ-ერთი კლასიკოსის ტოლკოტ პარსონსის (1902-1979 წწ.) მოღვაწეობა წარმოადგენს. შრომებში „სოციალური მოქმედების სტრუქტურა“ (1937 წ.), „წმინდა და გამოყენებითი სოციოლოგიური თეორიის ნარკვევები“ (1949), „სოციალური სისტემა“ (1951), ტ. პარსონს-

მა ჩამოაყალიბა „სოციალური მოქმედების თეორიის“ პრინციპები, რითაც პრეტენზია განაცხადა „ზოგადი თეორიის“ შექმნაზე. ყოველ შემთხვევაში პარსონსმა სცადა ამერიკულ პოლიტოლოგიაში არსებული სხვადასხვა მიმდინარეობებს შორის გამდები ხიდების აგება, ამიტომ იგი ამერიკული პოლიტოლოგიის კლასიკოსად ითვლება.

აღნიშნულის პარალელურად საჭიროდ მიგვაჩნია იმის თქმა, რომ ამერიკულ პოლიტოლოგიაში არასოდეს არ ყოფილა ერთი რომელიმე თეორიისა ან კონცეფციისადმი მორჩილების შემთხვევა. უნივერსიტეტის (ძირითადად – კოლუმბიის, ჰარვარდის, იელის და სხვა) ბაზებზე პოლიტოლოგიური პრობლემების დამუშავება ხდება შემოქმედებითად, „საკუთარი პოზიციებიდან“, მაღალი პროფესიონალიზმისა და აკადემიზმის მოთხოვნით, როგორც აუცილებელი ფაქტორი მიღებულია ამ უნივერსიტეტის პოლიტოლოგიური კათედრების ტრადიციებისადმი პატივისცემის კულტი. მაგალითისათვის მიუთითებთ იენის უნივერსიტეტის პოლიტოლოგიური კათედრის ერთგულების ტრადიციული პოლიტიკური ფილოსოფიისადმი და ამის პარალელურად ორიგინალური – პოლიარქიის თეორიის დამუშავებას.

პოლიტოლოგიას, როგორც დამოუკიდებელ მეცნიერებას აქვს თავისი შესასწავლი – შესამეცნებელი „საკუთარი“ კანონზომიერებები და თავისი „საკუთარი“ კატეგორიები, რომელთაგანაც დავასახელებთ დემოკრატიული პროცესის თანამედროვე ეტაპისათვის ყველაზე აქტუალურს – ტოტალიტარული პოლიტიკური მმართველობისადმი დემოკრატიულ სისტემაზე გადასვლის კანონზომიერებას. პოლიტოლოგიის კატეგორიებიდან: პოლიტიკურ ხელისუფლებას (როგორც უკვე აღვნიშნეთ ძირითადად კატეგორია), სახელმწიფოს, პარტიას, პოლიტიკურ ცნობიერებას, პოლიტიკურ რეჟიმს, პოლიტიკურ სისტემას და სხვა.

რასაკვირველია, ასე ერთი ხელის დაკვრით პოლიტოლოგიის ობიექტის საგნის, საკითხებისა და პრობლემების გადაწყვეტის, პრეტენზია ჩვენ არა გვაქვს და არც შეიძლება გვექონდეს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მათ შესახებ აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. მაგრამ ერთი ცხადია, მიუხედავად იმისა, თუ როგორ დაზუსტდება პოლიტოლოგიის ობიექტისა და საგნის რაობა, პოლიტოლოგიის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების, არსებობა რეალურ ფაქტად უნდა ჩაითვალოს. ამ აზრს კიდევ უფრო ადასტურებს პოლიტოლოგიის „პარალელური“ ისეთი პოლიტოლოგიური ქვედისციპლინების არსებობა, როგორცაა, პირველ რიგში პოლიტიკური სოციოლოგია, პოლიტიკური ფილოსოფია, პოლიტიკური ისტორია, პოლიტიკური ეკონომია, პოლიტიკური ფსიქოლოგია, პოლიტიკური გეოგრაფია...

პოლიტოლოგიის დასახელებული და სხვა მსგავსი ქვედისციპლინები პოლიტიკისადმი სხვადასხვაგვარი მიდგომის შესაბამისად ასახავენ, პირობითად თუ ვიტყვი, იმ წყვილად ურთიერთობებს და მათ კანონზომიერებებს, რომლებიც არსებობენ პოლიტიკისა და ეკონომიკის, პოლიტიკისა და სამართლის, პოლიტიკისა და მეცნიერების, პოლიტიკისა და ეკოლოგიის, პოლიტიკისა და მართვის, პოლიტიკისა და მორალის, პოლიტიკისა და რელიგიის, პოლიტიკისა და ხელოვნების ურთიერთქმედების შედეგად.

აქვე შევნიშნავთ, რომ პოლიტოლოგიის თითოეული დარგის შესახებაც ასევე განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. ეს პირველ რიგში პოლიტიკური სოციოლოგიის და პოლიტიკის სოციოლოგიის შესახებ უნდა ითქვას. ხშირად „პოლიტიკური სოციოლოგიის“ ცნება ფართო შინაარსით იხმარება და მასში იგულისხმება საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრება, ე.ი. პოლიტიკა მთლიანად, ამ შემთხვევაში პოლიტიკური სოციოლოგია თავისი მოცულობით პოლიტოლოგი-

აზე უფრო ფართო გამოდის. შედარებით ზუსტად მოიაზრება „პოლიტიკური სოციოლოგიის“ ცნება საზღვარგარეთელ სოციოლოგთა მიერ. ასე მაგალითად: პოლიტიკური სოციოლოგიის შესასწავლ საგნად ცხადდება პოლიტიკურ და სხვა ინსტიტუტებთან ურთიერთობა (ამერიკელი პოლიტოლოგი და სოციოლოგის, ლიპსეტი). პოლიტოლოგთა ერთი ჯგუფი პოლიტიკურ ძალაუფლებას მის სოციალურ კონტექსტში“ (მაგ. ინგლისელი პოლიტოლოგი ტ. ბოტტომორი) სხვათა აზრით, პოლიტოლოგიური სოციოლოგიის შესწავლის ობიექტები პოლიტიკური ინსტიტუტები, პარტიები, ჯგუფები და საზოგადოებრივი აზრი, დაწოლის ჯგუფები, არჩევნები, ინფორმაცია და პროპაგანდა. პოლიტოლოგი ორუმი ემხრობა იმ აზრს, რომ პოლიტიკური სოციოლოგიის შესასწავლი ასპექტია პოლიტიკის კავშირი სოციალურ ინსტიტუტებთან. ყველა აღნიშნულსა და სხვა შემთხვევაში, პოლიტიკური სოციოლოგია, ჩვენი აზრით, არის პოლიტოლოგიის ერთ-ერთი ასპექტის ამსახველი მეცნიერება, ე.ი. თავისი მოცულობით პოლიტოლოგიაზე უფრო „ვიწრო“ მოცულობის ცნება. პოლიტიკური სოციოლოგია პოლიტიკისადმი სოციალური ჯგუფების დამოკიდებულების ასახვაა, ე.ი. სოციოლოგიის ამ ერთ-ერთ სახეობაში ჩამოყალიბებულია ადამიანთა ჯგუფებისა და ინდივიდების შეხედულებები, საერთოდ კი – საზოგადოებრივი ცნობიერების შინაარსი პოლიტიკის შესახებ.

თავისთავად პოლიტიკური სოციოლოგია სოციოლოგიის ერთ-ერთი სახეა, რასაც სოციოლოგიის ზოგიერთი სახესხვაობათა უბრალო ჩამოთვლაც დაადასტურებს, ასეთებია: გამოყენებითი სოციოლოგია, ისტორიული სოციოლოგია, კონფესიონალური სოციოლოგია, ემპირიული სოციოლოგია, ეკონომიკური სოციოლოგია, აკადემიური სოციოლოგია, დიალექტიკური სოციოლოგია, მაკრო და მიკროსოციოლოგია, დამნაშავეობათა სოციოლოგია, ინსტიტუციონალური სოცი-

ოლოგია, ოჯახის სოციოლოგია, მეცნიერების სოციოლოგია, განათლების სოციოლოგია, მუსიკის სოციოლოგია, მართვის სოციოლოგია, რელიგიის სოციოლოგია და ა.შ.

როგორც ზემოთ აღნიშნული პრობლემების, ისე პოლიტიკურ მეცნიერებათა მიმართების პრობლემა პოლიტოლოგიასთან შემდგომ კვლევას, აზრთა სხვადასხვაობის შეჯვარების შედეგად მიღებული ზუსტი პოზიციის გამოშვებას საჭიროებს, მაგრამ ეს ისე არ უნდა იქნეს გაგებულნი, თითქოს აუცილებელი იყოს ყველასათვის მისაღები, ერთხელ და სამუდამოდ დამტკიცებული ჭეშმარიტების მიღება და შემდგომში ამ კრიტერიუმით სარგებლობის მოთხოვნა.

იმას, რომ საჭიროა სხვადასხვა პოზიციების არსებობა და რომ პრიორიტეტის უფლება აქვს იმ თეორიას, იმ ჰიპოთეზას, იმ მოსაზრებას, რომელსაც ხალხის „ფართო მასები“ მიიღებენ, ჩვენი აზრით, ადასტურებს შემდეგი რეალობა. წლების განმავლობაში ჩვენში გაბატონებული აზრით ამა თუ იმ მეცნიერების სახელმძღვანელო „აგებული“ უნდა ყოფილიყო ერთი „დამტკიცებული“ პროგრამის შესაბამისად, რომ სახელმძღვანელოს არქიტექტონიკა უნდა ყოფილიყო მისადაგებული (თემებისა და თავების მიხედვით) ზემდგომი ორგანოების მიერ დამტკიცებულ სასწავლო პროგრამასთან, სალექციო და სასემინარო გეგმებთან. სწორედ ამიტომ აქამდე სახელმძღვანელოების სტრუქტურული აგებულება ისე ჰკვანან ერთმანეთს, როგორც ტყუპის ცალკეები თუ პოლიტოლოგიის სახელმძღვანელოების „შექმნის“ დროს ცხოვრების მიერ უარყოფილი ამ მოთხოვნას დავიცავთ, მაშინ ისეთივე კრახს განვიცდით, როგორსაც წლების განმავლობაში განვიცდიდით.

ნიშანდობლივია, რომ საზღვარგარეთის სახელმწიფოების პოლიტოლოგთა მიერ დაწერილი სახელმძღვანელოები თავიანთი არქიტექტონიკით სრულებით არ ჰკვანან ერთმა-

ნეთს. თითოეული ავტორი მკითხველს თავის საკუთარ სქემას თავაზობს. იქ ავტორებს სრული თავისუფლება აქვთ მინიჭებული თავიანთი თვალთახედვით საკუთარი კონცეფცია წარმოადგინონ. აღნიშნულის საილუსტრაციოდ და, საერთოდ, დაინტერესებული მკითხველისათვის პრობლემის შედარებით დაწვრილებითი გაცნობის მიზნით გთავაზობთ პოლიტოლოგიის რამდენიმე პოპულარული სახელმძღვანელოს არქიტექტონიკას: აშშ-ს იენის უნივერსიტეტში შექმნილი პოლიტოლოგიის სახელმძღვანელო შემდეგი თავებისაგან შედგება: თავი I – პოლიტიკა და მთავრობა; თავი II – პოლიტიკის შემადგენელი ნაწილები; პოლიტიკური განაწილება და დახმარების შესაძლებლობები; თავი III – პოლიტიკის მონაწილენი; თავი IV – სახელმწიფოები და ნაციონალური გაერთიანებები; თავი V – პოლიტიკური ერთიანობის ასპექტი; სამი კლასიკური თეორია, ერთიანობის კონცეფცია; თავი VI – პოლიტიკური სისტემა; თავი VII – თვითმმართველობა; როგორ მართავს თავის თავს პოლიტიკური სისტემა; თავი VIII – მთავრობის მექანიზმები და პროცესი. გადაწყვეტილება და მათი ლიმიტი; თავი IX – პოლიტიკური სისტემის თეორიის გამოყენება.

სრულიად სხვაგვარად „გამოიყურება“ ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის პროფესორ კლაუს ფონ ბეიმეს 1976 წელს გამოცემული პოლიტოლოგიის სახელმძღვანელო, რომელიც შემდეგი ნაწილებისაგან შედგება: თავი I – პოლიტიკური თეორიის მეცნიერულ-თეორიული საფუძვლები; თავი II – მეთოდოლოგიური მიდგომა პოლიტოლოგიური გამოკვლევებისადმი; თავი III – პოლიტიკური თეორიის ძირითადი ცნებები; თავი IV – პოლიტიკური თეორია და სამი სამყაროს არსებობა.

პატივცემულმა მკითხველმა რომ კიდევ გაასაგნობრიოს პოლიტოლოგიის სახელმძღვანელოების არქიტექტონიკა და მათი სტრუქტურული განსხვავებულობა, ამისათვის მათ

შევთავაზებთ ფრანგი პოლიტოლოგის ფილიპ ბროს საკმაოდ პოპულარული სახელმძღვანელოს ნაწილებისა და თავების დასახელებას. თავდაპირველად საჭიროდ მიგვაჩნია იმის აღნიშვნა, რომ ეს წიგნი (იგულისხმება ამ წიგნის 1982 წლის გამოცემა პარიზში) სულ 129 გვერდიანია და შედგება შესავლისა და სამი ნაწილისაგან. პირველი ნაწილი – პოლიტიკური მეცნიერების ფაქტორები სამი თავისგან შედგება, თავი I – თანამედროვე გამოკვლევის შესაძლებლობები; თავი II – განვითარების სფეროები; თავი III – ინტელექტუალური პირობები. მეორე ნაწილი – პოლიტიკური მეცნიერების სფერო 2 თავს შეიცავს; თავი I – მოქმედი პირების განხილვა; თავი II – პროცესების განხილვა. მესამე ნაწილი – პრობლემატიკა და სკოლები ოთხი თავისაგან შედგება. თავი I – ემპირიკოსები და თეორიაზე უარის თქმა; თავი II – სისტემის ანალიზი, თავი III – სოციოლოგიური მიდგომები; თავი IV – მარქსისტები და იდეოლოგიისადმი ეჭვი. ბოლოს წიგნს ახლავს საერთო დასკვნა და მოკლე ბიოგრაფია.

უნდა ითქვას, რომ აღნიშნული ტიპის სახელმძღვანელოების თვითმყოფადობა, განუმეორებლობა და „საკუთარი სახე“ განპირობებულია მათი ავტორების მაღალი პროფესიონალიზმით და აკადემიზმით.

პოლიტოლოგია, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება, მეტად მდიდარ ისტორიულ ნაწილს შეიცავს. რა არის პოლიტიკა? როგორი უნდა იყოს პოლიტიკური ურთიერთობები? რა სახის პოლიტიკური ხელისუფლების ტიპები არსებობს? რა არის სახელმწიფო, პოლიტიკური პარტია? და ა.შ. – ეს საკითხები ფილოსოფოსებს, ღვთისმეტყველებს, ისტორიკოსებს და სხვა დარგის წარმომადგენლებს ყოველთვის დიდად აინტერესებდათ, დაწყებული ძველი სამყაროდან დღემდე. ამ მხრივ უზარმაზარი მასალაა დაგროვილი პოლიტიკის რაობის შესახებ. ასეთებია: პლატონის „რესპუბლი-

კა“, არისტოტელეს „პოლიტიკა“, ავგუსტინეს „ღვთის ქალაქის შესახებ“, აქვინელის „თეოლოგიის ჯამი“, მაკიაველის „მთავარი“, ბოდენის „სუვერენიტეტის პრინციპები“, ჰობსის „ლევიაფინი“, გრუცის „ომისა და მშვიდობის უფლების შესახებ“, ფრენსის ბეკონის „ახალი ატლანტიდა“, ჯონ ლოკის „ორი ტრაქტატი ხელისუფლების შესახებ“, მონტესკიეს „კანონთა სულისკვეთების შესახებ“, ჰელვეციუსის „ადამიანის შესახებ“, რუსოს „საზგადოებრივი ხელშეკრულება“ და სხვა. დასახელებული და მისი მსგავსი უამრავი კლასიკური პოლიტოლოგიური წყაროს ის ფუნდამენტია, რომელზედაც აშენებულია პოლიტოლოგიური შენობა. პირობითად თუ ვიტყვით, შენობის ცალკე სართულია XX საუკუნის პოლიტიკური სკოლები, რომლებსაც საფუძვლად უდევს გ. მოსკას, ვ. პარეტოს, მ. ვებერის და რ. მიხელსის პოლიტოლოგიური ნააზრევის სისტემები, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ უკვე ჩამოყალიბებულია გერმანული, ამერიკული, ინგლისური, ფრანგული, იტალიური და სხვა პოლიტოლოგიური სკოლები, მაშინ კიდევ უფრო ცხადი გახდება, თუ რა მდიდარია დღეს პოლიტოლოგიურ შეხედულებათა სისტემები, რომლებიც პოლიტოლოგიის მეცნიერების ცალკე განყოფილებად წარმოდგება.

ასევე მდიდარია ქართული პოლიტიკური აზრის ისტორია: ქართული მითოლოგია, ატის, ფარტაზის, ევსტათე მცხეთელის, გიორგი მერჩულეს, ბასილი ზარზმელის, ბაკურის, პეტრე იბერის, იოანე პეტრიწის, არსენ იყალთოელის, ათონელი მამების, დავით აღმაშენებლის და სხვათა სახელები ყველა არის ადრეფეოდალური და განვითარებული ფეოდალიზმის პერიოდის აზროვნების ისტორიას დაამშვენებდა. სულხან-საბა ორბელიანის და ანტონ ბაგრატიონის მიერ გვიანფეოდალურ ეპოქაში მოკავშირის პრობლემის ახსნა სოლომონ დოდაშვილის, ილია ჭავჭავაძის, დიმიტრი ყიფი-

ანის, ნიკო ნიკოლაძის, არჩილ ჯორჯაძის და სხვათა მიერ ეროვნულისა და სოციალურის თანაფარდობის, პოლიტიკისა და ტრადიცია-წეს-ჩვეულებათა ურთიერთობის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, როგორც პოლიტიკური იდეალის, გააზრებას თავისი აქტუალობა არასოდეს არ დაუკარგავს და განსაკუთრებულ მნიშვნელობას თანამედროვე – სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ საქართველოში იძენს.

მაშასადამე, პოლიტოლოგიას, როგორც დამოუკიდებელ მეცნიერებას, მდიდარი ისტორიული მემკვიდრეობა აქვს. ამ თვალსაზრისით პოლიტოლოგია, არაერთ მეცნიერებას არ ჩამოუკარდება. აღნიშნული მეტად მდიდარი და მრავალფეროვანი ისტორიული მასალა არის ის საფუძველი, რომელიც ლოგიკური გააზრების წინამძღვრად გამოდგება. ამასთანავე, პოლიტიკური მოდელების შეფასებისათვის ლოგიკური სილოგიზმი. ისე, როგორც სხვა შემთხვევაში, აუცილებლად მოითხოვს წინამძღვრებიდან სწორი, ლოგიკური დასკვნების გამოტანას. თუ მსჯელობის წინამძღვრები ჭეშმარიტია, დასკვნაც ჭეშმარიტია და პირიქით, მაგრამ ყოველივე ამისათვის საჭიროა სწორი მეთოდოლოგიური მიდგომა და სათანადო მეცნიერული მეთოდის შერჩევა. წლების განმავლობაში ასეთი სახის ერთადერთ მეთოდად – ზემოდან დამტკიცებული – ყოველისმომცველი იარლიყით „ნაკურთხი“ დიალექტიკური მეთოდი იყო დაშტამპული. ამ მეთოდით მტკიცდებოდა ჭეშმარიტება და ამ მეთოდითვე ხდებოდა უარყოფა სწორი წინამძღვრებიდან გამომდინარე დასკვნებისა...

მკვლევარები პოლიტიკური მეცნიერების განვითარებაში გამოყოფენ ოთხ ძირითად პერიოდს: პირველი პერიოდი – ანტიკური ეპოქიდან ახალ დრომდე, მეორე პერიოდი – ახალი დროიდან XIX საუკუნის 80-90-იან წლებამდე, მესამე პერიოდი – XIX საუკუნის უკანასკნელი მეოთხედიდან XX საუკუ-

ნის 20-იან წლებამდე, მეოთხე პერიოდი – XX საუკუნის 20-იანი წლებიდან დღემდე.

პოლიტიკური მეცნიერების ისტორია არის მრავალი პოლიტიკური მოძღვრების წარმოშობის, განვითარების, განახლებისა და შეცვლის ისტორია, რომლებიც დამუშავებულ იქნა სხვადასხვა ქვეყნებისა და ხალხების წარმომადგენლების მიერ. როგორც მსოფლიო პოლიტიკური აზრის განვითარების ისტორიამ დაგვანახა, პოლიტიკური მეცნიერება სათავეს იღებს ანტიკური პერიოდიდან, ამ პერიოდის მოაზროვნეები განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდნენ პოლიტიკის სამყაროსადმი და მიუძღვნეს მათ ცნობილი შრომები. პლატონმა პოლიტიკური ხასიათის შრომებში „სახელმწიფო“, „პოლიტიკოსი“, „კანონები“ პოლიტიკური მეცნიერების საგნად აღიარა იდეალური სახელმწიფო, რომელიც ბრძენი ადამიანების სამართლიან მმართველობას წარმოადგენს.

არისტოტელემ განავითარა პლატონის შეხედულებები, გაამდიდრა პოლიტიკური მეცნიერება ახალი შეხედულებებით, რომელიც ჩამოაყალიბა შემდეგ შრომებში: „პოლიტიკა“, „ათენის პოლიტიკა“, „ეთიკა“ და „რიტორიკა“, მან ფილოსოფიისაგან გამოყო პოლიტიკური ცოდნა, როგორც დამოუკიდებელი დარგი და მოგვევლინა მის ფუძემდებლად. პოლიტიკური მეცნიერების საგანია სახელმწიფო, ანუ პოლისი. მისი აზრით, პოლისი არის ინდივიდების პოლიტიკური ცხოვრების არენა, სადაც მიმდინარეობს ადამიანის, როგორც პოლიტიკური არსების ფორმირება. ციცერონმა თავისი სამართლებრივ-პოლიტიკური შეხედულებები შრომებში – „სახელმწიფოს შესახებ“, „კანონის შესახებ“, „ვალდებულებათა შესახებ“, პოლიტიკური მეცნიერების საგნად აქცია. პლატონის მსგავსად, იდეალური სახელმწიფო აღიარა, სადაც ერთმანეთთანაა შერწყმული ქველმოქმედება, სიბრძნე და თავისუფლება.

პოლიტიკური მეცნიერება შუა საუკუნეებში რელიგიურ-ეთიკური ფორმით არსებობდა. ახალ დროში, ანუ პოლიტოლოგიის განვითარების მეორე პერიოდის დასაწყისში ეს ფორმა შეიცვალა პოლიტიკური მეცნიერების რაციონალურ-კრიტიკული ინტერპრეტაციით. სწორედ ამ პერიოდში ხდება პოლიტიკური მეცნიერების საგნისა და მეთოდის ჩამოყალიბება ამ საქმეს საფუძველი ჩაუყარა ნ. მაკიაველმა, შრომებში „მთავარი“, „მსჯელობა ტიტუს ლივიუსის პირველი დეკადის გამო“ მან ჩამოაყალიბა თავისი შეხედულებები პოლიტიკური მეცნიერების შესახებ. ამ პერიოდში პოლიტიკის სამყარო და სამოქალაქო საზოგადოება განიხილება ერთიანი საზოგადოებრივი ცხოვრების როგორც ორი დამოუკიდებელი ქვესისტემა.

პოლიტიკური მეცნიერების განვითარების მეორე პერიოდში ჩამოყალიბდა მნიშვნელოვანი პრინციპები, რომლებიც წარმოადგენდნენ ძირითად პარამეტრებს თანამედროვეობის პოლიტიკური თეორიებისა და კონცეფციების შემუშავებისათვის. ბუნებრივია, ეს ხელს უწყობდა დამოუკიდებელი მეცნიერული დისციპლინის ფორმირებას, რომელსაც პროფესიონალურად უნდა გამოეკვლია და შეესწავლა პოლიტიკის სამყარო. პოლიტოლოგიის გამოყოფის პროცესი საკუთარი ცნებითა და კატეგორიებით, მეთოდოლოგიური პრინციპებით მიმდინარეობდა ახალი დროის მეცნიერების განვითარების საერთო კონტექსტში. პოლიტიკური პროცესებისა და ფენომენების შესწავლა და ახსნა რაციონალიზმის საფუძველზე გახდა საერთოდ აღიარებული პრინციპი დასავლეთის საზოგადოებათმცოდნეობაში.

პოლიტოლოგიის განვითარების მესამე პერიოდი მოიცავს სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა საერთო სისტემიდან პოლიტიკური მეცნიერების ფორმირებისა და გამოყოფის პროცესს. ეს იყო პოლიტოლოგიის ფორმირებისა და

ინსტიტუციონალიზაციის პროცესი. პოლიტოლოგია საბოლოოდ ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი დისციპლინის სახით, საკუთარი კვლევის საგნით, მეთოდოლოგიით და მეთოდებით.

მეოთხე პერიოდი ხასიათდება პოლიტიკურ მეცნიერებაში პოზიტივიზმის პრინციპების დამკვიდრებითა და განმტკიცებით. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, პოლიტიკური მეცნიერების განვითარებაში თვისებრივად ახალი ეტაპი დადგა. მნიშვნელოვნად გაფართოვდა პოლიტიკური მეცნიერების კვლევის დიაპაზონი. ამ მხრივ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა იუნესკოს მიერ ორგანიზებულმა საერთაშორისო კონფერენციამ პოლიტიკური მეცნიერების შესახებ პარიზში 1948 წელს, 1949 წელს იუნესკოს ფარგლებში შეიქმნა პოლიტიკური მეცნიერების მსოფლიო ასოციაცია, რომელიც ყოველწლიურად მსჯელობს პოლიტიკური მეცნიერების საკვანძო პრობლემებზე.

მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, პოლიტიკური მეცნიერებისათვის მნიშვნელოვანი იყო 40-50-იან წლები. შემუშავებულ იქნა ბიჰევიორისტული, სისტემური და სტრუქტურულ-ფუნქციონალური ანალიზის მეთოდები, ჩამოყალიბდა შედარებითი პოლიტოლოგია და ა.შ. ასე რომ მეოთხე პერიოდი პოლიტიკური მეცნიერების განვითარებაში შინაარსობრივი და მეთოდოლოგიური თვალსაზრისით თვისობრივად ახალ ეტაპს წარმოადგენდა.

თავიდანვე პოლიტიკური მეცნიერების განვითარებაში გამოიკვეთა ორი მთავარი ტენდენცია. დასავლეთ ევროპის ქვეყნების პოლიტოლოგიაში ემპირიული და თეორიული საწყისი სინთეზირებული იყო კვლევის პროცესში, ამიტომ პოლიტოლოგიას ამ ქვეყნებში უპირატესად აკადემიური ხასიათი გააჩნდა. მაგალითად, გერმანიაში პოლიტიკური მეცნიერება ვითარდებოდა გერმანული კლასიკური ფილოსოფიის ტრადიციების ფარგლებში. რაც შეეხება აშშ-ის, პოლიტიკურ

მეცნიერებაში დომინირებდა პოზიტივიზმი, რომლის ფარგლებში შეიმჩნეოდა ტენდენცია პოლიტიკური მეცნიერების გათანაბრებისა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებთან.

როგორც აღვნიშნეთ, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა პოლიტოლოგიური კვლევის მეთოდოლოგიური პრინციპების შემუშავებაში, დამკვიდრდა ბიჰევიორიზმი, სისტემური, სტრუქტურულ-ფუნქციონალური ანალიზი და პოლიტიკურ-კულტურული მეთოდი. ამავე პერიოდში, როგორც პოლიტიკური მეცნიერების დამოუკიდებელი სფერო ჩამოყალიბდა შედარებითი პოლიტოლოგია, ეს მეთოდები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. მაგალითად, შედარებითი გამოკვლევები ემყარება ბიჰევიორისტულ მეთოდებსა და სისტემურ მიდგომას. შედარებითი ანალიზის მეთოდს იყენებდა არისტოტელე, ეს მეთოდი განსაკუთრებით გავრცელდა XIX საუკუნეში. 1873 წელს გამოქვეყნდა ე. ფრიმენის წიგნი: „შედარებითი პოლიტიკა“. ის ცდილობდა გამოეკვლინა მსგავსი ნიშნები სხვადასხვა ხალხებსა და სახელმწიფოებში, სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში და აეხსნა ეს მგავსება ერთი საერთო საფუძვლიდან. ამ მეთოდს იყენებდა ჰეგელი ნაშრომში „ფილოსოფიის ისტორია“. სწორედ აქ მან ჩამოაყალიბა თავისი თეზისი აღმოსავლური მენტალიტეტის პასიურობისა და შესაბამისად მისი უუნარობის შესახებ სოციალური, ტექნოლოგიური და სხვა ფორმების პროგრესის საქმეში დასავლეთთან შედარებით, სადაც მისი აზრით, ჭარბობს აქტიური, რაციონალური შემოქმედებითი საწყისი.

1956 წელს გამოქვეყნდა გ. ალმონდის „შედარებითი პოლიტიკური სისტემები“, სადაც განხილული იყო ინდუსტრიალურად განვითარებული ქვეყნების მოსახლეობის სხვადასხვა ფენების პოლიტიკური კულტურა და პოლიტიკური ქცევა.

თანამედროვე პოლიტოლოგიურ ლიტერატურაში სრულებით სამართლიანად არის აღიარებული ასეთი მოდემის ცალმხრივობა და მიუღებლობა. აღნიშნულია, რომ პოლიტოლოგიის მეთოდოლოგიური საფუძვლები უნდა ეყრდნობოდეს როგორც ზოგად მეთოდოლოგიურ, ისე კერძო მეთოდოლოგიურ სისტემებს. პოლიტოლოგიამ უნდა გამოიყენოს სხვადასხვა ფილოსოფიური სკოლების, მიმდინარეობების მიერ შემუშავებული მეთოდები, აქედან, უპირველეს ყოვლისა, სისტემატურობის შედარებითი ანალიზის, სტრუქტურულ-ფუნქციონალური, ბიპევიორისტული, ჰერმანევეტიკული, ემპირიული, მათემატიკური მოდელირებისა და სხვა.

პოლიტოლოგიის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების, სტატუსის დადგენის დროს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მისი გამოყენებითობა. საერთოდ ყველა მეცნიერება თავისი „არსებობის: ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტად საკუთარი თეორიული დებულებების პრაქტიკულ გამოყენებითობას მიიჩნევს. ამ აზრით პოლიტოლოგია გამოკვეთილი მეცნიერებაა. პოლიტიკური გამოცდილების საფუძველზე არსებული პოლიტიკური მდგომარეობის ანალიზის შედეგად, შესაძლებელი ხდება მოვლენების პოლიტიკური წინასწარმეტყველება, წინასწარგანჭვრეტა, რასაც საკმაოდ დიდი ღირებულება აქვს. ხშირ შემთხვევაში ასეთმა წინასწარმეტყველებამ შეიძლება ადამიანთა გარკვეული ჯგუფის ბედი გადაწყვიტოს, ადამიანები სისხლსა და უბედურებას გადაარჩინოს.

მაშასადამე, პოლიტოლოგიას, როგორც ნებისმიერ სხვა მეცნიერებას, „გამოყენებითი“ მნიშვნელობაც აქვს. თუ გამოყენებით სოციოლოგიას პოლიტოლოგიის ერთ-ერთ მეტად „მჭიდრო მომიჯნავე“ ქვედისციპლინად მივიჩნევთ, მაშინ კიდევ უფრო ცხადი გახდება, პოლიტოლოგიის მეცნიერების გამოყენებითი მნიშვნელობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ერთადერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება: პოლიტოლოგია დამოუკიდებელი, მეტად საინტერესო, პრაქტიკულად სასარგებლო მეცნიერებაა. მას აქვს საკუთარი შესასწავლი ობიექტი, საკუთარი საგანი და, რასაკვირველია, აქედან გამომდინარე როგორც ძირითადი საკითხი, ისე საკითხთა წყება. სათანადო კვლევისა, ანალიზისა და ფაქტების განზოგადების შედეგად იგი ადგენს კანონთა და კატეგორიათა გარკვეულ – „საკუთარ“ სისტემას.

ქართული პოლიტოლოგიის შექმნა ერთ-ერთი საპატიო და აქტუალური ამოცანაა. მას საფუძვლად უნდა დაედოს მეტად მდიდარი ქართული პოლიტიკური აზროვნება. დემოკრატიული, თავისუფალი საქართველოს აშენების რთული გზის გავლას ერთგვარად ხელს შეუწყობს ქართული აზროვნებისათვის დამახასიათებელი მომავლის განჭვრეტის თვისება, ქართული ხასიათის უნიკალურობა თავისი წინააღმდეგობებითა და სირთულით. რასაკვირველია, აღნიშნული ამოცანის შესასრულებლად გამოყენებულ უნდა იქნეს ცივილიზებულ სახელმწიფოებში პოლიტოლოგიის განვითარების გამოცდილება, მათი მდიდარი მემკვიდრეობა.

გიჰვარღეთ თქჰენი გტრეგი

მეოცე საუკუნე მკვლელობის, ძალადობის, სიძულვილის კატეგორიების აზღვავებით დამთავრდა, ანალოგიურად დაიწყო ოცდამეერთეც, ამიტომ უკანასკნელ პერიოდში, არა-ძალადობის ფილოსოფიისადმი, ბოროტებისადმი წინააღმდეგობის გაუწევლობის ეთიკისადმი ინტერესი მკვეთრად გაიზარდა. ამ კონცეფციის თეორეტიკოსებად ითვლებიან ინდოელი ფილოსოფოსი და პოლიტიკური მოღვაწე კარამჩანდ განდი, ამერიკელი ფილოსოფოსი და მწერალი ჰენრი დევიტ ტორო, რუსი მოაზროვნე და მწერალი ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოი და ამერიკელი პრესვიტერი და საზოგადო მოღვაწე მარტინ ლუთერ კინგი.

ბოროტებისადმი წინააღმდეგობის გაუწევლად დამოკიდებულების პრინციპების შემუშავება საუკუნეების განმავლობაში იპყრობდა მოაზროვნეების, სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენლების ყურადღებას. ეს პრინციპები საბოლოო სახით ბიბლიაში ჩამოყალიბდა.

ქართული ფილოსოფიური, საღვთისმეტყველო შეხედულებების ცენტრში ყოველთვის იდგა ბოროტების დამარცხების გზების ძიების საკითხი. მისი გააზრებისათვის, სხვადასხვა სახის წყაროების გამოყენებასთან ერთად, ძალუმ ზეგავლენას ქართული ხალხური ზეპირმეტყველება თამაშობდა. ეს მისია მისმა ერთ-ერთმა მარგალიტმა – „ლექსი ვეფხისა და მოყმისა“ – შეასრულა.

... გაიგებს რა შვილის გმირულ ბრძოლაში სახელოვან დაღუპვას ქართველი დედა, არ ყვება შურისძიების გრძნობას. იგი არ მოუწოდებს „სისხლის სისხლით წილისაკენ“...

აზრის მოკრების, საშინელი მოვლენის „გარედან შეხედვის“ და შეფასების შემდეგ ქართველი დედა იმ დედის განცდებსაც გაისაგნობრივებს, რომელმაც ამავე ბრძოლაში, ასევე, შეიღლი დაკარგა – „იქნება ვეფხის დედაი, ჩემზე მწარედა სტირის, წავიდე მეც იქ მივიდე, სამძიმარ უუთხრა ჭირისა, იმასაც დარდი ექნების!“ სიმაღლემდე ასვლა ღვთაებრიობამდე ამაღლებას მოითხოვდა, უდიდეს ზნეობრივ გმირობას საჭიროებდა.

სწორედ „იმასაც დარდი ექნების“ ნაკადი ასულდგმულებდა და კვებავდა ქართულ ხასიათს, განსაზღვრავდა მსოფლიო მნიშვნელობის ქართულ ფილოსოფიურ და საღვთისმეტყველო შეხედულებების შინაარსს. სწორედ ეს ნაკადი შენივთდა და ჩაიკირა ქართულ სულში, მაგრამ ამ უმაღლესი სიმაღლის ზნეობრივ იმპერატივს იგივე ქართულ ფენომენში საპირისპირო – უმაღლესი ბოროტების დინება დაუპირისპირდა. სწორედ ამ ორ ურთიერთგამომრიცხავ ტენდენციას შორის ბრძოლამ წარმოაჩინა ქართული აზროვნების სახე, მისი სპეციფიკურობა, ასე, რომ ქართველებისათვის არ არის უცხო არაძალადობის თეორიები, ბოროტების სიკეთით დამარცხების თეორიები. მათდამი ინტერესი არა მხოლოდ ზოგადი პარადიგმების შექმნის აუცილებლობით, არამედ პრაქტიკული მოდელის აგების, ცხოვრებაში მისი განხორციელების გზების ძიებით იყო გამოწვეული. სწორედ ამიტომაც არის იგი ასე აქტუალური დღესაც.

მცნება „გიყვარდეთ თქვენი მტრები“ ქრისტეს მცნებებს შორის, მართლაც, ყოველთვის ყველაზე რთული იყო. ზოგიერთ ადამიანს გულწრფელად სწამდა, რომ რეალურ ცხოვრებაში მისი განხორციელება შეუძლებელია. უფრო ადვილია იმათი სიყვარული, ვისაც შენ უყვარხარ, მაგრამ როგორ შეიძლება გიყვარდეს ის, ვინც ფარულად ან აშკარად შენზე გაბატონებას ცდილობს? ზოგი ფილოსოფოსი, მაგალითად

ნიცშე, ამტკიცებდა, იესოს მოწოდება – გიყვარდეთ თქვენი მტრები – იმას ადასტურებს, რომ ქრისტიანული ზნეობა მშიშრებისა და სუსტების ხვედრია და არა მამაცებისა და ძლიერების. იესო რეალურ ცხოვრებას მოწვევითი იდეალისტიაო, ამტკიცებდნენ ისინი.

ასევე მწვავე კითხვებისა და მუდმივი დავის მიუხედავად, იესოს ეს მცნება ჩვენის კიდევ მეტ მნიშვნელობას იძენს. უწესრიგობებისა და აჯანყებების მთელმა წყებამ შეგვახსენა, რომ თანამედროვე ადამიანი იმ გზისკენ მიემართება, რომლის სახელია სიძულვილი, რასაც ჩვენ სიკვდილისა და განკითხვისაკენ, მუდმივი ტანჯვისაკენ მივყავართ. მცნება „გიყვარდეთ თქვენი მტრები“ არ არის მეოცნებე უტოპისტის ღვთისნიერი წადილი, იგი ჩვენი გადარჩენის აბსოლუტური პირობაა, სიყვარული მტრისადმიც კი – აი, ჩვენს სამყაროში არსებული ყველა პრობლემის გადაწყვეტის გასაღები.

და იესო ცხოვრების მოწვევითი იდეალისტი კი არ არის, არამედ ფხიზელი რეალისტია.

მე დარწმუნებული ვარ, იესოს ესმოდა მთელი სირთულე, რაც მისი მცნების პრაქტიკულ განხორციელებასთან იყო დაკავშირებული. ის არასოდეს ეკუთვნოდა იმ მოლაყბეთა რიცხვს, რომლებიც ამტკიცებდნენ, თუ რა ადვილია ზნეობრივი საფუძვლების დაცვა. მან კარგად იცოდა, რომ სიყვარულის გრძნობის გამოხატვა ყვრდნობოდა ღმერთისადმი სრულ და უსიტყვო მორჩილებას, ამიტომ როცა ამბობდა, გიყვარდეთ თქვენი მტრებიო, სწამდა, რომ ეს მცნება უდავოა, მიუხედავად ყოველივესი, მაინც ამისაკენ მოუწოდებდა. ჩვენი, როგორც ქრისტიანის პასუხისმგებლობა ის გახლავთ, რომ ავხსნათ ამ აღთქმის არსი და მოვიძიოთ ჩვენს თავში ძალები, რათა ყოველდღიურად მივსდეთ მას.

I

მოდით, ვიყოთ რეალისტები და ვიკითხოთ: როგორ შევიყვაროთ ჩვენი მტრები?

ჯერ ერთი, ჩვენ ჩვენში უნდა განვაავითაროთ მიტევების უნარი. მიტევების ძალას მოკლებული სიყვარულიც ძალასაც მოკლებულია. ჩვენს გულში არ მოიძებნება ადგილი მტრებისადმი იოტისოდენა სიყვარულისთვისაც კი, თუ ჩვენ ვერ გავაცნობიერებთ, რომ აუცილებელია ვისწავლოთ შეწყნარება. კვლავ და კვლავ იმათი პატიება, ვისაც უბედურება და ტანჯვა მოაქვს ჩვენთვის. ამასთანავე, საჭიროა მივხვდეთ, რომ უნდა მივუტევოთ ყოველთვის დაზარალებულმა, ტკივილისა და ტანჯვის განმცდელმა, აუტანელი უსამართლობის მსხვერპლმა, დამცირებულმა და შეურაცხყოფილმა, შეურაცხყოფელს შეუძლია პატიების თხოვნა. მას ისღა ძალუძს, გონს მოეგოს და უძღები შვილივით იაროს მტვრიანი გზებით, მთრთოლვარე გულით, პატიებას რომაა მოწყურებული, მაგრამ მიტევება შეუძლია მხოლოდ თქვენს მოყვასს, რომელმაც შესვა ტანჯვის ფიალა, ან მამას, მიტოვებულს სახლში, საყვარელი შვილის დაბრუნებას რომ ელოდება.

ყოვლისმიტევება – არ არის იმის იგნორირება, რაც გაკეთდა, არც ბოროტების სიკეთედ წარმოდგენაა. ის ნიშნავს, რომ ჩადენილი ბოროტება არ წარმოადგენს დაბრკოლებას ურთიერთობების დასამყარებლად. ყოვლისმიტევება კატალიზატორია, რომელიც ქმნის ატმოსფეროს, ახალი ნაბიჯების, ახალი ცხოვრების დაწყებისათვის რომაა აუცილებელი. ყოვლისმიტევება არის მოვალეობისაგან ან ტვირთისაგან განთავისუფლება. სიტყვებს: „მე გაპატიებთ თქვენ, მაგრამ არასოდეს არ დავიფიწყებ, რაც თქვენ გააკეთეთ“ არ შეუძლიათ მიტევების ნამდვილი ბუნების ახსნა. დიახ, ადამიანს არ შეუძლია დავიწყება, თუკი დავიწყება იმას ნიშნავს, რომ წარსული მთლიანად იშლება მეხსიერებიდან, როდესაც ჩვენს მი-

ვუტევებთ, ვივიწყებთ იმ აზრით, რომ ბოროტება უკვე აღარ წარმოადგენს ფსიქოლოგიურ დაბრკოლებას. ახალ ურთიერთობათა დამყარებისათვის ზუსტად ასევე, შეგვიძლია ჩვენ ვთქვათ: „მე მიგიტევებ შენ, მაგრამ დღეიდან აღარ მინდა გიცნობდე“, მიტევება ნიშნავს შერიგებას, ხელახალ შერწყმას. ამის გარეშე არცერთ ადამიანს არ შეუძლია მტრების შეყვარება. მიტევების ხარისხი განსაზღვრავს ჩვენი მტრებისადმი ჩვენი სიყვარულის ხარისხს.

მეორეც, ჩვენ უნდა გავივოთ, რომ ბოროტება, ჩადენილი ჩვენი მოყვასის მტრის მიერ, მიზეზი ჩვენი ტანჯვისა, არასოდეს არ ასახავს ამ ადამიანის მთელ არსებას. სიკეთის ნიშნების პოვნა შეიძლება ყველაზე უბოროტესი მტრის ხასიათშიც. ჩვენ ყველანი რაღაცით ვგავართ შიზოფრენიით დაავადებულებს. გაორებული პიროვნულობისა და ხასიათის ადამიანებს, თითოეული ჩვენგანის შიგნით მძვინვარებს უკიდევანო სამოქალაქო ომი, რაღაც შინაგანი ჩვენც გვაიძულებს რომელიმე პოეტის ოვიდიუსის მსგავსად აღმოგვჩვენდეს: „მე სიკეთის მომხრე ვარ, მაგრამ ჩემს ქცევებში ბოროტებით ვხელმძღვანელობ“, ან დავეთანხმეთ პლატონს, რომელიც ამბობდა, რომ ადამიანური ხასიათი ეს არის მეეტლე, რომელიც ორ ცხენს მართავს და ორთავენი თავიანთ მხარეს ეწევიან, ან მოციქულ პავლესთან ერთად გავიმეოროთ: „არა რომელი იგი მნებავს კეთილი, მას ვჰყოფ, არამედ რომელი იგი არა მნებავს ბოროტი, მას ვიქმ“.

უბრალოდ, ეს ნიშნავს, რომ ჩვენთაგან ყველაზე ცუდშიც არის სიკეთის ნაწილი, ისევე საუკეთესოშიც არის ბოროტების ნაწილი. როდესაც ამას ვაცნობიერებთ, ჩვენ უფრო მიმტევებლები ვხდებით ჩვენი მტრების მიმართ და ნაკლებად გეკულის ისინი. როდესაც უფრო ღრმად ვიხედებით პრობლემის არსში, ვეძებთ ბოროტი გულისწადილით ჩადენილის მიზეზს, ვპოულობთ ჩვენს მოყვასში – მტერში სიკეთის ნიშნებს

და ვხვდებით, რომ მისი ქმედების მანკიერება და ბოროტგანზრახულობა არ გვიქმნის სრულ წარმოდგენას ამ ადამიანზე. ჩვენ ვუყურებთ მას ახალი თვალით. ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ მისი სიძულვილი შიშის, ქედმაღლობის, უვიცობის, გაუკულმართებელი რწმენის ან ურთიერთგაგების უქონლობის შედეგია; მაგრამ, მიუხედავად ამის, ვიცით, რომ ყოველი ადამიანი სულის სიღრმეში ღვთიურ ანაბეჭდს ატარებს და ჩვენ ვიწყებთ ჩვენი მტრების შეყვარებას, რაკი გვესმის რომ ისინი ჯერ კიდევ არ არიან მთლად ხელიდან წასულნი და ღმერთის ყოვლისმხსნელი სიყვარული შეიძლება მათაც შეეხოს.

მესამეც, ჩვენ უნდა ვესწრაფოდეთ ჩვენი მტრის არა დამარცხებას ან დამცირებას, არამედ მასთან მეგობრობასა და ურთიერთგაგებას. ხდება ხოლმე, ჩვენ შეგვწყვეს ძალა, დავამცირით ჩვენი უბოროტესი მტერი, გარდაუვლად მოდის დრო, როდესაც მისი სისუსტე ვლინდება და ჩვენ გვეძლევა საშუალება, ჩავცეთ მას გამარჯვების მახვილი. მაგრამ ეს არ უნდა გავაკეთოთ. თითოეული თქმული სიტყვა და თითოეული გადადგმული ნაბიჯი ურთიერთგაგების საძირკველში აგურის ნატეხად უნდა გადაიქცეს, რათა მან გაათავისუფლოს სიკეთის ის უდიდესი მარაგი, სიძულვილის შეუღწევად კედელში რომ იყო დაფლული.

სიყვარულის არსი არ შეიძლება გავაიგივოთ გრძნობათა სენტიმენტალურ გაზიარებასთან, სიყვარული უფრო ღრმაა, ვიდრე ემოციური ლაყბობა, შეიძლება ამ საკითხებში ბერძნულმა ენამ შეიტანოს სინათლე. ახალი აღთქმის ბერძნული ტექსტი სიყვარულის აღსანიშნავად სამ სიტყვას ხმარობს: „ეროსი“ ეს არის ესთეტიკური, რომანტიკული სიყვარული, პლატონის დიალოგებში „ეროსი“ გულისხმობს სულის ღვთაებრივ ლტოლვას. მეორე სიტყვა „ფილია“ ნიშნავს ურთიერთსიყვარულს, სულიერმოყვარულობას, მეგობართა სიახლოვეს. ჩვენ ისინი გვიყვარს იმიტომ, რომ თავად ვუყ-

ვარვართ. მესამე სიტყვა „აპარე“ კი ნიშნავს თანხმობასა და ყველა ადამიანს შორის ღვთიურ, ყოვლისმიმტევებლურ გულისხმიერებას, უსაზღვრო, ღვარად გადმოდენილ უანგარო გრძნობას. „აპარე“ ადამიანთა გულებში არსებული ღვთაებრივი სიყვარულია. ჩვენ ადამიანები იმიტომ კი არ გვიყვარს, რომ მათი მოქმედებანი მოგვწონს, არც იმიტომ, რომ მათში ღვთიური ნაპერწკალია, ჩვენ თითოეული ადამიანი გვიყვარს იმიტომ, რომ იგი ღმერთს უყვარს. ჩვენ გვიყვარს ადამიანი, რომელიც ჩადის ბოროტებას, თუმცაღა გვძულს მისი ნამოქმედარი.

ახლა ჩვენ გვესმის, რას გულისხმობდა იესო, როცა ამბობდა: „გიყარდეთ თქვენი მტრები“, ჩვენ კმაყოფილნი უნდა ვიყოთ, რომ მან არ თქვა: თქვენს მტრებს სიმპათიით და გულისხმიერებით მოუყარითო. ზოგიერთი ადამიანის მიმართ უბრალოდ შეუძლებელია სიმპათიისა და გულისხმიერების განცდა. გულისხმიერება სენტიმენტალური და ფაქიზი სიტყვაა. შეუძლებელია ჩვენ სიმპათია გვქონდეს იმ ადამიანის მიმართ, რომელიც არ მალავს თავის განზრახვას – მოგვსპოს ჩვენ და მოფინოს ჩვენი გზა სიძნელებითა და დაბრკოლებებით. შეუძლებელია ჩვენ მოგვწონდეს ადამიანი, რომელიც ჩვენი ბავშვების სიცოცხლის ხელმყოფელი და ჩვენი საცხოვრებლის დამანგრეველია. ეს შეუძლებელია, მაგრამ იესომ გააიზრა, რომ „სიყვარული“ უფრო მეტია, ვიდრე „გულისხმიერება“ და „სიმპათია“. გვიბრძანებს რა, რომ გვიყვარდეს ჩვენი მტრები, იესოს არა აქვს მხედველობაში „ეროსი“ ან „ფილია“, იგი ლაპარაკობს „აპარეს“ – თანხმობისა და ყველა ადამიანს შორის ღვთაებრივი ყოვლისმიმტევებლური გულკეთილობის შესახებ. მხოლოდ ამ გზით, მხოლოდ ასეთი სიყვარულით შეგვიძლია ჩვენ ზეციური მამის შვილები გაავხდეთ.

II

გადავიდეთ ახლა პრაქტიკული „როგორიდან“ თეორიულ „რატომზე“, რატომ უნდა გვიყვარდეს ჩვენ ჩვენი მტრები? პირველი მიზეზი ნათელია, სიძულვილზე სიძულვილით პასუხი მხოლოდ ამრავლებს სიძულვილს, ამუქებს ღამისეულ წყვილადს ცაზე. წყვილადს არ შეუძლია წყვილადზე გამარჯვება, მხოლოდ სინათლეს შესწევს ამის ძალა, სიძულვილს შეუძლია სიძულვილზე გამარჯვება, სიძულვილი ამრავლებს სიძულვილს, ძალადობა ამრავლებს სიძულვილს, ძალადობა ამრავლებს ძალადობას და სისასტიკე ამრავლებს სისასტიკეს, ეხვევა რა ნგრევის ჯოჯოხეთურ ხვეულებში. ამიტომ როდესაც იესო ამბობს: „გვიყვარდეთ თქვენი მტრები“ იგი გვიტოვებს გულშიამწვდომ და აბსოლუტურად გარდაუვალ მცნებას, განა ჩვენ, ადამიანები არ მოვექცით იმ ჩიხში, რომლიდანაც გამოსავალი მხოლოდ მტრების სიყვარულშია – სხვანაირად ბოროტების ჯაჭვური რეაქცია გაგრძელდება, სიძულვილი დაბადებს სიძულვილს, ომები დაბადებენ ახალ ომებს და, თუ დროზე არ მოვეგეთ გონს, ყველანი ურთიერთგანადგურების შავბნელ უფსკრულში ჩავცვივდებით.

კიდევ ერთი მიზეზი, რომლის გამო ჩვენ უნდა შევიყვაროთ ჩვენი მტრები: სიძულვილი ტოვებს ნაიარევს გულზე და ამახინჯებს ადამიანის პიროვნებას, გვახსოვს რა, რომ სიძულვილი ბოროტების ძალაა და ამიტომ საშიშიც. ჩვენ ძალიან ხშირად ვფიქრობთ იმაზე, თუ რა მოაქვს მას ადამიანისათვის, რომლისკენაც ის არის მიმართული? ეს არც ისე ძნელი გასაგებია, რადგან სიძულვილი თავის მსხვერპლს აუნაზღაურებელ ზარალს აყენებს. ჩვენ სიძულვილის კოშმარული შედეგები ვიხილეთ ექვსი მილიონი ებრაელის სიკვდილში, რომლებიც აწამეს სიძულვილით შეპყრობილი შეშლილი ჰიტლერის სახელით სიძულვილის ტალღაში, რომელიც შავკანიანებს დაატყდათ, როდესაც სიძულვილით გამძვინვარებულ ბრბოს

სწყუროდა მათი სისხლი, ომების შავბნულ კომმარებში, უსინდისო მჩავგრების მიერ მილიონობით ღვთის შვილთა თავზარდამცემ დამცირებაში, უსამართლობასა და დანაშაულში.

მაგრამ არსებობს საკითხის კიდევ ერთი მხარე, რომელიც ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან. სიძულვილი არანაკლებ მომაკვდინებელია იმისათვის, ვისაც სძულს, როგორც შეუმეცნებელი კიბოსეული სიმსივნე – სიძულვილი არღვევს ადამიანის პიროვნებას და უკარგავს მას ობიექტურად აზროვნების უნარს. იგი აიძულებს მას, მშენიერს საზარელი უწოდოს, ხოლო საზარელს მშენიერი, ჭეშმარიტება სიცრუედ მიიღოს, ხოლო სიცრუე ჭეშმარიტებად.

დოქტორ ე. ფრანკლინ ფრეზერს თავის მეტად საინტერესო წიგნში „რასობრივ ცრურწმენათა პათოლოგია“, მოჰყავს რამდენიმე მაგალითი, როდესაც თეთრები, სხვა თეთრებთან ყოველდღიურ ურთიერთობებში ნორმალური, კაცთმოყვარე და რბილი ადამიანები კარგავდნენ ლოგიკას, ან გამოდიოდნენ წონასწორობიდან როგორც კი საკითხი შეეხებოდა შავკანიანების თანაბარი უფლებების მინიჭებას, ანდა რასობრივი უსამართლობის საკითხებს. ეს ხდება მაშინ, როდესაც ჩვენს გულებში სიძულვილი დაისადგურებს. ფსიქიატრები სიძულვილში ჩვენს ქვეცნობიერებაში მიმდინარე მრავალი საიდუმლოებით მოცული პროცესის, ჩვენი მრავალი შინაგანი კონფლიქტის მიზეზს ხედავენ. ისინი ამბობენ: „ისწავლეთ სიყვარული, თორემ დაიღუპებით“. თანამედროვე ფსიქოლოგია სცნობს იმას, რასაც იესო მრავალი ასეული წლის წინ გვასწავლიდა: სიძულვილი ანგრევს პიროვნებას, ხოლო სიყვარული, მიუხედავად ყველაფრისა, აუცილებლად ამთლიანებს მას.

მესამე მიზეზი, რომლის გამოც ჩვენ უნდა გვიყვარდეს ჩვენი მტრები: სიყვარული ერთადერთი ძალაა, რომელსაც

შეუძლია მტრის მოყვარედ გადაქცევა. ჩვენ ვერასოდეს დავიხსნით თავს მტრებისაგან, თუ სიძულვილს სიძულვილითვე ვუპასუხებთ, ვძლევთ რა მტრობის გრძნობას, ჩვენ თავს დავიხსნით მტრებისაგან. თავისი ბუნებით, სიძულვილი – სპობს და ანგრევს. თავისი ბუნებით, სიყვარული – აშენებს და ქმნის.

ლინკოლნმა შეიმეცნა სიყვარულის ძალა და კაცობრიობის ისტორიას დაუტოვა შერიგების გასაოცარი დრამა. აშშ-ის პრეზიდენტის პოსტზე წინასაარჩევნო ბრძოლის დროს, მისი ერთ-ერთი უბოროტესი მტერი იყო ვინმე სტენტონი. რაღაც მიზეზი აიძულებდა სტენტონს, სძულებოდა ლინკოლნი. იგი ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ლინკოლნი საზოგადოებრიობის თვალში დაემცირებინა. ლინკოლნისადმი მისი სიძულვილი იმდენად დიდი იყო, რომ სტენტონი თვის ყველა გამოსვლაში აბუჩად იგდებდა მის გარეგნობას და ცხარედ ადანაშაულებდა მას სხვადასხვა მანკიერებებში, მაგრამ, ყოველივე ამის მიუხედავად, ლინკოლნი არჩეულ იქნა პრეზიდენტის პოსტზე. შემდეგ დადგა დრო მინისტრთა კაბინეტის წევრთა დანიშვნისა, რომელშიც უნდა შესულიყვნენ არჩევნებში მონაწილე ლინკოლნის უახლოესი თანამოაზრენი. დაიწყო თანამდებობებზე დანიშვნა. ბოლოს დადგა დღე, როცა ლინკოლნს უნდა დაესახელებინა კანდიდატურა სამხედრო მინისტრის მეტად საპასუხისმგებლო პოსტზე, როგორ ფიქრობთ თქვენ, ვინ დანიშნა ლინკოლნმა ამ პოსტზე? თვით სტენტონი, როგორც კი ეს ამბავი ცნობილი გახდა, პრეზიდენტის უახლოესი თანამებრძოლნი მოიცვა უკმაყოფილებამ და მღელვარებამ. რას აღარ ეუბნებოდნენ ლინკოლნს: „ბატონო პრეზიდენტო, თქვენ შეცდომას უშვებთ! იცით, თუ არა თქვენ, რა კაცია ეს სტენტონი? გსმენიათ თუ არა, რა სიბილწეს ლაპარაკობდა იგი თქვენს შესახებ? იგი ჩვენი მტერია, იგი ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ ჩაშალოს თქვენი პროგრამის შესრულება, გაითვალისწინეთ თუ არა ყოველივე

ეს თქვენ, ბატონო პრეზიდენტო?“ ლინკოლნის პასუხი მეტად ლაკონური იყო: „დაიხ მე ვიცნობ ბატონ სტენტონს, მე მესმოდა ყველაფერი, რასაც იგი ჩემზე ამბობდა, მაგრამ ამერიკელებიდან ყველაზე მეტად იგი ესადაგება ამ თანამდებობას“. ასე გახდა სტენტონი ლინკოლნის მთავრობაში სამხედრო მინისტრი და ფასდაუდებელი სამსახური გაუწია ხალხს და თავის პრეზიდენტს რამდენიმე წლის შემდეგ, ლინკოლნი მოკლეს, ბევრი კეთილი სიტყვა იყო ნათქვამი პრეზიდენტის შესახებ. ჩვენს დროშიც მილიონობით ადამიანი თვლის მას უდიდეს ამერიკელად. პერბერტ უელსი ასახელებდა მას კაცობრიობის ისტორიის ექვს უდიდეს მოღვაწეთა შორის, მაგრამ ყველა ბრწყინვალე სიტყვათა შორის, რომელიც ითქვა აბრაამ ლინკოლნის შესახებ, სტენტონის წარმოთქმულ სიტყვას განსაკუთრებული ადგილი უკავია. იდგა რა იმ ადამიანის ცხედრის წინაშე, რომელიც ოდესღაც სძულდა. სტენტონმა მას დედამიწაზე მცხოვრებ ადამიანთა შორის ერთ-ერთი უდიდესი უწოდა და თქვა: „იგი ახლა მარადისობას ეკუთვნის“. ლინკოლნს რომ გაეგრძელებინა სტენტონის სიძულვილი, მაშინ ორივენი შეურიგებელ მტრებად ჩავიდოდნენ საფლავში, მაგრამ ლინკოლნმა, მოუხმო რა სიყვარულის ძალას, მტერი მეგობრად გადააქცია. ამავე ცხოვრებისეულმა პოზიციამ საშუალება მისცა ლინკოლნს, სამოქალაქო ომის უმძიმეს დღეებში, სამხრეთელების მისამართით კეთილი სურვილები გამოეთქვა. გაოგნებული მსმენელი ქალის დასმულ კითხვაზე ლინკოლნმა უპასუხა: „ქალბატონო, განა მე არ ვსპობ ჩემს მტრებს, როცა მათ ჩემს მეგობრებად გადავაქცევ? სწორედ ეს არის სიყვარულის დიადი ძალა.“

მაგრამ ჩვენ ახლავე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს არ არის მთავარი მიზეზი, რის გამოც ჩვენ ჩვენი მტრები უნდა გვიყვარდეს. უფრო ღრმა მიზეზი პირდაპირ გამოთქმულია ქრისტიანული სიტყვებში: „გიყვარდეთ თქვენი მტრები, რათა იყვეთ

თქვენი ზეციერი მამის ძენი“, მამაზეციერი მოგვიწოდებს, დავადგეთ ამ რთულ გზას იმისათვის, რომ ღმერთთან განსაკუთრებული დამოკიდებულება დავამყაროთ. ჩვენ ყველას შეგვიძლია, მამაზეციერის შვილები გავხდეთ სიყვარულის საშუალებით, რომელიც შეუმჩნეველად იქცევა სინამდვილედ, ჩვენ ჩვენი მტრები იმიტომ უნდა გვიყვარდეს, რომ მხოლოდ სიყვარულის საშუალებით შეგვიძლია ღმერთის წვდომა და მისი სიწმინდის მშვენიერების განცდა.

რასობრივ ურთიერთობათა კრიზისის მიზეზების გასაგებად ჩემს მიერ ნათქვამის მნიშვნელობა ნათელია, რასობრივი პრობლემა არასოდეს იქნება გადაწყვეტილი, თუ ჩაგრულები არ ისწავლიან თავიანთი მტრების სიყვარულს, რასობრივი სეგრეგაციის წყვდიადის განდევნა მხოლოდ ყოვლად შემწყნარებელ სიყვარულს შეუძლია. აი, უკვე სამი ასეული წელია, რაც ამერიკელი ზანგები იტანჯებიან ჩაგრვის რკინისებურ უღელქვეშ, დათრგუნვილები დისკრიმინაციის მახინჯ ტვირთქვეშ, სასოწარკვეთილებამდე მიყვანილები დღისით, ამაოდ ცდილობენ ღამით თავიანთ კითხვაზე პასუხის პონანს, იძულებული რომ ვართ ვიცხოვროთ ასეთ სამარცხვინო პირობებში. ჩვენდაუნებურად ვსასტიკდებით და მიუზღვათ სამაგიეროს, მაგრამ თუ ასე გაგრძელდა შემდეგშიც, მაშინ ახალი წესრიგი, რომლისკენაც მივისწრაფვით, მხოლოდ ცოტათი თუ იქნება განსხვავებული უწინდელისაგან, ჩვენ უდრეკად და თავმდაბლად უნდა შევხვდეთ სიძულვილს სიყვარულით.

რასაკვირველია, ეს არაპრაქტიკულია. ცხორება ხომ ანგარიშსწორებაა. საპასუხო დარტყმების მიყენებაა, ურთიერთობაა, რომელიც ეფუძნება კანონს „ადამიანი ადამიანისათვის მგელია“. მე ვაძბობ, რომ იესომ გვიანდერბა, გვიყვარდეს ისინი, რომლებიც გვტანჯავენ და გვჩაგრავენ ჩვენ. ვგავარ მე მოციქულთა უმრავლესობას, რეალურ ცხოვრებას მოწყვეტილ იდეალისტებს? შეიძლება შორეულ მომავალში, ამბობთ

თქვენ, უტოპიის ქვეყანაში, ეს იდეა ცხოვრებაში განხორციელდეს, მაგრამ არა ამ მკაცრსა და ცივ სამყაროში, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ.

ჩემო მეგობრებო! ჩვენ უკვე დიდი ხანია, მივიღვართ ერთ წოდებული პრაქტიკული გზით, რამაც გარდაუვლად მიგვიყვანა უწესრიგობამდე და ქაოსამდე. ისტორია სავესტა დაღუპული ცივილიზაციების მაგალითებით, რომლებმაც ნებაზე მიუშვეს სიძულვილი და ძალადობა. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ უარი ვთქვათ სამართლიან ბრძოლაზე. ჩვენს განკარგულებაში მყოფი ყველა ძალა, მთელი ჩვენი ძალ-ღონე უნდა მიემართოს ჩვენი ხალხის სეგრეგაციის საშინელი უღლისაგან განთავისუფლებისაკენ, მაგრამ ბრძოლის დროს, ჩვენ არასოდეს ვიტყვიტ უარს სიყვარულისადმი ჩვენს პრივილეგიასა და მოვალეობაზე. გვძულს რა რასობრივი სეგრეგაცია, ჩვენ გვეყვარება ისინი, ვინც მის უკან დგას. ეს არის სიყვარულის საზოგადოების შექმნის ერთადერთი გზა.

ჩვენ ვეტყვიტ ჩვენს ყველაზე მეტად შეურიგებელ მტრებს: ჩვენ დაუუბირისპირებთ თქვენს უნარს – მიაყენო ტანჯვა, ჩვენს უნარს – ავიტანოთ ტანჯვა. გაგვიკეთეთ რაც გინდათ, ჩვენ მაინც გვეყვარებით თქვენ. ჩვენ არასოდეს დავემორჩილებით თქვენს უსამართლო კანონებს, რამეთუ, ბოროტებისადმი დაუმორჩილებლობა ისეთივე მორალური მოვალეობაა, როგორც სიკეთისათვის ხელის შეწყობა, ჩაგვყარეთ ციხეებში, ჩვენ კი ძველებურად გვეყვარებით, დაანგრეთ ჩვენი საცხოვრებელი და დაემუქრეთ ჩვენი ბავშვების სიცოცხლეს შავბნელ ღამეებში, გამოაგზავნეთ ნიღბიანი მკვლელები და მოძალადეები ჩვენს სახლებში, რომ ცემით მიგვასიკდილონ, ჩვენ კი მაინც გვეყვარებით თქვენ, მაგრამ დარწმუნებული იყავით, ჩვენ გავიმარჯვებთ თქვენზე თქვენი უნარით – ავიტანოთ ტანჯვა და მოვა დღე, როდესაც ჩვენ მოვიპოვებთ თავისუფლებას, მაგრამ ეს იქნება თავისუფლება არა მხოლოდ

ჩვენთვის, ჩვენ ასე შევევედრებით თქვენს გულსა და გონებას, რომ ისინი ჩვენს მხარეზე გადმოვიყვანოთ და ჩვენი გამარჯვება ორმაგ გამარჯვებად გადაიქცევა.

სიყვარული სამყაროში ყველაზე მარადიული ძალაა. ეს შემოქმედებითი ძალა, რომლის შესანიშნავ მაგალითად გვევლინება იესო ქრისტეს ცხოვრება, კაცობრიობის ხელში წარმოადგენს მშვიდობისა და უშიშროებისათვის ბრძოლის საშუალებას. ამბობენ, რომ ნაპოლეონ ბონაპარტმა ომის უდიდესმა გენიოსმა, იხსენებდა რა წარსულს, თქვა: „ალექსანდრე მაკედონელმა, იულიუს ცეზარმა, კარლოს დიდმა და მე შევექმენით უდიდესი იმპერიები, მაგრამ რას ეფუძნებოდნენ ისინი? ისინი ეფუძნებოდნენ ძალას, საუკუნეების წინ კი იესომ თავისი სამეფოს შექმნა დაიწყო, რომელიც სიყვარულს ეფუძნებოდა და მილიონები მზად არიან, მოკვდნენ მისთვის“. ძნელია, არ დაეთანხმო ამ სიტყვებს. აღარ არიან უკვე წარსულის დიდი მხედართმთავრები და მათი იმპერიებიც ფერფლად იქცნენ. მხოლოდ იესოს სამეფო, ეფუძნება რა სიყვარულს, ძველებურად ხელთუქმნელია და დიდებულად დგას. იგი დაიწყო ხელდასხმულთა მცირერიცხოვანი ჯგუფით, რომელმაც ღმერთის წყალობით შეძლო შეერყია რომის იმპერიის საფუძვლები და იესოს სწავლება მთელი კაცობრიობის საკუთრებად გადაექცია. ქრისტეს სამეფო დედამიწაზე დღეს – ეს არის ყველა ერისა და ეროვნების 1 000 000 000 ადამიანი.

იესო ყოველთვის მართალია, ისტორიის მინდვრები გადათეთრებულია ხალხთა ძვლებით, რომლებმაც უარი თქვეს, მოესმინათ მისთვის. ჩვენ, ოცდამეერთე საუკუნის ადამიანებმა, სანამ გვიანი არ არის, უნდა შევისმინოთ მისი და მის კვალს გავეყვით. მთელი პასუხისმგებლობით უნდა გავაცნობიეროთ, რომ ჩვენ ვერასოდეს გავხდებით ჩვენი ზეციური მამის შვილები. თუ არ შევიყვარებთ ჩვენს მტრებსა და არ ვილოცვებთ მათთვის, რომლებიც ჩვენ გვდევენან.

პოლიტიკური თეორიები

პოლიტიკური იდეოლოგია
პოლიტიკური დოქტრინა
პოლიტიკა და ჰუმანიზმი
ლიბერალიზმი
კონსერვატიზმი
ლიბერალიზმისა და კონსერვატიზმის დოქტრინები
თანამედროვე სოციალ-დემოკრატიები

იდეოლოგია ცხოვრებისეულ მოვლენათა შედარებითი ანალიზის საფუძველზე შექმნილ შეხედულებათა და დებულებათა სისტემაა, რომელიც გამორიცხავს წინააღმდეგობებს ამ სისტემის ელემენტებს შორი. ძირითად იდეოლოგიურ ნორმებში და დებულებებში მოწონებული ან დაწუნებულია მიმდინარე მოვლენები და ამის შესაბამისად, ჩამოყალიბებულია პოზიცია, რომელიც მხარს უჭერს ან ეწინააღმდეგება სინამდვილეში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს და მასში მონაწილე ძალებს. იდეოლოგია კლასობრივი ხასიათის მოვლენაა, რამდენადაც იგი ყოველთვის გამოხატავს საზოგადოების რომელიმე ჯგუფის ან კლასის ინტერესებს და გარკვეული აზრით წარმოადგენს მის სახელმძღვანელოს.

იდეოლოგია უშუალო კავშირშია მეცნიერებასთან, რომელიც ასევე სინამდვილის ასახვის საფუძველზე ყალიბდება. რაც უფრო მეტადაა იდეოლოგიურ დებულებებში შემოქმედებითი ინტერპრეტაცია და რაც უფრო ძალუძს მას დაარწმუნოს ხალხი ამ ინტერპრეტაციის სისწორეში, მით უფრო მეცნიერულია იგი.

იდეოლოგია უშუალო კავშირშია პოლიტიკასთან და იგი, როგორც გარკვეული საზოგადოებრივი მოდელის (სტრუქტურის) თეორიული დასაბუთება, პოლიტიკაში რეალიზდება.

პოლიტიკის სფეროში იდეოლოგია, უწინარეს ყოვლისა, რეალიზდება პოლიტიკური პროგრამების, პოლიტიკური დოქტრინების მეშვეობით.

პოლიტიკური დოქტრინა ესაა იმ განსხვავებული შეხედულებების, მიზნებისა და ამოცანების სისტემური პროექტი, რომელსაც გარკვეული პოლიტიკური ძალები ქმნიან, ნაცვლად იმ კურსისა, რომელიც მოცემულ მომენტში გაბატონებული პოლიტიკური ძალების მიერ ხორციელდება. პოლიტიკური დოქტრინა სამომავლო გეგმების არა მარტო თეორიული, არამედ ნორმატიული სისტემაცაა, რამდენადაც იგი არა მარტო ამოცანებს განსაზღვრავს, არამედ მისი გადაწყვეტის გზებსაც სახავს.

დოქტრინისაგან განსხვავებით, დროში მოქმედების თვალსაზრისით, იდეოლოგია უფრო მყარია. დოქტრინა რომელიმე იდეოლოგიისგან გამომდინარეობს და მის სულისკვეთებას ასახავს. იდეოლოგია უფრო ხანგრძლივი პერიოდის მიზნებსა და ამოცანებს ისახავს, ვიდრე მისგან გამომდინარე რომელიმე კონკრეტული დოქტრინა. იდეოლოგია უფრო სტაბილურია ვიდრე დოქტრინა. მჭიდრო კავშირი არსებობს, აგრეთვე, პოლიტიკურ დოქტრინასა და პროგრამას შორის, პროგრამა თავისებური ხასიათის დოქტრინაა, უფრო ზუსტად, მისი კონკრეტიზაციაა, ამიტომაც იდეოლოგიის, დოქტრინისა და პროგრამის მკაცრად გამიჯვნა საკმაოდ რთულია თუმცა სრულიად შესაძლებელი.

ყოველი დოქტრინა მიზნად ისახავს გარკვეული ფუნქციის შესრულებას, რომელთაგან მთავარია:

1. დასაბუთოს იმ მოდელის (წყობის, სახელმწიფოს და ა.შ.) მიზანშეწონილობა, რომლის დაცვას თუ შექმნას ითხოვს;
2. შეიმუშაოს პრაქტიკული რეკომენდაციები იმ პოლიტიკური ძალებისათვის, რომლებიც მოცემული დოქტრინის განხორციელებაში არიან ჩაბმულნი;

3. უზრუნველყოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში იმ ამოცანების დომინირება, რომლებიც უზრუნველყოფენ დოქტრინით განსაზღვრულ მოდელზე გასვლის პირობების მომზადებას.

პოლიტიკა უნდა ემსახუროს ადამიანს, საზოგადოებას და მთელ კაცობრიობას. ამის გამოხატულებაა ჰუმანიზმის პრინციპი. ის ითვალისწინებს ადამიანთან, როგორც უმაღლეს ღირებულებასთან დამოკიდებულებას, თითოეული პიროვნების ღირსებების დაცვას, სიცოცხლეზე უფლების, თავისუფალი განვითარების, საკუთარი შესაძლებლობისა და ბედნიერებისაკენ სწრაფვის პატივისცემას. ასევე ჰუმანიზმი ითვალისწინებს ადამიანის ყველა არსებითი უფლების აღიარებას, განიხილავს საზოგადოების მოღვაწეობის კრიტიკერიუმებს, როგორც ადამიანის კეთილდღეობისათვის მოღვაწეობას, ეს უნივერსალური პლანეტარული პრინციპია. ის არ ყოფს ადამიანებს ეროვნული კლასობრივი, რელიგიური პრინციპით. ჰუმანიზმი პოლიტიკაში გამოიხატება პოლიტიკის ორგანიზაციის ფორმებში, მიზნებსა და შინაარსში, პოლიტიკური მოღვაწეობის საშუალებებში. თანამედროვე პირობებში პოლიტიკის ყველაზე ჰუმანური ორგანიზაციის ფორმას წარმოადგენს დემოკრატიული პოლიტიკური სისტემა, რომელიც ემყარება ყველა მოქალაქის თავისუფლებისა და თანასწორობის, ხელისუფლების, მოსახლეობის მიერ გაკონტროლების აღიარებას, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებისადმი პატივისცემას. ყველაზე უფრო ჰუმანურია ის პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს პიროვნების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისა და თავისუფალი განვითარების ყველაზე საუკეთესო პირობებს. ჰუმანიზმი ვლინდება პოლიტიკის საშუალებებში, პოლიტიკური დაპირისპირების ყველაზე მკაცრი, ბარბაროსული ფორმების აღკვეთაში, ისეთების, როგორიცაა: ომი, მასობრივი მოსპო-

ბის იარაღის გამოყენება, წარმოებისა და სხვა საშუალებების აკრძალვა.

ჰუმანიზმის პრინციპს აქვს როგორც შიდასახელმწიფოებრივი, ისე საერთაშორისო შინაარსი. საერთაშორისო არენაზე ის ვლინდება მშვიდობისათვის ბრძოლაში. ახალი მსოფლიო პოლიტიკური წესრიგის შექმნაში, რომელიც ემყარება სამართლიანობასა და ადამიანის პატივისცემას, ის ითვალისწინებს ხალხთა თავისუფალ არჩევანს საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობისა, სახელმწიფოთა თანასწორუფლებიანობას, ერთმანეთის საქმეში ჩაურევლობას, მნიშვნელოვანი ჰუმანური ორიენტირები ჩადებულია გაეროსა და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობისა და სხვა ორგანიზაციების დოკუმენტებში. ჰუმანურ პოლიტიკას არა აქვს ალტერნატივა, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელია გლობალური პლანეტარული კატასტროფა, მთელი კაცობრიობის დაღუპვა.

ჰუმანიზმი, გამოხატული კაცთმოყვარეობის იდეის ფორმით, რეალურ შემოქმედებას ახდენდა უძველესი დროიდან საზოგადოებასა და პოლიტიკაზე ზნეობის, მორალისა და სამართლის მეშვეობით. ჰუმანიზმის იდეები წარმოადგენენ მორალის ზოგადსაკაცობრიო შინაარსის ბირთვს. ხორციელდებიან რა ზნეობრივ შეგნებაში და ღებულობენ დადებით ზნეობრივ შეფასებას, ისინი ადამიანთა მოღვაწეობის ორიენტირები და რეგულატორები ხდებიან.

ჰუმანიზმს პოლიტიკაში შეხების წერტილები აქვს მორალთან და სინდისთან. მორალი – საზოგადოებრივი ცხოვრების განსაკუთრებული სპეციფიკური სფეროა, რომელიც მოიცავს შეგნებას, ნორმებსა და ადამიანთა რეალურ ქცევას, დაფუძნებულს ნებისმიერი მოქმედების შეფასებაზე, კეთილსა და ბოროტის სამართლიანობასა და უსამართლობის და სხვა მსგავსი კრიტერიუმებისა და იდეალების თვალსაზრისზე,

მორალი ითვალისწინებს საზოგადოებრივი მოვლენის შეფასებას არა ინდივიდუალურად, არამედ კოლექტიურად. უპირველეს ყოვლისა, ზოგადსაკაცობრიო თვალსაზრისით, არსებობს ჯგუფური მორალიც, მაგალითად, წოდებრივი, კლასობრივი, პროფესიონალური და ა.შ. თუმცა ის, ჩვეულებრივ, ან გამოდის როგორც ზოგადსაკაცობრიო ზნეობრივი პრინციპების სპეციფიკური გამოხატვა, ან წარმოადგენს საზოგადოების ღრმა სოციალური განხეთქილების გამოვლენას.

მორალი არაა უტილიტარული ცალკეული ინდივიდებისათვის. მისი ნორმებისა და მოთხოვნილებების დაცვა არ ჰპირდება მათ რაიმე უშუალო პირად სარგებლობას. ის მოიცავს იმ მოთხოვნილებებს, რომელთა დაცვა აუცილებელია საზოგადოებისათვის და მთელი კაცობრიობისათვის. ძირითადი ზნეობრივი ღირებულებები აბსოლუტურია. მორალი დაკავშირებულია ადამიანის შინაგან სულიერ სამყაროსთან. სამართლისა და პოლიტიკისაგან განსხვავებით, ზნეობა თავისი რეალიზაციისათვის არ საჭიროებს დასჯის სპეციალურ აპატარს ან მატერიალურ ღირებულებებს. როგორც ამას მოითხოვს ეკონომიკური რეგულაცია. თუმცა უზნეო ქცევა არ გამორიცხავს გარკვეულ სანქციებს საზოგადოების ან გარემოცვის მხრიდან მთლიანობაში მორალის გაკლენა ემყარება პიროვნების თვითკონტროლის შინაგან ფსიქოლოგიურ მექანიზმებს, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესია სინდისი.

სინდისი – ესაა ადამიანის პასუხისმგებლობის ემოციური განცდა საკუთარი თავის, სხვა ადამიანების, საზოგადოების, მთელი კაცობრიობის, ღმერთის წინაშე. ის ჰუმანიზმის გამტარებელია ადამიანის სულში და რეალურ მოქმედებაში. ის ადამიანის შინაგანი მსაჯულთა, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის თვითკონტროლს ყველა სიტუაციაში და განსაკუთრებით იქ, სადაც პოლიტიკური და საზოგადოებრივი კონტროლი ძნელდება ან შეუძლებელია. უზნეო, უსინდისო

აღამიანი ექცევა საზოგადოებისათვის საშიშ არსებად. ჰიტლერი ატარებდა რა კაცთმოძულე ნაციონალურ-სოციალურ პოლიტიკას, არწმუნებდა თავის ჯარისკაცებს იმაში, რომ ის ანთავისუფლებს მათ იმ ავადმყოფობისაგან, რომელსაც სინდისი ეწოდება.

სინდისი დაკავშირებული სხვა ზნეობრივ მექანიზმებთან, არის პოლიტიკის ჰუმანიზმის ყველაზე მნიშვნელოვანი გარანტი. ამიტომ საზოგადოების განვითარებული ზნეობრივი კულტურა დემოკრატიული პოლიტიკური წყობის უმნიშვნელოვანესი პირობაა.

პოლიტიკის ჰუმანიტარული საფუძვლები შეიძლება განვიხილოთ ორ ურთიერთდაკავშირებულ ასპექტში:

1) პოლიტიკურ მოღვაწეობასა და იდეოლოგიაში კონკრეტული აღამიანების ინტერესების მოთხოვნილებების გამოხატვა;

2) პოლიტიკის „აღამიანური განზომილება“, რომელიც გულისხმობს იმას, თუ როგორ გავლენას ახდენს პოლიტიკა აღამიანის მდგომარეობასა და ბედზე.

პირველი გამოხატულებას პოულობს უძველესი დროიდან სხვადასხვა სახელმწიფოებში, სადაც პოლიტიკის პოპულარობა მოითხოვდა მისგან გამოეველინა მზრუნველობა ინდივიდების, ავადმყოფების, მოშიშმილეთა მიმართ. ხდებოდა დამნაშავეების შეწყალება. სახელმწიფო ხსნიდა სასადილოებს, საავადმყოფოებს, მოხუცთა სახლებს, არსებობდა სახელმწიფო და კერძო ქველმოქმედება და ა.შ. რასაკვირველია, ყველაფერი ეს არ შევლოდა სხვადასხვა პრობლემებს, მაგრამ გარკვეულწილად ანელებდა სოციალურ დაძაბულობას.

ჰუმანიზმის მეორე მნიშვნელობა პოლიტიკაში ნიშნავს საშინაო და საგარეო პოლიტიკის წარმოების ცივილიზებულ წესებს. ის განისაზღვრება, უპირველეს ყოვლისა, აღამიანის ძირითადი უფლებების მიმართ დამოკიდებულებით. პოლიტი-

კის „ადამიანური განზომილება“ ყალიბდება კონფლიქტების, რეკოლუციების, ომების გამოცდილების მსვლელობაში, ის განმტკიცებულია მრავალრიცხოვან, ორმხრივ და მრავალმხრივ შეთანხმებებში.

ასე რომ, ჰუმანიზმი პოლიტიკაში ესაა შეხედულებათა ერთობლიობა, რომელიც აღიარება ადამიანის მაღალ ზნეობრივ დანიშნულებას თითოეული პიროვნების ღირსებას, მის უფლებებს, თავისუფლების, პატივისცემის, სწრაფვას უკეთესი მომავლისაკენ.

პოლიტიკა თავისი არსით წარმოადგენს მიზანმიმართულ მოღვაწეობას. მიზანი, საშუალება და შედეგი – ძირითადი კომპონენტებია პოლიტიკური და სხვა ნებისმიერი მოღვაწეობისა, პოლიტიკის მიზანი წარმოადგენს. ადამიანის მიზნები შინაგანად წინააღმდეგობრივი და სხვადასხვაგვარია. კერძო და საერთო ინტერესების ჰარმონიული შეხამების გარანტი უნდა იყოს სახელმწიფო პოლიტიკის საშუალებები წარმოადგენენ ინსტრუმენტებს, იარაღებს, რომელთა მეშვეობით პრაქტიკულად ხორციელდება მიზნები, იდეალური მოტივები გადაიქცევიან რეალურ მოქმედებად. პოლიტიკის „საშუალებები“ და „მეთოდები“ მონათესავე ცნებებია. საშუალებები – ესაა კონკრეტული ფაქტორები მათი სუბიექტების გავლენისა ობიექტებზე: პროპაგანდისტული კომპანიები, გაფიცვები, შეიარაღებული მოქმედებები, ელექტორალური ბრძოლა და ა.შ. პოლიტიკის მეთოდები, ჩვეულებრივ, ახასიათებენ მისი საშუალებების ზემოქმედების წესებს. მათ განეკუთვნება, უპირველეს ყოვლისა, ძალისმიერი და არაძალისმიერი მეთოდები, იძულება და დარწმუნება.

საკითხი მიზნებისა და საშუალებების გავლენის შესახებ პოლიტიკის შედეგებსა და მის ზნეობრივ შეფასებაზე ცხარე კამათის საგანია. შეიძლება გამოვყოთ სამი ძირითადი შეხედულება: 1) პოლიტიკის ზნეობრივი ხასიათი განისაზღვრება

მისი მიზნით; 2) პოლიტიკის ზნეობრივ მნიშვნელობაზე პრიორიტეტულ გავლენას ახდენს გამოყენებული საშუალებები; 3) როგორც მიზანი, ისე საშუალებები ერთნაირად აუცილებელია პოლიტიკის ჰუმანური ხასიათისათვის. ყველაზე უფრო დეტალური დასაბუთება და პრაქტიკული განხორციელება თეზისმა: „მიზანი ამართლებს საშუალებას“ მიიღო იეზუიტებში. იეზუიტების კათოლიკური ორდენი შეიქმნა 1534 წელს პარიზში, რომელიც დღესაც არსებობს. ეს ორგანიზაცია იყენებს ნებისმიერ საშუალებას თავისი რწმენის დასამკვიდრებლად. ორდენი ემყარება მკაცრ ცენტრალიზმს, რკინის დისციპლინას, აუცილებელ ურთიერთგაცემას. ისინი იყენებენ უზნეო მოქმედებებს – ცილისწამება, ინტრიგა, შეთქმულება, მკვლელობა და ა.შ.

სიცრუე, ინფორმაციის გადაძალვა, შეგნებაზე მანიპულირება ფართოდაა გავრცელებული თანამედროვე პოლიტიკაში და ბევრი თვლის მას მისაღებ საშუალებად. თუმცა მთლიანად მეცნიერება და საზოგადოებრივი აზრი უარყოფითად უყურებს მას.

„საშუალებადომინირებადი“ მიდგომა გამოდის საშუალებების ზნეობრივი პრიორიტეტებიდან მიზანზე. ინდოეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი მახათმა განდი თვლიდა, რომ საზოგადოების განვითარების დონე განისაზღვრება, პირველ რიგში, ადამიანთა მორალური სრულყოფით. ზნეობა ხორციელდება პოლიტიკაში სწორად გამოყენებული საშუალებების მეშვეობით, საშუალებები გამოხატავენ ადამიანის ზნეობრივ ნებას.

მესამე კომპრომისული მიდგომა ცდილობს თავიდან აიცილოს უკიდურესობები და გაითვალისწინოს როგორც მიზნების, ისე საშუალებების ზნეობრივი მნიშვნელობა, რეალურ პოლიტიკაში თითოეული მათგანი თამაშობს საკუთარ, მეტად მნიშვნელოვან როლს, მიზანი ერთიან სისტემაში აერთიანებს

ყველა მოქმედებას და მათ შედეგებს. მაგალითად, თუ პარტია მიზნად ისახავს კერძო საკუთრების მოსპობას, მას იმედი არ უნდა ჰქონდეს მეწარმეებისა და მესაკუთრეების მხარდაჭერის. მიზანი განსაზღვრავს პოლიტიკური მოქმედების ობიექტს, მოწინააღმდეგეებსა და მოკავშირეებს. საბოლოო ჯამში, ეფექტური მიზნისაკენ მიმავალი საშუალებების, მათ შორის არაძალისმიერის გამოყენება იწვევს მოწინააღმდეგეთა საპირისპირო ქმედებას. მაგალითად, მ. განდი და მარტინ ლუთურ კინგი მკვლელის ხელისაგან დაიღუპნენ.

მიზნებსა და საშუალებებს შორის არსებობს ურთიერთგავლენა. ერთი მხრივ, მიზანი და მისი განხორციელების პირობები ბევრად განსაზღვრავს გამოყენებულ საშუალებებს, მეორე მხრივ, საშუალებები უშუალოდ ახდენს რა გავლენას მიღებულ შედეგზე, განსაზღვრავს მიზნის რეალობასა თუ უტოპიურობას, მის შეცვლას, ან უარს მასზე საერთოდ. ამასთანავე, მიზეზი მიზნისა და შედეგების არადათხვევისა შეიძლება იყოს როგორც უტოპიური მიზანი, ისე მისი არაადექვატური საშუალებები. მთლიანობაში კი საშუალებები ახდენენ უშუალო გავლენას პოლიტიკის შედეგებზე. მაგალითად, კომუნისტების მიზანი იყო ადამიანების განთავისუფლება ექსპლუატაციისაგან, მაგრამ არაადექვატური საშუალებების გამოყენების გამო, მათ მიიღეს სრულიად საწინააღმდეგო შედეგი. მიზნებისა და საშუალებების თანაფარდობის დამაჯერებელ ინტერპრეტაციას იძლევა ნ. ა. ბერდიაევი: მიზანი მიდის გარკვეულ სიშორეს, საშუალება კი რჩება უშუალო რეალობაში, როცა ღებულობენ ბოროტი მიზნების საწინააღმდეგო საშუალებებს, მაშინ მიზნამდე არასოდეს არ აღწევენ, ყველაფერს ცვლიან საშუალებებით და მიზანს ივიწყებენ, ან კიდევ ისინი გადაიქცევიან წმინდა რიტორიკად.

მიუხედავად პოლიტიკაზე უზნეო მოქმედების ნეგატიური გავლენისა, ზოგიერთ სიტუაციაში მასზე უარის თქმამ შეიძ-

ლება გამოიწვიოს უარესი შედეგი. პოლიტიკის მიზნებსა და საშუალებებს შორის წინააღმდეგობა რეალურად არსებობს.

ასეთი წინააღმდეგობების გადაჭრა შეიძლება მონახულ იქნას. პოლიტიკის მიზნებისა და საშუალებების ზნეობრივ განზომილებაში ცნობილია, რომ ზნეობრივ ღირებულებებს გააჩნიათ იერარქიული სტრუქტურა. ერთი უფრო მნიშვნელოვანია, მეორე – ნაკლებად. მაგალითად, სიცოცხლის გაწირვა სხვა ადამიანების გადასარჩენად უფრო ზნეობრივი მოქმედებაა, ვიდრე სიმდიდრის ნაწილის გაღება ღარიბებისათვის.

თანამედროვე მეცნიერებას არ შეუძლია განსაზღვროს, რომელი საშუალებები წარმოადგენენ ეფექტურსა და ზნეობრივს პრაქტიკის ყველა შემთხვევის მისაყენებლად, მაგრამ მას შეუძლია დაადგინოს იმ საშუალებების ჰუმანისტური საზღვრები, რომლებიც გამოიყენება განსაზღვრული პოლიტიკური მიზნების მისაღწევად.

პოლიტიკა უძველესი დროიდან დაკავშირებულია ან გაიგივებულია ძალადობასთან. როგორც უკვე აღინიშნა, მისი უმნიშვნელოვანესი განმასხვავებელი ნიშანია ორგანიზაციული ძალადობის გამოყენება. ლეგალურ პოლიტიკურ ძალადობას თავის ტერიტორიაზე ანხორციელებს მხოლოდ სახელმწიფო, თუმცა ის შეიძლება გამოიყენოს პოლიტიკის სხვა სუბიექტებმა: პარტიებმა, ტერორისტულმა ორგანიზაციებმა, ჯგუფებმა ან ცალკეულმა ადამიანებმა.

ძალადობა წარმოადგენს წინასწარგამიზნულ მოქმედებას, მიმართულს ადამიანის ფიზიკურ მოსპობაზე ან ზარალის მიყენებას მისი ნების წინააღმდეგ. ძალადობა შეიძლება იყოს ფიზიკური, ეკონომიკური, ფსიქოლოგიური და სხვ. პოლიტიკასთან მიმართებაში, ჩვეულებრივ მხედველობაში აქვთ ფიზიკური ძალადობა (ან არაძალადობა), როგორც მისი განხორციელების საშუალება.

ძალადობა კაცობრიობის ისტორიის განუყოფელი მხარეა. მის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა. მაგალითად, ე. დიურინგი მას გადამწყვეტ როლს ანიჭებდა საზოგადოებრივ ურთიერთობაში, ძველის დანგრევასა და ახლის მშენებლობაში. ასეთ შეფასებასთან ახლოს დგას მარქსიზმი.

ძალადობა პოლიტიკაში ითვლება საშუალებად, რომელიც ძნელად შეესაბამება ზნეობას. ძალადობას მ. ვებერი „ეშმაკისეულ ძალებს“ უწოდებდა. „არა კაც კლა“ – ეს არის ბიბლიური მცნება. ამასთანავე, ადამიანს, აგრეთვე საზოგადოებას, არ შეუძლია მთლიანად უარი თქვას ძალადობაზე და იძულებულია შეზღუდულად უკიდურეს შემთხვევებში გამოიყენოს იგი. ისტორიაში ცნობილია ფაქტები, როცა ძალადობას დამლუპველი შედეგი მოჰყვებოდა. ლენინისა და სტალინის რეპრესიებმა მილიონობით ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა სსრ კავშირში.

ძალადობის ზომაზე და ხასიათზე გავლენას ახდენს პოლიტიკური წყობილების ხასიათი: ავტორიტარული, ტოტალიტარული, დემოკრატიული. პირველი ორი ხასიათდება ძალადობის შეუზღუდველი უფლებით. დემოკრატიულ საზოგადოებაში, კანონიერი ძალადობის წყაროდ აღიარებულია მხოლოდ ხალხი და მისი წარმომადგენლები. აქ დაშვებულია ძალადობა, მხოლოდ როგორც საპასუხო ზომები დამნაშავეების, ტერორისტებისა და ა.შ. წინააღმდეგ. უძველესი დროიდან მოაზროვნე ჰუმანისტები ადამიანის განუყოფელ უფლებად თვლიდნენ საპასუხო თავდაცვით ბრძოლებს, აჯანყებებს ტირანიის წინააღმდეგ, ყველა ვითარებასა და მდგომარეობაში, – წერდა ჯონ ლოკი – ძალის განუკითხაობის წინააღმდეგ საუკეთესო საშუალება, ეს არის წინ აღვუდგეთ მათ ძალითვე.

ლიბერალიზმის წარმომადგენლები ძალის გამოყენებას ამართლებდნენ და თვლიდნენ მას ზნეობრივად. თუ ტირანი ან არჩეული ხელისუფალი არ გაამართლებდა ხალხის ნდობას,

არღვევდნენ ადამიანის ბუნებრივ უფლებებს. ამის შესაბამისად, დემოკრატიული ქვეყნების კონსტიტუციაში კანონიერად და ზნეობრივად და აღიარებული ხალხის უფლება ძალის გამოყენებისა იმით წინააღმდეგ, ვინც ცდილობს ძალით გააუქმოს დემოკრატიული წესრიგი.

არაძალადობის პირველი იდეები ჩაისახნენ უძველეს დროში რელიგიის წიაღში – ბუდიზმში, ინდუიზმში, კონფუციურ მოძღვრებაში, ქრისტიანულ და სხვა რელიგიებში. ქრისტიანობამ არაძალადობის კონცეფციაში შეიტანა ახლობელისთვის თავგანწირვისა და სიყვარულის იდეები. ზოგიერთი ადგილი ქრისტეს ქადაგებიდან: „გიყვარდეთ თქვენი მტრები, შეიწყალეთ ისინი, ილოცეთ მათზე, აპატიეთ და თქვენც პატივებულნი იქნებით“.

ძალადობის კონცეფციაში უდიდესი წვლილი შეიტანეს ლ.ნ. ტოლსტოიმ, ფ. მ. დოსტოევსკიმ, ამერიკელმა მწერალმა და ფილოსოფოსმა ჰენრი ტორომ. ტოლსტოიმ შექმნა მთელი მოძღვრება ბოროტებისადმი წინააღმდეგობის გაუწევლობაზე და მის ცხოვრებაში განხორციელებაზე პირადი მაგალითით.

ძალისმიერი პოლიტიკის ახალი ეტაპი დაკავშირებულია მახათმა განდისთან. მის მერ შექმნილმა კონგრესმა ცხოვრებაში განახორციელა პოლიტიკური ცხოვრების არაძალისმიერი სტრატეგია, რომელმაც მიიღო სახელწოდება „სატიანგრადი“, ის ემყარებოდა სამოქალაქო დაუმორჩილებლობას, რომელმაც დამოუკიდებლობა მოუტანა ინდოეთს. სამოქალაქო დაუმორჩილებლობა ნიშნავდა კოლონიურ ადმინისტრაციასთან თანამშრომლობაზე უარის თქმას.

პოლიტიკაში არაძალისმიერი კონცეფციის არსი მდგომარეობს კონფლიქტების შემთხვევაში ძალის გამოყენებაზე უარის თქმასა და სადავო საკითხების გადაჭრაში, პუმანიზმისა და ზნეობის საფუძველზე. ნუთუ მოქალაქემ, თუნდაც

მცირედი ზომითაც, თავისი სინდისი უნდა გადასცეს კანონმდებელს ხელში? – წერდა ჰენრი ტორო. მაშ, რისთვის სჭირდება ადამიანს ნამუსი? ჩვენ პირველად ადამიანები უნდა ვიყოთ, ხოლო შემდეგ მთავრობის ქვეშევრდომები. სასურველია აღვზარდოთ პატივისცემა არა იმდენად კანონისადმი, რამდენადაც „სამართლიანობისადმი“.

პოლიტიკური არაძალადობის ფილოსოფია არსებითად განსხვავდება პაციფიზმისაგან. ის ითვალისწინებს აქტიურ მოქმედებას, არა მხოლოდ ვერბალურს, სიტყვიერს, არამედ პრაქტიკულს. ამასთანავე, არავითარი ფიზიკური ზემოქმედება არ უნდა იყოს, თუმცა გარკვეულ შემთხვევებში არაძალისმიერი ზემოქმედების საშუალებები შეიძლება იყოს უარი სამსახურებრივ მოვალეობაზე, შეგნებული თავის შეკავება სხვადასხვა მოქმედებისაგან.

ტერმინი „არაძალისმიერი მოქმედებანი“ იხმარება როგორც ფართო, ისე ვიწრო გაგებით. ფართო გაგებით ის არის ნებისმიერი პოლიტიკური აქტიურობა (ან შეგნებული პასიურობა), რომელიც გამორიცხავს ძალადობას. ვიწრო გაგებით, ის მოიცავს არაყოველღვარ, არაძალისმიერ მოქმედებას, არამედ მხოლოდ იმას, რომელიც მიმართულია ხელისუფლების წინააღმდეგ და დაკავშირებულია სამოქალაქო დაუმორჩილებლობასთან, კანონის ან ადმინისტრაციული ნორმების დარღვევასთან. ამ აზრით, ის განსხვავდება კანონით გათვალისწინებული დემოკრატიული პროცედურებისაგან. არაძალისმიერი მოქმედების საშუალებები სხვადასხვაა. მას ძველადაც იყენებდნენ. მაგალითად, 494 წელს ჩვ. წ.-ით რომში მოსახლეობამ დატოვა ქალაქი, რათა აეძულებინათ რომის მმართველები, შეესრულებინათ მათი მოთხოვნები.

ამ პრობლემის ამერიკელი მკვლევარი ქალი ჯინა შარფი, თავის ცნობილ წიგნში „არაძალისმიერი მოქმედების პოლიტიკა“ აღწერს 198 ხერხს არაძალისმიერი ბრძოლისა. ესაა

– საჯარო გამოსვლა, განცხადება, პროტესტის ან მხარდაჭერის წერილი, ლოზუნგების გამოფენა, დეპუტაციები, პიკეტირება, თავის მობეზრება ოფიციალური პირებისადმი, გაფიცვები, შენობის არაძალისმიერი ოკუპაცია, კანონების შეუსრულებლობა და ა.შ.

არაძალისმიერი საშუალებები ეთიკურად ნეიტრალურია და შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ზნეობრივი, ისე უზნეო მიზნით. ეს უკანასკნელი ეწინააღმდეგება არაძალადობის კონცეფციას, ჰუმანურ სულისკვეთებას და არსს. მისი ზნეობრივი მიმართულება დამოკიდებულია საზოგადოებრივი წყობილების ხასიათზე. ავტორიტარულ და ტოტალიტარულ საზოგადოებაში ამ მეთოდებს აქვთ ზნეობრივი მიზნები, რადგანაც იმ მოქალაქეებს არა აქვთ საშუაება თავისუფლად გამოხატონ თავიანთი მოთხოვნები. დემოკრატიულ საზოგადოებაში ამისი საფუძველი არ არსებობს. სამართლებრივ სახელმწიფოში თითოეული მოქალაქის უფლებები და თავისუფლებები დაცულია, პიროვნებასაც აკისრია გარკვეული ზნეობრივი ვალდებულებები, ასე რომ, სამართლებრივი სახელმწიფო მოითხოვს საზოგადოების ზნეობრივი განვითარების გარკვეულ დონეს. პოსტკომუნისტურ რუსეთში მეშახტეებმა, ავიაციის მომსახურებმა ცხოვრების საერთო დაბალი დონის პირობებში გაფიცვების შედეგად მიაღწიეს მთელ რიგ ეკონომიკურ და სოციალურ პრივილეგიებს. ასევეა სამოქალაქო დაუმორჩიებლობა, ხელს უშლის ტრანსპორტის და სხვა ორგანიზაციების ნორმალურ მუშაობას, ნიშნავს კანონისადმი უპატივცემულობას. ასე რომ, დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფოს თვალსაზრისით, არაძალისმიერი, კანონის დამრღვევი პოლიტიკური ბრძოლის ფორმები ამორალურია. არადემოკრატიულ საზოგადოებაში არაძალისმიერი მოქმედება, თუ ის არ ემყარება ვიწროეგოისტურ, ჯგუფურ ინტერესებს, ჩაითვლება ზნეობრივ მოქმედებად. საგარეო ურ-

თიერთობაში ის გამოხატულებას პოულობს ახალი მსოფლიო წესრიგის შექმნის მისწრაფებაში. როგორც აღნიშნულია, იუნესკოს კონფერენციის (1986 წ.) „განცხადებაში არაძალისმიერი მოქმედების შესახებ“ თანამედროვე მეცნიერებამ დაამტკიცა, რომ ომი ან სხვა რომელიღაც ძალისმიერი მოქმედება არაა დაპროგრამებული გენეტიკურად ადამიანის ბუნებაში. ადამიანის ბიოლოგიური კონსტრუქცია არ უბიძგებს მას ძალადობისა და ომისაკენ, „როგორც ომები იწყება ადამიანების გონებაში“, ისე მშვიდობაც იწყება ჩვენს გონებაში. იმ სახემ, რომელმაც გამოიგონა ომი, შეუძლია გამოიგონოს მშვიდობაც. პასუხისმგებლობა ეკისრება თითოეულ ჩვენგანს.

ახლა განვიხილოთ თანამედროვეობის ძირითად პოლიტიკურ მიმდინარეობათა დოქტრინები. დავიწყეთ საუბარი ლიბერალიზმისა და კონსერვატიზმის, მათი დოქტრინებისა და პროგრამების შესახებ. ლიბერალიზმი ლათინური სიტყვაა. მისი ფუძეა „ლიბერ“, რაც თავისებურებას ნიშნავს. ლიბერალიზმი, როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა, დასაბამს დასავლეთ ევროპაში იღებს. იგი ჩაისახა ფეოდალური აბსოლუტიზმის წინააღმდეგ, ახალგაზრდა პროგრესული ბურჟუაზიისა და გაბურჟუებული თავადაზნაურობის ბრძოლის პირობებში.

ლიბერალიზმის სულიერ მამებად მიჩნეულნი არიან განმანათლებლების იდეოლოგთა ზომიერი ფრთის წარმომადგენლები ჯ. ლოკი, მ. მონტესკიე, ვოლტერი; კლასიკური ბურჟუაზიული პოლიტეკონომიის ფუძემდებლები: ა. სმიტი და დ. რიკარდო; საფრანგეთის დიდი რევოლუციის წლებში ლიბერალური ბურჟუაზიის წარმომადგენლები: ო. მირაბო, მ. ჟ. ლავაიტი ჟირონდისტები (რომლებიც, თავდაპირველად, წამყვან როლს თამაშობდნენ ამ რევოლუციაში, მოგვიანებით კი გადაიქცნენ ანტიდემოკრატიულ, შემდეგ კი კონსტრუქციულ (პოლიტიკურ ძალად).

XIX საუკუნის დასაწყისში ლიბერალიზმი დასავლეთ ევროპაში ცალკე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მიმდინარეობად ჩამოყალიბდა და ამავე საუკუნის ოციათი წლებიდან გავრცელდა ამავე სახელწოდებით.

ისტორიულ-ფილოსოფიური დოქტრინის ხასიათი ლიბერალიზმმა მიიღო საფრანგეთში, ცნობილი რესტავრაციის პერიოდში, იგი ბევრ ქვეყანაში გავრცელდა, მაგრამ განსაკუთრებით განვითარდა სამრეწველო კაპიტალიზმის კლასიკურ ქვეყანაში – დიდ ბრიტანეთში, სადაც ი. ბენტამმა პლეისიმ, ჯ. მილმა შეიმუშავეს მისი ეკონომიკური პროგრამა. XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში სამრეწველო კაპიტალიზმის დროინდელ „კლასიკური“ ლიქერალიზმი გარკვეულად მოდუნდა და ახალ პირობებს შეეგუა.

საერთოდ, ლიბერალიზმის განვითარების ისტორიულ გზაზე სამი ძირითადი ეტაპი შეიძლება გამოიყოს:

1. არისტოკრატიული ლიბერალიზმის პერიოდი, რომელიც დომინირებდა XVII საუკუნის ბოლოდან XVIII საუკუნის დასაწყისამდე;

2. დემოკრატიული ლიბერალიზმის პერიოდი, რომელიც XIX საუკუნის შუახანებში იყო გავრცელებული;

3. სოციალური ლიბერალიზმი, რომელიც XX საუკუნის 30-იანი წლებიდან იღებს სათავეს და დღემდე გრძელდება.

ლიბერალური დოქტრინების ამოსავალი თეზისია პიროვნების თავისუფლება, რომელიც უნდა გამოვლინდეს ცხოვრების ყველა სფეროში, მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური კანონზომიერებებით. მაგალითად, ეკონომიკურ სფეროში სამეურნეო საქმიანობის, მეწარმეობის სრული თავისუფლებით; პოლიტიკურში – კავშირები, გაერთიანებების შექმნის თავისუფლებით; სულიერ სფეროში მსოფლმხედველობის, რწმენისადმი ერთგულებისა და მისი შეცვლის თავისებურებებით.

ნებისმიერ ლიბერალურ-პოლიტიკურ დოქტრინაში ორი ძირითადი მომენტი დომინირებს: პირველი, მოქალაქეობის ლიბერალური ლიმიტირებულობა, როგორც პოლიტიკური ლიბერალიზმის დეკლარაცია და მეორე, სამეურნეო-საწარმოდო საქმიანობის შესაძლებლობა, ანუ ეკონომიკური ლიბერალიზმის დეკლარაცია.

პიროვნების თავისუფლების ფუძემდებლური თეზისიდან მომდინარე ლიბერალიზმის პოლიტიკური დოქტრინისათვის დამახასიათებელია: საზოგადოებრივი პროგრესისადმი ოპტიმისტური რწმენა, პიროვნების ინტერესების უზენაესობა (ინდივიდუალიზმი), პიროვნების განვითარება მისი თავისუფლებისა და ინიციატივის შემზღუდავი საზოგადოებრივი კავშირებისაგან და ბოლოს, კერძო საკუთრების, როგორც თავისუფლების საფუძვლის აღიარება.

კლასიკური ლიბერალიზმის თვალსაზრისით, თავისუფლება ადამიანის ბუნებრივი უფლებაა, რომელსაც განუხრელად უნდა იცავდეს ყველა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ინსტიტუტი და სწამდეს, რომ საკუთრება არის საზოგადოების ნორმალური ცხოვრების გადამწყვეტი პირობა. აღიარებს რა მეწარმის სრულ თავისუფლებას, კლასიკური ლიბერალიზმის შესაბამისად, გამოდის ნაციონალიზაციისა და გეგმური მეურნეობის წინააღმდეგ, სახელმწიფო აპარატის უფლებათა შესზღუდვის მოთხოვნებით.

კლასიკური ლიბერალიზმის რენესანსმა უშუალო შედეგად ნეოლიბერალიზმი დატოვა. იგი დასაბამს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იღებს. ნეოლიბერალურ დოქტრინებში გამოიკვეთა საბაზრო ეკონომიკისადმი სიმპათიის ტენდენცია. ამ მოძრაობის კლასიკოსებია: მ. ფრიდმანი, ზაიკკი, ლიფმანი და პოპპერი.

ნეოლიბერალიზმი მსხვილი ბიზნესის ინტელექტუალური წარმომადგენლების რეაქციაა ამ მოვლენებზე, რომელიც

უკანასკნელ პერიოდში თითქმის ყველა წამყვან კაპიტალისტურ ქვეყანაში განვითარდა. ეს რეაქცია ნეოლიბერალიზმის პოლიტიკურ დოქტრინებში შემდგენაირად ჩამოყალიბდა: 1. კაპიტალიზმის წინააღმდეგობათა გადალახვის გზა შეიძლება იყოს მისი ინტერვენციული მისწრაფებების გაძლიერება; 2. კაპიტალისტური საზოგადოების სრულყოფა არ შეიძლება განხორციელდეს საწარმოებსა და კოროპორაციებზე, სოციალური ვალდებულებების გადაკისრებით; 3. სახელმწიფოს ბიუჯეტის ზრდა არ უნდა ხდებოდეს საგადასახადო პოლიტიკის გაძლიერების ხარჯზე.

ამის შესაბამისად ძირითად ნეოლიბერალურ დოქტრინებში ჩამოყალიბდა ფუძემდებლური თეზისები:

– საზოგადოებაში ჯანსაღი კონკურენცია თავისუფალი მეწარმეობის, კერძო ინიციატივის ყოველმხრივი წახალისება;

– მოგების აბსოლუტიზაცია, როგორც კატეგორიისა, რომელსაც არაპროპორციული, მაგრამ საყოველთაო სიკეთე მოაქვს;

– ე.წ. საზოგადოებრივი დარვინიზმის ფართოდ დანერგვა, რომლის არსი იმაში მდგომარეობს, რომ წახალისდეს ყველა ეფექტური ეკონომიკური მექანიზმი, რომელიც უფლებას აძლევს მეწარმეებს და კოოპერაციებს, სახელმწიფოს შუამავლობის გარეშე, სოციალური გარანტია შეუქმნან მათთან დასაქმებულ ადამიანებს;

– ანტიკომუნისტური საქმიანობის გააქტიურება, როგორც ჯანსაღი, კაპიტალისტური ორგანიზმის დასაავადებლად გაჩენილი ბაცილის მოსპობის გარანტია (რა თქმა უნდა, ეს პუნქტი დომინირებდა სოციალიზმის სისტემის არსებობის პერიოდში).

ნეოლიბერალიზმის ამ ფუძემდებლურმა თეზისებმა კონკრეტულიზაცია პოვა მთელ რიგ ოფიციალურ სახელმწიფო (სამ-

თავრობო) დოქტრინებში. მაგალითად, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში შემუშავდა სპეციალური სახელმწიფო დოქტრინა, ე.წ. სოციალურ-სამართლებრივი სახელმწიფოს დოქტრინა, რომელშიც გამოცხადებულია, რომ კანონიერი დემოკრატიული სახელმწიფო უნდა წარმოადგენდეს მოქალაქეთა ინიციატივისა და თვითშემოქმედების ყოველმხრივი განვითარებისა და სოციალური დაცვის გარანტს.

ანალოგიური დოქტრინები შემუშავდა მთელ რიგ სხვა სახელმწიფოებში.

ცხადია, ლიბერალურ-პოლიტიკური დოქტრინების შეფასების ერთმნიშვნელოვანი კრიტერიუმი არ არსებობს, რადგან ისინი აშკარად განსხვავდებიან პროგრესულობის, კონსერვატულობისა და რეაქციულობის თვალსაზრისით, მაგრამ ყველა მათგანი შეიცავს ფუნდამენტურ თეზისს მესაკუთრეთა თავისუფლება, მოქალაქეთა ინიციატივისა და თვითშემოქმედების შეუზღუდავი განვითარების შესახებ.

ლიბერალიზმთან ერთად თანამედროვე მსოფლიოში გავრცელებულია კონსერვატიული იდეოლოგია და დოქტრინები. აგერ უკვე ორი ათეული წლის მანძილზე, კონსერვატიზმი ერთ-ერთ მნიშვნელოვან გავლენიან პოლიტიკურ ძალად გვევლინება, რომელიც მნიშვნელოვანწილად განაპირობებს საზოგადოებრივი განვითარების ხასიათს და მიმართულებას დასავლეთის ქვეყნებში.

კონსერვატიზმი, როგორც იდეურ-პოლიტიკური მიმდინარეობა, სათავეს საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროიდან იღებს. იგი გამოვლინდა, როგორც გავლენიანი სოციალური, ინტელექტუალური და პოლიტიკური წრეების რეაქცია იმ მოძრაობებზე, რომელმაც შეარყია ასეული წლის მანძილზე არსებული საზოგადოებრივი წყობის საფუძველი. ამის გამო, კონსერვატიზმი ზოგჯერ გათანაბრებული იყო იმ ძალებთან, რომლებიც დრომოჭმული წყობის რესტავრაციით იყ-

ნენ დაინტერესებულნი. თუმცა, ასეთი ინტერპრეტაციისათვის მაშინ გარკვეული საფუძველიც არსებობდა, შემდგომში კონსერვატიული დოქტრინების განვითარებამ და კონსერვატორთა პრაქტიკულმა საქმიანობამ ეს აზრი დაადასტურა.

ადამიანები, რომლებიც თავს კონსერვატორებად თვლიდნენ, რევოლუციონერებისგან თავის განსხვავებას იმაში კი არ ხედავდნენ, რომ რევოლუციონერები არსებული წყობის დამხობას ქადაგებდნენ, ხოლო კონსერვატორები მის შენარჩუნებას, არამედ იმაში, რომ მომწიფებული საზოგადოებრივი ამოცანების გადაჭრის გზები მათ სულ სხვადასხვაგვარად წარმოედგინათ. ტრადიციული კონსერვატიზმის აღიარებული კლასიკოსი, ინგლისელი ფილოსოფოსი ე. ბერკი ასე მსჯელობდა: „მაშინაც კი, როცა მე ვიცვლები მე უნდა შევნარჩუნდე“ მასვე მიაჩნდა „რომ სახელმწიფო, რომელიც არ ფლობს საკუთარი ცვლილებების შესაძლებლობებს, იგი თავის შენარჩუნების შესაძლებლობებსაც მოკლებულია“, ანუ კონსერვატორებს მიაჩნიათ, რომ რაც შეიძლება მეტად შენარჩუნდეს სახელმწიფო მართვის ძველი სტილი, ე.ი. საზოგადოებრივი წყობაც იმგვარად უნდა შეიცვალოს რომ მისი ძველი იერსახის გარკვეული ნიშნები დაცული დარჩეს. ამიტომ ამბობდა ინგლისელი მეცნიერი მ. ოკუშეტი: იყო კონსერვატორი, ნიშნავს უპირატესობა მიანიჭო ცნობილს – უცნობთან შედარებით; პრაქტიკით შემოწმებულს, გამოუცდელთან შედარებით; ფაქტს – მოგონილთან შედარებით; სინამდვილეს – შესაძლებლობასთან შედარებით; შემოფარგლულს – უსასრულოსთან შედარებით; ახლობელს – შორეულთან; ჩვეულებრივს – სრულყოფილთან; დღევანდელ დამაკმაყოფილებელს – უტოპიურ ღვთაებრივთან შედარებით და ა.შ.

სულ მალე, საფრანგეთის რევოლუციისა და პირველი ცდების შემდეგ, რაც ყველაზე რეაქციულმა მონარქიულმა ძალებმა განახორციელეს, კონსერვატიზმი წარმოჩინდა არა

იმდენად, როგორც რევოლუციის ანტიპოდი, რამდენადაც ლიბერალიზმისა და სოციალ-რეფორმიზმის ალტერნატივა.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში კონსერვატორებმა, უპირატესად, ორიენტაცია აიღეს სოციალური სახელმწიფოს (კეთილღობის სახელმწიფოს) შექმნაზე, რომელიც მოწოდებულია აქტიურად ჩაერიოს ქვეყნის ეკონომიკაში. ეკონომიკური პროგრამით კონსერვატორები საბოლოო ჯამში, ლიბერალიზმზე უფრო „მემარცხენეები“ აღმოჩნდნენ.

ბოლო წლებში, კონსერვატიზმმა მრავალი სახეცვლილება განიცადა, მაგრამ როგორც პოლიტიკური მიმდინარეობა, იგი არა თუ შენარჩუნდა, არამედ საგრძნობლად გაფართოვდა. თუმცა, სახელწოდება კონსერვატიული ოფიციალურად პარტიათა მხოლოდ მცირე ჯგუფს შემორჩა, მაინც შესაძინევია, რომ დასავლეთის ბევრი პოლიტიკური პარტია კონსერვატულ ღირებულებათა და ტრადიციათა ერთგული რჩება (ან მის აშკარა გავლენას განიცდის). ეს შეეხება ამერიკის შეერთებული შტატების რესპუბლიკურ პარტიასაც და მეორე მსოფლიო ომის შემდგომ შექმნილ ბევრ ახალ ბურჟუაზიულ პარტიასაც, როგორიცაა იაპონიის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია, გერმანიის ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტია და მთელი რიგი სხვა პარტიები.

მიმდინარე საუკუნის 70-იან წლებიდან იწყება ახალი ეტაპი კონსერვატიზმის განვითარებაში – ნეოკონსერვატიზმის პერიოდი. მეცნიერებასა და იდეოლოგიაში ნეოკონსერვატიზმის პოზიციების განმტკიცება თანხლებული იყო პოლიტიკურ ცხოვრებაში ნეოკონსერვატიული განწყობილების ზრდით. იგი განსაკუთრებით აშშ-ში და დიდ ბრიტანეთში იგრძნობოდა, სადაც ახალი მკაცრი კონსერვატიული დოქტრინებით თავიანთ პარტიებში მალე მოიპოვეს ლიდერობა რ. რეიგენმა, მ. თეთჩერმა და სხვებმა. თავისთავად, ამ ორი მოღვაწით ხელისუფლებაში ხანგრძლივად ყოფნა (8 წელი რეიგანი და

11,5 წელი თეთრერი) მეტყველებს ახალი მიმდინარეობის სიძლიერესა და პოპულარობაზე.

თუმცა, სხვა ქვეყნებში ნეოკონსერვატიზმი არ გამოვლინდა ასეთ გამოკვეთილ პერსონიფიცირებულ ფორმებში, მაინც, ახალი კონსერვატული ტალღა მოედო დასავლეთის ყველა, ან თითქმის ყველა ქვეყანას. იაპონიაში ამის მკაფიო გამოხატულება იყო ი. ნაკასონეს მთავრობა, რომელმაც დაიწყო ცნობილი ადმინისტრაციულ-საფინანსო რეფორმის განხორციელება. გერ-ში ამ ტენდენციის დამადასტურებელი იყო ჯერ სოციალ-დემოკრატების ჩამოშორება ხელისუფლებისაგან (1982 წ.) თავისუფალი დემოკრატების პარტიის ქრისტიანულ-დემოკრატიული და ქრისტიანულ-სოციალური კავშირის მხარეზე გადასვლის შედეგად და რამდენიმე თვის შემდეგ, ფედერალურ არჩევნებში ქრისტიანულ-ლიბერალური კოალიციის გამარჯვება. იქაც კი, სადაც ხელისუფლებაში (ან არჩევნებში) იმარჯვებდნენ სოციალ-დემოკრატები, ისინი იძულებულნი იყვნენ, ბევრი რამ გაეთვალისწინებინათ იქიდან რასაც ნეოკონსერვატორები მოითხოვდნენ, ეს, პირველ რიგში, შეეხება იტალიელ და პორტუგალიელ სოციალისტებს, აგრეთვე, საფრანგეთის სოციალისტებს, რომლებმაც გადაწყვიტეს 1981-1982 წლებში რიგი რეფორმები კონსერვატიზმთან ახლო მდგომი კურსით განეხორციელებინათ. მხოლოდ სკანდინავიაში ვერ შეძლეს ნეოკონსერვატორებმა მყარი პოზიციის შექმნა. თუმცა, სიძნელეები, რომელსაც აღიარებული „შვედური მოდელი“ აწყდება და იმ ღონისძიებების ხასიათი და შინაარსი, რომელიც ამ სიძნელეების დასაძლევად გამოიყენება, ნეოკონსერვატული იდეების გარკვეულ უნივერსალობას ადასტურებს.

ისმის კითხვა: რამ განაპირობა ესოდენ მოულოდნელი ცვლილებები დასავლეთის ქვეყნების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ განვითარებაში? პასუხი ასეთია: საზოგადოებ-

რივ-ეკონომიკური პროგრესის სოციალურ-რეფორმისტული მოდელი, რომელიც ხანგრძლივად არსებობდა (მთელი ომის შემდგომი პერიოდი), ვერ უზრუნველყოფდა საზოგადოების განვითარების მომწიფებელი პრობლემების ადექვატურ გადაწყვეტილებებს. როგორც ნეოკონსერვატორები ამტკიცებენ, ეკონომიკასა და სოციალურ ურთიერთობაში სახელმწიფოს აქტიურ ჩარევაზე ორიენტაციამ განაპირობა სახელმწიფოს „გადატვირთულობა“. ყველას და ყველაფრის ბიუროკრატიული რეგლამენტაცია, დააქვეითა, პირადი ინიციატივის როლი, ჩაახშო მეწარმეობისა და კონკურენციის უნარი, სოციალური გარანტიის განმტკიცებასა და პროფკავშირების როლის ამაღლებასთან ერთად, წარმოიშვა სოციალური უიმედობის, სხვის კმაყოფაზე ყოფნის განწყობა (განსაკუთრებით ქვედა ფენაში), შეასუსტა შრომისადმი სტიმული. სოციალური პარტნიორობიდან პროფკავშირები გადაიქცნენ ისეთ ძალად, რომელიც ჯგუფურ პროფესიულ ინტერესებს აყენებს მთელი საზოგადოების ინტერესებზე მაღლა... სოციალური და ეკონომიკური ფუნქციები, დახუნძლული სახელმწიფო იმდენად გიგანტურ და მოუქნელ აპარატად იქცა, რომ ვეღარ ახერხებს თავისი ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციის – საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, დამნაშავეობასთან ბრძოლის ფუნქციის განხორციელებას.

ნეოკონსერვატორთა ოპონენტები ყურადღებას იმაზე ამახვილებდნენ, რომ გამოდის რა დეცეპტიზაციის (სახელმწიფოს როლის შესუსტების) და სოციალურ-ეკონომიკური რეგულირების მექანიზმის დემონტაჟის მომხრედ ნეოკონსერვატორები, ამასთან ერთად, ყველამხრივ ქადაგებენ მეწარმეობის, ინდივიდუალური ინიციატივის, თავისუფალი კონკურენციის, „ვიქტორიანული მორალის“ პრინციპებს, ანუ გამოდიან ყველაფერ იმის მომხრედ, რაც საფუძვლად ედო „თავისუფალი კაპიტალიზმის“ ფუნქციონირებას გასული

საუკუნის მანძილზე. ნეოკონსერვატორები მტკიცედ ილაშქრებენ ინდივიდუალიზმის კოლექტივიზმთან, ელიტარიზმისა და სოციალური თანასწორობის დაპირისპირების წინააღმდეგ. ამ ფონზე რეიგანეკონომიკამ, „თეთჩერიზმმა“ და ნეოკონსერვატიზმის სხვა უფრო სუსტმა ვერსიებმაც, ძალიან სწრაფად მოიპოვეს საგრძნობი წარმატებანი ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნის, შრომის ნაყოფიერების ზრდის დარგში და დადებითი გავლენა მოახდინეს მთელი ხალხის კეთილდღეობაზე. წააწყდნენ რა სერიოზულ წინააღმდეგობებს განაიარაღებისა და დაძაბულობის გზაზე, კონსერვატორებმა გამოამჟღავნეს შორსგამიზნული და მკაფიო პოლიტიკის განსაზღვრის უნარი.

რაც უნდა წერონ და ილაპარაკონ ნეოკონსერვატორებმა და მათმა ოპონენტებმა, ფაქტი ისაა, რომ ხელისუფლებაში მყოფი ნეოკონსერვატორები რეალურად ახდენდნენ არა სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩარევის მექანიზმის დემონტაჟს, არამედ ცდილობენ მის მოქცევას უფრო „გონივრულ“, რაციონალურ ჩარჩოში, საბაზრო რეგულირების მექანიზმის ოპტიმალურ მოწვობას.

ერთი შეხედვით, კონსერვატორთა ყველაზე რეტროგრადული იდეები არა თუ დროული და პერსპექტიული აღმოჩნდნენ, არამედ განაპირობეს საზოგადოებრივ ურთიერთობათა არსებითი მოდერნიზება. ნეოკონსერვატორი იდეოლოგიებისა და პოლიტიკოსების მიერ გამოცხადებულმა „მესაკუთრეთა დემოკრატიის“ პრინციპმა განხორციელება დაიწყო მცირე ბიზნესის ყოველმხრივი სტიმულირების გზით – მოგებაში მონაწილეობის სხვადასხვა სისტემის გამოყენებით, აქციების განაწილებით, განსაკუთრებით იმ კომპანიებსა და სფეროებში, რომელსაც დენაციონალიზაცია შეეხო, მაგალითად, მ. თეთჩერის მთავრობის მოღვაწეობის პერიოდში აქციების მფლობელთა რიცხვი ასაკოვან მუშაუთა შორის 7 პროექტი-

დან, რაც 1974 წელს იყო 1990 წლისათვის 24 პროცენტამდე ავიდა. გაიზარდა წვრილი ფირმებისა და წარმოებების წილი, რომელშიც 80-იან წლებში მუშაკთა საერთო რიცხვის 80 პროცენტი იყო დასაქმებული.

დეკლარაციის და დებიუროკრატიზაციის პროცესის სხვა მხარეს წარმოადგენს თვით სახელმწიფო ხელისუფლებისა და სახელმწიფო აპარატის ფუნქციონირებაში მომხდარი ცვლილებები. სახელმწიფო აპარატის მუშაკთა რიცხვის შემცირებასთან ერთად (მ. თეთჩერის მთავრობის დროს სახელმწიფო მოსამსახურეთა რიცხვი ინგლისში შემცირდა 167 ათასი კაცით, ანუ 29 პროცენტით) მის საქმიანობაში აქტიურად დაინერგა მართვის ის მეთოდები, რომლებმაც თავისი ეფექტურობა კერძო ბიზნესის სფეროში დაადასტურეს. მსგავსი რამ მიმდინარეობს დასავლეთის სხვა ქვეყნებშიც.

„ნეოკონსერვატიული რევოლუცია“ გარკვეული ზომით, შეიძლება შეედაროს იმ „ახალ კურსს“, რომელსაც ამერიკის შეერთებულ შტატებში თ. რუზველტის ადმინისტრაცია და დასავლეთის ზოგიერთი სხვა ქვეყნის მთავრობა ახორციელებდა და რომელმაც ომისშემდგომ ათწლეულში ეს ქვეყნები და მთელი კაპიტალისტური ეკონომიკა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თვისობრივად ახალ მიჯნაზე გადაიყვანეს.

ერთხელ კიდევ განხორციელდა იმის თვალსაჩინო დემონსტრირება, რომ საზოგადოებრივ ურთიერთობათა უმნიშვნელოვანეს სფეროებში, ისეთებში, როგორცაა ურთიერთობა წარმოებაში, საკუთრებრივი ურთიერთობა და სამოქალაქო საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობა, თანამედროვე „დასავლეთის დემოკრატიები“ ინარჩუნებენ უნარს, საჭიროების შემთხვევაში განახორციელონ შესაბამისი გარდაქმნები მშვიდობიანი, ევოლუციური გზით, სწორი პოლიტიკური ანალიზის საფუძველზე. ეს, რა თქმა უნდა, არ

ნიშნავს, რომ გარდაქმნები თავისთავად ხორციელდება თავისებური „თვითგანვითარების“ გზით.

ახლაც, და განსაკუთრებით კი მაშინ, როცა ნეოკონსერვატული ტალღა ძალას იღებდა, იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ „ნეოკონსერვატული რევოლუცია“ მოასწავებს სრულ გადატრიალებას საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემაში, რომელიც მოწოდებულია დაანგრიოს წინათ გაბატონებული სოციალ-რეფორმისტული მოდელი და ქვა ქვაზე არ დატოვოს მისგან. სინამდვილეში ეს არ დადასტურდა, ისევე, როგორც არ გამართლდა საწინააღმდეგო მტკიცება იმის შესახებ, რომ ნეოკონსერვატიზმს თითქოს არაფერი კონსტრუქციული არ შეუქმნია და მისი „მისია“ მთლიანად ნეგატიური და დამანგრეველია. სინამდვილეში, ნეოკონსერვატიზმს ცვლილებებისკენ უფრო აქვს მისწრაფება, ვიდრე ნგრევისკენ, მას იმდენად არ უნგრევია, რამდენადაც შეცვალა. ენტიეტატიზმით გატაცებამ, მცირე და ტევადი დარგებისა და სოციალური ინფრასტრუქტურის სახელმწიფოებრივი სტიმულირების როლის შეუფასებლობამ აშშ-ში და დიდ ბრიტანეთში მნიშვნელოვნად განაპირობა იმ კრიზისული მოვლენების სიმწვავე, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ ქვეყნების ეკონომიკაში 80-იანი წლების ბოლოს. იგივე ეფექტი ახლდა კადრებისა და კვალიფიციური მუშახელის მომზადების დარგში, აქ გატარებულ ღონისძიებებს, ამ მიზნით სახელმწიფო სახსრების „ეკონომიკის“ კურსს და პირიქით, იქ სადაც „გამოსახელმწიფოებასთან“ ერთად ხორციელდებოდა სახელმწიფოებრივი რეგულირების მექანიზმის მოდერნიზაცია (რომლის მაგალითია იაპონიაში გატარებული ადმინისტრაციულ-საფინანსო რეფორმა), ნეოკონსერვატული პოლიტიკის უკუგდება მეტად შედეგიანი აღმოჩნდა, ასეთი სახის ეფექტი თვალსაჩინოდ გამოჩნდა გფრ-ის ძველ ფედერალურ მიწებზე და დასავლეთის მთელ რიგ სხვა ქვეყნებში. მათ შო-

რის იქ, სადაც მთავრობებს სოციალ-დემოკრატები ხელმძღვანელობდნენ. მიიღეს რა ნეოკონსერვატიზმის მთელი რიგი პოსტულატები სახელმძღვანელოდ სოციალ-დემოკრატები ხელმძღვანელობდნენ. მიიღეს რა ნეოკონსერვატიზმის მთელი რიგი პოსტულატები სახელმძღვანელოდ, ამ ქვეყნების მთავრობები არა მხოლოდ არ დადგნენ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნის აქტიური სტიმულირების მექანიზმის დემონტაჟის გზას, არამედ მთელი რიგი ღონისძიებები განახორციელეს მათი სრულყოფისათვის, ასეთი კურსის პოზიტიური შედეგები, კურსისა რომელიც ეფუძნება სოციალ-რეფორმისტული და ნეოკონსერვატული მიდგომის ურთიერთშეთანხმებას, თვალსაჩინოა, რაზეც მეტყველებენ ისეთი ქვეყნების სერიოზული ეკონომიკური წარმატებანი და სოციალური სიმწიფის დონე, როგორიცაა საფრანგეთი, ესპანეთი, იტალია და სხვა.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ნეოკონსერვატულ პოლიტიკას აშკარა წარმატება ახლავს არა იქ, სადაც მისი პრინციპების განხორციელებას ცდილობენ მთლიანად და „წმინდა“ სახით, არამედ იქ, სადაც იგი რეალიზდება არა ყველაფერი ძველის მსხვერვის, არამედ მხოლოდ იმის შეცვლისა და „გამოსწორების“ გზით, რომლებმაც რეალურად თავისი დრო მოჭამეს და აუცილებელ მოდერნიზებას საჭიროებენ.

ამასთან დაკავშირებით უპრიანი იქნებოდა ნაწილობრივ მაინც ყურადღება გავამახვილოთ იმ გარემოებებზე, რომელმაც კრიზისამდე მიიყვანა ნეოკონსერვატიზმის ყველაზე თანმიმდევრული და იდეოლოგიზებული ვარიანტი, როგორიც „თეთჩერიზმია“ მით უმეტეს, რომ იგი მიჩნეულია ნეოკონსერვატული სტრატეგიული პოლიტიკის ეტალონად. აქედან გამომდინარე, ბევრისთვის გაუგებარი რჩება, რატომ ჩამოშორდა მმართველობის საჭეს ამ სტრატეგიის ერთ-ერთი მთავარი არქიტექტორი და შემსრულებელი მ. თეთჩერი?

მ. თეთჩერის ხელმძღვანელობის პერიოდში (განსაკუთრებით 80-იან წლებში), ინგლისის მრეწველობაში შრომის ნაყოფიერება ყოველწლიურად იწოდებოდა საშუალოდ 5 პროცენტით, საშუალო ხელფასი დაახლოებით მესამედით (3,5 მილიონი ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნა), შესაბამისად, ამალდა ცხოვრების საერთო დონე.

მაგრამ კონსერვატორთა კაბინეტის საქმიანობას ნაკლოვანი მხარეებიც ჰქონდა, რომლის გამოვლენასაც ახლა ცდილობენ მეცნიერები და პოლიტიკოსები.

ცდილობდა რა, როგორც არ უნდა გაძნელებოდა, განეხორციელებინა „თავისუფალი არჩევის“ პრინციპი, რომლის თანახმადაც სახელმწიფო კი არა, თვითონ ინდივიდი წყვეტს, რაში დახარჯოს მის მიერ გამომუშავებული ფული, მათ შორის, სოციალური მომსახურების სფეროშიც, მ. თეთჩერის მთავრობამ მთელი მეცადინეობა იქითკენ წარმართა, რომ შეექმნა ან მთლიანად კერძო, ან კერძო-სახელმწიფოებრივი სოციალური მომსახურების სისტემა. ზეამოცანად, ამ შემთხვევაში, გამოცხადებული იყო ისეთი სიტუაციის მიღწევა, რომლის დროსაც უნიფიცირებული სახელმწიფო სისტემით ისარგებლებდნენ მხოლოდ ისინი, რომელთაც ამა თუ იმ მიზეზით, არა აქვს საშუალება, სხვაგან უზრუნველყონ თავიანთი თავის მომსახურება, რაც შეეხება სხვა დანარჩენ მოქალაქეებს, მათ უნდა გამონახონ საშუალება, დაზოგილი თანხა გაიღონ ან უზარმაზარი სოციალური სისტემის შესანახად (სოციალური დაზღვევისა და ჯანმრთელობის დაცვის ჩათვლით). ცხადია, ასეთი პოლიტიკა მალე შეეჯახა რეალურ წინააღმდეგობებს, საჭირო გახდა ამ პოლიტიკის კორექტირება. მეტიც, ამომრჩეველთა ძლიერი დაწოლის შედეგად, მთავრობა იძულებული გახდა, საგრძნობლად გაეზარდა ამ სისტემის შენახვისათვის გათვალისწინებული ხარჯები (მუნიციპალური საბინაო მშენებლობის გარდა). იმისათვის, რომ ამომრჩეველ-

თა სიმპათია დაემსახურებინა, ბოლო საარჩევნო მანიფესტში ხაზგასმით აღინიშნა იმის შესახებ, თუ რამდენად ხელგამწლილია თეთჩერის მთავრობა ლეიბორისტულ მთავრობასთან შედარებით (1974-1979 წწ.) ამ დარგის დაფინანსებაში მთავრობის საერთო ორიენტაციას, პირველ რიგში, კერძო მეწარმეობის და კერძო მოხმარების სტიმულირებაზე (შესაბამისად კი, სახელმწიფო და მუნიციპალური სოციალურ-ეკონომიკური სამსახურების და პროგრამების დაფინანსების „მეორადობას“), რა თქმა უნდა, არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა მთავრობის საქმიანობის საერთო შეფასებაზე. უკვე 1978 წელს თავი იჩინა ასეთი დისპროპორციების ნეგატიურმა შედეგებმა. გამოიკვეთა სოციალური კონტრასტები. ქვეყანაში ისევ დაიწყო მსჯელობა „ორი ერის“ შესახებ. უმრავლესობის კეთილდღეობის ზრდა თანხლებული იყო უმცირესობის ცხოვრების დონის სტაგნაციით და დაქვეითებითაც კი. სიღარიბის ზღურბლზე მყოფი ადამიანების რიცხვი 1979 წელთან შედარებით 55 პროცენტით გაიზარდა და რაოდენობრივად 9,4 მილიონს მიაღწია (მოსახლეობის საერთო რაოდენობის 17 პროცენტი). უბინაო ოჯახების რიცხვში თითქმის ორჯერ გაიზარდა (1978 წელს ინგლისში 112 ათასი უბინაო ოჯახი იყო). მწვავე პრობლემად იქცა განათლების მიღება და პროფესიონალური მომზადება. თუმცა, საერთო ხარჯები ამ საქმეში გაიზარდა, ინვესტიცია ამ ინფრასტრუქტურაში, 80-იან წლებში მაინც, დაახლოებით 10 პროცენტით დაბალი იყო. ქვეყანაში 6 მილიონამდე წერა-კითხვის უცოდინარი ადამიანი დაგროვდა, რომელთა გამოყენება დღეს ყველგან გართულებულია. იმის გამო, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი სათანადოდ არ სტაბილიზდებოდა, ქვეყნის პოზიციები შესუსტდა საგარეო ბაზარზე და იგი იძულებული იყო დიდი რაოდენობით მზა პროდუქცია შეესყიდა იაპონიასა და ევროპის თანამეგობრობის სახელმწიფოებში და ამერიკის შეერთებულ შტატებში.

აღსანიშნავია, რომ წიგნში, რომელიც გადადგომიდან ერთი წლის შემდეგ გამოცა, კონსერვატულ პარტიაში თეთჩერის მთავარმა მეტოქემ მ. კოზენტილიმ (იგი თავდაცვის მინისტრის პოსტიდან გადადგა 1986 წელს). მ. თეთჩერი მკაცრად გააკრიტიკა ნეოლიბერალური, ანტიეტატიზტური და პოლიტიკისადმი დოგმატური მიდგომისათვის და მოუწოდა, შეესწავლათ იაპონიისა და გფრ-ის გამოცდილება, რომელთა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიზანდასახულ კურსს ახორციელებდნენ. თეთჩერისა და მისი თანამოაზრეების პოზიციამ – უარი ეთქვა სოციალურ-ეკონომიკური პრობლემისადმი იდეოლოგიზირებულ მიდგომაზე და ხელი მოეკიდათ იმ გადახრების გამოსწორებისათვის, რომლებიც სახეზე იყო, განაპირობა მათი მთავრობის ავტორიტეტის მკვეთრი დაცემა და შინაპარტიული უთანხმოების სერიოზული გამწვავება, რამაც საბოლოო ჯამში მ. თეთჩერის გადადგომა გამოიწვია.

რა თქმა უნდა ეს არ ნიშნავს, რომ თეთჩერისა და რეიგანის პოლიტიკა მოქნილი და პრაგმატისტული ვერ იყო. თუნდაც ამ პერიოდში დადასტურდა, რომ თანამედროვე კაპიტალიზმმა შერეული ეკონომიკის რეგულირებადი ბაზრისა და სხვა ნეოკონსერვატული პრინციპების დანერგვით, რაღაც მეორე სუნთქვა შეიძინა, რომელიც რეალურად მტკიცე მომავალს უზრუნველყოფს. უფრო მეტიც, ის არსებითი შესწრებანი, რომელიც ნეოკონსერვატიზმს შეაქვს საზოგადოების „სოციალ-დემოკრატიზაციის“ პროცესში, საშუალებას იძლევა ვამტკიცოთ, რომ მიგნებულია საზოგადოების ის უნივერსალური დინამიური და თვით რეგულირებადი მოდელი, რომლის ჩარჩოშიც ნებისმიერი სახის საზოგადოება იარსებებს და განვითარდება.

ახლა განვიხილოთ თანამედროვე სოციალ-დემოკრატიის სამომავლო პროექტები კერძოდ „დემოკრატიული სოციალიზმის“ დოქტრინა. თანამედროვეობის ერთ-ერთი მნიშვნე-

ნელოვანი პოლიტიკური მოძრაობაა სოციალ-დემოკრატია. იგი რამდენიმე ქვეყანაში მმართველი პარტიაა, ზოგან კი, სერიოზული ოპოზიცია და ხელისუფლების რეალური პრეტენდენტი. რიგი სოციალ-დემოკრატიული პარტიების პროგრამაში გამოყენებულია როგორც „ტექნოიდლიური“, ასევე „კონვერგენტული“ კონცეფციები, რომელთაც შესაბამისი სოციალური ელფერი აქვთ მიცემული, შეიძლება ითქვას, რომ სოციალ-დემოკრატიას თავისი ფუტუროლოგია გააჩნია. თვით სოციალ-დემოკრატებს იგი ორიგინალურად და ალტერნატიულად მიაჩნიათ. მაგალითად, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის სახელმწიფო პროგრამაში ნათქვამია: „ჩვენს მოდელს (ლაპარაკია საზოგადოებრივ წყობაზე) წარმატებით განვითარებისა და სრულყოფის უნარი იმიტომ შესწევს, რომ იგი ალტერნატიულს წარმოადგენს, ერთი მხრივ, კაპიტალიზმის, მეორე მხრივ კი, კომუნიზმის მიმართ“.

სოციალ-დემოკრატიის მოძრაობის გენეზისი დაკავშირებულია მუშათა მოძრაობის გათიშვასთან და მეორე ინტერნაციონალის შემარჯვენე ოპორტუნისტული ლიდერების მარქსიზმიდან განდგომასთან. მას შემდეგ სოციალ-დემოკრატიულმა მოძრაობამ მარქსიზმთან ურთიერთობის რამდენიმე ეტაპი განვლო, მარქსიზმს ნახევრად აღიარებდნენ დაწყებული, მასთან სრულ გამიჯვნამდე. ახლანდელი ეტაპის თავისებურება ისაა, რომ მისი პარტიების უმრავლესობა, არა მხოლოდ აღიარებს მარქსიზმიდან მის გამიჯვნას, არამედ უარყოფს მარქსისა და ენგელსის დიალექტიკური მეთოდის გამოსადეგობას თანამედროვე სოციალურ სინამდვილეში გასარკვევად. მარქსიზმი მათ „არამეცნიერული წინასწარმეტყველების“ ფილოსოფიად მიაჩნიათ.

მაგალითად, ფ. მეტერანს მიაჩნია, რომ დღევანდელი მსოფლიოსათვის ფროიდის შრომები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მარქსის იდეები.

სოციალ-დემოკრატიის სხვა თეორეტიკოსებს, კერძოდ, გ. ვუტსა და გ. იუნკერს მიაჩნიათ, რომ შეზღუდულად მარქსიზმის გამოყენებაც შესაძლებელია.

ისევე, როგორც მეტეოროლოგებს შეუძლიათ გარკვეული პროგნოზი განსაზღვრონ ერთი ან ორი თვის მანძილზე მოსალოდნელი ამინდის შესახებ, მაგრამ არ ძალუძთ განსაზღვრონ იქნება წვიმა სწორედ ხვალ და თანაც ამა და ამ დროს, ამა და ამ ტერიტორიაზე ზუსტად, ასევე მარქსისტულ მეთოდს არ შეუძლია მომავლის კონკრეტული ამოცანების განსაზღვრა, მით უმეტეს, მათი სწორი შეფასება, აქედან გამომდინარე, სოციალ-დემოკრატია ასკენის: „დემოკრატიული სოციალიზმი“ არ უნდა დაეყრდნოს მარქსიზმს. მას „პოლიტიკური ამინდის“ შესწავლის საკუთარი მეთოდი უნდა ჰქონდეს, რომელიც თანამედროვე სიტუაციაში გარკვევის მეტ საშუალებას შექმნის, ვიდრე მარქსიზმი.

„დემოკრატიული სოციალიზმი“ არა მხოლოდ დაშორდა მარქსიზმს, არამედ შექმნა ახალი ფილოსოფია. ლაპარაკია ე.შ. კრიტიკულ რაციონალიზმზე, რომლის ფუძემდებლად გერმანელი პოზიტივისტი ჰოპპერი ითვლება. ინგლისელი ლეიბორისტი ბ. მეიჯი ამტკიცებს, რომ ჰოპპერის წიგნი „კვლევის ლოგიკა“ 1935 წელს იმთავითვე ინგლისურ ენაზე გამოცემულიყო (იგი 20 წლის შემდეგ თარგმნეს ინგლისურად), მთელი იმდროინდელი თაობის ფილოსოფია სრულიად სხვა იქნებოდა.

განათლებული ადამიანი ადვილად მიხვდება, რომ ბევრი იდეა, რომელსაც ჰოპპერი საფუძვლად იდებს, სხვადასხვა ფილოსოფიურ სისტემებში მანამდე დიდი ხნით ადრე იყო ცნობილი. საერთოდ, „კვლევის ლოგიკის“ ძირითადი იდეა სხვას არაფერს წარმოადგენს, თუ არა კლასიკური ფილოსოფიის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპის გადმოცემას სახე-შეცვლილ ფორმაში. პრინციპისა, რომელმაც ღრმა ანალიზი

ჰპოვა თუნდაც მარქსიზმის კლასიკოსთა შრომებშიც. ყოველი ცოდნა შეფარდებითია ადამიანის მიერ ბუნების, საზოგადოების, საკუთარი თავის შეცნობა უსასრულოა. ეს დებულებები დიდი ხანია აღიარებულია.

ჰობსპერმა მართლაც, შეიძლება გარკვეულად სრულყო წარმოდგენა სამყაროს შეცნობის გზებზე, მაგრამ სოციალ-დემოკრატიის თეორიის ფუძემდებლად მისი გამოცხადება შეიძლება გადაჭარბებული იყოს. მაინც რა არის სოციალ-დემოკრატიისათვის მომხიბვლელი ამ კონცეფციაში? ალბათ ის, რომ უარყოფს რა მტკიცე, დარწმუნებითი ცოდნის შესაძლებლობას და მაშასადამე, საზოგადოებრივი ობიექტური კანონების საფუძველზე წინასწარხედვის პერსპექტივებს, იგი ამით წარმოადგენს იდეურ ფილოსოფიურ ბაზას რეფორმისტული მოძღვრებისათვის. თანამედროვე დასავლეთ გერმანელმა სოციალ-დემოკრატმა პ. გლოტცმა სწორედ ამაზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ „კრიტიკული რაციონალიზმი“ ყველაზე მეტად რეფორმიზმის ამოცანებს პასუხობს.

ამრიგად, კრიტიკული რაციონალიზმის როლი სოციალური მოქმედების მეთოდების დასაბუთებადგეა დაყვანილი, რაც შეეხება შინაარსობრივ პროგრამას, აქ ჰობსპერი ისევე როგორც სხვა ნეოპოზიტივისტები, მნიშვნელოვანი იდეებით არ გამოირჩევა, შეიძლება უცნაურადაც გვეჩვენოს, რომ „დემოკრატიული სოციალიზმის“ იდეურ საფუძველად აღებულია დოქტრინა, რომელსაც არავითარი პრეტენზია არა აქვს, საკუთარი წარმოდგენა ჰქონდეს საზოგადოების მომავალზე. სოციალ-დემოკრატიზმის არსი სწორედ იმაშია, რომ იგი იქექება სხვადასხვა პოლიტიკურ პროგრამებში, შემოფარგლავს რა თავის ამოცანებს იმ პრობლემების შერჩევით, რომელიც ნაკლებცნობილი მიმართულებით წინსვლის საშუალებას შექმნის.

მაინც რა კონკრეტულ ამოცანებსა და საშუალებებზეა ლაპარაკი დემოკრატიული სოციალიზმის პროგრამულ დო-

კუმენტებში? უნდა აღინიშნოს, რომ ყოველი მსხვილი მასშტაბური სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა სხვა მოძრაობებისაგან ახლებური იდეებითა და ლოზუნგებით გამოირჩევა. თეორიული თვალსაზრისით, განსაკუთრებით აქტიურია გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია, ავსტრიის, საფრანგეთის სოციალისტური პარტიები, ინგლისის ლეიბორისტული პარტია. თავისებური ლოზუნგები ახლავს აგრეთვე სხვადასხვა ეროვნულ რაზმებს. როგორც კარლ რენერი ამბობდა: „რამდენი ქვეყანაცაა, იმდენი სოციალიზმი შეიძლება იყოს“. ეს სოციალ-დემოკრატიის სამოქმედო დევიზია.

სოციალ-დემოკრატიის იდეურ ბაზისად უნდა ჩაითვალოს რიგი საპროგრამო დოკუმენტები, რომლებშიც სოციალ-დემოკრატიის ძირითადი იდეებია ჩამოყალიბებული. მას მიეკუთვნება „სოციალისტური ინტერნაციონალური ფრანკფურტის დეკლარაცია“ (1951 წ.) გერმანიის სდპ გოდესბერგის პროგრამა (1951 წ.), ავსტრიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამა (1968 წ.), შვედი სოციალ-დემოკრატების პროგრამა (1960 წ.), დანიის სოციალ-დემოკრატიის პრინციპული პროგრამა (1961 წ.) საფრანგეთის სოციალისტური პარტიის სამთავრობო პროგრამა, ინგლისის ლეიბორისტული პარტიის პროგრამული დოკუმენტები და სხვა.

მას შემდეგ, რაც გსდპ გოდესბერგის პროგრამაში „დემოკრატიული სოციალიზმის“ აშენების განზრახვა გამოცხადდა, დასავლეთ-გერმანული სოციალ-დემოკრატიის წინაშე დადგა ამოცანა – კონკრეტულად განესაზღვრა თუ როგორ გადაეწყვიტა ეს ამოცანა. პირველ დოკუმენტს, რომელიც ამ საკითხებზე პასუხის გაცემის ცდა იყო, წარმოადგენს 1968 წელს ნიურბერგის ყრილობაზე მიღებული დეკლარაცია „სოციალ-დემოკრატიის პერსპექტივები 70-იანი წლებისათვის“. ამ დოკუმენტმა სრულყოფა განიცადა 1970 წელს საარბრიუკენის ყრილობაზე, რომელმაც კონკრეტულად იმსჯელა

პროგრამის რეფორმებად დაყოფაზე. ორი წლის შემდეგ კომისიამ, რომელსაც ჰელმუტ შმიდტი ხელმძღვანელობდა, გამოაქვეყნა „გსდპ ეკონომიკური პოლიტიკური ორიენტაციის პროექტი 1973-85 წლებისათვის“, რომელშიც კიდევ უფრო დაკონკრეტდა პრაქტიკულად გადასაწყვეტი ამოცანები.

შევეხით პირველ რიგში სოციალიზმის საკითხთა საკითხს – საკუთრების ფორმას სოციალიზმის დროს გოდესბერგის პროგრამაში ჩაწერილია, რომ კერძო საკუთრება წარმოების საშუალებებზე შეიძლება შენარჩუნებული და დაცული იქნეს სოციალიზმის დროს იმ ზომით, რა ზომითაც იგი ხელს შეუწყობს სოციალური სამართლიანობის შექმნას. სოციალ-დემოკრატიული ეკონომიკური პოლიტიკა მნიშვნელოვან ელემენტად გამოცხადებულია „თავისუფალი კონკურენცია და თავისუფალი საწარმოო ინიციატივა“. საგულისხმოა, რომ პროგრამის ავტორები სოციალური სამართლიანობის მიღწევას კერძო საკუთრების ლიკვიდაციის გარეშე ვარაუდობენ. ამ მხრივ კიდევ უფრო საგულისხმოა ავსტრიის სოციალ-დემოკრატიის ვენის პროგრამა, რომელიც ერთ-ერთი ძირითად მიზნად უკლასო საზოგადოების შექმნას აცხადებს და ამავე დროს, შეუზღუდველად ტოვებს კერძო საკუთრებასა და საბაზრო ურთიერთობებს.

რაც შეეხება სოციალიზმისათვის მეორე ცენტრალურ საკითხს – ხელისუფლების საკითხს, იგი ყველა ოფიციალურ დოკუმენტებში ფიგურირებს, თუმცა არც ერთ სოციალ-დემოკრატიულ პროგრამაში ამ საკითხზე მკაფიოდ ჩამოყალიბებული ერთმნიშვნელოვანი აზრი არ არსებობს. ამიტომ აუცილებელია ბევრი საპროგრამო დებულებების შეჯერება (სადაც ლაპარაკია სახელმწიფო ხელისუფლების პოზიტიური და ნეგატიური მხარეების, სახელმწიფოებრიობისა და ეკონომიკის თანაფარდობის, სახელმწიფოსა და პროფკავშირების, სახელმწიფოს და პოლიტიკური პარტიების ურთიერ-

თობის შესახებ) რათა გავერკვეთ სოციალ-დემოკრატიის სახელმწიფოსადმი დამოკიდებულების საკითხში. მაგალითად გსდპ „პროგრამა 85“ საკმაოდ კრიტიკულადაა შეფასებული სახელმწიფოს როლი, რომელიც „ღამის დარაჯის“ მსგავსად, მუდამ უნდა ფხიზლობდეს, რათა არაფერი გამოეპაროს, რაც მის სამოქმედო უბანზე ხდება.

გერმანული პროგრამის ავტორები არ ეთანხმებიან იმას, ვინც სახელმწიფოს მთლიანად კლასობრივ ინსტრუმენტად მიიჩნევს და არც იმათ, ვინც საერთოდ უარყოფს სახელმწიფოს კლასობრივ არსს, მისი ზეკლასობრივ ორგანოდ გამოცხადებით. პროგრამების ავტორები აკრიტიკებენ მათ, ვინც სახელმწიფოს სოციალური გარდაქმნის მთავარ იარაღად მიიჩნევს და ამავე დროს ამტკიცებენ, რომ არ შეიძლება სახელმწიფოს როლის სრული უგულებელყოფა ამ საქმეში.

სოციალ-დემოკრატიული თეორიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი კრაისკი, ამ მოძრაობის განვითარების ისტორიულ გზაზე სამ სტადიას გამოყოფს: პირველი მოიცავს გასული საუკუნის მიწურულს, როცა სოციალ-დემოკრატია, ძირითადად, საგანმანათლებლო როლს ასრულებდა. კერძოდ, შეეგნებინებინა პროლეტარიატისათვის თავისი ისტორიული მისია და ებრძოლა პოლიტიკური დემოკრატიისათვის. მეორე სტადიიდან (დაახლოებით XX საუკუნის დასაწყისი) იგი უკვე იბრძოდა აქტიური პოლიტიკურ და გავლენიან ძალად გადაქცევისათვის და დიდი წვლილიც შეიტანა „საყოველთაო კეთილდღეობის“ საზოგადოების შექმნისათვის ბრძოლაში და ბოლოს, მესამე (ახლანდელი ეტაპი), როცა სოციალ-დემოკრატიის ძირითადი ამოცანაა მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების დონეზე მყოფი საზოგადოების საყოველთაო დემოკრატიზაციის მიღწევა.

„რაც უნდა იყოს“ – ამისი მიღწევა ფრთხილ და გაზომილ მეცადინეობას საჭიროებს. საყურადღებოა, რომ კრაისკი

ცნებას – „სოციალური დემოკრატია“ – იყენებს, როგორც „დემოკრატიული სოციალიზმის სინონიმს, ხოლო როცა მოძრაობის მიზნის ახსნას ცდილობს, არ მაღავს, რომ ეფუძვება საზოგადოებრივი ცხოვრების „სოციალიზირებული“ ფორმების ეფექტურობა. მაგალითად, აცხადებს რა სოციალ-დემოკრატიის ერთ-ერთ ძირითად ამოცანად სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნას საკმაოდ ფართო სოციალური ფუნქციებით, იგი გვაფრთხილებს, რომ ეს ფუნქციები არ შეიძლება იყოს უსაზღვრო, რამდენადაც იგი დამოკიდებული იქნება სახელმწიფოს უნარზე – დააფინანსოს სხვადასხვა სოციალური ღონისძიებანი. „საუკეთესო რეფორმებიც კი შეიძლება დარჩეს ქალაქზე, თუ ჩვენ იმდენად მდიდრები არ ვიქნებით, რომ არა მხოლოდ თანაბრად გადავანაწილოთ სოციალისტური რეფორმების ტვირთი, არამედ ჩვენი მხრებით ვატაროთ იგი“, – აცხადებს კრაისკი. როგორც ვხედავთ, საკმაოდ აშკარა მინიშნებაა იმაზე, რომ სოციალისტები თავშეკავებულნი უნდა იყვნენ თავისი იდეალების განხორციელებაში, რათა არ მოშალონ ეკონომიკა, რომელიც კერძო მწარმოებლურობასა და ინიციატივას ეფუძნება.

კრაისკის აზრით, „დემოკრატიული სოციალიზმისათვის“ ის კი არ არის მთავარი და მნიშვნელოვანი, თუ ვინ ფლობს წარმოების საშუალებებს, არამედ ის, თუ ვინ ახორციელებს კონტროლს მასზე. ეს არგუმენტი ახალი არ არის. იგი საკმაოდ პოპულარულია „ტექნოიდოლისტებს“ შორის. „დემოკრატიული სოციალიზმი“ პრაქტიკულად ნიშნავს, რომ კონტროლს წარმოების საშუალებებზე უნდა ახორციელებდეს მხოლოდ ის, ვინც სინამდვილეში მას ფლობს.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიის საპროგრამო დოკუმენტებში, კერძოდ „პროგრამა 85“-ში დემოკრატიული სოციალიზმის აგების ამოცანა არსებითად სამი მიმართულებითაა განსაზღვრული. ესენია: თავისუფლება, სამართლიანობა,

სოლიდარობა. თუ დანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის „პრინციპული პროგრამის“ მიხედვით ვიმსჯელებთ, „დემოკრატიული სოციალიზმის“ მიზანია ადამიანის განთავისუფლება ყოველივე იმისგან, რაც მის სრულყოფილ განვითარებას უშლის ხელს, ან კიდევ პირობების შექმნა, რომელიც მას მომავლისადმი რწმენას შთაუწერგავს, სოციალური ოპტიმიზმის განწყობას შეუქმნის და პიროვნების რეალურ თავისუფლებას უზრუნველყოფს. პიროვნების თავისუფლება ყველა შემთხვევაში უნდა შეხამებული იყოს საზოგადოების წინაშე მის შეგნებულ პასუხისმგებლობასთან. ამისათვის აუცილებელია შესაბამისი საზოგადოებრივი პირობების შექმნა, რომელიც დანიელი სოციალ-დემოკრატების აზხრით, მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა ზრუნვა ყველასადმი ყოველგვარ კერძო ინტერესებზე მაღლა დგას და კანონებით არის განმტკიცებული.

მიზანი, როგორც ვხედავთ, საკმაოდ მიმზიდველია, მით უმეტეს, როცა მისი მიღწევის გზები და საშუალებანი კონკრეტულადაა განსაზღვრული. მაგალითად, ფფრ-ის საპროგრამო დოკუმენტებში მითითებულია, რომ ის იბრძვის ისეთი ამოცანების განხორციელებისათვის, როგორიცაა: სულიერი და პოლიტიკური თავისუფლების მიღწეული დონის შენარჩუნება და მისი შემდგომი განვითარება; ეკონომიკის შემდგომი განვითარების უზრუნველყოფა საქონლისა და მომსახურების ხარისხის თვისობრივ გაუმჯობესებასთან ერთად; ეკონომიკის საზოგადოებრივი კონტროლისადმი დაქვემდებარება; დაქირავებული შრომის მუშაკთა შემოსავლის თანაბარზომიერი და სამართლიანი განაწილების უზრუნველყოფა; ყველა მოქალაქის უზრუნველყოფა სამუშაო ადგილით ან უნარის მიხედვით მისი გამოჩენა; ცხოვრების, შრომისა და დასვენების თანაბარი პირობების შექმნა საზოგადოების ყველა სოციალური ჯგუფისათვის (განსაკუთრებით ქალისათვის).

როგორც ვხედავთ, დემოკრატიული სოციალიზმის აგების პრაქტიკული ამოცანები ნათელი და სწორხაზოვანია, თუმცა მისი პრაქტიკული განხორციელების დროს ყველა სოციალურ-დემოკრატიული პარტია ვერ ახერხებს ერთიანი სიმტკიცით და თანმიმდევრობით იბრძოლოს ჭეშმარიტი დემოკრატიული სოციალიზმის მიღწევისათვის.

მთელ რიგ სოციალისტურ პარტიებში აშკარად შეიმჩნევა რეფორმებით გატაცება, მერყეობა საზოგადოების გარდაქმნის რადიკალურ ღონისძიებათა გატარებისათვის. ასეთ პოზიციას კარგად გამოხატავს გოდესბერგის პროგრამა, სადაც ნათქვამია: „კერძო საკუთრება ყველგან, სადაც ეს შესაძლებელია და საზოგადოებრივი რეგულირება. ეკონომისტი რ. ვერზინი აღნიშნავს, სოციალ-დემოკრატიის მიზანია წარმოების იმგვარი მოწყობა, რომ იგი მაქსიმალურად პროდუქტიული იყოს. ხოლო მისგან მიღებული მოგება საზოგადოების წევრებს შორის სამართლიანად განაწილდეს, ანუ მაქსიმალური ნაყოფიერება, მაქსიმალური მოგება და მაქსიმალური სამართლიანი განაწილება.“

რა თქმა უნდა, სოციალ-დემოკრატიის რიგებში სხვა მიმართულებებიცაა, რომლებიც საკმაოდ მტკიცედ და თანმიმდევრულად იბრძვიან წარმოების საშუალებებზე, კერძო საკუთრების მოსპობისა და ხელისუფლების მშრომელთა ხელში გადასვლისათვის. ამის მაგალითია ფინური, შვედური და ავსტრიული სოციალიზმის რეალური მდგომარეობა. ასეთი პრაქტიკის ფონზე მით უმეტეს, გასარკვევია, რა განაპირობებს იმ გაორებას, რასაც ადგილი აქვს სოციალ-დემოკრატი-აში როგორც იდეურ-პოლიტიკურ მიმდინარეობაში. ან კიდევ როგორი შეიძლება იყოს ამის გათვალისწინებით მისი პერსპექტივა? ყველაზე ზოგადი სახით იგი ასე შეიძლება განისაზღვროს: სოციალ-დემოკრატიულ რევოლუციურ პოზიციებზე თანდათანობით გადასვლის პირობებში მას შეუძლია მნიშვნე-

ლოვანი კონსტრუქციული როლი ითამაშოს საზოგადოების მოწყობაში, ხოლო თუ მისთვის ტონის მიმცემი იქნება ის მარჯვენა ფერი, რომელიც რეფორმისკენ იხრება, მაშინ იგი მაქსიმალურად შეზღუდავს „სოციოთერაპიის“ ამოცანებს, რომელიც საზოგადოებრივ-ეკონომიკური წყობის ძირეული შეცვლისკენაა მიმართული და არაფერი დარჩება გასაკეთებელი გარდა იმისა, რომ გაიყოს კაპიტალისტურ საზოგადოებაში თანამონაწილეობის ფუნქცია, ბუნებრივია, ამ შემთხვევაში ადამიანები სერიოზულად დაფიქრდებიან იმაზე, რომ დაუკავშირონ თუ არა თავიანთი ბედი სოციალ-დემოკრატიას.

ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში და თვით ყოფილ საბჭოთა კავშირში სოციალიზმის პრაქტიკამ დაადასტურა, რომ ბევრი დევიზი და ლოზუნგი ზეპირ განცხადებებად რჩება და ფრთას ვერ ისხამს რეალურ ცხოვრებაში, რაც კიდევ უფრო ზრდის მასების მერყეობას, მომავლის რწმენას უკარგავს მათ. ნებისმიერი დოქტრინის სიცოცხლისუნარიანობა პრაქტიკამ უნდა დაადასტუროს, ეს, პირველ რიგში, ეხება „დემოკრატიული სოციალიზმის“ დოქტრინას, რომელიც დღესდღეობით საკმაო პოპულარობით სარგებლობს სოციალ-დემოკრატთა შორის და არა მარტო მათ შორის.

პოლიტიკური სისტემა

პოლიტიკური სისტემის არსი
საზოგადოების პოლიტიკური სისტემის სტრუქტურა
პოლიტიკური პარტიები
პოლიტიკური ურთიერთობანი
პოლიტიკური შეგნება.

ნებისმიერი საზოგადოების პოლიტიკურ სისტემას მრავალი მექანიზმი აქვს, რომელიც მისი სიმყარისა და სიცოცხლისუნარიანობის გარანტიას ქმნის. ამ მექანიზმების დახმარებით ხდება იმ სოციალური წინააღმდეგობებისა და კონფლიქტების გადაწყვეტა, რომელიც შეიძლება საზოგადოებაში წარმოიშვას. იგივე მექანიზმების დახმარებით ხდება სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფების, მოძრაობებისა და ორგანიზაციების ძალისხმევის კოორდინირება, საზოგადოებრივ ურთიერთობათა თანწყობა, მიიღწევა საზოგადოების განვითარების მიზნებისა და მიმართულებების კონსენსუსი.

იგივე მექანიზმების წყალობით, საზოგადოება მთლიანად, ან მისი მმართველი ელიტა წინააღმდეგობას უწევს დესტრუქციულ სოციალურ ძალებს, იგერიებს ყოველგვარ ხელყოფას მოცემული საზოგადოებრივი წყობის პრინციპებსა და საფუძველზე.

პოლიტიკურად გაცნობიერებულმა ადამიანმა უნდა იცოდეს, თუ რას წარმოადგენს საზოგადოების პოლიტიკური სისტემა და როგორ ფუნქციონირებს იგი, როგორია მისი გარეგნული და ფარული მექანიზმები, როგორია ის რეალური ფაქტორები, რომლებიც მის დინამიკაზე ახდენენ გავლენას.

მაშ ასე: საზოგადოების პოლიტიკური სისტემა წარმოადგენს გარკვეულ სტრუქტურას, რომლის ელემენტებიც ურთიერთდაკავშირებულნი არიან და ქმნიან მყარ ერთობას. კა-

ტეგორია „პოლიტიკური სისტემა“, გამოხატავს პოლიტიკურ მოქმედებას, არის მეცნიერული და ხაზს უსვამს საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრების სისტემურ ხასიათს.

პოლიტიკური სისტემა საზოგადოებრივი ცხოვრების მეტად რთული, მრავალმხრივი მოვლენაა. მას ერთ-ერთი უპირველესი ადგილი უჭირავს საზოგადოების სხვა სისტემებს შორის. პოლიტიკური სისტემის თეორიის შექმნა შესაძლებელი გახდა პოლიტიკურ მეცნიერებაში სისტემური ანალიზის მეთოდის შემოღების შედეგად. პოლიტიკურ მეცნიერებაში სისტემური მეთოდი პირველად გამოიყენა XX საუკუნის 50-იან წლებში ამერიკელმა პოლიტოლოგმა დ. ისტონმა. მანვე შექმნა პირველად პოლიტიკური სისტემის თეორია, რომელიც შემდგომ განავითარეს გ. ალმონდმა, კ. დოინმა, რ. დალიმ და სხვ.

პოლიტოლოგიაში არ არსებობს პოლიტიკური სისტემის ერთიანი განსაზღვრა. მეცნიერები სხვადასხვა თვალსაზრისით განმარტავენ მას და ყურადღებას ამახვილებენ მის ცალკეულ მნიშვნელოვან მხარეებზე. ერთი ნაწილი ყურადღებას ამახვილებს პოლიტიკური სისტემის ინსტიტუციონალურ ასპექტზე და განიხილავს მას პოლიტიკური ინსტიტუტების ერთობლიობად. მეორენი მას იკვლევენ პოლიტიკური ხელისუფლების ასპექტით, რომელიც დაკავშირებულია სახელმწიფოს მიერ დაკანონებულ იძულებაზე, რომლის მეშვეობით ხორციელდება ადამიანთა ურთიერთობების რეგულირება. მესამე შეხედულებით პოლიტიკური სისტემა განიხილება, როგორც ღირებულებების ავტორიტარული განაწილება საზოგადოებაში.

3. შარანის აზრით, პოლიტიკური სისტემა მოიცავს პოლიტიკური მოღვაწეობის სფეროს ყველა პირსა და ინსტიტუტს, რომლებიც მონაწილეობენ პოლიტიკურ პროცესში. ფ. ბურლაკისა და ა. გალკინის შეხედულებით, პოლიტიკუ-

რი სისტემა მოიცავს მოცემული საზოგადოების ჩარჩოებში ორგანიზებული პოლიტიკური მოღვაწეობისა და პოლიტიკური ურთიერთობების ყველა მთავარ მხარესა და ელემენტს. დ. ზერკინის აზრით, პოლიტიკური სისტემა არის პოლიტიკური სუბიექტების ორგანიზებულ ურთიერთობათა ერთობლიობა ერთიან ნორმატიულ-ღირებულებით საფუძველზე, რომელიც დაკავშირებულია ხელისუფლების რეალიზაციასა და საზოგადოების მართვასთან.

პოლიტიკური სისტემის განსაზღვრის დროს ყურადღება უნდა მივაქციოთ სამ ძირითად მხარეს, რომლის გარეშე წარმოდგენელია ნებისმიერი ტიპის პოლიტიკური სისტემის ფორმირება და ფუნქციონირება. ესენია: 1) პოლიტიკური ინსტიტუტები, რომლებიც პოლიტიკური სისტემის ორგანიზაციულ მხარეს წარმოადგენენ; 2) ინდივიდები და სოციალური ჯგუფები, რომლებიც პოლიტიკური სისტემის სუბიექტები არიან; 3) პოლიტიკური ურთიერთობა პოლიტიკური სისტემის სუბიექტებისა, რომლის მეშვეობით ხორციელდება პოლიტიკური ხელისუფლება.

ამრიგად, პოლიტიკური სისტემა არის პოლიტიკურ ინსტიტუტების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ნორმებისა და ღირებულებების ერთობლიობა, რომლის მეშვეობით ხორციელდება პოლიტიკური სუბიექტების ხელისუფლებრივი ურთიერთობა, რომელიც მიზნად ისახავს ღირებულებების განაწილებას საზოგადოებაში.

ნებისმიერი სისტემა, მათ შორის პოლიტიკური, ხასიათდება შემდეგი ნიშნებით: სისტემა შედგება მრავალი ნაწილისაგან, ნაწილები შეადგენენ ერთიან მთელს, სისტემას გააჩნია საზღვრები.

სოციალური სისტემის ნებისმიერი სახეობა ითვალისწინებს მისი ელემენტების ისეთ ურთიერთკავშირს, რომელიც ქმნის, წარმოშობს განსაზღვრულ მთლიანობას, ერთიანობას.

ეს ნიშნავს სისტემაში შემაჯავალი სუბიექტების (საზოგადოებრივი ჯგუფები, ორგანიზაციები, ინდივიდები) ერთიანობას სპეციფიკური ნიშნებით, რომლებიც ახასიათებენ სისტემას და მის ცალკეულ ელემენტებს. ამასთანავე ეს ნიშნები არ დაიყვანება სისტემაში შემაჯავალი ელემენტების თვისებების ჯამზე, თავის მხრივ, ელემენტების თვისებები არ გამოიყვანება მთელის ნიშნებისაგან.

პოლიტიკური სისტემის ურთიერთქმედების პროცესი გარემომცველ გარემოსთან ხორციელდება სამ ციკლად: „შესასვლელი“, „გარდაქმნა-კონვერსი“ და „გამოსასვლელი“ . დ. ისტონი განასხვავებს „შესასვლელის“ ორ სახეს: მოთხოვნილებები და მხარდაჭერა. მოთხოვნილებები მიმართულია ხელისუფლების ორგანოებისადმი, სადაც გამოხატულია შეხედულებანი საზოგადოებაში ღირებულებებისა და რესურსების სასურველი და არასასურველი განაწილების გამო. მოთხოვნილებები შეიძლება იყოს პოლიტიკური ხასიათის, მაგალითად, უსაფრთხოების, უფლებებისა და თავისუფლებების, თანასწორუფლებიანობის, მონაწილეობის უზრუნველყოფის და ა.შ. ეკონომიკური ხასიათის მოთხოვნები გულისხმობს ხელფასის მომატებას, სამუშაო დღის შემცირებას და ა.შ. დ. ისტონი მოთხოვნილებებს ჰყოფს ორ ჯგუფად: 1) გარეგანი, რომელიც მომდინარეობს გარემოდან და 2) შინაგანი, რომელიც თვით სისტემიდან მოდის.

მხარდაჭერა გულისხმობს პოლიტიკური სისტემისადმი ლოიალურ დამოკიდებულებას, მოქმედებებს, რომლებიც მიზნად ისახავენ მის დაცვას, გაბატონებული ღირებულებებისადმი მიმხრობას.

„გამოსასვლელ“ ფაქტორებს განეკუთვნება გადაწყვეტილებები და მოქმედებები. „შესასვლელის“ შემდეგ ხორციელდება გარემოს ზემოქმედების პროცესი პოლიტიკურ სისტემაზე. ამას მოჰყვება სისტემის რეაქცია მოთხოვნილებებზე და

მხარდაჭერაზე. შესაბამისად, „გამოსასვლელთან“ გამოდის გადაწყვეტილებები და მოქმედებები ხელისუფლებისა, რომლებიც გულისხმობენ ღირებულებებისა და რესურსების განაწილებას ისინი შეიძლება არსებობდნენ ახალი კანონების, გადაწყვეტილებების, დაფინანსების სახით და ა.შ. ასე რომ, დაძაბულობის შენელების უმთავრესი მექანიზმია უკუკავშირი, ხელისუფლების რეაგირება მოთხოვნილებებზე.

გ. აღმონდმა პოლიტიკური სისტემის კვლევისას გამოიყენა სტრუქტურულ-ფუნქციონალური მეთოდი, რომელიც ითვალისწინებს შემავალი და გამოშვალვი ფაქტორების ანალიზს იმ ფუნქციების თვალსაზრისით, რომელიც ჩადებულია თვით სისტემაში: ვინ? რომელი სტრუქტურები? როგორ ფუნქციებს ასრულებენ? და რანაირად? მისი შეხედულებით, პოლიტიკური სისტემა – ეს არის სისტემა ურთიერთქმედებისა, რომელიც ასრულებს ინტეგრაციისა და ადაპტაციის ფუნქციებს როგორც საზოგადოების შიგნით, ისე მის გარეთ.

პოლიტიკური სისტემა ეკონომიკური სისტემისაგან განსხვავებით, ძირითადად ყალიბდება მიზანმიმართულად. ამასთანავე, პოლიტიკური სისტემა მოქმედებს რაციონალურ საფუძველზე. ვინაიდან პოლიტიკური სისტემა წარმოადგენს ხელისუფლების განხორციელების, მოქალაქეთა უმრავლესობის, ინტერესების დაცვისა და რეალიზაციის ინსტრუმენტს სხვა საზოგადოებრივ სისტემებთან მიმართებაში, ის გამოდის, როგორც დომინირებადი სისტემა. მისი ასეთი როლი განისაზღვრება იმ გარემოებით, რომ პოლიტიკური სისტემის ჩარჩოებში მიღებული გადაწყვეტილებები სავალდებულოა ყველა სხვა სისტემისათვის. ეკონომიკური სფერო, სოციალური სტრუქტურები, ყველა ესინი ეყრდნობიან პოლიტიკურ სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს მათ ორგანიზებულობას, ლეგიტიმურობას. ამ აზრით, შეიძლება

ვილაპარაკოთ პოლიტიკის პირველობაზე საზოგადოებრივი ორგანიზაციების სხვა სისტემებთან მიმართებაში.

საკუთრივ პოლიტიკური სისტემაც განიცდის გავლენას სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურებისაგან, დამოკიდებულია მათზე. ეს, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება იმაში, რომ მისი მატარებლები არიან გარკვეული სოციალური ჯგუფები, ფენები და ა.შ. პოლიტიკური სისტემა, როგორც აღვნიშნეთ. რეაგირებას ახდენს შემოსულ ინფორმაციაზე შესაბამისი ცვლილებებით, კორექტივებითა და სხვა გადაწყვეტილებებითა და მოქმედებებით, რომლებიც ხორციელდებიან საზოგადოებაში არსებული ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის საფუძველზე. საზოგადოების პოლიტიკურ სისტემას ისე, როგორც სხვა სისტემებს, აქვს შესაძლებლობა და უნარი მოახდინოს საკუთარი თავის თვითრეგულირება, თვითგანახლება და კვლავწარმოება.

პოლიტიკური სისტემის შესაძლებლობებს გ. აღმონდი მისი ფუნქციონირების პირველ დონეს მიაკუთვნებს. ეს შესაძლებლობები მას ესმოდა როგორც სისტემის ხელისუფლება საზოგადოებაზე.

გ. აღმონდი გამოყოფს შესაძლებლობათა ხუთ ტიპს:

1) ექსტრაქტიული შესაძლებლობა. იგი გულისხმობს სისტემის მიერ განსაზღვრული მიზნით ადამიანური და მატერიალური რესურსების გამოყენებას. ესაა ის რესურსები, რომლებიც დაკავშირებული არიან სისტემის არსებობასთან. მასში შედის ადამიანების ტალანტი, მათი შესაძლებლობები და უნარი, მხარდაჭერა, ეკონომიკური და ფულადი რესურსები და ა.შ.

2) სისტემის რეგულირებადი შესაძლებლობა, მასში იგულისხმება სისტემების უნარი გააკონტროლოს და დაარეგულიროს ცალკეული ადამიანების, ჯგუფების, მთლიანად საზოგადოების ქცევა და მოღვაწეობა;

3) დისტრიბუტორი ანუ განაწილებითი შესაძლებლობა მოიცავს რესურსების განაწილებასა და გადანაწილებას. ესაა შესაძლებლობა შექმნას, აწარმოოს, გაანაწილოს მატერიალური და არამატერიალური ღირებულებები საზოგადოებაში.

4) პოლიტიკური სისტემის რეაგირებადი შესაძლებლობა გულისხმობს სოციალური გარემოს ცვალებად მოთხოვნელებებზე მუდმივი პასუხის გაცემის აუცილებლობა.

5) სიმბოლიზირებული შესაძლებლობა მჭიდროდაა დაკავშირებული ლეგიტიმურობასა და მხარდაჭერის ს მოთხოვნასთან, რომელიც აუცილებელია სისტემის მიზნების განხორციელებისათვის.

პ. შარინი უმატებს პოლიტიკური სისტემის კიდევ ერთ შესაძლებლობას. ესაა სისტემის თვითრეგულაცია, რომელიც ახასიათებს შინაგან, საკუთარ თავზე მიმართულ მართვას.

სისტემის ფუნქციონირების მეორე დონე გამოხატავს იმას, რაც თვითონ მასში ხდება, ნაგულისხმევია კონვერსიული პროცესი. ეს პროცესები ის საშუალებებია, რომლითაც შემაჯავლი ფაქტორები გადაიქცევიან ამომავალ ფაქტორებად.

პოლიტიკური სისტემის მესამე დონის დროს გ. ალმონდს მხედველობაში აქვს მოდელის მხარდაჭერისა და ადაპტაციის ფუნქციები, რომელსაც განეკუთვნება სოციალიზაციისა და რეკრუტირების პროცესი.

საზოგადოების პოლიტიკური სისტემის მთავარი ფუნქციაა საზოგადოების მართვა, სახელმწიფოს პოლიტიკური ხელმძღვანელობის ფუნქცია, რომელიც ვლინდება სტრატეგიული მიზნებისა და საზოგადოებრივი განვითარების პერსპექტივების განსაზღვრაში.

პოლიტიკური სისტემა მართვის სისტემაა. ის არეგულირებს საზოგადოებრივ ურთიერთობებს, როგორც მართვის სისტემა, მისი მოქმედება მოიცავს მიზნების დასახვასა და

მის საფუძველზე სოციალური ინსტიტუტების მოღვაწეობის გეგმების შემუშავებას. აქვე უნდა გვქონდეს მხედველობაში იხიცი, რომ პოლიტიკის სფერო არ არის უნივერსალურად მიზანმიმართული. აქ ხშირად ადგილი აქვს სტიქიურ მოვლენებს.

პოლიტიკური სისტემა საზოგადოებაში ასრულებს ინტეგრაციულ ფუნქციას, უზრუნველყოფს ყველა სოციალური ჯგუფისა და ფენის გარკვეულ ერთიანობას. პოლიტიკური სისტემის მნიშვნელოვანი ფუნქციაა აგრეთვე ეკონომიკის პროგრესისა და ფუნქციონირებისათვის აუცილებელი პოლიტიკური პირობების შექმნა.

პოლიტიკური სისტემის დევდს, მის ცენტრალურ ელემენტს წარმოადგენს პოლიტიკური ხელისუფლება, იმის მაგივრად, როგორც ეკონომიკურ სისტემაში საკუთრებაა, პოლიტიკური ხელისუფლების საფუძველი – სახელმწიფოა.

პოლიტიკური სისტემა არ არსებობდა პირველყოფილი წყობილების დროს, მისი წარმოშობა მონათმფლობელურ საზოგადოებასთან ერთად ხდება. ამ უკანასკნელის ფორმირება კი კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობასთან არის დაკავშირებული. მონათმფლობელური საზოგადოების პოლიტიკური სისტემა შედარებით მარტივია და მის მთავარ შინაარსს სახელმწიფო წარმოადგენს. მონათმფლობელური საზოგადოების პოლიტიკური სისტემა შედარებით მარტივია და მის მთავარ შინაარსს სახელმწიფო წარმოადგენს. მონათმფლობელობიდან ფეოდალიზმზე გადასვლასთან ერთად იცვლება საზოგადოების პოლიტიკური სისტემა. ფეოდალთა კლასი თავის პოლიტიკურ სისტემას ახორციელებს და იგი ჩაგრული კლასის, გლეხობის წინააღმდეგაა მიმართული. ხელისუფლება, თუმცა, არის გარკვეული ცდა მეფის ხელისუფლების შეზღუდვისა, ამის მაგალითი იყო მე-12 საუკუნის ბოლოს საქართველოში თამარ მეფის დროს. როდესაც ყუთლუ

არსლანის დასის მოთხოვნით ქვეყანაში იქმნება წარმომადგენლობითი ორგანო ან მისი ჩანასახი „კარავი“. ასეთივე ორგანო იქმნება მე-13 საუკუნის დასაწყისში ინგლისში იოანე უმიწოს დროს, როცა მეფის ხელისუფლება იზღუდება მანგუს ქართო ლიბერტოტუმ – თავისუფლების დიადი ქარტიით.

საზოგადოების პოლიტიკური სისტემა ძირეულად იცვლება ბურჟუაზიულ საზოგადოებაში. აქ ხალხის მონაწილეობა სახელმწიფო მმართველობაში აშკარად იცვლება ამ უკანასკნელის სასარგებლოდ. შეზღუდული მეფის ხელისუფლება იცვლება ხალხების წარმომადგენლობითი ორგანოთი – პარლამენტით, როგორც საკანონმდებლო ორგანოთი, და აღმასრულებელი ხელისუფლებით – მთავრობის ან სახელმწიფოს მეთაურით. წინა საზოგადოებრივ ფორმაციებში, როგორც ზემოთ აღინიშნა, პოლიტიკური სისტემა მარტივია და სახელმწიფოს სახითაა წარმოდგენილი, ხოლო კაპიტალისტურში კი, იგი რთული და მრავალფეროვანია.

პოლიტიკური სისტემის ან პოლიტიკური ხელისუფლების, როგორც ამ სისტემის ფუძემდებლური ელემენტის გამოყოფა, შესაძლებლობას ქმნის განისაზღვროს ამ სისტემის სხვა კომპონენტები, ანუ მთლიანად მისი სტრუქტურა და საზღვრები. პოლიტოლოგები, უმეტესად, პოლიტიკური სისტემის ელემენტთა სამ ძირითად ჯგუფზე მიუთითებენ. ესაა პოლიტიკური ინსტიტუტები (ორგანიზაციები, დაწესებულებები); პოლიტიკური ურთიერთობანი; პოლიტიკური ნორმები და პრინციპები; პოლიტიკური შეგნება და პოლიტიკური კულტურა. განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე.

პოლიტიკურ სისტემაში, უწინარეს ყოვლისა შედიან პოლიტიკური ინსტიტუტები (ორგანიზაციები, დაწესებულებები), რომლებიც დაკავშირებული არიან პოლიტიკური ხელისუფლების ფუნქციონირებასთან. პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი მონაწილეობისა და ხელისუფლების რეალიზაციის

დონის გათვალისწინებით. ასეთი ორგანიზაციების სამი სახე შეიძლება გამოიყოს: 1) საკუთრივ პოლიტიკური; 2) არასაკუთრივ პოლიტიკური; 3) არაპოლიტიკური.

საკუთრივ პოლიტიკური ორგანიზაციები პირდაპირ და უშუალოდ ახორციელებენ პოლიტიკურ ხელისუფლებას მთელი მოცულობით, ან ცდილობენ განხორციელებას. ხელისუფლების განხორციელება ან ბრძოლა ხელისუფლებისათვის მთავარია მათ საქმიანობაში.

საკუთრივ პოლიტიკურ ორგანიზაციებს წარმოადგენენ სახელმწიფო პოლიტიკური პარტიები.

არასაკუთრივ პოლიტიკურს წარმოადგენს ორგანიზაციები, რომელთა საქმიანობა თუშეცა დაკავშირებულია პოლიტიკური ძალაუფლების განხორციელებასთან, მაგრამ ეს მათი ფუნქციების ერთ-ერთი ასპექტია და არა ერთადერთი. ამის მაგალითს წარმოადგენს პროფესიული კავშირები: სსრ კავშირში ასეთი იყო, კომკავშირული ორგანიზაციები, კოოპერაციები და სხვა.

არაპოლიტიკური ორგანიზაციები, ფუნქციების სპეციფიკურობის გამო, პოლიტიკური ხელისუფლების განხორციელებაში, არსებითად მონაწილეობენ (ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებები, შემოქმედებითი კავშირები, თეატრალური საზოგადოებები და სხვა).

პოლიტიკური სისტემის ინსტიტუციონალური საფუძვლების დახასიათებისას განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს საკუთრივ პოლიტიკური ორგანიზაციების როლი, მათ შორის წამყვანი ადგილი სახელმწიფოს უჭირავს. სწორედ იგი გამოდის მთელი სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლად, მხოლოდ ის ფლობს სუვერენიტეტს ანუ უზენაესობას სახელმწიფოს საზღვრების ფარგლებში და დამოუკიდებლობას მის გარეთ, სახელმწიფო ხელისუფლება პოლიტიკური სისტემის ხელშესახები ძირითადი კომპონენტია, რომე-

ლიც თავის უშუალო გამოხატულებას ავლენს ჩინოვნიკების, არმიის, ადმინისტრაციული ორგანოების, მოსამართლეების, ანუ იმ ატრიბუტების სახით, რომლებიც მოცემულ საზოგადოებაში სისტემის ფუნქციონირებას უზრუნველყოფენ.

საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ პოლიტიკური პარტიები. იგი ნებისმიერი განვითარებული პოლიტიკური სისტემის ატრიბუტია. ისინი წარმოადგენენ გარკვეული კლასებისა და სოციალური ფენების ინტერესებისა და მიზნების გამომხატველ ორგანიზაციებსა და აქტიურ მონაწილეობას იღებენ პოლიტიკური ხელისუფლების ფუნქციონირებაში, რამდენადაც მათზე ახდენენ პირდაპირ და უშუალო ზეგავლენას.

პარტიების საქმიანობის მიზანია უზრუნველყონ თავიანთი იდეალებისა და პროგრამების გარშემო სხვადასხვა სოციალური ძალების ინტეგრაცია: იდეოლოგიური ზეგავლენა მოახდინონ მასების განწყობასა და მათი პოლიტიკური შეგნებულობის ჩამოყალიბებაზე.

რა თქმა უნდა, პოლიტიკური პარტიების ერთ-ერთი ძირითადი მიზანი და მისწრაფება სახელმწიფო ხელისუფლების მოპოვებაა. პოლიტიკური პარტია, როცა იგი მმართველი ხდება, მონაწილეობს ქვეყნის პოლიტიკური კურსის შემუშავებასა და განხორციელებაში, სახელმწიფოს ლიდერის შერჩევასა და სამთავრობო დაწესებულებების შემადგენლობის დაკომპლექტებაში. მმართველი პარტიები კადრებით უზრუნველყოფენ საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ორგანოებს.

დღევანდელ მსოფლიოში მოქმედი პარტიები მეტად მრავალფეროვანია, არცთუ ისე იშვიათად ურთიერთსაწინააღმდეგოდ, როგორც სოციალური შემადგენლობით, ისევე მიზნებითა და ფუნქციებით, იდეალებითა და პროგრამული მიმართულებებით, შინაგანი აგებულებითა და პოლიტიკურ

სისტემაში კუთვნილი ადგილით. სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით შეიძლება გამოიყოს კონსერვატიული, ლიბერალური, რეფორმისტული და რევოლუციური პარტიები; ბურჟუაზიული, წვრილბურჟუაზიული, მუშათა და გლეხთა მასობრივი და საკადრო; დემოკრატიული და ტოტალიტარული; ღია და დახურული, ავანგარდული და პარლამენტური, წარმომადგენლობითი და კიდევ ბევრი სხვა.

ყველა ტიპოლოგიას როდი აქვს ერთნაირი შემეცნებითი მნიშვნელობა, მაგრამ ისინი ასახავენ პოლიტიკური სინამდვილის სხვადასხვა მხარეს და საშუალებას იძლევიან, განისაზღვროს კონკრეტული პარტიების ადგილი და საშუალებას იძლევიან, განისაზღვროს კონკრეტული პარტიები და როლი საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებაში. დღეს განსაკუთრებით საჭირობოა ერთპარტიულობისა და მრავალპარტიულობის თანაფარდობის საკითხი. დასავლეთის პოლიტოლოგები აშკარა უპირატესობას მრავალპარტიულ სისტემას ანიჭებენ, მიაჩნიათ რა იგი უფრო დემოკრატიულად, შესაბამისად ამისა, ერთპარტიული სისტემიდან მრავალპარტიულზე გადასვლა განიხილება, როგორც ნაბიჯი დემოკრატიის თანამიმდევრული განვითარების გზაზე. ასეთი მსჯელობა არც თუ ისე უსაფუძვლოა, მაგრამ აქ ზოგადი პრინციპების მნიშვნელობა არ გამოგვადგება. საკითხი იმის შესახებ, რომ მოცემულ საზოგადოებაში ერთი პარტია უნდა ფუნქციონირებდეს თუ რამდენიმე, აბსტრაქტული პრინციპების საფუძველზე არ შეიძლება გადაწყდეს. სოციალურად დიფერენცირებული საზოგადოებისათვის მრავალპარტიულობა, ალბათ უფრო ადეკვატურია, მხედველობაში აუცილებლად უნდა მივიღოთ ის, რომ ერთპარტიული თუ მრავალპარტიული სისტემის ჩამოყალიბებაზე კონკრეტულ-ისტორიული ხასიათის მთელი რიგი ფაქტორები ზემოქმედებენ – სოციალური ძალების განლაგება და თანაფარდობა; უკვე არსებული პარტიის

(პარტიების) საქმიანობით მასების კმაყოფილება თუ უკმაყოფილება; სხვადასხვა სოციალური ჯგუფების მზადყოფნა თუ მოუმზადებლობა საკუთარი პოლიტიკური პარტიის შესაქმნელად; პოლიტიკური თავისუფლების მიღწეული დონე; საზოგადოების პოლიტიკური კულტურა; დემოკრატიული ტრადიციების არსებობა და ა.შ.

როგორც ცნობილია, ყოფილ საბჭოთა კავშირში მთელი რიგი ობიექტური და სუბიექტური გარემოებების ზეგავლენით, ჩამოყალიბდა ერთპარტიული სისტემა და ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ოფიციალური იდეოლოგია მას სრულიად მიზანშეწონილად, მეტიც, საბჭოთა სოციალისტური სისტემის უპირატესობად თვლიდა, თუ ზოგიერთ ქვეყანაში საბჭოთა სოციალისტური მოდელისგან ოდნავი გადახრა იმაში გამოიხატა, რომ კიდევ რომელიმე პარტია შენარჩუნდა, ხელმძღვანელის როლი მაინც მარქსისტულ პარტიას რჩებოდა. ყველა დანარჩენი პოლიტიკური პარტიები „უმცროსი“ ძმის როლში გამოდიოდნენ. ცხოვრებამ უარყო ეს არარეალური წარმოდგენა საბჭოთა საზოგადოების სისტემის უპირატესობაზე მისი ერთპარტიულობის გამო.

მრავალპარტიული სისტემის ჩამოყალიბების პროცესი, განსაკუთრებით ჩვენგვარ საზოგადოებაში, რომელსაც არა აქვს დემოკრატიული განვითარების გამოცდილება და დემოკრატიული ტრადიციები, არ შეიძლება მარტივი და უმტკივნეულო იყოს. ამ მხრივ ყურადღება უნდა მიექცეს ორ გარემოებას: ერთი, საზოგადოებაში მრავალპარტიულობა არ შეიძლება ჩამოყალიბდეს ერთბაშად, რამდენიმე დღის მანძილზე, აუცილებელია ერთპარტიულობიდან მრავალპარტიულობაზე გარდამავალი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც უნდა შეიქმნას სამართლებრივი წინამძღვრები, პირველ რიგში, პოლიტიკური პარტიების შესახებ კანონის სახით, უნდა დავრწმუნდეთ, რომ მასობრივი საზოგადოებრივი ცნო-

ბიერებისათვის მრავალპარტიულობის იდეა მისაწვდომად მისაღებად, უნდა ვადროთ საზოგადოებაში დემოკრატიული ატმოსფეროს იმ დონეზე ჩამოყალიბება, რომ მოქალაქეებს გამოუმუშავდეთ ელემენტარული დემოკრატიული ნორმებისა და პროცედურის დაცვის ჩვევა.

მეორე, მრავალპარტიული სისტემის ნორმალური ფუნქციონირება შესაძლებელია მხოლოდ საზოგადოების საბაზო ღირებულებების, საზოგადოებრივი აზრის მიერ მათდამი გადასწვევით მხარდაჭერისა და საზოგადოების ძირითადი პოლიტიკური ძალების მხრივ ამ ღირებულებათა აღიარების პირობებში. ძნელია იმის წარმოდგენა, რომ სახელმწიფოს საჭესთან მონაცვლეობდნენ პარტიები, რომლებიც საწინააღმდეგო მსოფლმხედველობრივ და პოლიტიკურ პოზიციებზე დგანან: დღეს სახელმწიფოს მართავდეს პარტია, რომელიც მხოლოდ კერძო საკუთრების ბატონობას ცნობს, ხოლო ხვალ – მის შემცვლელად ის პარტია მოვიდეს, რომელიც მხოლოდ სახელმწიფო საკუთრებას აღიარებს ყველა შესაბამისი თანმხლები შედეგებით და ა.შ.

აღბათ, საინტერესოა გააანალიზოთ სხვა ქვეყნების გამოცდილებანი. არის თუ არა დღეს თანამედროვე დასავლეთის ინდუსტრიულ სისტემაში ძირითადი პოლიტიკური ძალების მეტოქეობა ხელისუფლების საჭესთან მონაცვლეობაზე? უდავოდ ასეა, მაგრამ იგი მიმდინარეობს საზოგადოების წინაშე მდგომი ამოცანების გადაწყვეტის პრიორიტეტების საბაბით; სპეციფიკური სოციალური ინტერესების, მათ შორის თვით გაბატონებული კლასის სხვადასხვა ფრაქციების ინტერესების დაკმაყოფილების პირველრიგანობის საბაბით; ზოგადკლასობრივი ინტერესების განხორციელების მეთოდებისა და „თბილი ადგილების“ (რომელსაც სახელმწიფო ძალაუფლების მოპოვება უზრუნველყოფს) განაწილების საბაბით.

მაგრამ მთავარი პოლიტიკური პარტიების პაექრობა არ მოიცავს მხოლოდ გაბატონებული კლასების ინტერესებს. ამ პარტიების უკან მდგომი მმართველი წრეები, ისევე როგორც თვით ეს პარტიების, ერთნაირნი არიან საზოგადოების ორგანიზაციის ძირითადი იდეალების, ღირსებებისა და პრინციპების ცნობაში, კერძო საკუთრების დომინირების აღიარებაში. სწორედ ეს განაპირობებს ამ პარტიათა თანამშრომლობას მთავარსა და ძირითადში – დაიცვან არსებული წყობა, გამორიცხონ საზოგადოების დამანგრეველი სოციალური და პოლიტიკური კონფლიქტები, შეინარჩუნონ კონსენსი და პოლიტიკური სტაბილურობა.

პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების გარდა, საზოგადოების პოლიტიკური სისტემის შემადგენლობაში შედიან პოლიტიკური ურთიერთობანი, ისინი წარმოადგენენ სხვადასხვაგვარ საზოგადოებრივ ურთიერთობებს და ყალიბდებიან პოლიტიკური ცხოვრების პროცესში ან მისი მეშვეობით. სუბიექტური შემადგენლობის მიხედვით პოლიტიკური ურთიერთობანი შეიძლება სამ ჯგუფად დაიყოს.

პირველ რიგში, ეს არის ურთიერთობა კლასებს, ერებს და სახელმწიფოს შორის. კლასები პოლიტიკური პარტიების დამოუკიდებელ სუბიექტებს წარმოადგენენ. კლასთაშორისი, შიდაკლასობრივი და ერთაშორისო ურთიერთობაში პოლიტიკური სისტემის საფუძველია და აისახება შესაბამისი პოლიტიკური ორგანიზაციების ფუნქციონირებასა და მათ ურთიერთდამოკიდებულებაში.

მეორე ჯგუფს შეადგენენ ის ურთიერთობანი, რომელთა ერთ-ერთი მხარეა მოცემულ საზოგადოებაში ფუნქციონირებადი პოლიტიკური ორგანიზაცია, ეს ე.წ. ვერტიკალური ურთიერთობანია. ისინი ყალიბდებიან პოლიტიკური ხელისუფლების განხორციელების, ხელმძღვანელობისა და მართვის ორგანოთა სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკურ და კულ-

ტურულ სფეროებზე ზეგავლენის პროცესში. მათ, აგრეთვე, დიდი მოვალეობა აკისრიათ პოლიტიკური სისტემის არსისა და სოციალური ფუნქციის, პოლიტიკური ხელისუფლების განხორციელების მეთოდების განსაზღვრაში.

პოლიტიკურ ურთიერთობათა მესამე ჯგუფი მოიცავს ურთიერთობებს, რომლებიც ყალიბდებიან პოლიტიკურ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს შორის. ზოგჯერ სწორედ ეს ურთიერთობანი, პოლიტიკურ ორგანიზაციებთან ერთად, აფართოებენ პოლიტიკური სისტემის ცნებას.

პოლიტიკური სისტემის არსებით ელემენტს წარმოადგენენ პოლიტიკური პრინციპები და ნორმები. ისინი მისი ნორმატიული საფუძველია. რამდენადაც განსხვავდებიან ურთიერთისაგან პოლიტიკური რეჟიმები (მაგალითად, ტოტალიტარიზმი და პოლიტიკური პლურალიზმი), იმდენადვე სხვადასხვაგვარია შესაბამისი პოლიტიკური სისტემის ნორმები და პრინციპები.

მოცემული ნორმები ახდენენ პოლიტიკურ ურთიერთობათა რეგულირებას, აწესრიგებენ მათ, განსაზღვრავენ პოლიტიკური სისტემის განმტკიცების თვალსაზრისით სასურველსა და არასასურველს, შესაძლებელსა და მიუღებელ ქცევის ნორმებს. უდავოა, რომ ნებისმიერ საზოგადოებაში შეიძლება იყვნენ ისეთი სოციალური ძალები რომლებიც სხვა პრინციპებსა და ნორმებს ემხრობიან, ვიდრე გაბატონებული – მმართველი ძალა, ეს ძალები ცდილობენ და ზოგჯერ აღწევენ კიდევ არსებული სისტემის დესტაბილიზირებას.

პოლიტიკურ პრინციპებსა და ნორმებში ოფიციალურ აღიარებას პოულობენ მრავალი სოციალური ინტერესები და პოლიტიკური ღირებულებები. თავის მხრივ, ამ პრინციპებისა და ნორმების მეშვეობით პოლიტიკურ-ხელისუფლებით სტრუქტურების საზოგადოებამდე, სოციალურ ჯგუფებამდე და ცალკეულ პიროვნებამდე დაჰყავთ თავიანთი მიზანი, მიღე-

ბული პოლიტიკური გადაწყვეტილების მიზანშეწონილობა და სთავაზობენ მათ ქცევის თავისებულ მოდელს, რომლითაც პოლიტიკურ ცხოვრების ყველა მონაწილე უნდა ხელმძღვანელობდეს.

პოლიტიკურ პრინციპებსა და ნორმებში გარკვეული აკრძალვებისა და შეზღუდვების, ინტერესთა შეთანხმებებისა და შეხამების გზით, ის ძალები, რომლებიც მოცემულ საზოგადოებაში დომინირებენ, არეგულირებენ პოლიტიკურ ურთიერთობებს, მისი მეშვეობით კი საერთოდ, საზოგადოებრივი ურთიერთობების ყველა მხარეს. ასე ხორციელდება პოლიტიკური საქმიანობა სუბიექტთა შეგნებისა და ქცევის ჩამოყალიბება, მათში პოლიტიკური სისტემის მიზნისა და პრინციპების შესაბამისი განწყობის განმსაზღვრელი ნორმებისა და პრინციპების განხორციელება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დემოკრატიული საზოგადოების პირობებში, რომლის პოლიტიკური ცხოვრება დისკუსიების პირობებში მიმდინარეობს.

საზოგადოების პოლიტიკური სისტემის ელემენტების რიცხვს მიეკუთვნება პოლიტიკური შეგნება (ცნობიერება) და პოლიტიკური კულტურა. ყალიბდება რა კონკრეტული სოციალური და პოლიტიკური პრაქტიკის ზეგავლენით და, უწინარეს ყოვლისა, წარმოადგენს რა მის ასახვას, პოლიტიკური ცხოვრების მონაწილეთა წარმოდგენები, ღირებულებებითი ორიენტაციები და განწყობილებანი, ემოციები და რწმენა-ჩვევები ძლიერ ზეგავლენას ახდენენ მათ ქცევაზე და მთლიანად პოლიტიკურ დინამიკაზე, ამიტომ საზოგადოების მართვისა და ხელმძღვანელობისას, მასების პოლიტიკური განწყობილების გათვალისწინება ძალიან მნიშვნელოვანი მომენტია.

ახლო წარსულში ჩვენი საზოგადოება ნამდვილი ეიფორიის მდგომარეობაში იყო. დემოკრატიზაციის პროცესის ინტერესები თანხლებული იყო მასების პოლიტიკური აქტი-

ურობის არნახული ზრდით, მაგრამ, სასტარტო პოზიციაზე ეროვნული მთავრობის აშკარა ჩავარდნებმა, შეცდომებმა პოლიტიკაში, შეპირებული სიკეთის გაურკვეველი დროით გადავადებამ, საერთოდ, იმედების გაცრუებამ, პოლიტიკურ-მმართველობითი სტრუქტურებისა და სახელმწიფოს ლიდერებისადმი უნდობლობამ, მოსახლეობის ფართო მასებში გამოიწვია პოლიტიკური ცხოვრებისადმი ინტერესების მკვეთრი დაქვეითება. შესაბამისად, შენელდა საერთო ცხოვრების ტემპი და ინტენსივობა.

ყველა პოლიტიკოსსა და პოლიტიკურ ხელისუფლებას უნდა შეგნებული ჰქონდეს, რომ მასების ფსიქოლოგიის ინორირებას ყოველთვის განსაკუთრებული უარყოფითი შედეგები ახლავს და მან შეიძლება გადამწყვეტი გავლენა იქონიოს მოცემული პოლიტიკური სისტემის ცხოველმყოფელობასა და სტაბილურობაზე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის შეგნებაც, რომ მასების განწყობა ერთსახოვანი და უცვლელი არ არი. მასამ შეიძლება რომელიმე ძალას, მეორე, უფრო ბოროტ ძალასთან შეფარდებაში მისცა უპირატესობა, მაგრამ მართო ეს არაა საკმარისი, რომ ეს განწყობა ბოლომდე შენარჩუნდეს. უფრო ბოროტის შეცვლა ნაკლებ ბოროტით (თუკი ასეთი საერთოდ არსებობს) ვერ შეინარჩუნებს დადებით განწყობას მის მიმართ.

მასების განწყობას მუდმივად უნდა თვალყურის დევნება. მასების ფსიქოლოგიის იგნორირება საშიშია, მაგრამ ასევე საშიშია მეორე უკიდურესობა – პოლიტიკურ-ფსიქოლოგიური ფაქტორების მნიშვნელობის გაზვიადება, მასების ყოველწუთიური გრძნობებისა და განწყობებისადმი ბრმად მიყოლა. ამას შეუძლია სტიქიისადმი მორჩილებამდე, ნამდვილი დემოკრატიის ბრძოლის ხელისუფლებით შეცვლამდე მიყვანა. ეს მეტად საშიში ტენდენციაა, იგი ჩვენს სინამდვილეში შეინიშნება და მას გათვალისწინება უნდა.

დიდა პოლიტიკური იდეოლოგიის მნიშვნელობა, რომელსაც წამყვანი ადგილი უჭირავს პოლიტიკურ შეგნებაში და წარმოადგენს პოლიტიკური ფსიქოლოგიის შეცვლისა და განვითარების განმსაზღვრელ ფაქტორს, პოლიტიკური იდეოლოგია კონცენტრირებული სახით გამოხატავს სოციალური ერთობების ინტერესებს, ასაბუთებს მათ ადგილსა და როლს საზოგადოების განვითარებაში საერთოდ და კერძოდ კი, საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში. იგი წრმოადგენს იმ სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური გარდაქმნების პროგრამის კონცეპტუალურ საფუძველს, რომლითაც შესაბამისი სოციალური ძალები გამოდიან. ახდენს რა ზეგავლენას სტრატეგიული კურსის არჩევაზე, პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა შემუშავებაზე ინდივიდთა და სოციალური ერთობების პოლიტიკურ შეხედულებებსა და ქცევაზე, იდეოლოგია პოლიტიკურ სისტემაში ასრულებს ან მაკონსოლიდირებელ და მასშტაბიზირებულ და დესტრუქციულ როლს.

საზოგადოებრივი, მათ შორის პოლიტიკური შეგნების მდგომარეობა, მისი მიმართულება, სიმწიფის დონე და დინამიკა საზოგადოებრივ აზრში გამოიხატება. მის ურთიერთქმედებას სოციალურ და პოლიტიკურ ინსტიტუტებთან ორმაგი ხასიათი აქვს. ჯერ ერთი, ვერავითარი პოლიტიკა და ვერავითარი მმართველობითი გადაწყვეტილება წარმატებით ვერ განხორციელდება. თუ მისი შემუშავებისას გათვალისწინებული არ არის საზოგადოებრივი აზრი. ისტორიული გამოცდილება ადასტურებს, რომ ზოგჯერ პოლიტიკა და პოლიტიკური გადაწყვეტილება შეიძლება თავს მოახვიო ხალხს ისე, რომ ანგარიში არ გაუწიო საზოგადოების განწყობას. მაგრამ ამ შემთხვევაში მათი განხორციელებისათვის აუცილებელია ძალადობა, დამსჯელი ზომების მიღება და რეპრესიების აპარატის გამოყენება, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ყოფილ საბჭოთა კავშირში, მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სის-

ტემის ფუნქციონირების პერიოდში. ასეთ ქმედებას ყველა შემთხვევაში ახლავს პიროვნების დამონება, ხელისუფლებისგან ხალხის გასხვისება.

პოლიტიკამ რომ მოსალოდნელი შედეგები გამოიღოს, ამისათვის აუცილებელია „ზემოდან“ გადადგმული ყველა ნაბიჯი, ყველა მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილება ითვალისწინებდეს საზოგადოებრივ აზრის მდგომარეობას და მიმართულებას. საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინება მნიშვნელოვანი ფაქტორია იმისთვის, რომ მიღებული გადაწყვეტილება შეესაბამებოდეს საზოგადოების მოლოდინს. მის მიერ აღიქმებოდეს დროულ და საჭირო ღონისძიებად, უზრუნველყოფილი იყოს მისი მხარდაჭერით და ასევე იმისთვის, რომ განჭვრიტო მოსახლეობის რეაქცია არაერთმნიშვნელოვნად შეფასებულ გადაწყვეტილებაზე, შესაბამისად გაითვალისწინო ორგანიზაციული და პოლიტიკური ზომები, რომლებიც უზრუნველყოფენ დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებას და მის შემდგომ რეალიზაციას.

ამრიგად, პოლიტიკური სისტემის ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელია „სარკე“ ამ თავისებური „სარკის“ როლს ასულებს საზოგადოებრივი აზრი. ეს არის მართვის ორგანოებსა და საზოგადოებას შორის უკუკავშირის აპრობირებული არხი.

მეორეც, პოლიტიკურ სისტემაში საზოგადოებრივი აზრის მნიშვნელობისა და როლის მაღალ შეფასებასთან ერთად, არ შეიძლება არ აღინიშნოს იმის შესახებ, რომ იგი შეიძლება ჩამორჩეს მოვლენათა დინამიკას, დააგვიანოს გარკვეული პროცესები გამოვლენა და შეფასება, აუცილებელი გადაწყვეტილებების შემუშავება, განსაკუთრებით ინფორმაციის არარსებობის, ან უკმარობის პირობებში. ხშირად ამიტომ, რომ სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს სხვადასხვა პოზიცია უკავიათ ერთი და იგივე საკითხის მიმართ.

სოციალური და პოლიტიკური ინსტიტუტები ბრმად არ უნდა მიჰყვნენ და აღმოჩნდნენ საზოგადოებრივი აზრის ფარკატერში (გავლენის ქვეშ). იმის ბევრი მაგალითი შეგვიძლია გავიხსენოთ, რომ სწორი პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებისთვის აუცილებელი გახდა საზოგადოებრივი აზრისთვის წინ გასწრება, ან მისი კორექტირება. ამიტომ პოლიტოლოგთა და პოლიტიკოსთა ამოცანაა გავლენა მოახდინოს სწორი და დროის შესატყვისი საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე. პოლიტიკის პრაქტიკულ საქმიანობაში საზოგადოებრივი აზრის ორი მხარე – გათვალისწინება და ჩამოყალიბება – განცალკევებულად არ არსებობენ, ისინი ურთიერთს ავსებენ.

პოლიტიკური სისტემის არსი მის ფუნქციებში ვლინდება საზოგადოებრივი თვალთახედვით. იგი შემდეგში მდგომარეობს: პოლიტიკური სისტემა ასახავს საზოგადოების მდგომარეობას, მისი არსებობის ეკონომიკური პირობების ჩათვლით, სოციალურ და ეროვნულ სტრუქტურას, დემოკრატიულ და ეკოლოგიურ პროცესებს, მოსახლეობის განათლების დონეს, საზოგადოებრივი ცნობიერების მდგომარეობას, მთელ სულიერ-იდეოლოგიურ ცხოვრებას და საერთაშორისო მდგომარეობას. პორლიტიკური სისტემის მეშვეობით ვლინდება და აკუმულირდება ძირითადი სოციალური ინტერესები, სოციალური პრიორიტეტები, რომლებიც შემდეგ ასახვას ოფიციალურ პოლიტიკაში პოულობენ.

თუ ჩვენს საზოგადოებაში დღეს რთული პოლიტიკური სიტუაციაა, ეს იმიტაც არის გამოწვეული, რომ ვერ ჩამოყალიბდა საზოგადოების სტაბილური პოლიტიკური სისტემა, პოლიტიკურ-ხელისუფლებრივი სტრუქტურები ვერ ახერხებენ იპოვონ სხვადასხვა სოციალური ინტერესების ბალანსი, ვერ გამოინახეს ახალი სისტემის შექმნის რაციონალური მიმართულება.

პოლიტიკური სისტემა მაკოორდინირებელ და ინტეგრაციულ ფუნქციებს ასრულებს. პოლიტიკური სისტემის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია, რომ მან გაითვალისწინოს პოლიტიკური ცხოვრების მონაწილეთა ინტერესები, მათ შორის წარმოშობილი წინააღმდეგობანი, მიაღწიოს ინტერესების ზედმიწევნით ოპტიმალურ შეთანხმებას, შეძლოს საზოგადოებაში არსებული კლასებისა და სოციალური ფენების და მათი ინტერესების გამომხატველი ორგანიზაციებისა და მოძრაობების ძალისხმევის კოორდინირება, კონსოლიდაცია, პოლიტიკური სისტემა მოწოდებულია, მოახდინოს სხვადასხვა სოციალური და ეროვნული სტრუქტურის ელემენტთა კოორდინირება საზოგადოების ძირითადი იდეალების და ღირებულებების კონსენსის ბაზაზე. კონსესუსის უნარი გადამწყვეტი მნიშვნელობისაა პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირებაში და, უპირველეს ყოვლისა, მისი სტაბილური მდგომარეობის უზრუნველყოფაში.

პოლიტიკური ფენომენი

პოლიტიკური არსი

პოლიტიკის როლი ცხოვრებაში

პოლიტიკის კავშირი სხვა სფეროებთან

პირველი საკითხის გასარკვევად დაგვირდება ისტორიული წარსულის გახსენება, რათა მოვიგონოთ საზოგადოებრივ ცხოვრებაში პოლიტიკური სფეროს წარმოშობის პირობები.

იყო ღრო, როცა ადამიანთა ურთიერთობებს პრინციპულად სხვა ხასიათი შეეძინა, მას შემდეგ, რაც ადამიანთა ერთობლიობა მქონებელ და უქონებელ ჯგუფებად დაიყო, საზოგადოებრივი ცხოვრების მთელი ორგანიზაცია იმათი ინტერესების მიხედვით ეწყობოდა, ვინც წარმოების ძირითად საშუალებებს ფლობდა. საზოგადოებაში გაჩნდა განსაკუთრებული ორგანო – სახელმწიფო, რომლის დანიშნულებაც, უწინარეს ყოვლისა, გაბატონებული კლასის ინტერესის დაცვას შეადგენდა. კლასების განსხვავებული (ზოგჯერ დაპირისპირებული) მდგომარეობა მათ სოციალურ ყოფასა და მის პერსპექტივებზე განსხვავებულ შეხედულებებში აისახებოდა, რომელიც თანდათანობით, შეხედულებათა სისტემის სახით ჩამოყალიბდა. ამ სისტემებიდან ერთი გამოხატავდა მესაკუთრე კლასის ინტერესებს, მჩაგვრელებად და ჩაგრულებად დაყოფის აუცილებლობას ასაბუთებდა, მის მარადიულობას ქადაგებდა, ხოლო მეორე, პირიქით, ამგვარი წეს-წყობილების უგუნურობას ამტკიცებდა და მისი შეცვლისაკენ მოუწოდებდა. შემდგომში, შეხედულებათა ეს სისტემები იდეოლოგიების სახით ჩამოყალიბდნენ. კლასებისა და სახელმწიფოს გაჩენის შემდეგ საზოგადოებრივი ცხოვრება წარმოჩინდა,

როგორც ეკონომიკური, პოლიტიკური და იდეოლოგიური სფეროების ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგანპირობებული მთლიანობა, რომლის გამოვლენის ფორმად სოციალურ სფეროში კლასები იქნენ, რომელთა ურთიერთობაც პოლიტიკური ხასიათის გახდა.

მაშ ასე, საზოგადოების ცხოვრებაში პოლიტიკის გაჩენა კლასებისა და სახელმწიფოს გაჩენასთანა დაკავშირებული.

ახლა განვსაზღვროთ პოლიტიკის არსი. დასაწყისშივე უნდა აღვნიშნოთ, რომ საზოგადოებაში პოლიტიკური ურთიერთობა, ესაა სახელმწიფო ხელისუფლებით განპირობებული ურთიერთობა. სახელმწიფოს მეშვეობით იქმნება ურთიერთობა კლასებსა და სოციალურ ჯგუფებს შორის; სახელმწიფოს მეშვეობით ყალიბდება კლასების, სოციალური ჯგუფებისა და ადამიანების ურთიერთობა საკუთრებასთან; ისევე სახელმწიფოს მეშვეობით ყალიბდება ურთიერთობა სხვა სახელმწიფოებთან და ე.წ. კლასების, სოციალური ჯგუფების, ადამიანთა ერთობის სხვა ფორმებისა და მათი ურთიერთობების გარეშე არ არსებობს პოლიტიკა. ამრიგად, პოლიტიკური ობიექტური საფუძველი კლასობრივ ურთიერთობებშია, ხოლო სუბიექტური საფუძველი დაკავშირებულია გაბატონებული კლასის მოღვაწეობასთან მდგომარეობის შენარჩუნებისათვის, როგორც ქვეყნის შიგნით (საშინაო პოლიტიკა), ასევე მის გარეთ (საგარეო პოლიტიკა). იგი დაკავშირებულია აგრეთვე გაბატონებული კლასების მოწინააღმდეგე ძალების საქმიანობასთან ძველი წყობის დამხობისა და ახალი წყობის შექმნისათვის.

პოლიტიკის სუბიექტებს წარმოადგენენ:

1) კლასები, რომელთაც შეგნებული აქვთ საკუთარი ინ-

ტერესები (ან უნარს მოკლებული ერთიანობა პოლიტიკის მხოლოდ ობიექტებს წარმოადგენენ);

2) სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები;

3) პოლიტიკური პარტიები და ორგანიზაციები.

პოლიტიკის სუბიექტის ფუნქციას შეიძლება, აგრეთვე, ასრულებდნენ ხელისუფლების ორგანოებში დასაქმებული კონკრეტული პიროვნებები და ამ ორგანოებში მონაწილე პარტიები.

პოლიტიკის არსის გასარკვევად საჭიროა პოლიტიკის სტრუქტურული ანალიზი. პოლიტიკას ორი ძირითადი მხარე აქვს: სულიერი და მატერიალური (პრაქტიკული).

პოლიტიკის პირველი მხარე – მოიცავს პოლიტიკურ იდეოლოგიას, პოლიტიკურ ცნობიერებას, იდეებს, თეორიებს, კონცეფციებს; მეორე – პრაქტიკული – მოიცავს პოლიტიკურ ურთიერთობებს, პოლიტიკურ ინსტიტუტებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, პოლიტიკის განხორციელების სხვადასხვა მატერიალურ საშუალებებს.

პოლიტიკა სხვადასხვა სახისაა: საშინაო და საგარეო; სოციალური და ეკონომიკური; მიმდინარე და სტრატეგიული. მაშასადამე, არ არსებობს ცხოვრების სფერო პოლიტიკის გარეშე. ძნელია მოიძებნოს ადამიანი, რომელსაც პოლიტიკასთან არ ჰქონდეს შეხება, რადგან იგი ცხოვრების რომელიმე ფორმაში აუცილებლადაა ჩართული.

პოლიტიკის სწორად განსაზღვრას, ანუ სწორი პოლიტიკის შემუშავებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირებისათვის ცხოვრების ყველა სფეროში. პოლიტიკის კავშირი საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველ დარგთან ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი

კავშირი ეკონომიკასთან . ეკონომიკა და პოლიტიკა ურთიერთზემოქმედებას ყოველგვარი შუალედური რგოლის გარეშე ახორციელებენ. მათ ერთობაში ეკონომიკა პოლიტიკის მატერიალურ საფუძვლად გვევლინება, ხოლო პოლიტიკა ეკონომიკური კანონების შეგნებული გამოყენებაა. ამდენად, მხოლოდ ის პოლიტიკაა რეალური, რომელიც სწორად ასახავს კლასების ძირეულ მიზნებსა და ინტერესებს. პოლიტიკა ეკონომიკური კანონების შეგნებული გამოყენებაა და ამდენად, როგორც ბეკონი აღნიშნავდა, „ჩვენ მხოლოდ იმდენი შეგვიძლია, რამდენიც ვიცით“. რაკი პოლიტიკა ეკონომიკურ საფუძველზე მდგარი ფენომენია, ხომ არ შეიძლება იგი მის პასიურ ზედნაშენად მივიჩნიოთ? რა თქმა უნდა, არა. პოლიტიკა თავისთავად აქტიურად მოქმედებს ეკონომიკაზე. ეს აქტიურობა რამდენიმენაირად ვლინდება, ანუ ეკონომიკისა და პოლიტიკის ურთიერთობის სხვადასხვა მოდელი შეიძლება ჩამოყალიბდეს: პირველი – პოლიტიკა იმავე მიმართულებით მოქმედებს, რომელიც ეკონომიკას აქვს არჩეული, რითაც მაქსიმალურად აჩქარებს მის განვითარებას. ამის შედეგად მნიშვნელოვნად დაჩქარებულია სოციალური პროგრესის ტემპი. ეს მოდელი განსაკუთრებით დამახასიათებელია იმ პერიოდისათვის, როცა საზოგადოების ძირითადი პოლიტიკური ძალების პოლიტიკა პასუხობს და ემთხვევა ისტორიის ობიექტურ მოთხოვნებს.

მეორე – პოლიტიკა ეკონომიკის ტენდენციის საწინააღმდეგო მიმართულებით მოქმედებს. მათი ტენდენციები ურთიერთსაწინააღმდეგოა. ადრე თუ გვიან, ასეთი პოლიტიკა კრახს განიცდის. ეს მოდელი დამახასიათებელია იმ პერიოდისათვის, როცა, ამა თუ იმ, საზოგადოებრივი ფორმა-

ციის მმართველი კლასი ვეღარ გრძნობს საზოგადოების განვითარების ტენდენციებს და ამის გამო, კი ვერ არეგულირებს, პირიქით, ამწვაავებს კონფლიქტს საწარმოო ძალებსა და წარმოებით ურთიერთობებს შორის.

მესამე – პოლიტიკა გარკვეულ დაბრკოლებებს უქმნის ეკონომიკის განვითარებას და უბიძგებს მას სხვა მიმართულებით განვითარებისაკენ. ამ სახის ურთიერთზემოქმედების შედეგად საზოგადოებაში იქმნება ეკონომიკისა და პოლიტიკის ურთიერთობის ან პირველი ან მეორე მოდელი.

ეკონომიკური პრობლემებისადმი სწორი მიდგომის გარეშე, მაშასადამე, სწორი პოლიტიკის შემუშავების გარეშე, ვერცერთი ხელისუფლება ვერ შეინარჩუნებს ბატონობას და ვერ გადაჭრის მის წინაშე მდგომ ამოცანებს. ამრიგად, პოლიტიკა წარმოადგენს ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტის საშუალებას. ამის უამრავი ილუსტრაცია შეიძლება, მაგრამ ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მაინც ყოფილი სსრკ-ს მაგალითია, საბჭოთა კავშირში ე.წ. გარდაქმნის პერიოდში რადიკალური ეკონომიკური რეფორმის კრახი, პირველ რიგში, იმით უნდა აიხსნას, რომ ვერა და ვერ გამოინახა ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის პოლიტიკური მექანიზმი.

გარდამქმნელ ძალად რომ იქცეს, პოლიტიკა არ უნდა ეყრდნობოდეს ცალკეულ პოლიტიკოსთა თვითნებურ მოქმედებას. მასში ასახვა უნდა ჰპოვოს კლასებისა და სოციალური ჯგუფების რეალურმა ინტერესებმა და მოთხოვნილებებმა.

თუმცა, პოლიტიკა კლასების წარმოშობასთან ერთად წარმოიშვა და ამდენად, იგი უძველესი ფენომენია, იგი მაშინვე არ ქცეულა მეცნიერულ ფენომენად და მით უფრო,

ხელოვნებად, პოლიტიკის მეცნიერებად გადაქცევის შესაძლებლობა შეიქმნა მაშინ, როცა საზოგადოებრივი განვითარების კანონები იქნა აღმოჩენილი და მაშასადამე, შეიქმნა იმის შესაძლებლობა, რომ პოლიტიკის სუბიექტებს შეეძლოთ გავლენა მოეხინათ სოციალურ პროცესებზე.

მაშასადამე, პოლიტიკის მეცნიერებად გადაქცევის პირველი პირობაა საზოგადოებრივი განვითარების კანონების აღმოჩენა, მისი გადაქცევა პრაქტიკული საქმიანობის სახელმძღვანელოდ.

პოლიტიკის მეცნიერებად გადაქცევის შემდეგი აუცილებელი პირობაა სოციალური პროგრესის წარმმართველი ძალის არსებობა მისი განვითარების ნებისმიერ დონეზე, ანუ არსებობა იმ კლასისა, რომელსაც უნარი შესწევს, პრაქტიკული საქმიანობა საზოგადოების განვითარების ობიექტურ კანონთა მოთხოვნის შესაბამისად წარმართოს, სწორედ ასეთი უნარი აქცევს ნებისმიერ კლასს სოციალური პროგრესის წარმმართველ ძალად. ასეთი წარმმართველი ძალის როლში, ცივილიზაციის განვითარების ყოველ კონკრეტულ ეტაპზე, შეიძლება იყოს რომელიმე კონკრეტული კლასი.

ცნება „წარმმართველი კლასი“ – სოციალური ცნებაა და არა იურიდიული, თვით „წარმმართველის“ როლი ობიექტურადაა განსაზღვრული და ვერც ერთი სხვა კლასი ან სოციალური ჯგუფი ვერ განაცხადებს პრეტენზიას ამ როლზე, თუნდაც ეს იყოს ყველაზე კეთილი ზრახვების მქონე და პოლიტიკურად გაცნობიერებული, ორგანიზებული და კომპეტენტური ჯგუფი. „წარმმართველი ძალის“ როლს ცალკე აღებული თვისებები კი არ განსაზღვრავენ, არამედ კლასის ობიექტური მდგომარეობა. კერძოდ ის, რომ შეძლებს თუ არა ესა თუ ის კლასი „წარმმართველი ძალის“

როლის შესრულებას, ამაზე დიდი გავლენა შეიძლება იქონიოს ინტელიგენციამ. ასე იყო მუდამ, რაც ინტელიგენცია, შრომის საზოგადოებრივი დანაწილების შედეგად, დამოუკიდებელ სოციალურ ძალად იქცა. რა თქმა უნდა, ინტელიგენციაც არ არის განყენებული ცნება. ინტელიგენტად საზოგადოების ნაწილს ხდის არა თავისთავად მისი ადგილი შრომის საზოგადოებრივ დანაწილებაში, არამედ, ის კულტურულ-ინტელექტუალური თვისებები, რომლებიც ერთობლიობაში პიროვნების ინტელიგენტობას ქმნის. სწორედ ამ თვისებების წყალობით ინტელიგენცია მუდამ ფლობდა მაღალ სოციალურ იდეალებს და გრძნობდა პასუხისმგებლობას ცივილიზაციის ბედისათვის. ინტელიგენცია ყოველთვის უფრო შორსმჭვრეტელია, ვიდრე უშუალო „წარმმართველი ძალა“, იგი ნებისმიერი წარმმართველი ძალის იდეოლოგიის შემოქმედია, ინტელიგენციის მიერ თავისი ისტორიული დანიშნულების შეცნობა და წარმმართველ ძალასთან მისი კავშირი პოლიტიკის მეცნიერებად გადაქცევის კიდევ ერთი პირობაა.

პოლიტიკის მეცნიერებად გადაქცევის შემდეგი პირობა იმ იდეოლოგიის დამკვიდრებაა, რომელიც ადამიანების შეგნებაში განამტკიცებს აზრს საზოგადოებრივი განვითარების ტენდენციების შესაბამისი საზოგადოებრივი წყობის დამყარების აუცილებლობის შესახებ. გასაგებია, რომ ასეთი იდეოლოგია შეიძლება იყოს იმ კლასის იდეოლოგია, რომლის ინტერესებიც ემთხვევა კაცობრიობის პროგრესის ობიექტურ ტენდენციებს. რაც უფრო მეტი ზომით ეუფლება ადამიანთა შეგნებას მოწინავე იდეოლოგია, მით უფრო მაღალია სოციალური პროგრესის ტემპი, მით უფრო ღრმად გარდაქმნები, რომლებიც საზოგადოებაში მიმდინარეობენ.

მაშასადამე, პოლიტიკის მეცნიერებად გადაქცევის კიდევ ერთი პირობაა შესაბამისი იდეოლოგიის დამკვიდრება.

პოლიტიკა და პიროვნება

პიროვნება, როგორც პოლიტიკის განმსაზღვრელი
ადამიანის უფლებათა კონცეფცია
პიროვნების სტრუქტურა
პოლიტიკური ხელისუფლების თეორიები
ხელისუფლების ტიპები

პოლიტიკაში ადამიანური ფაქტორის პრობლემა, მისი ყველა რაკურსით, ერთ-ერთ ცენტრალურ პრობლემას წარმოადგენს. იგი პოლიტოლოგებისათვის საინტერესოა, როგორც თეორიულ-მეცნიერული, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით.

ეს პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია დღეს, საზოგადოების პოლიტიზაციის სფეროს არნახული გაფართოების პირობებში. საზოგადოებას, რა თქმა უნდა, აინტერესებს ვინ და რა ძალები მონაწილეობენ რთული და წინააღმდეგობრივი თანამედროვე ეპოქის ჩამოყალიბებასა და მის სახეცვლილებებში. ადამიანისათვის საინტერესოა არა მხოლოდ თანამედროვე პოლიტიკურ მოღვაწეთა ვინაობა და საქმიანობა, არამედ შორეული ისტორიული წარსულის შემოქმედი პიროვნებანიც, ყველა ის პირი და ხელისუფალი, რომლებმაც შთამბეჭდავი (ნეგატიური თუ პოზიტიური) დაღი დაასვეს ისტორიის განვითარებას.

პოლიტიკაში პიროვნების როლისა და მნიშვნელობის პრობლემებზე მსჯელობისას საზოგადოებათმცოდნეობაში ორი ტრადიცია ჩამოყალიბდა. ერთი მათგანი საკმაოდ ძირძველია, მაგრამ განსაკუთრებით უკიდურესი ფორმით ელიტარიზმის თეორიაში გამოვლინდა. მისი დამახასიათებელი თავისებურებაა პოლიტიკური პროცესის რედუცირება (რედუქცირება, ამ შემთხვევაში, უკან დაბრუნებას ნიშნავს) პოლიტიკური ლიდე-

რის, ბელადის და სხვა ავტორიტარული პიროვნებისაკენ. ამ თვალსაზრისით მომხრეებს მიაჩნიათ, რომ პოლიტიკურ პროცესში გადამწყვეტი როლი გარკვეულ პიროვნებას (პიროვნებებს) ეკუთვნის. პიროვნების როლის გაზვიადების მომხრე თეორეტიკოსთა მიერ შემუშავებულ კლასიკურ კანონებში, პოლიტიკა მხოლოდ ბელადის, გმირების, მეფეების საქმიანობას უკავშირდება. ძველი დროის ნაწარმოებებში რომელიმე გმირი თუ მეფე, ბელადი თუ მხედართმთავარი გადმერთებულა, ხაზგასმულია მათი თვისებების (ნიჭი, უნარი, გამჭრიახობა, ფიზიკური ძალა და ა.შ.) არაჩვეულებრივობა. ისინი ყოვლისშემძლენი, უძლეველნი და მიწიერ-ზეციური არსებანი არიან, მათი კულტი ჩვეულებრივი, უდაო და უწყინარია.

რაც შეეხება მეორე მიმართულებას, იგი პირიქით, არა თუ არ აზვიადებს, რამდენადმე ამცირებს კიდევ პიროვნების როლს პოლიტიკაში. ამ თვალსაზრისის მიმდევრებს შორის განსხვავებაცაა. მაგალითად, ფუნქციონალისტური მიმართულება პიროვნებას პოლიტიკური სისტემის (ან ორგანიზაციის) მხოლოდ ერთ-ერთ ელემენტად მიიჩნევს, რომელსაც პოლიტიკაზე არავითარი პრიორიტეტული ზეგავლენა არა აქვს. სწორედ ამ მიმდინარეობის ფარგლებში ჰპოვა გავრცელება ტექნოკრატიულმა პოლიტიკურმა აზროვნებამ, რომელიც პრიორიტეტს ტექნიკას ანიჭებს და რომელსაც პიროვნული ფაქტორის როლი თითქმის ნულამდე დაყავს.

ფაქტიურად „დაძინებული მტერის“ თეორიის მიმდევრებად გამოდიან აგრეთვე ანტიავტორიტარული, რადიკალური, ანარქისტული განწყობის პოლიტიკოსებიც, რომლებიც ბელადის, ლიდერის ავტორიტეტის უარყოფასთან ერთად, საერთოდ, ყოველგვარი ორგანიზებული პოლიტიკური საქმიანობის წინააღმდეგი არიან.

რა თქმა უნდა, სწორი არ არის პოლიტიკაში პიროვნების როლის გაზვიადება, გადაჭარბებული შეფასება და მის მი-

მართ ცრუმორწმუნეობრივი ქედის მოხრა, პიროვნების კულტის შექმნა, მაგრამ ასევე მცდარი და მიუღებელია პოლიტიკურ პროცესში პიროვნების როლის დამცირება, მით უფრო უგულვებელყოფა.

პოლიტიკაში პიროვნების როლის გასაცნობიერებლად, უწინარეს ყოვლისა, უნდა ის ფსიქოლოგიური მექანიზმები გაანალიზდეს, რომლებიც პოლიტიკაში პიროვნების ჩართვასა და ფუნქციონირების შესაძლებლობებს ქმნიან, ანუ უნდა აიხსნას და გაირკვეს ის, რასაც პოლიტოლოგიაში პიროვნების სოციალიზაცია ეწოდება.

პიროვნების სოციალიზაცია იმ მომენტიდან იწყება, როცა საზოგადოების პოლიტიკური სისტემა ინდივიდს, პიროვნებას თავის ორბიტაზე აქცევს და მასზე ზეგავლენის მოხდენას იწყებს, რა ფორმითაც არ უნდა ხორციელდებოდეს იგი. ნებისმიერი სისტემა ახორციელებს თავის მომხრე მოქალაქეთა (პიროვნებათა) რეკრუტირებას, აჩვენებს და ასწავლის მათ თუნდაც ელემენტარული პოლიტიკური ფუნქციების შესრულებას. ყოველი პოლიტიკური სისტემა პოლიტიკაში პიროვნების ჩაბმის, მონაწილეობის თავისებურ, მისთვის ადექვატურ მექანიზმს ქმნის, პოლიტიკური სოციალიზაციის თავის წესებს ახორციელებს. ამიტომ პიროვნებისა და პოლიტიკის ურთიერთქმედებას ყოველთვის კონკრეტულ-ისტორიული ხასიათი აქვს. იგულისხმება რომ სხვადასხვა საზოგადოებაში სოციალიზაციის სხვადასხვა საშუალებებია და მამასადაძმე, პიროვნების სოციალიზაციის სხვადასხვა დონეც.

პირველყოფილ საზოგადოებაში, სადაც არ იყო კლასებად დაყოფა და პოლიტიკური ხელისუფლება, სოციალიზაციის მხოლოდ ჩანასახზე შეიძლება ვილაპარაკოთ, რამდენადაც სოციალური ერთობის ფორმებთან ინდივიდის ელემენტარულ შეგუებაზეა საუბარი. აქ საწარმო და სისხლით ნათესა-

ური ურთერთობანი ჯერ კიდევ განუყოფელია. სოციალიზაციის მექანიზმიც, შესაბამისად, შეზღუდულია.

პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესი ფართოვდება კლასობრივი საზოგადოების წარმოშობასთან ერთად და მისი განვითარების კვალდაკვალ, მაგალითად, მონათმფლობელურ საზოგადოებაში პოლიტიკური საქმიანობა მხოლოდ თავისუფალი ადამიანებისათვის არის შესაძლებელი, ხოლო ფეოდალურში კი – მხოლოდ გარკვეული სოციალური ფენებისათვის. ბურჟუაზიულ საზოგადოებაში პოლიტიკური საქმიანობა სოციალურ ფენებთან იმდენად არ არის დაკავშირებული, რამდენადაც სოციალურ კლასებთან კლასობრივი მდგომარეობა არსებითად განსაზღვრავს პიროვნების პოლიტიკურ როლს, ინტერესებსა და ორიენტაციებს, სოციალიზმის პოლიტიკური სისტემა, განსაკუთრებით პირველ ხანებში, ახერხებდა პოლიტიკაში ფართო მასების ჩაბმას, მათ აქტიურობას. სხვა საკითხია, თუ რა მექანიზმს იყენებდა იგი ამისთვის, ფაქტია, რომ სოციალიზმის პროცესი აქაც მიმდინარეობდა.

ამრიგად, პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესი ისტორიული ხასიათისაა, რომელიც განსაზღვრულია საზოგადოების პოლიტიკური სისტემისა და სოციალურ-ეკონომიკური წყობის თავისებურებებით, აგრეთვე, იმ ობიექტური ფაქტორებით პიროვნების ფსიქოლოგიურ ხასიათს რომ აყალიბებენ. საზოგადოების პოლიტიკურ ინსტიტუტებთან ურთიერთქმედების შედეგად ყალიბდება მოცემული პიროვნების შეგნება და ქცევა, ანუ „პოლიტიკური პიროვნების“ გარკვეული ტიპი, მოცემული ისტორიული ეტაპისათვის „იდეალური“ პიროვნება, შესაბამისი მოქალაქეობრივი ღირსებებით, პოლიტიკური სიმწიფისა და აქტივობის შესაბამისი დონით, პოლიტიკურ პარტიებთან და ხელისუფლებასთან იდენტიფიკაციის შესაბამისი პროპორციით.

პოლიტიკური სოციალიზაცია ფართო ცნებაა, ვიდრე პოლიტიკური აღზრდა და განათლება, რამდენადაც იგი გულისხმობს არა მხოლოდ გაბატონებული იდეოლოგიისა და პოლიტიკის მიზანდასახულ ზემოქმედებას, არამედ, მასთან ერთად, სპონტანური ფაქტორებისა და საკუთრივ ინდივიდის პოლიტიკურ აქტიუობასაც.

ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ პიროვნების პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესი ხანგრძლივი და რთულია. იგი მიმდინარეობს პიროვნების მოქალაქეობრივი მომწიფების პარალელურად, ეს პროცესი ადრეულ ასაკში იწყება (ბავშვობის 3-4 წლის ასაკში, ასე მიიჩნევა ფსიქოლოგია და პოლიტოლოგთა უმრავლესობა), როცა ოჯახში, მშობლებისა და ახლობლების გარემოცვაში, მათ და, აგრეთვე გამოსახულებითი საინფორმაციო წყაროების მეშვეობით, ბავშვი პირველ ცნებებს იღებს პოლიტიკაზე. ამ დროს ელემენტარულად, ყოველგვარი მიზანდასახული დიდაქტიური საუბრების გარეშე, ზოგჯერ მისდა უნებურადაც, ყურმოკრული ინფორმაციებით, იგი იგებს, თუ რა პროცესები მიმდინარეობს მის გარშემო.

უფრო მოგვიანებით, როცა ბავშვი სკოლაშია, იწყება მისი სოციალიზაციის ახალი ეტაპი. ამ ეტაპზე უკვე მოზარდი, პოლიტიკური სოციალიზაციის სპეციალური ინსტიტუტების, აგრეთვე, მუდმივმოქმედი სპონტანური ფაქტორების ზეგავლენით, არა მხოლოდ აგროვებს ცოდნას პოლიტიკაზე, არამედ მისდამი დამოკიდებულებასაც განსაზღვრავს, იქმნის გარკვეულ პოლიტიკურ პოზიციას, შეიძლება ეს პოზიცია ჯერ კიდევ არ იყოს მყარი, უფრო მეტად ემოციონალური ელფერი გადაჰკრავდეს, მაგრამ იგი მაინც მნიშვნელოვანი ეტაპია პიროვნების პოლიტიკური სოციალიზაციის გზაზე, იმ გაგებით, რომ დაიწყო პოზიციის ძებნა, საკუთარი პოლიტიკური როლის შესრულების მცდელობა.

პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესი არ მთავრდება არც სკოლის ატესტატის, არც დიპლომისა და არც სამეცნიერო ხარისხის მინიჭებით. იგი მთელი სიცოცხლის მანძილზე გრძელდება, ვიდრე პიროვნება ამა თუ იმ სოციალურ ჯგუფშია მოქცეული და ცხოვრების რეალურ პროცესში მონაწილეობს უშუალოდ თუ გაშუალებით.

პიროვნების სოციალიზაციის პოლიტიკური ფაქტორები, არსებითად, თავმოყრილია ერთიან სისტემაში, რომელშიც იგულისხმება: სახელმწიფო მთელი თავისი პოლიტიკური ინსტიტუტებით, პოლიტიკური პარტიები და ორგანიზაციები მთელი თავისი მრავალფეროვნებით. ეს ფაქტორები პიროვნების პოლიტიკურ ურთიერთობებში ჩასაბმელად სპეციალურად შექმნილი ორგანოების დახმარებით კორექტირებას უწევენ პიროვნების ქცევასა და მოქმედებას და მათთვის სასურველი მიმართულებით ცდილობენ მის წარმართვას.

მაგრამ პიროვნების შეგნება და ქცევა ყალიბდება არა მხოლოდ პოლიტიკური ფაქტორების (თუმცა, ისინი პირველხარისხოვან როლს ასრულებენ ამაში), არამედ არაპოლიტიკური ფაქტორების ზეგავლენითაც. ასეთ არაპოლიტიკურ ფაქტორს წარმოადგენს სწორედ ოჯახი, იგივე სასწავლებელი სამუშაო ადგილი (შრომითი კოლექტივი), თანატოლთა წრე, ეკლესია, შემოქმედებითი კავშირები და სხვა. მიუხედავად იმისა, რომ ეს მათი არც დანიშნულებაა და არც მოვალეობა. ეს არაპოლიტიკური დაწესებულებები უაღრესად დიდ როლს ასრულებენ პიროვნების სოციალიზაციის პროცესში.

უკანასკნელ პერიოდში ზემოთ ჩამოთვლილ არაპოლიტიკურ ფაქტორთა რიცხვს დაემატა სუბკულტურა, პოპმუსიკა და სხვა, თანამედროვე ცხოვრებისათვის საკმაოდ ცნობილი ფაქტორები, რომელთა როლი პიროვნების შეგნებისა და ქცევის ჩამოყალიბებაში არცთუ უმნიშვნელოა. არაპოლიტიკურ ფაქტორებს მიეკუთვნება, აგრეთვე, მაკროსოციალუ-

რი გარემო, ის სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობები რომელთა ფარგლებშიც მიმდინარეობს პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთზემოქმედება პიროვნების შეგნებისა და ქცევის ფორმირებაზე, რა თქმა უნდა, გავლენას ახდენს ეროვნული კულტურა და ტრადიციები. რეალურ ცხოვრებაში, როგორც წესი, პოლიტიკური და არაპოლიტიკური ფაქტორები ურთიერთგადახლართულია და ერთად აღებული და თითოეული ცალ-ცალკე, საკმაოდ ინტენსიურ ზემოქმედებას ახდენენ ნებისმიერ პიროვნებაზე იმისდა მიხედვით, თუ როგორი ადგილი უჭირავს თითოეულ მათგანს საგარეო და საშინაო პოლიტიკის კონტექსტში, მაგალითად, ერთი შეხედვით სრულიად არაპოლიტიკური – ეკოლოგიური ან მწვანეთა მოძრაობა საკმაოდ პოლიტიზებული მოვლენაა და მასში თითოეული ადამიანის მონაწილეობა, იქნება იგი საქართველოს, კანადის, გერმანიის თუ ბალტიისპირეთის რომელიმე სახელმწიფოს მოქალაქე, წარმოადგენს პიროვნების სოციალიზაციის უფრო მძლავრ ფაქტორს, ვიდრე ზოგიერთ ადგილობრივ ტრადიციულ პოლიტიკურ ორგანიზაციაში მოღვაწეობა.

პოლიტიკური სოციალიზაციის მექანიზმი საერთოდ, რამდენიმე დონეზე ფუნქციონირებს:

1) მთლიანად საზოგადოების დონეზე. ეს ის შემთხვევაა როცა მოქალაქეთა პოლიტიკაში ჩაბმის მექანიზმად იყენებენ ეკონომიკურ ღონისძიებებს, როგორცაა ამომრჩეველთა მოსყიდვა, სამუშაო ადგილების შემცირება ან გაფართოება, ანუ დასაქმებულობის ან უმუშევრობის ზრდა და სხვა, შეიძლება პოლიტიკაში ჩაერთოს ძალადობა, ტერორი, შანტაჟი, პროვოკაცია და ა.შ. ზოგადსოციალურ დონეზე დღეს მასობრივ მოძრაობაში ჩაბმის მნიშვნელოვანი და მძლავრი მექანიზმია მსოფლიოს გლობალური პრობლემები, როგორცაა ატომური კტასტროფების თავიდან აცილება, ენერგეტიკული კრიზისი, გარემოს დაცვა დაბინძურებისაგან და ა.შ.

2) სოციალურ-ფსიქოლოგიურ დონეზე. ამ შემთხვევაში უპირატესი მნიშვნელობა აქვს შთაგონებას, მიბაძვას, იდენტიფიკაციას, პოლიტიკურ ღირებულებათა ურთიერთგაცვლასა და გავრცელებას.

3) შიდაპიროვნულ დონეზე. ამ შემთხვევაში სოციალიზაციის ძირითად მექანიზმად გვევლინება პიროვნების ინტერესები და მოთხოვნილებები, ღირებულებითი ორიენტაციები და მოტივები, განწყობა და ხასიათი, ანუ ის ფენომენები, რომლებიც პიროვნების შეგნებასა და ქცევას წარმართავენ.

სოციალიზაციის ყველა ჩამოთვლილი დონის მექანიზმთა ამოქმედების გარეშე პოლიტიკაში პიროვნების ჩაბმა არ ხერხდება. დადასტურებულია, რომ პოლიტიკური ორგანიზაციის მიზნები და ამოცანები, რაც უნდა მიმზიდველად გამოიყურებოდეს იგი, პიროვნებაზე ავტომატურად კი არ ზემოქმედებენ, არამედ სათანადო განსჯისა და გაცნობიერების შემდეგ. პოლიტიკის გააზრებისა და გაცნობიერების შედეგად პიროვნებას გარკვეული შეხედულება, შემდეგ კი შესაბამისი რწმენა ჩამოუყალიბდება, რომელიც მისი ქცევის მოტივად იქცევა. ამის შემდეგ იწყება მოტივირებული მოქმედება პიროვნების ინდივიდუალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის.

როცა პოლიტიკური ღირებულებანი და მიზნები პიროვნების სტრუქტურაში მყარი, „მუშა“ ელემენტების სახით ჩამოყალიბდება, პიროვნება აქტიური ხდება და პოლიტიკა მისთვის გულგრილი მეთვალყურეობის საგანს კი არ წარმოადგენს, არამედ ასპარეზს, სადაც იგი თავისი ინტერესების რეალიზაციას ახდენს. და ეს ხდება მაშინ, როცა მსოფლმხედველობა, ცოდნა, რწმენად იქცევა, ხოლო ეს უკანასკნელი კი – პიროვნების შემადგენელ ნაწილად. ცოდნის რწმენად გადაქცევა და რწმენისა კი – მოქმედების სახელმძღვანელოდ დასახვა რთული პროცესია. პიროვნებაში იმთავითვე, მზამზარეულად არც ფაშისტური და არც კომუნისტური რწმენა

არ არის მოცემული. იგი პიროვნებაში ზემოთ ახსნილი სოციალიზაციის პროცესში ყალიბდება, რაშიც უდიდეს როლს რეალური ცხოვრებისეული და პოლიტიკური გამოცდილება ასრულებს. სწორედ ასეთი გამოცდილება აძლევს პიროვნებას იმის საშუალებას, რომ ურთიერთშეაჯვაროს იდეოლოგიების მიერ შემოთავაზებული პოლიტიკური ღირებულებანი და თეორიული პოსტულატები პრაქტიკულ პოლიტიკურ რეალობებთან. ობიექტური პოლიტიკური სიტუაცია თვითონ კარნახობს პიროვნებას რეალური მოქმედების ორიენტირს. სწორედ ობიექტური პოლიტიკური სიტუაციისა და პიროვნების ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით, საზოგადოებაში ხდება ადამიანთა შერჩევა ამა თუ იმ როლისათვის, მათი განაწილება პოლიტიკური საქმიანობის სხვადასხვა მიმართულებით.

პიროვნების პოლიტიკური შეგნება და ქცევა, როგორც აღინიშნა, სოციალიზაციის პროცესში ყალიბდება, როგორც მოცემული საზოგადოების ადექვატური პოლიტიკური კულტურისა და ცალკეული სუბკულტურების აგრეთვე, პოლიტიკური მიზნებისა და ღირებულებების ინტერიორიზაციის შედეგი მხოლოდ მას შემდეგ, რაც მათ პიროვნება შეითვისებს, ანუ როცა ისინი პიროვნების შინაგანი სტრუქტურის ნაწილებად იქცევიან. პოლიტიკური და იდეოლოგიური ღირებულებანი დანიშნულების მიხედვით ამოქმედდებიან ხოლმე და ამ პიროვნებაში ჩამოყალიბდებიან რწმენისა და მოთხოვნისებთან სახით, ჩამოყალიბდება პიროვნების სახე, მთელი მისი სტრუქტურა.

თანამედროვე სოციალური ფსიქოლოგია პიროვნების სტრუქტურაში სამ ქვესისტემას გამოჰყოფს: ბიოლოგიურს, ფსიქოლოგიურსა და სოციალურს.

ბიოლოგიური სახის ელემენტებიდან თანდათან მივდივართ ფსიქოლოგიურისაკენ, ხოლო შემდეგ კი პიროვნების

სოციალურ დონემდე. მხედველობაშია მისაღები ის, რომ ყოველი მომდევნო დონე უფრო დაბალი დონის თვისებების ინტეგრირებას ახდენს და შესაბამისად წარმართავს მათ ფუნქციონირებას. ადამანის, როგორც ინდივიდის თვისებები შედის პიროვნების საერთო სტრუქტურაში, ექვემდებარება რა სოციალიზაციის საერთო კანონზომიერებას.

პიროვნების სტრუქტურული ანალიზი იწყება ბიოლოგიური დონით. ამ შემთხვევაში, ჩვენ გვაინტერესებს, რა გავლენა აქვს პიროვნების ბიოლოგიურ მახასიათებლებს მის პოლიტიკურ შეგნებასა და ქცევაზე. პიროვნების ბიოლოგიურ მახასიათებლებში იგულისხმება სქესი, ასაკი, ფიზიკური მდგომარეობა – მემკვიდრეობა, ტემპერამენტი. აღნიშნული კომპონენტები ამჯერად ჩვენთვის საინტერესონი არიან, როგორც პიროვნების პოლიტიკური ქცევის დეტერმინატორები. ისინი არ წარმოადგენენ რა დამოუკიდებელ განმსაზღვრელ ფაქტორებს, მეტ-ნაკლები ინტენსივობით მაინც გავლენას ახდენენ პოლიტიკური პროცესის ზოგიერთ ასპექტზე და პოლიტიკოსის ქცევაზე. მაგალითად, პოლიტიკური მოღვაწის ასაკს, სხვადასხვა პოლიტიკური კულტურისა და დონის ეპოქებისათვის, აგრეთვე, სხვადასხვა სფეროში მოღვაწეობისათვის სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს. რევოლუციური გარდატეხის ეპოქისათვის უფრო დამახასიათებელია ახალგაზრდა, ყმაწვილი ლიდერების წარმოჩენა (26 წლის ფიდელ კასტრო კუბაზე აჯანყების ლიდერი, ნიკარაგუას რევოლუციის ყმაწვილი მეთაურები, ეროვნული მოძრაობის თავაკცები საქართველოში 1988-90 წლებში და ა.შ.).

მშვიდობიანი სამოქალაქო ცხოვრებისა და სტაბილური მდგომარეობის პირობებში მოღვაწეობა უფრო სოლიდური ასაკის, მეტი გამოცდილების მქონე პიროვნებებს აძლევს უპირატესობას. მთელ რიგ ტრადიციულ ქვეყნებში სოლიდური ასაკი და პოლიტიკური სიმწიფე სინონიმებია (აშშ-ში

პრეზიდენტობის კანდიდატებში, უმეტესწილად, ასაკოვანი ადამიანები გვხვდება).

ასაკი პრინციპში, წმინდა ბიოლოგიური ფენომენია, მაგრამ იგი პოლიტიკურ მნიშვნელობას იძენს საზოგადოების პოლიტიკური კულტურის, ტრადიციული და ეპოქალური თავისებურებების კონტექსტში. საერთოდ კი, პიროვნების ბიოლოგიური დონე, მისი ბიოლოგიური მახასიათებლები, ამა თუ იმ, პოლიტიკური როლის შესრულებისას გარკვეული „შემზღუდელების“ ფაქტორებად გვეკვლინებიან. თუმცა, ისეთ ბიოლოგიურ მახასიათებელს, როგორიც ასაკია, წმინდა ფსიქოლოგიური შედეგებიც ახლავს (აზროვნების რიგიდულობა, გარკვეული ჩვევებისადმი სტერეოტიპული მიჯაჭვულობა).

სქესი პოლიტიკური ფუნქციების შესრულებაში საკმაოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებს. პოლიტიკაში ქალების მოღვაწეობის გარკვეულმა შეზღუდვამ, რასაც ადრეული პერიოდის ადამიანები, რელიგიური და ეროვნული ტრადიციები განაპირობებდა, ვერ ვიტყვით, რომ დადებითი შედეგები გამოიღო. საკმარისია იმის აღნიშვნა, რომ მან მძლავრი ფემინისტური მოძრაობა წარმოშვა, რომელიც დღეს საერთო-დემოკრატიული მოძრაობების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. მრავალ ქვეყანაში ქალებმა შეძლეს სერიოზული ზეგავლენა მოეხდინათ არა მარტო თავიანთი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე, არამედ მსოფლიო პოლიტიკაზე (მარგარეთ თეთჩერი, ინდირა განდი, თანსუ ჩილერი და სხვა).

ქალთა აქტიური პოზიცია და პოლიტიკური აქტივობა განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო საქართველოში „მრგვალი მაგიდის“ ხელისუფლებისათვის ბრძოლისა და ხელისუფლე-

ბაში ყოფნის პერიოდში და მაინც, პოლიტოლოგთა შორის დღემდე დომინირებს ის აზრი, რომ პოლიტიკა არ არის ის სფერო, რომელშიც მამაკაცსა და ქალს თანაბარი დატვირთვითა და ეფექტურობით შეუძლიათ იმოღვაწეონ. დღემდე ანგარიშგასაწევად ითვლება ის ნიუანსი, რომ პოლიტიკურ ასპარეზზე აღიარების მოსაპოვებლად იგი არა ქალურ, დედაკაცურ ხასიათს უნდა ამჟღავნებდეს, არამედ პირიქით, ვაჟკაცურს, ქალისთვის შეუფერებელს. შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ მარგარეთ თეთჩერს ბევრი ავტორი იმ პიროვნებად მოიხსენიებს, რომელშიც „შერწყმულია მამაკაცის ბევრი თვისება ბაზრის მოვაჭრე დედაკაცის მანერებთან“. როგორც ჩანს, ქალური კდემამოსილება და სათნოება, სინაზე და კეთილშობილება უფრო შეუფერებლად ითვლება პოლიტიკაში მონაწილე მანდილოსნისათვის, ვიდრე უხეშობა, აგრესიულობა და თავშეუკავებლობა.

სოციალიზმის პრაქტიკამ, მარქსისტულ-ლენინურმა იდეოლოგიამ ყოველგვარი საფუძვლიანი განსჯისა და ანალიზის გარეშე გადაწვევითა ქალის პოლიტიკაში მონაწილეობის პრობლემა. კერძოდ, საბჭოთა კავშირში, მთელი მისი არსებობის მანძილზე, დაკანონებული იყო და პრაქტიკულად ხორციელდებოდა პოლიტიკაში ქალების პროცენტული მონაწილეობის წესი. ნომენკლატურული სავარძლების გარკვეული რაოდენობა (რაიკომის ერთი რომელიმე მდივანი, უფრო მეტად, რატომღაც იდეოლოგიის დარგში, მინისტრის ერთი რომელიმე მოადგილე და ა.შ.) ქალებისათვის იყო დაჯავშნული. ასევე, პროპორციით ნაწილდებოდა დეპუტატის მანდატები ქალებსა და კაცებს შორის.

პიროვნების ფიზიკური ანუ ჯანმრთელობის მდგომარეობა. ბიოლოგიურ მახასიათებლებს შორის, რა თქმა უნდა, ფიზიკური მონაცემები გარკვეულ როლს თამაშობენ პოლიტიკაში ჩაბმული პიროვნების საქმიანობაში, კერძოდ, ისეთი

მახასიათებლები, როგორცაა ფიზიკური გამძლეობა, ენერგეულობა, შრომისუნარიანობა, სიჯანსაღე, ანუ თვისებები რომლებიც ადამიანში, როგორც იტყვიან, იმთავითვე მემკვიდრეობით არის მოცემული. უდავოა, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობა და ფიზიკური ფორმა არ შეიძლება მარტო მემკვიდრეობის შედეგი იყოს. ზოგ შემთხვევაში იგი ინდივიდის პირადი მეცადინეობის ნაყოფია, ცხოვრების იმ წესის ნაყოფი, რომელსაც მიზანსწრაფულად ახორციელებს მოცემული ინდივიდი.

ისტორიაში ბევრი ფაქტია ცნობილი, როცა მტკიცე ნებისყოფითა და მონდომებით დაძლია ადამიანმა ფიზიკური სისუსტე, რათა აქტიურ მოღვაწეობას არ ჩამოშორებოდა. მაგალითად, ცნობილია, რომ სუვოროვი ბავშვობაში ფიზიკურად ძალიან სუსტი იყო და სამხედრო ასპარეზზე არავითარი პერსპექტივა არ ელოდებოდა, მაგრამ ჯარისკაცულ ცხოვრებაში სიძნელებებთან ბრძოლით ისე გაკაჟდა, რომ რუსეთის უძლიერესი მხედართმთავარი გახდა. აშშ-ს პრეზიდენტმა კენედმა, რომელსაც, როგორც ცნობილია, ხერხემლის სერიოზული დაავადება ჰქონდა და ამის გამო მუდმივად კორსეტი ეცვა, კარიბის ზღვის რაიონში ცნობილი კრიზისის პერიოდში 124 საათიანი თათბირი ჩაატარა, რათა მსოფლიოსათვის თავიდან აეცილებინა მოსალოდნელი ატომური ომი, რომელიც კუბაზე საბჭოთა რაკეტების მალულად განლაგებასთან დაკავშირებით შეიძლებოდა დაწყებულიყო. ეს ავადმყოფი კაცი, რომელსაც ექიმები შვიდ საათზე მეტი ხანგრძლივობით მუშაობას უკრძალავდნენ, 124 საათი იჯდა და უსმენდა რადიკალურ წინადადებებს რუსეთთან ომის დაუყოვნებლივ დაწყების თაობაზე. სწორედ ის აღმოჩნდა ყველაზე მომთმენი და თავშეკავებული თათბირის მონაწილეთა შორის.

ისიც ცნობილია, რომ ფიზიკური მდგომარეობა სერიოზულ გავლენას ახდენს ამა თუ იმ პოლიტიკოსის საქციელზე

ცალკეულ შემთხვევაში და საერთოდ, მის პოზიციაზე. უინსტონ ჩერჩილი, რომელიც თავად ძალიან ჯანმრთელი კაცი იყო, ხშირად აღნიშნავდა, რომ რუზველტის ავადმყოფობამ დიდი გავლენა იქონია იალტის კონფერენციაზე. ამ მოღვაწის პოზიციასა და ქცევაზე, ძალზე განერვიულებული, ზურგის ტვინის სკლეროზით ძალზე შეწუხებული რუზველტი იალტაში გამგზავრების წინ მხოლოდ თავის ავადმყოფობაზე ფიქრობდა ამიტომ, მგზავრობის მთელი დროის მანძილზე თურმე თვალიც კი არ გადაუვლია იმ დოკუმენტებისათვის, რაზედაც მსჯელობა უნდა ყოფილიყო. მას ამ პერიოდში არ სურდა არავითარი სამსახურებრივი ბარათებისა და მოხსენებების წაკითხვა ან მოსმენა, როგორც თანაშემწეები ადასტურებენ, კითხულობდა მხოლოდ დეტექტივებს, რომ გული გადაეყოლებინა და ტკივილების შეგრძნება შეენელებინა. ამის გამო ჩერჩილი იხსენებდა: „რუზველტი კონფერენციაზე ჩამოვიდა ყოველგვარი დოსიეს გარეშე და საბოლოო ჯამში, ჩააბარა ყველა ის პოზიცია, რომელიც მას ბრიტანის ველზე ჰქონდა მოპოვებული“.

საზოგადოებისათვის ასეთი ფაქტიცაა ცნობილი: საფრანგეთის პრეზიდენტი ჟორჟ კლემანსი ვერსალის ხელშეკრულების გაფორმების მომენტში იმდენად შეაწუხა პროსტატის ტკივილმა, რომ არაფრად ჩააგდო იტალიის მეფის, ვიქტორ ემანუილის თხოვნა – „არ დაეჩაგრათ მისი საბრალო ქვეყანა“, წამოხტა, გავარდა დარბაზიდან და ხმამაღლა ყვიროდა: „ფეხებზე მკიდია იტალია, მოშარდვა მინდაო“.

ფსიქოლოგებმა ყურადღება მიაქციეს იმ ფაქტებს რომ სწეული პოლიტიკოსები გაცილებით მეტად ეპოტინებიან თავიანთ სავარძლებს და არ თმობენ თანამდებობებს, ვიდრე ფიზიკურად ჯანსაღნი და ძლიერნი. საერთოდ, ისტორიული გამოცდიება ცხადყოფს, რომ ნებისმიერ მმართველს, ყველა დროსა და ყველა ეპოქაში ერთი და იგივე პრინციპი ჰქონდა:

არავითარ შემთხვევაში ნებით არ დაეთმო ძალაუფლება, თუნდაც სასიკვდილო სარეცელზე ყოფნის დროს. მაგალითად, ტუნისის ერთ-ერთი პოპულარული პრეზიდენტი ბურგობა სერიოზულად დაავადდა ნერვიული სისტემის მოშლილობით. თუმცა, ეს ავადმყოფობა 25 წლის მანძილზე აწუხებდა, გადადგომაზე არ უფიქრია, ეს მისმა „ერთგულმა ხელქვეითებმა“ მოახერხეს და ქვეყანას ჩამოაშორეს სწეული პრეზიდენტი.

იტალიის პრემიერ-მინისტრად ერთ დროს იყო ანტონიო სენი. მიუხედავად იმისა, რომ მას დამბლა დაეცა და სრულყოფილი მუშაობა აღარ შეეძლო, აგრძელებდა ამ საპასუხისმგებლო პოსტზე ყოფნას. სამედიცინო ბიულეტენში მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ყალბ მონაცემებს გადოსცემდნენ, ამასთან დაკავშირებით მისმა თანამედროვემ ასეთი რამ დაწერა: „სენი არც იმდენად სწეულია, რომ პრემიერის პოსტიდან გადადგეს, მაგრამ არც იმდენად ჯანმრთელი, რომ თავის მოვალეობას ასრულებდეს“. თანამედროვე პოლიტოლოგია და განსაკუთრებით, თანამედროვე სოციალ-ფსიქოლოგია სერიოზულ ყურადღებას უთმობა პოლიტიკოსთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესწავლას. შემთხვევითი როდია, რომ აშშ-ს პრეზიდენტობის კანდიდატები სერიოზულ შემოწმებას გადიან ამ მხრივ.

ახლა პოლიტოლოგები და ფსიქოლოგები იმაზეც კი მსჯელობენ, თუ რამდენი ხანი უნდა ეძინოს ლიდერს (რა თქმა უნდა, ლაპარაკია ძალის პირდაპირ გაგებაზე, თორემ ისე, შეიძლება ზოგიერთ ლიდერს სიფხიზლეშიც ეძინოს).

პოპულარულ ინგლისურ გაზეთ „იუროპეინში“ დაიბეჭდა წერილი, რომელიც პოპულარული პოლიტიკური ლიდერების ძილს ეხებოდა, თურმე, ნაპოლეონს უთქვამს: „მამაკაცს ექვსი საათი უნდა ეძინოს, ქალს – შვიდი, სულელს კი რვა საათი“.

სახელმწიფო ლიდერების უმრავლესობა თურმე იცავს ნაპოლეონის აზრს. მათ მხოლოდ ხუთი-ექვსი საათი სძინავთ. რა თქმა უნდა, არიან გამონაკლისებიც. მაგალითად, იტალიის ამასწინდელ პრემიერ-მინისტრს, ჯულიო ანდრიოტის 4 საათიანი ძილი საკმარისად მიაჩნდა და ერთგულად იცავდა ამ შეხედულებას. მისი ესპანელი კოლეგა, ფილიპე გონსალესი ნაპოლეონის შეხედულებას იზიარებს. სპარსეთის ყურეში ომის დროს დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ჯორჯ მეიჯორი რამდენიმე წუთით თუ ჩათვლემდა, თორემ საერთოდ არ ეძინა, პრემიერობის პერიოდში 6 საათზე მეტი არ ეძინა მარგარეთ თეთჩერს, მხოლოდ 3-4 საათი ძინავს ჩეხეთის პრეზიდენტს ვაცლავ ჰაველს.

პიროვნების ბიოლოგიურ მახასიათებლებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია ტემპერამენტი. იგი ინდივიდუალურ თავისებურებას აძლევს არა მხოლოდ ცალკეული პიროვნების პოლიტიკურ ქცევას, არამედ მთელი მასისაც. მაგალითად, სამხრეთელის ტემპერამენტი განსაკუთრებულ დაღს ასვამს პოლიტიკური მოღვაწის მუშაობის სტილსა და მეთოდს, ვიდრე ჩრდილოელს. ტემპერამენტი პიროვნების ქცევის არა მარტო გარეგნულ გამოხატულებას აძლევს თავისებურ ელფერს, არამედ, მისი ქცევის შინაარსსაც გარკვეულ განსაზღვრულობას უქმნის. პოლიტიკური იდეების ემოციონალური განცდა, უნარი იმისა, რომ გარემომყოფთ გადასცე შენში მოცემული მგზნებარება, გააღვივო მათში ინტერესი იმ საკითხებისადმი, რომელიც შენს პოლიტიკას შეეფერება, მხოლოდ ტემპერამენტის წყალობით შეიძლება საბოლოო ჯამში, ნებისმიერი პოლიტიკა, საერთოდ პოლიტიკური პროცესი, რომელიც ლიდერისა და მასის ერთობლივ მოქმედებას გულისხმობს, რეალიზდება ტემპერამენტის მქონე პოლიტიკური მოღვაწისა და მისი მხარდამჭერების ძალისხმევით. თუმცა, ტემპერამენტი პოლიტიკური მოღვაწის პიროვნული

თვისებაა, იგი „საზოგადოდ“ შეიძლება იქცეს, თუკი პოლიტიკური მოღვაწე სრულყოფილად ფლობს მასებზე ზეგავლენის ხელოვნებას (ამაზე უფრო ვრცლად ლაპარაკია ამ წიგნის იმ მონაკვეთში, რმოელიც პოლიტიკური ლიდერის პიროვნებას ეხება).

ტემპერამენტი პოლიტიკური მოღვაწის წარმატების გარანტიას თავისთავად არ წარმოადგენს. მან შეიძლება წარმატება მოუტანოს პოლიტიკოსს, შეიძლება იქცეს პოლიტიკური უტაქტობის, აშკარა შეცდომებისა და თავშეუკავებლობის მიზეზი. ცნობილია, თუ საზოგადოებრივი აზრის მიერ რა შეფასება და რეაგირება მოჰყვა იმ ფაქტს, რომ გაერთიანებული საკითხის განხილვისას, ერთ დროს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა და საბჭოთა მთავრობის თავმჯდომარემ ნიკიტა ხრუშჩოვმა, ფეხსაცმელები გაიხადა და მაგიდაზე უბრაზუნებდა გადაწყვეტილები-სადმი პროტესტის გამოსახატავად. მართალია, ეს ფაქტი იმ დროს საბჭოთა პრესაში ახსნეს, როგორც ტემპერამენტიანი ხრუშჩოვის წარმატებითი დიპლომატიური ტრიუკი, მსოფლიო პრესამ კი იგი სამარცხვინო ფაქტად, უზრდელობისა და უტაქტობის დემონსტრაციად აღიქვა.

თავის დროზე, პოლიტიკური მიმოხილველების საკმაროდ მწვავე შეფასება მოჰყვა იმ ფაქტს, რომ აშშ-ს იმდროინდელმა სახელმწიფო მდივანმა, რომელიც მაღალი რანგის დიპლომატის სახელით იყო ცნობილი, და დამსახურებულადაც, ბელგრადში ერთ-ერთი მოლაპარაკების დროს, იუგოსლავიის მხრივ მისთვის მიუღებელი წინადადების შემოთავაზებაზე პროტესტის ნიშნად, მაგიდაზე ხელი დაარტყა.

ზოგადი ფსიქოლოგიიდან ცნობილია, რომ ტემპერამენტი, როგორც ნერვული სისტემის სახეობა წარმოადგენს რა ადამიანის თანდაყოლილ მემკვიდრეობით მახასიათებელს, პრინციპში, სოციალიზაციას ექვემდებარება და მას შეიძლე-

ბა გამოხატვის ის ფორმა მიეცეს, რომელიც მისაღები და მოსაწონია არსებულ სოციალურ-კულტურულ ატმოსფეროში.

და ბოლოს, რა მაგალითებიც არ უნდა მოვიშველიოთ პიროვნების ბიოლოგიური მახასიათებლების როლის საილუსტრაციო, მთავარია იმის აღნიშვნა, რომ ბიოლოგიური ფაქტორები, ყველა შემთხვევაში ფსიქოლოგიური ფაქტორების შემოქმედებას ექვემდებარებიან, როგორც პიროვნების სტრუქტურაში შედარებით დაბალი დონე – უფრო მაღალს.

პიროვნების სტრუქტურის ფსიქოლოგიური დონე. იგი მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან კომპონენტებს, როგორცაა: ემოცია, ნებისყოფა, აზროვნება, მეხსიერება, უნარი, მთლიანად პიროვნული ხასიათი. ამ ელემენტებიდან არა მხოლოდ მთლიანად ყველას, თითოეულსაც ცალ-ცალკე შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს პიროვნების შეგნებასა და ქცევაზე.

მაგალითად, პოლიტიკოსის ემოციურობას მნიშვნელოვანწილად შეუძლია განაპირობოს ამ პოლიტიკოსის წარმატებულ-წარუმატებლობა. პიროვნების ემოციურ სამყაროსთან არის დაკავშირებული ისეთი გრძნობების არსებობა, როგორცაა: შიში, სიძულვილი, სიხარული, შური და ა.შ. ასეთი გრძნობები არა უბრალოდ ახლავან ობიექტს პოლიტიკურ სიტუაციებში, არამედ ხშირად მათი შექმნის მოტივებსაც წარმოადგენენ. ისინი უპირატესად ქვეცნობიერად არსებობენ, მოცემული ინდივიდის შინაგან თვისებას წარმოადგენენ და ბუნებრივია, გარკვეულ სიტუაციებში ამ გრძნობების მატარებელ ინდივიდს უჩნდება მათი ემოციონალური გამოხატვის მოთხოვნილება, რაც მას შესაბამისი მოქმედებისკენ უბიძგებს.

შეიძლება ასეც მოხდეს, რომ ამ გრძნობის მატარებელი პიროვნების მოქმედება იმის საწინააღმდეგო იყოს, რომელიც მას მიზანშეწონილად მიაჩნდა მისი პოლიტიკის გასატარებლად, მაგრამ ვერ მოიძქმედებდა იმიტომ, რომ მასში არსე-

ბულმა გრძნობებმა სხვაძხრივ წარმართეს მისი მოქმედება. მაგალითად, შიშის გამო, იმისათვის, რომ აშინებს მისი მოწინააღმდეგის მის გვერდით ყოფნა, პოლიტიკოსმა შეიძლება დააპატიმროს მისი მოწინააღმდეგე, შეიძლება ფიზიკურად გაანადგუროს, თუმცა ეს ნაბიჯი ძლიერ წამგებიანი გამოდგება მისთვის, როგორც პოლიტიკოსისათვის.

ასევე შეიძლება პოლიტიკოსს შეშურდეს მისი რომელიმე თანამებრძოლის მაღალი საზოგადოებრივი იმიჯი და ჩამოიშოროს პოლიტიკური ასპარეზიდან მაშინაც კი, როცა ეს საქმისთვის საზიანოა.

სიძულვილის მოჭარბებულმა გრძნობამ შეიძლება პოლიტიკოსს კონსენსუსის უნარი წაართვას და განუწყვეტლივ კონფლიქტურ სიტუაციებში ამყოფოს.

ამიტომ პოლიტიკოსი მუდმივად უნდა ცდილობდეს საკუთარი ემოციების მოთოკვას, ხოლო თუ ეს მისთვის განსაკუთრებით რთულია, მაშინ მან უნდა მიმართოს საკუთარი ხელისუფლების დელეგირებას, ანუ იქ, სადაც მას უჭირს თავის შეკავება, სხვა ადამიანებს უნდა მიანდოს პოლიტიკური კურსის გატარება. გამოცდილი პოლიტიკური მოღვაწეები ფსიქოლოგების დახმარებით აღწევენ ემოციების კორექტირებას, რითაც ინარჩუნებენ ემოციონალურ წონასწორობას, ხოლო იმ კრიტიკულ მომენტში, როცა ამ ფსიქოლოგიური მექანიზმის ამოქმედება ვერ ხერხდება, პოლიტიკური საკითხების გადასაწყვეტად გზავნიან თავიანთ წარმომადგენლებს, რომლებიც ზომიერებითა და თავდაჭერილობით გამოირჩევიან.

პოლიტიკური პროცესები ემოციონალური ელფერის გარეშე, სრული ინდიფერენტულობის ვითარებაში არასოდეს არ მიმდინარეობენ, მაგრამ საქმე არც ისეა, რომ ემოციებში ჩაახშოს, დათრგუნოს ყველაფერი ამ პროცესში. პოლიტიკური პაექრობა ლანძღვა-გინებად და ურთიერთშეურაცხყოფად არ უნდა იქცეს, განსხვავებული თვალსაზრისი მტრობად არ

უნდა იქნეს აღქმული, გონიერება არ უნდა დათრგუნოს უგუნურობამ. მოუთოკავი ემოციურობა, თავშეუკავებლობა, უტაქტობა, რაც ესოდენ დამახასიათებელი იყო საქართველოს წინა პარლამენტის დეპუტატთა საკმაო ნაწილისათვის, თვალნათლივი დასტურია იმისა, რომ პოლიტიკური პიროვნებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ემოციონალური სამყაროს კონტროლი და მართვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, პოლიტიკური ასპარეზი მსუბუქ გართობას უფრო წარმოადგენს, ვიდრე ხალხისა და საზოგადოების საკეთილდღეო საქმიანობას. ემოციონალური ფაქტორის სათანადოდ შეფასებისა და მისი გონივრული მართვის გარეშე პოლიტიკური პროცესები სწორი გზით ვერ განვითარდებიან.

პოლიტიკოსის ნებისყოფა, იგი ალბათ, პიროვნების ფსიქოლოგიურ მახასიათებლებში ყველაზე გაცნობიერებული ელემენტი. ნებისყოფის გარეშე ნებისმიერი პოლიტიკური მიზანი უტოპიაა და ყოველგვარი პოლიტიკური მოღვაწეობა – უაზრო, პოლიტიკოსის ნებისყოფა არ ნიშნავს მხოლოდ მის შეუპოვრობას დასახული მიზნის მიღწევისათვის ბრძოლაში. ესაა, პირველ რიგში, უნარი იმისა, რომ საზოგადო მიზნები დააყენო ყოველგვარ პირადულზე მაღლა, მოუსმინო, გაიგო, შეიცნო და პატივი სცე ხალხის ნებას, გადალახო ყველა დაბრკოლება, რომელიც საერთო კეთილდღეობისთვის, უკეთესი მომავლისათვის ბრძოლის გზაზე გადაეღობება. მტკიცე ნებისყოფის გარეშე, უბრალოდ, შეუძლებელია აზროვნების ინერციისა და სტერეოტიპების დაძლევა, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია პოლიტიკოსის წარმატებისათვის. თუ საერთოდ ნებისყოფა პიროვნების რეალიზაციის აუცილებელი პირობაა, პოლიტიკური ნებისყოფა პოლიტიკური მოღვაწეობის აუცილებელი ატრიბუტია. უნებისყოფობა სახელს უტეხს არა მხოლოდ პოლიტიკურ ლიდერს, არამედ ხალხს, რომელსაც ასეთი ლიდერი ჰყავს.

ზოგჯერ ნებისყოფის სიმტკიცეს პიროვნების სიჯიუტეში, კერპობასა და უტეხობაში ურევენ. პოლიტიკოსის ნებისყოფის სიმტკიცე სწორი მიზნისათვის შეუპოვარი, მაგრამ სამართლიანი საშუალებების ბრძოლაში უნდა გამოვლინდეს და არა აკვიატებული შეხედულებების ყოველგვარი ხერხებით დაცვაში. პოლიტიკოსმა კეთილშობილური სულგრძელობითა და მოთმინებით უნდა გადალახოს სიძნელები, რაც სანუკვარი მიზნის განხორციელების გზაზე ელობება.

პიროვნების მოღვაწეობაში ერთ-ერთი გადამწყვეტი, პოლიტიკური აზროვნების უნარია. აზროვნების დონით იზომება და გამოიხატება პიროვნების ინტელექტი, განსწავლულობა, მოქნილობა და ბევრი ის თვისება, რაც ესოდენ საჭიროა პოლიტიკოსის საქმიანობაში.

პოლიტიკური საზრიანობა, გამჭვრიახობა, განსწავლულობა და შემოქმედებითი უნარი გადამწყვეტ როლს ასრულებს პოლიტიკური პროცესების მართვასა და რეგულირებაში. მოაზროვნე და შემოქმედი პოლიტიკოსი არასოდეს არ კარგავს რეალობის გრძნობას, ყოველთვის გრძნობს ცხოვრების პულსს, ადვილად არკვევს მიზეზ-შედეგობრივ კავშირს და, მაშასადამე, შეუცდომლობის მეტ შანსს ინარჩუნებს.

მოაზროვნე პოლიტიკოსობა არ ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ იგი კარგად იცნობს თავისი ქვეყნის და, თუნდაც, მსოფლიო ისტორიას, თანამედროვეობას. მთავარია, ამ ცოდნის გამოყენების რა უნარი შესწევს მას და როგორ ახერხებს ის ისტორიის პარალელების შეჯერებას, პოლიტიკის სწორად განსაზღვრასა და პოლიტიკური პროცესის გააქტიურებას. რამდენად სწორად აღიქვამს ნიუანსებსა და თავისებურებებს. მოაზროვნე პოლიტიკოსი ადვილად ერკვევა შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციაში, რომელიც თავისი ბუნებით დინამიურია და ხშირად საჭიროებს კორექტივებს, განსაკუთრებით ტაქტიკური მიმართებით. მოაზროვნე პოლიტიკოსი,

ასევე, არასოდეს არ ექცევა აკვიტებული აზრის გავლენის ქვეშ და არ აფეტიშებს სხვის გამოცდილებას, თუნდაც იგი აღიარებული წარმატება იყოს. მოაზროვნე პოლიტიკოსის მოღვაწეობა უპირატესად არაორდინალურია, მაგრამ მოცემული მომენტისათვის უფრო მიზანშეწონილი ქმედებებით ხასიათდება. მისთვის უფრო მისაღებია ნოვატორული, არააპრობირებული გადაწყვეტილებები, რომლებიც ქვეყნის კონკრეტულ-ისტორიულ ნიუანსებს ზედმიწევნით ითვალისწინებს.

პიროვნების სოციალური დონე, პოლიტიკური აზროვნების შინაარსი, როგორც პოლიტიკოსის ემოციონალური სამყარო, საბოლოო ჯამში, განისაზღვრება არა მოცემული პიროვნების ფსიქოლოგიური მექანიზმებით, არამედ იმ მიზნებითა და მსოფლმხედველობით, იმ პოლიტიკური ღირებულებებითა და განწყობით, რომლებიც ერთობლიობაში პიროვნების სოციალურ დონეს ქმნიან. როგორც აღვნიშნეთ, პიროვნების სტრუქტურაში სამი დონეა გამოყოფილი: ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური და სოციალური. ისინი მჭიდროდ უკავშირდებიან და განაპირობებენ ერთმანეთს. ბიოლოგიურად, ყველაზე დაბალი დონიდან, მივდივართ ზემოთ და ზემოთ – სოციალურამდე.

პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესში პოლიტიკური მიზანი და პოლიტიკური ღირებულებანი პიროვნების მიერ ინტერიერიზდება და მისი სტრუქტურის შემადგენელი ნაწილი ხდება. ისეთი დემოკრატიული ღირებულებანი, როგორცაა სოციალური სამართლიანობა და თანასწორობა, უპირისპირდებიან ისეთ ღირებულებებს, როგორცაა ინდივიდუალიზმი, ჰეგემონიზმი, შოვინიზმი და ა.შ. ეს შეეხება არა მხოლოდ ეროვნული პოლიტიკის მიზნებს, რომლებიც კლასის ინტერესებს გამოხატავენ, არამედ ცალკეულ პიროვნებებსაც, რომლებიც პოლიტიკაში ცალკეულ ღირებულებებზე

არიან ორიენტირებულნი და პოლიტიკურ პროცესში მონაწილეობის გარკვეული მოტივი გააჩნიათ.

საერთოდ, პიროვნების პოლიტიკური ქცევისა და მოქმედების ანალიზი შეუძლებელია იმ ინტერესების, მოთხოვნისა და მოტივების განსაზღვრის გარეშე, რომლებიც მისი სოციალური სტრუქტურის უმნიშვნელოვანეს კომპონენტებს წარმოადგენენ.

პოლიტოლოგიაში პოლიტიკური ქცევის პრობლემა უმნიშვნელოვანესია. რა ამოძრავებს, რა მოტივი განსაზღვრავს პოლიტიკაში ჩაბმული პიროვნების ქცევას? – ეს მართლაც საინტერესო კითხვებია. მოტივაცია, ესა პიროვნების ქცევის, ქმედების სუბიექტური დეტერმინაცია, პიროვნების მიერ საკუთარი მიზნების გაცნობიერება, შეგნება. ერთი და იმავე სახის ქმედებას სხვადასხვა მოტივები შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა პიროვნებისათვის, ამას ცხოვრებისეული პრაქტიკა ადასტურებს. მაგალითად, შეიძლება, რომ ხელისუფლებისათვის ბრძოლისას ერთი პიროვნება ალტრუისტული მოტივით ხელმძღვანელობდეს და საზოგადოებაში თანასწორობისა და სამართლიანობის დამყარებას ისახავდეს მიზნად, ხოლო მეორე პიროვნებას წმიდა ეგოისტური მოტივი ამოძრავებდეს – ხელისუფლების ხელში ჩაგდება თავის გამოსაჩინად, სხვებზე გასაბატონებლად, სიმდიდრის მოსახვეჭად და ა.შ.

ნებისმიერ მოტივს შესაფერისი საფუძველი გააჩნია, რომელიც მისი ფუნქციის სახით შეიძლება გამოვლინდეს. მოტივის ფსიქოლოგიური ფუნქციებიდან შეიძლება გამოიყოს მოტივის აღმძვრელი, მაკონტროლებელი და წარმმართველი ფუნქციები. მაგალითად, მოტივის აღმძვრელი (წარმოშობი) სხვადასხვა სოციალური მდგომარეობის მქონე პიროვნებისათვის, სხვადასხვა დროს სხვადასხვა რამ შეიძლება იყოს. ბირთვული კატასტროფის თავიდან აცილება, გარკვეული

პოლიტიკური ძალებისათვის მშვიდობის დამყარებისათვის მიზანსწრაფული მოქმედების მოტივი შეიძლება იყოს, ხოლო სხვა ძალებისათვის, რომლებიც საომარ ინდუსტრიას ემსახურებიან, სულ სხვა მიმართულებით მოქმედების მოტივი.

მოტივი, წარმოადგენს რა რთულ ფსიქოლოგიურ ფენომენს, არა მხოლოდ აღძრავს შესაბამისი მოქმედების სურვილს, არამედ განსაზღვრავს კიდევ ამ მოქმედების მიზანსა და ქცევის პროგრამას. იმით, რომ შესაბამისობაში მოჰყავს მოქმედების მიზანი და მოქმედების პროგრამა, იგი დაცვით ფუნქციასაც ასრულებს, რამდენადაც ადამიანები ხელმძღვანელობენ რა გარკვეული მოტივით, გამართლებულად (მიზანშეწონილად) მიიჩნევენ თავიანთ ქმედებას საკუთარი თავისა და საზოგადოების წინაშე.

ლოგიკურია, რომ მოქმედების მოტივი და მოქმედების შედეგი შესატყვისი იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, საქმე გვაქვს, გაორებულ, არასრულყოფილ პიროვნებასთან. პოლიტიკოსის მოღვაწეობის შეფასების კრიტერიუმში, პირველ რიგში, მისი ქცევის მოტივია და არა მხოლოდ შედეგი. ამის აღნიშვნა იმიტომ დაგვჭირდა, რომ ზოგჯერ ქცევის მოტივი სიკეთეა, მაგრამ შემდეგი ბოროტება და პირიქით, შეიძლება მოტივი ბოროტება იყოს, მაგრამ ქმედება სიკეთით დამთავრდება. ხდება ხოლმე, კეთილსინდისიერ პოლიტიკურ მოღვაწეს კეთლშობილური მოტივით განსაზღვრული მოქმედება ბოროტი შედეგით დაუმთავრებია და ეს საბედისწეროც კი გამხდარა მისთვის, რადგან სათანადოდ არ გაუანალიზებიათ მისი ქმედების აღმძვრელი მოტივი. აღმძვრელი მოტივის გამოკვლევა რთული ფსიქოლოგიური პროცესია და ამიტომაც უუშვებთ ჩვენ შეცდომებს პოლიტიკოსთა შეფასებისას. ცხოვრებაში, არა თუ ისე იშვიათად, კეთილშობილური მოტივებით ინიღბებიან ანგარებიანი, ამბიციური პოლიტიკოსები. ზოგიერთი პოლიტიკური ლიდერი თავისი გაზვიადებული

პატივმოყვარეობისა და ეგოისტური ზრახვების გამო ათასობით ადამიანს გაჭირვებასა და განსაცდელში ამყოფებს, იმ მოტივით, რომ უკეთესი მომავლის შექმნა მსხვერპლის ძალაუფლების დამყარების მოტივით პირად ძალაუფლებას, პირად დიქტატურას ამყარებენ; საყოველთაო სიკეთისათვის ბრძოლის მოტივით პირად კეთილდღეობას იქმნიან. ამიტომ, მოტივის მაკონტროლებელი ფუნქცია არასოდეს არ უნდა მოღუნდეს და მუდამ უნდა უფარდებდეს ერთმანეთს მოქმედების მოტივისა და მოქმედების შედეგს, კონტროლსა და ანალიზს, პირველ რიგში, მოქმედების მოტივით უნდა ვიწყებდეთ.

მოტივის წარმმართველი ფუნქცია იმაში მდგომარეობს, რომ იგი კონკრეტულ აზრს აძლევს პიროვნების მოქმედებას. იმისდა მიხედვით, მას იზიდავს თუ არა ეს აზრი, მოსწონს ეს მოქმედება თუ არა, იგი შესაფერისად წარმართავს მოქმედებას.

პიროვნების მოქმედების აღმძვრელ ფაქტორებს შორის ერთ-ერთი მთავარია მოთხოვნილება. რას ნიშნავს მოთხოვნილების არსებობა პოლიტიკურ საქმიანობაში? იგი სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს. ერთი მხრივ, ეს შეიძლება იყოს თვითდამკვიდრების მოთხოვნილება, ასევე, შეიძლება იყოს აღიარების, ავტორიტეტის მოხვეჭის მოთხოვნილება. შეიძლება პოლიტიკაში მონაწილეობის მოთხოვნილება განპირობებული იყოს თავდაცვის მეტი შესაძლებლობების შექმნით; ზოგჯერ კი ეს შეიძლება უბრალოდ ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილების მოთხოვნილებით იყოს განპირობებული და ა.შ.

პოლიტიკასთან დამოკიდებულებისას მოთხოვნილებების დაყოფა პირველად და მეორად მოთხოვნილებად არ შეიძლება. მით უმეტეს, დღევანდელ დროში, როცა პოლიტიკით ცხოვრების ყველა სფეროა გამსჭვალული, როცა მთელი საზოგადოება პოლიტიზირებულია.

პოლიტიკის სფეროში გაცნობიერებული მოთხოვნებია ინტერესის სახით ვლინდება. პოლიტიკური ინტერესები პიროვნების პოლიტიკური განვითარების დონის უპირველესი მაჩვენებელია. იგი შეიძლება არ ემთხვეოდეს პიროვნების პოლიტიკურ აქტივობას, მაგრამ აუცილებლად წინ უძღვის და განსაზღვრავს მას.

პიროვნების სოციალურ სტრუქტურაში, თუ შეიძლება ასე ითქვას, უზენაესი მწვერვალია მსოფლმხედველობა, იგი პიროვნების ჩამოყალიბების ხანგრძლივ პროცესში ყველაზე ნაკვეთიანევი პროდუქტია. მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების, ქმნადობის პროცესი რთული და ხანგრძლივია. მისი ჩამოყალიბებისათვის საკმარისი არ არის პიროვნების სოციალიზაციის გარეგანი, სპონტანური ფაქტორების ზემოქმედება. იგი მოითხოვს თვით ამ პიროვნების შინაგან დაძაბულობას და თავდადებულ შრომას, გარჯასა და განსჯას.

მსოფლმხედველობა, როგორც პიროვნების სტრუქტურის, მისი განვითარების უმაღლესი საფეხური, მთლიანად იმორჩილებს ინდივიდის ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური დონის ყველა გამოვლინებას და მის საქმიანობას წარმართავს იმ მიზანდასახულობით, რაც მის მსოფლმხედველობას შეეფერება. რა თქმა უნდა, ეს ასე ხდება, როცა მსოფლმხედველობა რწმენადაა ქცეული და არ რჩება მხოლოდ ცოდნის უბრალო კრებულად.

შინაარსობრივი თვალსაზრისით, პიროვნების მსოფლმხედველობა წარმოადგენს თეორიული ცოდნის, პრაქტიკული ურთიერთობების, განწყობისა და გრძნობების სისტემას. ამ შემთხვევაში, ხაზგასმული სწორედ მისი სისტემატურობა და მისი შემადგენელი ნაწილების ურთიერთკავშირია. ყოველ პიროვნებასთან მიმართებაში ასეთ სისტემას შეიძლება თავისი კონფიგურაცია ჰქონდეს, თავისი ლოგიკით მოქმედებდეს.

ამრიგად, პიროვნებისა და პოლიტიკის ურთიერთობა სხვადასხვა დონის კანონზომიერებებს ექვემდებარება, რომლებიც, ერთი მხრივ, ქმნიან პიროვნების განვითარების გარკვეულ სიტუაციას ხოლო მეორე მხრივ, ზემოქმედებენ პოლიტიკური პროცესების მიმდინარეობაზე, თანამედროვე პიროვნება არნახულად პოლიტიზირებულია, მაგრამ პოლიტიკა განუწყვეტლივი განვითარების პროცესშია და ითხოვს პიროვნების ახალ და ახალ ტიპებს. იგი ვერ ითმენს სტერეოტიპებს. მას სჭირდება მაღალი მოქალაქეობრივი შეგნების მქონე აქტიური პიროვნებები, რომელთაც დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღებისა და მოქმედების უნარი შესწევთ.

პოლიტიკური პიროვნების ასეთი ტიპების ჩამოყალიბება დღეს ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენციების ზეგავლენით მიმდინარეობს (განსაკუთრებით, ეს ჩვენს ქვეყანაზე, საქართველოზე ითქმის).

ერთ-ერთი ასეთი ტენდენცია ისაა, რომ პიროვნების აქტივიზაციაში გადამწყვეტი როლი არსებულმა საზოგადოებრივმა წყობამ შეასრულოს. მაგრამ მას უპირისპირდება სახელმწიფოსაგან, სახელმწიფო ინსტიტუტებისაგან, საერთოდ პოლიტიკისაგან, პიროვნების განსხვავების ძლიერი ტენდენცია.

საქართველოში, სადაც სულ 5-6 წელია, რაც ძველი წყობის ნგრევა დაიწყო, ხოლო ახალი ჯერ კიდევ არა თუ არ შექმნილა, საზოგადოებრივი წყობის პიროვნებაზე ზეგავლენის თვალსაზრისით გამოკვეთილი ტენდენციაც კი არ არსებობს, ასევე ჩამოყალიბებისა და ექსპედიციების პროცესშია სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების მშენებლობა და მაშასადამე, მათი როლიც პიროვნების აქტივიზაციაში შეუმჩნეველია.

ერთი რამ ცხადია, თანამედროვე მაღალგანვითარებულ ქვეყნებში ამჟამად გამოკვეთილი ტენდენცია საყოველთაოდ იქცევა. ამ ტენდენციის ანალიზი კი ცხადყოფს, რომ თანამედ-

როვე ცივილიზებულ სამყაროში ინტენსიურად მიმდინარეობს პიროვნული ფაქტორის ზრდის, პიროვნების გრძნობების განვითარებისა და ამბლებების შეუქცევადი პროცესი, ყალიბდება პოლიტიკის ახალი სუბიექტი, თანამედროვე პიროვნება, რომელიც ვერ ეგუება სახელმწიფოსა და პოლიტიზირებული ინსტიტუტების მხრივ მკაცრ კონტროლს (როგორც ამას ადგილი ჰქონდა სოციალისტურ სახელმწიფოებში). საზოგადოებაში მის ადგილს იკავენს პიროვნება, რომლის ქცევის შიდაპიროვნული რეგულატორებია: რწმენა, პირადი და სხვათა ღირსების დაცვა, საერთოდ ადამიანის ნატურის შესაფერისი პოლიტიკური და ზნეობრივი ღირებულებანი.

რა თქმა უნდა, ასეთი პიროვნების ჩამოყალიბების პროცესი არ არის სწორხაზობრივი. მასში იქნება აღმავლობის მომენტებიც და უკუსვლებიც, მაგრამ თუ კაცობრიობას პროგრესი უწერია, იგი აუცილებლად დაკავშირებული იქნება თითოეული პიროვნების შინაგანი სამყაროს შეცვლასთან, რამეთუ ამ მოვლენას უშუალო კავშირი აქვს გონებრივი მსოფლიო-პოლიტიკის გატარებასთან.

პოლიტიკური ხელისუფლება პოლიტიკისა და პოლიტიკური მეცნიერების ცენტრალური საკითხია. სპეციალისტ პოლიტოლოგთა უმრავლესობა პოლიტიკურ ხელისუფლებას პოლიტიკური მეცნიერების საგნად მიიჩნევს. როგორც პოლიტიკა, ასევე პოლიტიკური ხელისუფლება საზოგადოებრივი ცხოვრების მეტად რთული და მრავალმხრივი ფენომენია საზოგადოებაში დიდი სოციალური ჯგუფების ურთიერთობა, პარტიული დაპირისპირება, ინტერესთა მკვეთრი შეჯახება ხელისუფლების გამო ხდება. ცალკეული პიროვნება თუ ადამიანთა ჯგუფი, სოციალური ფენა, კლასი, პოლიტიკური ორგანიზაცია თავის პოლიტიკურ ნებას, მიზნებსა და ამოცანებს, სწორედ პოლიტიკური ხელისუფლების მეშვეობით ახორციელებს.

პოლიტიკური ხელისუფლება აბსოლუტურია, უნივერსალურია, ისტორიაში ცნობილია ფაქტები, როცა ხელისუფლების მეშვეობით შეუძლებელი და წარმოუდგენელი, ობიექტურ სინამდვილედ იქცა. ცალკეული პიროვნება, რომელიც ხელისუფლების სათავეში მოვიდა თავისი დიქტატორული და ტოტალიტარული პოლიტიკის მეშვეობით, ხელისუფლებას იყენებს თავისი ეგოისტური ინტერესების განსახორციელებლად. ამის მაგალითი ისტორიაში უამრავია. ხელისუფლებაში ყოფნა გარკვეულ პოლიტიკურ და სოციალურ პრივილეგიებსაც ნიშნავს, ამიტომაც ხელისუფლება საყოველთაო ინტერესებისა და ბრძოლის ობიექტი.

თანამედროვე პოლიტიკურ მეცნიერებაში უმთავრესად ხელისუფლების შემდეგი თეორებია გავრცელებული:

ხელისუფლების ბიოლოგიური თეორია. მისი ამოსავალი წყაროა ბიოპოლიტიკა, რომელიც უშვებს ბიოლოგიური ცნებისა და კვლევის მეთოდების გამოყენებას პოლიტიკური ფენომენის შესწავლის პროცესში. პოლიტიკური ცხოვრების სფეროში ბიოლოგიური ფაქტორების მნიშვნელობაზე მიუთითებდნენ ჯერ კიდევ პლატონი და არისტოტელე. ბიოპოლიტიკას საფუძველი ჩაეყარა XIX საუკუნეში, იტალიაში, ხოლო შემდეგ მას გაუჩნდა მიმდევრებ სხვა ქვეყნებშიც. ბიოლოგიური გაგების თანახმად ხელისუფლება სპეციფიკურია არა მარტო ადამიანისათვის, არამედ მას გააჩნია თავისი წინამძღვრები ბიოლოგიურ სტრუქტურაში, რომელიც საერთოა, როგორც ადამიანისათვის, ისე ცხოველისათვის. მათი აზრით, ხელისუფლების საფუძველი თვით ადამიანის, როგორც ბიოლოგიური არსების, ბუნებაშია. ცნობილი ფრანგი სოციოლოგი მ. დიუვერჟე პოლიტიკისა და ხელისუფლების ფენომენს ხედავდა არა მარტო ცხოველებში, არამედ სხვა ბიოლოგიურ ერთეულებშიც.

ხელისუფლების ბიოლოგიური კონცეფციის თავისებურ კარიანტს წარმოადგენს სოციალური დარვინიზმი, რომელიც

აღამიანთა საზოგადოების განვითარებისა და ბიოლოგიური ევოლუციის კანონზომიერებებს აიგივებს. ბუნებრივი შერჩევა, ბრძოლა არსებობისათვის, აი ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორები საზოგადოებრივი განვითარებისა.

პოლიტიკურ მეცნიერებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ხელისუფლების გაგების ფსიქოლოგიურ მეთოდს. მისი მიმდევრები ხელისუფლებას უპირატესად იკვლევენ ინდივიდის მიერ ხელისუფლების სუბიექტური აღქმის თვალსაზრისით. ამ გაგების თანახმად ადამიანის სოციალური ჯგუფების ეთნიკური ერთობის, ფსიქოლოგიური კომპონენტების შესწავლა საშუალებას იძლევა აიხსნას ადამიანის ხელისუფლებრივი ქცევის მოტივები. ფსიქონალიზის მიხედვით ხელისუფლების საფუძველი ფსიქიკის არაცნობიერ, ფარულად პოლიტიზებულ გრძნობებშია.

ხელისუფლების თანამედროვე თეორიებში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ხელისუფლების სოციოლოგიური გაგება, რომლის თანახმად იგი განიხილება როგორც ერთი ჯგუფის პოლიტიკური გავლენა მეორეზე. პოლიტოლოგიაში ამ მიდგომის სხვადასხვა ვარიანტია გავრცელებული:

– ხელისუფლების ბიჰევიორისტული გაგების თანახმად, ხელისუფლება წარმოადგენს ქცევის განსაკუთრებულ ტიპს, რომელიც მიზნად ისახავს სხვა ადამიანების ქცევის შეცვლას.

– რელაციონისტური კონცეფციის თანახმად, ხელისუფლება გაგებულია როგორც ურთიერთობა ორ სუბიექტს შორის. ამ შემთხვევაში ხელისუფლება წარმოდგენილია როგორც მისი სუბიექტისა და ობიექტის ურთიერთობა, რომლის დროსაც სუბიექტი განსაზღვრული საშუალებების დახმარებით აკონტროლებს ობიექტს.

– მარქსისტული შეხედულება, აღიარებს პოლიტიკური ხელისუფლების კლასობრივ ბუნებას. ხელისუფლება გან-

საზღვრულია, როგორც ერთი კლასის (ეკონომიკურად გაბატონებულის) ორგანიზაციული ბატონობა სხვა საზოგადოებრივ კლასებზე.

– ხელისუფლების თეოლოგიური განსაზღვრება, ხელისუფლებას განიხილავს, როგორც მმართველთა და მართვად-თა ურთიერთობის განსაკუთრებულ ტიპს.

ხელისუფლების განსაზღვრაში პოლიტოლოგთა შორის აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ცნობილი დასავლეთელი პოლიტოლოგი ჰამორგენტაუ ხელისუფლების ასეთ განმარტებას იძლევა: „როცა ჩვენ ვლაპარაკობთ ხელისუფლებაზე, მხედველობაში გვაქვს ადამიანის მიერ განხორციელებული კონტროლი სხვა ადამიანების შეგნებასა და მოქმედებაზე, ხელისუფლების კიდევ მრავალი სხვა, მათ შორის მაკიაველის განმარტება არსებობს. არსებული ყველა კონცეფციას და განსაზღვრებას საერთო ის აქვთ, რომ ყოველი მათგანი ხელისუფლებას განიხილავს როგორც ნებელობით ურთიერთობას. სწორედ ამაში გამოიხატება ხელისუფლების უმთავრესი, ზოგადსოციოლოგიური არსი.“

პოლიტიკური ხელისუფლების არსია ძალაუფლება, რომლის მეშვეობით ხორციელდება ხელისუფლების პოლიტიკური ნება. კლასობრივ საზოგადოებაში პოლიტიკური ხელისუფლება ძირითადად იძულებისა და ძალდატანების გზით ხორციელდება. ეს პერიოდი პოლიტიკური ხელისუფლების განვითარების კლასიკურ პერიოდს ეხება და ხელისუფლების პოლიტოგენეზზე მიუთითებს.

ხელისუფლებისაკენ ადამიანთა სწრაფი მოტივები სხვადასხვაგვარია. ესაა მათი არაერთგვაროვანი მდგომარეობა საზოგადოებაში და ბუნებრივი მისწრაფება შეცვალონ არსებული პირობები. ზოგიერთი ცდილობს დაეხმაროს სხვას, ზოგს კი თვითონ აქვს სურვილი ჰქონდეს გავლენა და აღიარება საზოგადოებაში. ასე რომ, ხელისუფლება არის ინსრუმენტი,

რომლის საშუალებით შეიძლება რეალიზებულ იქნეს როგორც სხვადასხვა სოციალური ჯგუფების, ისე პირადი ინტერესები.

პოლიტიკური ხელისუფლება განსაზღვრული სოციალური ჯგუფის პოლიტიკური ნების განხორციელებაა სხვა ჯგუფებთან და ცალკეულ ინდივიდებთან მიმართებაში, ამასთანავე ის მთელი საზოგადოების ინტერესების გამომხატველია. წინააღმდეგ შემთხვევაში, მას არ ექნება მხარდაჭერა საზოგადოებაში და დაკარგავს თავის ავტორიტეტსა და გავლენას.

პოლიტიკური ხელისუფლება საზოგადოებრივი ურთიერთობის გამომხატვის აუცილებელი ფორმაა. უპირველეს ყოვლისა, ესაა ურთიერთობა მსხვილ სოციალურ ჯგუფებს შორის, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის, რომლებიც ამ სოციალური ჯგუფების პოლიტიკურ ინტერესებს გამოხატავენ, ასე რომ პოლიტიკური ხელისუფლება საზოგადოებრივი ურთიერთობის აუცილებელი და კანონზომიერი შედეგია. პოლიტიკური ხელისუფლება, როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობა თავისთავში აუცილებლად მოიცავს ხელისუფლების სუბიექტისა და ობიექტის წინააღმდეგობრივ ბუნებას და მოწოდებულია გადაწყვიტოს ეს წინააღმდეგობა საზოგადოებისთვის მისაღები თვალსაზრისით.

პოლიტიკური ხელისუფლება უსიტყვოდ დაკავშირებულია იძულებასთან, ძალადობასთან, რომელიც ხშირ შემთხვევაში პრობლემის გადაჭრის ყველაზე ეფექტური საშუალებაა. ამიტომ ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს ხელისუფლების არსი და მისი სპეციფიკა დაკავშირებულია სწორედ იძულების გამოყენებასთან, ჩვენი აზრით, იძულება ვერ ამოწურავს პოლიტიკური ხელისუფლების არსს, რადგანაც თანამედროვე პირობებში პოლიტიკური ხელისუფლება მრავალ საკითხსა და პრობლემას ვერ წყვეტს.

ხელისუფლების არსის გაგებაში მნიშვნელოვნად გვეხმარება პოლიტიკური ხელისუფლების იმ ფუნქციების გან-

საზღვრა, რომელსაც ის ასრულებს საზოგადოებაში. ასეთ ფუნქციებად შეგვიძლია მივიჩნიოთ: განსაზღვრული სოციალური ჯგუფის ბატონობის უზრუნველყოფა, საზოგადოებრივი ცხოვრების მართვა, საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფა, საზოგადოების მთლიანობისა და ერთიანობის შენარჩუნება, სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური კონფლიქტების რეგულირება და მართვა.

ხელისუფლების მიერ თავისი ფუნქციების განხორციელების შედეგების მიხედვით, შეიძლება ვიმსჯელოთ ხელისუფლების ეფექტურობაზე. პოლიტიკური ხელისუფლების ეფექტურობის პირობებად შეგვიძლია მივიჩნიოთ ის, თუ რამდენად ადეკვატურად გამოხატავს ხელისუფლება იმ სოციალური ჯგუფების ინტერესებს, რომელსაც ის ეყრდნობა და რამდენად სწორად უხამებს მას საზოგადოებრივ ინტერესებს, ხომ არ უპირისპირდება ხელისუფლება თავის თავს, საზოგადოებასა და საზოგადოებრივ ინტერესებს, ხომ არ ახვევს მათ საკუთარ ვიწრო ეგოისტურ მოთხოვნებს?

დემოკრატიული ხელისუფლება ყოველთვის ემყარება საკუთარი მოქალაქეების სამართლებრივ და პოლიტიკურ კულტურას, აერთიანებს მათ ერთიანი მიზნის გარშემო და ეფექტურად წყვეტს მოდერნიზაციის საკითხებს.

საზოგადოებაში ხელისუფლების ზემოქმედების ობიექტია სხვადასხვა საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომელთა რეგულირება, ორგანიზაცია და კონტროლი, საზოგადოებრივი ინტერესების განსაზღვრა, პოლიტიკური ქცევის საერთო ნორმების გამომუშავება, ხელისუფლების სუბიექტებს შორის როლების განაწილება სწორედ პოლიტიკურ ხელისუფლების კომპეტენციაში შედის.

ხელისუფლების ძალა დამოკიდებულია არა მხოლოდ იმ ფუნქციების რაოდენობაზე, რომელსაც ის ასრულებს (აღნიშნავენ, რომ რაც უფრო მეტი ფუნქცია აქვს ხელისუფლე-

ბას, მით უფრო ნაკლებად ეფექტურია ის და უფრო მეტად ეყრდნობა ძალისმიერ მეთოდებს), არამედ ხელისუფლების განაწილების ეფექტურობაზე მმართველებსა და მართვადებს შორის, თვით მმართველებს შორი ფუნქციების განაწილებაზე.

ხელისუფლების ეფექტურობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა ხელისუფლების დაყოფის პრინციპი.

– კონსტიტუციის თანახმად, საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო ხელისუფლება, განაწილებულია სხვადასხვა ორგანოებსა და ადამიანებზე.

– ყველა ხელისუფლება თნასწორი და ავტონომიურია. არც ერთ მათგანს არა აქვს უფლება გააუქმოს მეორე.

– არც ერთ ხელისუფლებას არა აქვს უფლება ისარგებლოს იმ უფლებებით, რომლებიც მეორე ხელისუფლებას გააჩნია კონსტიტუციის თანახმად.

– სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელი უნდა იყოს პოლიტიკური გავლენისაგან.

პოლიტიკურ მეცნიერებაში გამოყოფენ ხელისუფლების ოთხ სტრუქტურულ დონეს: 1) მაკროდონე (უმაღლესი დონე – მასში შედის ხელისუფლების ცენტრალური ინსტიტუტები, 2) მეზოდონე (საშუალო დონე) მოიცავს ხელისუფლების ორგანოებსა და აპარატს, დაქვემდებარებულ პოლიტიკურ ინსტიტუტებს, 3) მიკროდონე (დაბალი დონე) დაკავშირებულია მცირე ჯგუფთან, მათ ურთიერთობებთან; 4) მეგადონე – საერთაშორისო საზოგადოების ხელისუფლება.

თითოეული დასახელებული დონე შეიძლება დაიყოს ხელისუფლების ორ ფორმად:

ა) ლეგალურ-ოფიციალური ხელისუფლება, რომელიც წარმოდგენილია ორგანიზებული სტრუქტურების სახით. პოლიტიკური ხელისუფლება აუცილებლად ინსტიტუტიზებულია, მისი რეალიზაცია ხდება ორგანიზაციების, დაწესე-

ბულებების, ნორმების მეშვეობით, რომლებიც უზრუნველყოფენ საზოგადოებრივი ურთიერთობების ორგანიზაციასა და რეგულირებას; ბ) არალეგალური (არაფორმალური, არაოფიციალური) ხელისუფლება არის ისეთი ხელისუფლება, რომელსაც ფლობენ გავლენიანი პირები, დაჯგუფებები, ლიდერები, მაფიოზური კლანები და ა.შ.

ხელისუფლების სუბიექტებია: სახელმწიფო და მისი ინსტიტუტები, პოლიტიკური ელიტა, ცალკეული ლიდერები, პოლიტიკური პარტიები და ა.შ. ხელისუფლების ობიექტებს წარმოადგენს სოციალური ჯგუფი, მასა, საზოგადოება, ერი და ა.შ. ხელისუფლება – ეს არის ურთიერთობა არა მხოლოდ სუბიექტ-ობიექტს შორის, არამედ სუბიექტ-სუბიექტს შორის. ესაა ურთიერთობა როგორც ვერტიკალური ხელისუფლების დონეები, ისე ჰორიზონტალური (ხელისუფლების სხვადასხვა შტოები).

ხელისუფლების სტრუქტურაში გამოყოფენ მის ძირითად კომპონენტებს, რომელთა შორისაა ხელისუფლების სუბიექტი, ხელისუფლების ობიექტი, ხელისუფლების საშუალებები ანუ რესურსები და ხელისუფლების განხორციელების პროცესი.

ხელისუფლებრივი ურთიერთობებისათვის საჭიროა წარმოიშვას ურთიერთობა ხელისუფლების სუბიექტსა და ხელისუფლების ობიექტს შორის. ვინაიდან ზოგიერთი ადამიანი თავს არიდებს ხელისუფლებას, ამიტომ იმისათვის, რომ გახდეს ხელისუფლების სუბიექტი, საჭიროა გქონდეს სურვილი იყო ხელისუფალი. სურვილის გარდა, საჭირო სუბიექტი იყოს კომპეტენტური, ჰქონდეს ავტორიტეტი და ხელისუფალისთვის დამახასიათებელი სხვა თვისებები. ხელისუფლების სუბიექტი თავის ხელისუფლებრივ მოქმედებას განსაზღვრავს ბრძანების განკარგულების მეშვეობით. მასში მოცემულია შესასრულებელი ქცევა, მითითებულია იმ

სანქციებზე, რომლებიც მოჰყვება განკარგულების შეუსრულებლობას.

ხელისუფლების მეორე, უმნიშვნელოვანესი ელემენტია ხელისუფლების ობიექტი, ბრძანების ხასიათი, მასში მოცემული მოთხოვნები დიდად განსაზღვრავს ობიექტის ურთიერთობას ამ მოთხოვნებებისადმი, ობიექტს შეუძლია დაემორჩილოს განკარგულებას, ან კიდევ უარი თქვას მის შესრულებაზე. ხელისუფლება შეუძლებელია ობიექტის მორჩილების გარეშე, როგორი ძლიერიც არ უნდა იყოს ხელისუფლება, როგორი ძლიერი საშუალებები არ გააჩნდეს მას, საბოლოო სიტყვა მაინც ხელისუფლების ობიექტზეა, ის აკეთებს უკანასკნელ არჩევანს.

ხელისუფლების ობიექტისა და სუბიექტის ურთიერთობის მასშტაბები სხვადასხვაგვარია. ის შეიძლება მერყეობდეს მკვეთრი წინააღმდეგობებიდან ნებაყოფლობით მორჩილებამდე, ადამიანთა საზოგადოებას ისევე ბუნებრივად ახასიათებს მორჩილება, როგორც ხელმძღვანელობა. მორჩილებისადმი მზადყოფნა დამოკიდებულია მთელ რიგ ფაქტორებზე მათ შორის შეიძლება მივუთითოთ ხელისუფლების ობიექტის თვისებებზე, მის ფსიქოლოგიურ განწყობილებაზე, წარმოდგენილი მოთხოვნების ხასიათზე, ზემოქმედების საშუალებებზე, კონკრეტულ საზოგადოებრივ სიტუაციაზე, ობიექტის რწმენაზე, სუბიექტის ავტორიტეტზე და ა.შ. აქ დიდ როლს თამაშობს მოსახლეობის საერთო პოლიტიკური და სამართლებრივი კულტურის დონე, მოქალაქეობრივი უფლებებისა და მოვალეობის, პასუხისმგებლობის გრძნობა მოსახლეობის ფართო მასაში. მორჩილების მოტივები ძეგად რთული და მრავალმხრივია. ის შეიძლება გამოწვეული იყოს დასჯის შიშით, ან კიდევ, ხელისუფლების ობიექტს გამოძევაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია განკარგულების შესრულები-

სადმი დაინტერესება და მორჩილებისადმი აუცილებლობის რწმენა.

ხელისუფლების ნორმალური ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანია მორჩილების ჩვევა, სწორედ ის არის ხელისუფლების სტაბილურობის ყველაზე საიმედო ფაქტორი. ყველაზე უფრო სტაბილურია ისეთი ხელისუფლება, რომელიც ემყარება ინტერესს. პირადი დაინტერესება უბიძგებს ხელქვეითს ნებაყოფლობით შეასრულოს განკარგულება ყოველგვარი კონტროლისა და სანქციის გარეშე.

ხელისუფლება, რომელიც ემყარება ავტორიტეტსა და რწმენას, ხელსაყრელ პირობებს ქმნის ხელისუფლების მაქსიმალური ეფექტის მიღწევისათვის. ხელისუფლების სუბიექტად და ობიექტად დაყოფა პირობითია, ერთ შემთხვევაში ადამიანი შეიძლება იყოს ხელმძღვანელი, მეორეში კი – ხელქვეითი.

ხელისუფლების კონკრეტული პოლიტიკური გადაწყვეტილებანი და მოქმედებანი ემყარება გარკვეული საშუალებების სისტემას, რომელსაც ხელისუფლების რესურსები ეწოდება, ისინი მრავალგვარია, ის შეიძლება იყოს საზოგადოების მიერ შექმნილი ისეთი საშუალება, როგორიცაა ტრადიციები, ნორმები, იდეოლოგია, რწმენა, ისტორია და ა.შ. ასეთი შეიძლება იყოს სტრუქტურული საშუალებები, როგორიცაა: სახელმწიფო აპარატი, სასამართლო, იძულების ორგანოები, ცენტრალური და რეგიონალური ორგანოები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, ასეთივე საშუალებად შეიძლება ჩაითვალოს პოლიტიკურ სფეროში წარმოშობილი – პოლიტიკური თეორია, პოლიტიკური ენა, პოლიტიკური მეტყველება, პოლიტიკური სიმბოლიკა, პოლიტიკური რიტუალები, პროპაგანდა, აგრეთვე შეიძლება გამოყენებულ იქნეს ისეთი საშუალებები, როგორიცაა: შიში, ინტერესი, დარწმუნება, გავლენა, შთაგონება, მიბაძვა და ა.შ. იმას თუ როგორი საშუ-

აღებები გამოიყენება ხელისუფლების განხორციელებისათვის, დამოკიდებულია თვით ხელისუფლებაზე.

ხელისუფლების რეალიზაციის მექანიზმი მოიცავს სხვადასხვა საშუალებებსა და წესებს, რომლითაც ხორციელდება ხელისუფლება. ესენია: იძულება, კომუნიკაციური ზემოქმედება, თანამშრომლობა, შეთანხმება, კომპრომისი, წახალისება, კონტროლი და ა.შ.

რაც შეეხება პოლიტიკური ხელისუფლებისა და საზოგადოების წევრების ურთიერთობას, ის ვლინდება სხვადასხვა ფორმებით: ა) ხელისუფლებისა და ერის ნების ერთიანობის აღიარებაში, ლოიალობაში, ბ) გაუცხოებაში, საწინააღმდეგო მოქმედებაში გ) ხელისუფლებისათვის ბრძოლაში, ან კიდევ მისგან გაქცევაში, რომელ ფორმას აქვს უპირატესი როლი, ეს დამოკიდებულია ხელისუფლების ხასიათზე.

თანამედროვე პოლიტიკურ მეცნიერებაში არსებობს ხელისუფლების რესურსების სხვადასხვაგვარი კვალიფიკაცია. ერთ-ერთი მათგანის მიხედვით, ხელისუფლების რესურსები იყოფა ულიტილათური, იძულებით და ნორმატიულ რესურსებად.

ხელისუფლების რესურსებს ყოფენ, აგრეთვე საზოგადოებრივი ცხოვრების შესაბამისი სფეროების მიხედვით, ესენია: 1) ეკონომიკური რესურსები, მასში შედის მატერიალური ღირებულებები, ფული, როგორც მათი საყოველთაო ეკვივალენტი, სასარგებლო წიაღისეულები და ა.შ.; 2) სოციალური რესურსები, ის თითქმის ემთხვევა ეკონომიკურ რესურსებს შემოსავალი და სიმდიდრე როგორც ეკონომიკური, სოციალური რესურსია. ეს უკანასკნელი, აგრეთვე მოიცავს ისეთ მაჩვენებლებს, როგორიცაა თანამდებობა, პრესტიჟი, განათლება, სოციალური უზრუნველყოფა და ა.შ.; 3) კულტურულ-ინფორმაციული რესურსები მოიცავენ ცოდნასა და ინფორმაციას, მათი მიღებისა და გავრცელების საშუალებები.

ბებს, მეცნიერებისა და განათლების ინსტიტუტებს, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს; 4) ძალოვანი რესურსები (არმია, პოლიცია, უშიშროების სამსახური, სასამართლო და პროკურატურა თავიანთი ნივთიერი ატრიბუტებით.

ხელისუფლების საშუალებების გამოყენებას მოძრაობაში მოჰყავს ყველა მისი ელემენტი და მას ხელისუფლების პროცესს უწოდებენ. ეს პროცესი ხასიათდება განხორციელების სხვადასხვა საშუალებებითა და მექანიზმებით, რომელზედაც ჩვენ ზემოთ გვქონდა საუბარი.

ხელისუფლების კლასიფიკაცია შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა სახით. სუბიექტების თვალსაზრისით, პოლიტიკური ხელისუფლების უმაღლეს ფორმას წარმოადგენს სახელმწიფო ხელისუფლება, ასე რომ, პოლიტიკური ხელისუფლება არის ის ხელისუფლება, რომელიც სახელმწიფო სტრუქტურას წარმოადგენს. სახელმწიფო ხელისუფლების ფუნქციონირება დაკავშირებულია სოციალური ჯგუფების ურთიერთობაზე განმსაზღვრელ ზემოქმედებასთან იმ საშუალების დახმარებით, რომელსაც ფლობს სახელმწიფო.

სახელმწიფო ხელისუფლება ხელისუფლების განსაკუთრებული ფორმაა. ის ხალხის მიერაა არჩეული და ხალხი თავისი სურვილისამებრ გადასცემს მას თავის უფლებებს ხელისუფლებაზე.

პარტიული ხელისუფლება ემყარება ორგანიზაციულ ნორმებს, რომლებიც არ ატარებენ სამართლებრივ ხასიათს, არამედ გამოირჩევა პოლიტიკური და იდეოლოგიური ღირებულებებით, მას არ გააჩნია იძულების სპეციალური აპარატი.

ყველაზე გავრცელებულია ხელისუფლების კლასიფიკაცია ხელისუფლების შესაბამისი რესურსების მიხედვით. ამ მხრივ გამოყოფენ:

ა) ეკონომიკური ხელისუფლება მოიცავს კონტროლს ეკონომიკურ რესურსებზე, მატერიალურ ღირებულებებზე,

სტაბილურ დემოკრატიულ საზოგადოებაში განვითარების მშვიდობიან პერიოდებში ეკონომიკური ხელისუფლება დომინირებს სხვა სახის ხელისუფლებაზე. ეკონომიკური ხელისუფლება, როგორც ასეთი, არ იყენებს ძალადობას მაგრამ მას შეუძლია დაარღვიოს ყველა ადამიანური ნორმა და მოაქციოს ისინი უზნეობის სფეროში.

ბ) ეკონომიკურ ხელისუფლებასთან მჭიდროდაა დაკავშირებული სოციალური ხელისუფლება, რომელიც გულისხმობს მდგომარეობის განაწილებას საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში. ესენია: თანამდებობა, სტატუსი, შეღავათები, პრივილეგიები და სხვა;

გ) ინფორმაციული ხელისუფლება – ეს არის ხელისუფლება ადამიანებზე, სოციალურ ურთიერთობებზე რომელიც ხორციელდება მეცნიერული ცოდნისა და ინფორმაციის საშუალებებით. ცოდნისა და ინფორმაციის დახმარებით ხდება უშუალო ზემოქმედება ადამიანთა ცნობიერებაზე სოციალიზაციის ინსტიტუტების მეშვეობით.

დ) ძალისმიერი ხელისუფლება ემყარება ძალისმიერ რესურსებს და ნიშნავს ადამიანებზე კონტროლს ფიზიკური ძალის გამოყენებით ან კიდევ გამოყენების მუქარით.

პოლიტიკური ხელისუფლება განსხვავდება სხვა სახის ხელისუფლებისაგან იმით, რომ მას აქვს კანონიერების გამოყენების უფლება, აგრეთვე მისი მიღებული გადაწყვეტილება უზენაესია და ყველასთვის აუცილებელი.

ტოტალიტარულ საზოგადოებაში პოლიტიკური ხელისუფლება ახორციელებს ტოტალიტარულ კონტროლს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე.

პოლიტიკური ხელისუფლების სტაბილური ფუნქციონირებისათვის. იმისათვის, რომ მან ეფექტურად შეასრულოს მასზე დაკისრებული ფუნქციები აუცილებელია ხელისუფლების ინსტიტუტიზაცია, მისი განმტკიცება პოლიტიკურ-

ორგანიზაციული ბატონობის ფორმაში, პოლიტიკური ბატონობა ნიშნავს ხელისუფლებისა და ხელქვეითთა ურთიერთობის ორგანიზაციულ გარემოებას. მ. ვებერს პოლიტიკური ბატონობის ქვეშ ესმოდა მორჩილება განსაზღვრული ბრძანებისადმი. ბატონობის მეცნიერული გაგება შორსაა ისეთი გაგებისგან, როგორცაა ექსპლუატაცია, ჩაგვრა, დაბეჩავება და ბატონობა – ეს პოლიტიკური წესრიგია, რომლის დროსაც ერთნი ბრძანებლობენ, ხოლო მეორენი ემორჩილებიან, ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ბატონობა დაკავშირებულია ძალის გამოყენებასთან. ძალის გამოყენების საშუალებები შეიძლება იყოს მრავალგვარი: ფიზიკური ძალადობა, ეკონომიკური იძულება, ორგანიზაციულ-კოლექტიური ზეწოლა და სხვა. ხელისუფლება ასევე შეიძლება განხორციელდეს ძალის გამოყენების გარეშე, ავტორიტეტის, ნებაყოფლობითი მორჩილების საფუძველზე.

მოსახლეობის მიერ თავისი უფლებების გადაცემა ხელისუფლებაზე, ამ ხელისუფლების ცნობა, აღიარება და სურვილი მისადმი მორჩილებისა ნიშნავს ხელისუფლების ლეგიტიმურობას. ლეგიტიმურობა, აგრეთვე ნიშნავს ხელისუფლების უნარსა და შესაძლებლობებს, შეუქმნას და განუმტკიცოს მოსახლეობას რწმენა იმისა, რომ ხელისუფლება ქვეყანაში უფლებამოსილია მიიღოს ის გადაწყვეტილებები, რომლებიც მისმა მოქალაქეებმა უნდა შეასრულონ. სწორედ ამიტომ ხელისუფლების ლეგიტიმურობის პრინციპი უზრუნველყოფს მოქალაქეთა ნებაყოფლობით თანხმობას დაემორჩილონ მის გადაწყვეტილებებს და კანონიერად აღიარონ ხელისუფლების მიერ იძულების გამოყენება. ასე რომ ლეგიტიმურობა დემოკრატიული ხელისუფლების უმნიშვნელოვანესი ნიშანია.

ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ ლეგალური და ლეგიტიმური ხელისუფლება. ნებისმიერი ხელისუფლება, რო-

მელიც გამოსცემს კანონებს, როგორი არაპოპულარულიც არ უნდა იყოს ის, მაგრამ უზრუნველყოფს მის განხორციელებას, ლეგალურია. ამავე დროს, ის არ შეიძლება იყოს ლეგიტიმური, ე.ი. არ იქნეს მიღებული ხალხის მიერ და არ ჰქონდეს მისი მხარდაჭერა.

პოლიტიკური ხელისუფლების, მის ინსტიტუტების კანონიერებისა და ეფექტურობის შესახებ ადამიანებში რწმენის ფორმირება მიიღწევა სხვადასხვა საშუალებებით:

გერმანელმა სოციოლოგმა მ. ვებერმა გამოყო ლეგიტიმურობის სამი ტიპი:

1) ტრადიციული ტიპი – ესაა ბელადების, მონარქების ხელისუფლება. ტრადიციული ლეგიტიმურობა ეყრდნობა წეს-ჩვეულებებს, ტახტის მემკვიდრეობას, რომელიც განაპირობებდა მოსახლეობის მორჩილების ტრადიციას. ტრადიციული ლეგიტიმურობის წყაროა ტრადიციული ცნობიერება, ლეგიტიმურობის ტრადიციული ტიპი შენარჩუნებულია მონარქიული რეჟიმის ისეთ ქვეყნებში, როგორცაა ნეპალი, საუდის არაბეთი, იორდანია და ა.შ.

2) ლეგიტიმურობის ხარიზმატიული ტიპი. ტერმინი – „ხარიზმა“ ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს „ღვთისგან მინიჭებულს“. თავდაპირველად ტერმინის აზრი რელიგიური ხასიათისა იყო. მოცემული ტიპის ხელისუფლების მატარებლები იყვნენ რელიგიური მოღვაწეები, თუმცა შემდეგ მის ქვეშ გულისხმობდნენ საერთო ლიდერებსაც. ხარიზმატული ლეგიტიმურობა ეფუძნება ხელმძღვანელის განსაკუთრებულ, არაჩვეულებრივ, ზოგჯერ ღვთიერ თვისებებს, ლეგიტიმურობის ეს ტიპი ხშირად აყალიბებს პიროვნების კულტს. ხშირად ხდება გარდატეხის პერიოდში. ხელისუფლების ხარიზმატული ტიპი ხასიათდება მოსახლეობის აბსოლუტური ნდობით ლიდერისადმი, მისი განსაკუთრებული თვისებებისადმი, შესაბამისად, ასეთი ლეგიტიმურობა ემყარება ლიდე-

რის არაჩვეულებრივ შესაძლებლობებისადმი მოსახლეობის რწმენას.

3) ლეგიტიმურობის რაციონალურ-ლევალური ანუ დემოკრატიული ტიპი. ის ემყარება იმ ფორმალური წესების სამართლიანობასა და რწმენას, რომლის მიხედვით ყალიბდება ხელისუფლება. ესაა თავისუფალი არჩევნები, კანონების უზენაესობა, ხელისუფლებისა და მოქალაქეების თანასწორი პასუხისმგებლობა კანონების წინაშე და ა.შ. მოცემული ტიპის ლეგიტიმურობის წყაროა რაციონალური გაგებული ინტერესი, რომელიც უბიძგებს ადამიანებს დაემორჩილონ მთავრობის გადაწყვეტილებებს, რომელიც ფორმულირებულია საერთოდ აღიარებული წესებით, ე.ი. დემოკრატიული პროცედურების საფუძველზე, ასეთ სახელმწიფოში ემორჩილებიან არა ხელმძღვანელის პიროვნებას, არამედ კანონებს.

გარდა ამისა, პოლიტიკურ მეცნიერებაში გამოყოფენ იდეოლოგიის ლეგიტიმურობას, რომელიც გულისხმობს ხელისუფლების იდეოლოგიურ დასაბუთებას, რომელიც ემყარება იდეოლოგიის ღირებულებებს. აგრეთვე გამოყოფენ სტრუქტურულ ლეგიტიმურობას, რომლის მიხედვით ხელისუფლების სამართლიანობა გამომდინარებს დადგენილი სტრუქტურებისა და ნორმების კანონიერებისა და ღირებულების რწმენაში, რომელიც არეგულირებს პოლიტიკურ ურთიერთობებს.

გარდამავალ პერიოდში შეიძლება ადგილი ჰქონდეს პოლიტიკური მიზანშეწონილობის მოტივებზე დაფუძნებულ ლეგიტიმურობას. ლეგიტიმურობის ეს ტიპები რეალურ პოლიტიკურ პრაქტიკაში ერთმანეთს ავსებენ და ერწყმიან. ამა თუ იმ ტიპის დომინირება დაკავშირებულია არსებული რეჟიმის ტიპთან.

ხელისუფლების ლეგიტიმურობის დაცემის მიზეზი შეიძლება იყოს:

– იძულების მეთოდის ზრდა:

– მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვა:

– პოლიტიკური პარტიებისა და დამოუკიდებელი პრესის აკრძალვა:

– ხელისუფლების ყველა ინსტიტუტის კორუმპირებულობის ზრდა, მისი კავშირი კრიმინალურ ელემენტებთან:

– ხელისუფლების დაბალი ეკონომიკური ეფექტურობა. ეს უკანასკნელი ყველაზე არსებითი მაჩვენებელია ხელიუფლების ლეგიტიმურობისა. ამიტომ ეკონომიკური წარმატება მნიშვნელოვანად ამაღლებს რეჟიმის ლეგიტიმურობის დონეს, ვინაიდან ხსნის საზოგადოების ეკონომიკურ და სოციალურ დაძაბულობას.

ხელისუფლების ლეგიტიმურობის მხარდაჭერისათვის გამოიყენება სხვა მრავალი საშუალება: ცვლილებები საკანონმდებლო და სახელმწიფო მმართველობის სფეროში ახალი მოთხოვნილებების შესაბამისად, მოსახლეობაში არსებული ტრადიციების გამოყენება კანონმდებლობისა და პრაქტიკული პოლიტიკის განხორციელებაში. საზოგადოებაში კანონიერებისა და წესრიგისადმი მხარდაჭერა.

XXI საუკუნის დასაწყისი, რთული სოციალურ-პოლიტიკური პროცესებით აღინიშნება, მსოფლიოში ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური, სულიერი და სხვა სახის ფასეულობათა გადასინჯვის ფენომენი აღინიშნება. საუკუნის ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენაა სოციალისტური სისტემის დანგრევა – საბჭოთა კავშირის – ტოტალიტარული ბატონობის კლასიკური ნიმუშის – მოსპობა და მასთან დაკავშირებული სოციალურ-პოლიტიკური შედეგები, რაც სეპარატიზმის, ტერორიზმის, სამოქალაქო ომების, ადამიანის უფლებათა უგულებელყოფის ფაქტებში გამოიხატება.

მსოფლიოს ხალხები მსჯელობენ სახელმწიფოს მმართველობის იმ ფორმებზე, რომლებიც მათ სიწყნარეს, ბედნი-

ერებას, თვითგამორკვევასა და ტექნოლოგიით დამძიმებულ სამყაროში განკუთვნილ ადგილს მიუჩენენ. ცხადი გახდა, რომ ცხოვრების სოციალისტური წესი, მმართველობის ის ფორმა, რომელიც სოციალისტურ სახელმწიფოებში ათეული წლების განმავლობაში ბატონობდა გამოუსადეგარი და მიუღებელი გამოდგა.

აღნიშნულ პირობებში ისიც ნათელი გახდა, რომ სოციალიზმის თეორიული საფუძველი – მარქსიზმ-ლენინიზმი, რომელიც ყოვლისმომცველობასა და აბსოლუტურ ჭეშმარიტებაზე აცხადებდა პრეტენზიას, უტოპიური გამოდგა. ამ იდეოლოგიის ცხოვრებაში განხორციელებამ კიდევ უფრო დაამძიმა ადამიანთა ყოფა, მოიტანა დემოკრატიის პრინციპების უხეში დარღვევა, ადამიანთა უფლებებისა და თავისუფლების პრინციპების შეზღუდვა. ტოტალიტარიზმი გახდა მონობის ახლებური ფორმა, რომლის დროსაც შელახული იყო ადამიანის არა მხოლოდ უფლებები, არამედ იგი (ადამიანი) „ჭანჭიკად“ იყო გადაქცეული.

საერთო-სახალხო საკუთრების პრინციპმა, როგორც სოციალიზმის დასაყრდენმა, სახელმწიფოს მმართველობის დიქტატორული ფორმის გაბატონება გამოიწვია, რასაც ეკონომიკური სიდუხჭირე, ადამიანთა მხრიდან ინიციატივის გამოჩენის სრული უგულვებელყოფა, სიღარიბე, ბიუროკრატიული აპარატის კანონით შეუზღუდველი ბატონობა და ა.შ. გამოიწვია. ასეთ პირობებში ნათელი გახდა საკუთრების, როგორც საზოგადოების წამყვანი ბერკეტის უპირატესობა და მნიშვნელობა.

საბჭოთა იმპერიის ნგრევამ ხელი შეუწყო საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გააქტიურებას, ქართველი ხალხის სანუკვარი ოცნების – დამოუკიდებლობის აღდგენას, საქართველოში დაიწყო პოლიტიკური ორიენტების შერჩევის რთული პროცესი, ამ საკითხში არა თუ აზრ-

თა სხვადასხვაობა, არამედ მწკავე დაპირისპირება აღინიშნა, რაც პოლიტიკური პარტიების პოლიტიკურ პლატფორმებში აისახა და მათ მოქმედებებში გამოვლინდა. თანდათანობით ქართველი ხალხის წარმომადგენლების უმრავლესობამ მხარი დაუჭირა საზღვარგარეთის განვითარებული სახელმწიფოების დემოკრატიული წყობის მოდელებს, პრაქტიკაში გამართლებული დემოკრატიული მართვის სისტემებს. ამ მიმართებით დღის წესრიგში დადგა უკანასკნელ წლებამდე უცნობი პოლიტოლოგების, სოციალურ მეცნიერებათა თვალსაჩინო წარმომადგენლების მემკვიდრეობის გაცნობის აუცილებლობა, მათი მოღვაწეობის შეფასება, კონკრეტულ პირობებში ამ მოძღვრების გამოყენების შესაძლებლობების ძიება. ამ თვალსაზრისით, პირველ რიგში, ყურადღებას იპყრობს იტალიელ პოლიტოლოგის „პოლიტიკური კლასის კონცეფციის“ ფუძემდებლის გაეტანო მოსკას (1858-1941), „ელიტების წრებრუნვის“ თეორიის ფუძემდებლის, პოლიტოლოგიის ვილფრედო პარეტოს (1848-1923), პოლიტიკური პარტიების შესწავლის კლასიკოსის „ოლიგარქიის რკინის კანონის“ თეორეტიკოსის, გერმანელი ისტორიკოსის, ეკონომისტიისა და სოციოლოგის რობერტო მიხელსისა (1878-1936) და თანამედროვე დასავლური პოლიტოლოგიის ერთ-ერთი ცნობილი თეორეტიკოსის „დაინტერესების ჯგუფთა“ თეორიის ფუძემდებლის, ამერიკელი ფილოსოფოსისა და სოციოლოგის არტურ გენტლის (1870-1057) მემკვიდრეობა. მათ შორის გამოირჩევა გერმანელი მეცნიერი, ფილოსოფოსი, მეცნიერული სოციოლოგიის ფუძემდებელი, „დემოკრატიის პლებისციტური თეორიის“ ფუძემდებელი მაქს ვებერი (1864-1920).

დასახელებულმა მეცნიერებმა თავიანთ ფუნდამენტალურ შრომებში, შეიძლება ითქვას, გადატრიალება მოახდინეს სოციალური მეცნიერების კვლევაში, ახლებურად წარმოაჩინეს

მეცნიერული სოციოლოგიისა და პოლიტოლოგიის როგორც დამოუკიდებელი მეცნიერებების მნიშვნელობა და როლი, ამ მეცნიერთა ნააზრევის სხვადასხვა სახით ინტერპრეტაციამ შექმნა ახალი თეორიული პარადიგმები, სხვადასხვა სახელმწიფოების სპეციფიკის მიხედვით, ხელი შეუწყო სრულიად ახალი კატეგორიების მეცნიერულ კვლევებში დანერგვასა და მათზე მსჯელობის გაფართოებას.

მაქს ვებერის მემკვიდრეობის მეცნიერული გააზრება უკანასკნელ პერიოდში ერთ-ერთ პოპულარულ და მრავალმხრივ პრობლემად იქცა. რაც, პირველ რიგში, იმით არის განპირობებული, რომ მაქს ვებერი XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის პერიოდში მოღვაწე პიროვნებაა, იგი ამ ისტორიული პერიოდის, და არა მარტო ამ პერიოდის, ეკონომიკური მოძღვრების, ფილოსოფიური აზროვნების, პოლიტიკური ინსტიტუტებისა და პოლიტიკური თეორიების, რელიგიისა და მეცნიერების ურთიერთობის, აგრეთვე ლოგიკის, მეთოდოლოგიის, სოციალოლოგიის თვალსაჩინო წარმომადგენელია და სამართლიანად ითვლება პოლიტოლოგიის, როგორც მეცნიერების დამოუკიდებელი დარგის კლასიკოსად.

მაქს ვებერი, როგორც მოაზროვნე და შემოქმედი, რომელმაც შესამჩნევი გავლენა მოახდინა XX საუკუნის თეორიული პოლიტიკური პარადიგმების ჩამოყალიბებაზე, ქართულ ისტორიოგრაფიაში, პოლიტიკურ მეცნიერებებში და სოციოლოგიაში ჯერ კიდევ არ გამხდარა შესაბამისი კვლევის ობიექტი. ეს მაშინ, როდესაც საზღვარგარეთის სახელმწიფოების (პირველ რიგში გერმანიის, აშშ-ის, რუსეთის სახელმწიფოები) პოლიტოლოგები, სოციოლოგები, ფილოსოფოსები, რელიგიის ისტორიის სპეციალისტები და სხვა დარგების წარმომადგენლები, მაქს ვებერის მემკვიდრეობას თვლიან ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფენომენად და მის თავისე-

ბურ ინტერპრეტაციას ცდილობენ, რაც მთავარია მაქს ვებერის შეხედულებების გააზრების საკითხში აზრთა სხვადასხვაობა, რიგ შემთხვევაში ურთიერთდაპირისპირება აღინიშნება. ერთი ცხადია მაქს ვებერის მსოფლგაგების გარეშე XX საუკუნის სოციალურ-პოლიტიკური მეცნიერებების გაგება სრულყოფილად არ შეიძლება ჩაითვალოს.

მაქს ვებერის თეორიული მემკვიდრეობის მკვლევარები აღნიშნავენ მისი მსოფლმხედველობის შინაარსის სირთულეს და მის მიერ გამოყენებული ცნებების – კატეგორიების შინაარსში მოაზრებული შინაარსის – კატეგორიების პერმანენტურ ხასიათს, რასაც მისი შეხედულებების მრავალასპექტიანობას, მის მრავალმხრივანსწავლულობას უკავშირებენ. მაქს ვებერი ყოველმხრივ განსწავლული მეცნიერი იყო. მისი სინკრეტული ხასიათის მსჯელობები, სხვადასხვა მეცნიერებათა მონაცემების სიუხვე, ხშირად ფართო მკითხველს, ზოგჯერ სპეციალისტებსაც კი გაგების სირთულეს უქმნის. სწორედ ეს აპირობებს მაქს ვებერის შრომების კომენტარების სიმრავლეს.

მაქს ვებერის პოლიტიკური თეორიის მეცნიერული კვლევა აქტუალურია როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით.

ათეული წლების განმავლობაში როგორც ყოფილ საბჭოთა კავშირში, ასევე საქართველოში, მაქს ვებერის თეორიული მემკვიდრეობის კვლევაზე ტაბუ იყო დადებული. ამ მეცნიერის მემკვიდრეობის როლი და მნიშვნელობა, უკეთეს შემთხვევაში, ერთეულმა მეცნიერმა იცოდა. მეტიც, მისი მეცნიერული შრომების შესწავლა თუ მეცნიერული ანალიზი შეტანილიც კი არ იყო კვლევის თუ სწავლების თემატიკაში.

მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის კანონით განმტკიცებულია აბსოლუტური ბატონობის პირობებში, როდესაც

სპეციალურად იჩქმალეობდა მისი საპირისპირო თეორიების და კონცეფციების ნამდვილი არსი, მაქს ვებერის, ისევე როგორც ბურჟუაზიულ მეცნიერებად შერაცხული მკვლევარების, შეხედულებები მარქსიზმთან მიმართებით ფასდებოდა. ყურადღება იყო გამახვილებული იმაზე, რომ კარლ მარქსი, ფრიდრიხ ენგელსი და ვლადიმერ ულიანოვი (ლენინი) მაქს ვებერის შეხედულებების კრიტიკას ეწეოდნენ. ასე მაგალითად, ლენინი შრომაში „მოხსენება 1905 წლის რევოლუციის შესახებ“ წერდა: „ბურჟუაზიას უყვარს მოსკოვის გამოსვლების (იგულისხმება 1905 წლის გამოსვლები, გ. ჩ.) დასახელება, როგორც რადაცინაირი ხელოვნური და დასცინის მას. მაგალითად გერმანულ ეგრეთწოდებულ „მეცნიერულ“ ლიტერატურაში ბატონი პროფესორი მაქს ვებერი თავის დიდ შრომაში – რუსეთის პოლიტიკური განვითარების შესახებ მოსკოვის აჯანყება უბრალო „ამბოხად“ წარმოადგინა „ლენინურმა ჯგუფმა, წერს ეს „მაღალმეცნიერი“ ბატონი პროფესორი, – და ეს ერთა ნაწილმა უკვე დიდი ხანია მოამზადა ეს უაზრო ამბოხი“.

თანამედროვე პირობებში დაგმობილია მაქს ვებერის, გაეტანო მოსკას, ვილფრედო პარეტოს, რობერტო მიხელსის, არტურ გენტლისა და სხვა გამოჩენილი პოლიტოლოგების მემკვიდრეობის აღნიშნული ან მისი მსგავსი კრიტიკა.

მითითებული კრიტიკა იმ თვალსაზრისითაც გაუგებარია, რომ თვითონ მაქს ვებერი დადებითად აფასებდა კარლ მარქსის როლს პოლიტიკური ეკონომიის მეცნიერებაში.

მაქს ვებერის თეორიული მემკვიდრეობის მეცნიერული კვლევა აქტუალურია იმიტომაც, რომ ამ ბოლო წლებში იზრდება ვებერის შრომების გამოქვეყნება ქართულ ენაზე, პუბლიკაციები ვებერის შეხედულებების შესახებ.

მაქს ვებერის პოლიტიკური თეორიის დებულებების გაცნობა პრაქტიკული თვალსაზრისითაც აქტუალური და ღი-

რებულა იმიტომ, რომ მის მიერ შემუშავებული პრინციპები საქართველოში სახელმწიფოებრიობის აღმაშენებლობის პირობებში ღია, დემოკრატიული საზოგადოების შექმნის პროცესში, შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც მეთოდოლოგიური ხასიათის ორიენტირები, სასარგებლო რეკომენდაციები.

მაქს ვებერის უმდიდრესი პოლიტიკური, სოციოლოგიური, ფილოსოფიური, რელიგიური შეხედულებების შესახებ სხვადასხვა, ურთიერთგამომრიცხავი და ურთიერთსაპირისპირო მოსაზრებების კვლევა მიგვანიშნებს თანამედროვე საქართველოს პოლიტიკური და სოციალური პირობებისათვის საინტერესო მომენტებზე, იმის საშუალებას მოგვცემს, რომ ავირჩიოთ სწორი პოლიტიკური ორიენტირი, შევქმნათ ჩვენი სახელმწიფოსათვის საჭირო, ორიგინალური, მეცნიერულად დასაბუთებული მსოფლმხედველობა – ეროვნული იდეოლოგია.

მაქს ვეპერი კოლიტიკის უსასხე

მაქს ვეპერის დემოკრატიის პოლიტიკური თეორიის არსის გარკვევისათვის თავდაპირველად გერმანიის სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებთან ვეპერის დამოკიდებულებას ავხსნით. ამ მიზნით განვსაზღვრავთ მაქს ვეპერის პოლიტიკური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების ძირითად ეტაპებს, დავახსნათებთ მისი პოლიტიკური შეხედულებების ფორმირების პროცესის მიზეზებს, კერძოდ: ა) დავახსნათებთ მაქს ვეპერის პოლიტიკური მრწამსის ჩამოყალიბების პირველი ეტაპის (1876-1895) თავისებურებებს; ბ) ავხსნით მაქს ვეპერის აკადემიური კარიერის მოტივებს – პოლიტიკურ მსოფლმხედველობაში პირველ მსოფლიო ომამდე (1896-1914 წწ.) მომხდარი ცვლილებების ხასიათს; გ) გავაანალიზებთ მონარქიის დამხობის პერიოდისა და ვეიმარის რესპუბლიკის შექმნის პოლიტიკური ვითარების გავლენას მაქს ვეპერის პოლიტიკური პრინციპების სისტემაზე (1914-1920 წწ.).

მაქს ვეპერის პოლიტიკური თეორიის არსი გადმოცემული იქნება 1918 წელს მაქს ვეპერის მიერ მიუნხენის უნივერსიტეტში, სტუდენტთა თავისუფალი კავშირის წევრთა წინაშე წაკითხული ლექციის: „პოლიტიკა როგორც მოწოდება და ხელობა“ შინაარსის მეცნიერული ანალიზის საფუძველზე.

1. მაქს ვეპერის პოლიტიკური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების ძირითადი ეტაპები

ა) მაქს ვეპერის პოლიტიკური მრწამსის ჩამოყალიბების პირველი ეტაპის (1876-1895 წწ.) თავისებურებანი:

ბავშვობიდანვე მაქს ვეპერს მოუხდა ისეთ პოლიტიკურ გარემოცვაში ყოფნა და შეხედულებების ჩამოყალიბება, რო-

მელიც განაპირობებდა: 1. აკადემიურობას; 2. მდიდარ ინფორმირებას; 3. მოვლენებისა და პროცესებისადმი კრიტიკულ მიდგომას.

ვებერის მამა სახელმწიფო მოსამსახურე იყო (იგი ასრულებდა ბერლინის სახელმწიფო მმართველობის მრჩეველის მოვალეობას), ვებერის სახლში იკრიბებოდნენ სახელმწიფო მოხელეები და პოლიტიკოსები: ბენნიგსენი, მიქელი, კაპპი, ზობრეხტი და სხვები, აგრეთვე ამ პერიოდის ცნობილი მოაზროვნეები და ფილოსოფოსები: ზიბელი, ტრეიჩკე, მომზენი, დილთაი და სხვები. ამ წრეში აღზრდილმა ვებერმა მიიღო აკადემიური განათლება, ადრეულ ასაკში გაეცნო პოლიტიკურ თეორიებს, შეიგნო ისიც, რომ ერთი და იგივე სოციალურ-პოლიტიკური პროცესის შესახებ შესაძლებელია სხვადასხვა, ხშირ შემთხვევაში ურთიერთდაპირისპირებული მოსაზრებების არსებობა, შემდგომში მაქს ვებერი დასახელებული მეცნიერების თანამოაზრე ხდება და მათთან თანამშრომლობაში ქმნის მეტად ორიგინალურ პოლიტიკურ თეორიას, ასაბუთებს ახალი პარადიგმების სისწორეს.

ვებერი ამ ეტაპზე ხდება გერმანიაში პოპულარული, ეგრეთწოდებული, ისტორიული სკოლის მიმდევარი, ამ სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენლების – რანკეს, ზიბელის, დროიზენის, ტრეიჩკე – პრინციპების დამცველი. მეტიც, სწორედ ამ სკოლის იმ მოთხოვნამ რომლის თანახმად მოვლენა, პროცესი განხილული უნდა იქნას, ერთი მხრივ, მის ისტორიულ ჭრილში და, მეორე მხრივ, ობიექტურობის დაცვით ხდება ვებერის მსოფლმხედველობის ძირითადი მეთოდოლოგიური მოთხოვნა, რომელსაც ვებერი მოღვაწეობის მთელ მანძილზე არ დალატობს. ვიტყვით იმასაც, რომ სწორედ ამ პრინციპმა განაპირობა მაქს ვებერის როგორც პოლიტოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებლის სტატუსი, როგორც გამოჩენილი მეცნიერისა და მკვლევარის, რელიგიის ისტორიისა და

სოციოლოგიის გამოჩენილი ანალიტიკოსის პროფესიონალი მკვლევარი და ა.შ.

ისტორიული სკოლის ძირითადი პრინციპების – „ძალის პოლიტიკა“ და „ირრაციონალური გარემოს მნიშვნელობის პრიორიტეტის“ – დაცვით ვებერმა ჯერ კიდევ ახალგაზრდამ მიიპყრო მკვლევართა და მეცნიერთა ყურადღება. ეს გამოიკვეთა სტრასბურგის უნივერსიტეტის პროფესორის გ. ბაუმგარტენის პოზიციისადმი ვებერის მხარდაჭერაში. ვებერმა მხარი დაუჭირა ლიბერალიზმის იდეას, გააკრიტიკა კონსერვატორულ-ისტორიული მეთოდოლოგიის პრინციპები.

ამ პერიოდში ვებერი ბერლინის, სტრასბურგის, გეეტინგენის, ჰაიდელბერგის უნივერსიტეტებში ყოვლისმომცველ, აკადემიურ განათლებას იძენს. იგი ეუფლება სამართლის ისტორიას, პოლიტიკონომიას, რელიგიას, ფილოსოფიას, ეცნობა მდიდარ მასალას. მათგან არჩევს შედარებით რაციონალურს, პროგრესულს.

ყურადღებას მივაქცევთ იმას, რომ ამ პერიოდში ვებერი არ ეთანხმება კლასიკური ინგლისური პოლიტიკური ეკონომიის ფუძემდებლებს ადამ სმიტსა და დავით რიკარდოს ღირებულების თეორიის ახსნაში. მიაჩნია, რომ მათ მიერ მონოკაუზალობის მიზეზით ახსნილი პროცესები ვერ გადმოცემენ ზედმეტი ღირებულების წარმოშობას და რომ ეს უკანასკნელი თავისი მრავალფეროვნებით პოლიკაუზალობის პრინციპის გატარებას მოითხოვს.

ვებერის ახალგაზრდობის პერიოდის პოლიტიკურ შეხედულებებისთვის დამახასიათებელია ძველი, ნახევრად არისტოკრატიული და ნახევრად მონარქიული პრინციპებისადმი შეურიგებლობა, ბურჟუაზული სახელმწიფოს შექმნის ძირითად ბერკეტად ლიბერალური პოლიტიკის გატარება, რაც ბისმარკის რკინიგზური დისციპლინის დაცვის მკაცრი მოთხოვნების ფონზე მეტად რევოლუციურად და გაბედულად გა-

მოიყურებოდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ყოველივე ეს „ეტე-
ოდა“ აკადემიური მოღვაწეობის ჩარჩოებში, როდესაც მე-19
საუკუნის 90-იან წლებში ახალგაზრდა მეცნიერთა ერთმა
ჯგუფმა (ფ. მაინეკე, ე. ტრიოლჩე, ვ. ზომბრატი, გ. ფონ შულ-
ცი, გავერნიცი და სხვები), მათთან ერთად მაქს ვებერმა მოით-
ხოვეს სწავლების ძველი ფორმის ახლით შეცვლა. ამ წინადა-
დებას კავშირად ჩამოყალიბების კატეგორიული მოთხოვნების
ფორმა მიიღო. მართალია ეს არ იყო პოლიტიკური პარტია,
მაგრამ სინამდვილეში იგი პოლიტიკური ფორმის მოძრაობის
სახესხვაობას წარმოადგენდა, რომელიც იმპერიასთან კავში-
რის დაცვის პარალელურად რეფორმების გატარებას მოით-
ხოვდა და, საბოლოო ჯამში ბისმარკის სამხედრო-ბიუროკრა-
ტიული იმპერიის მოდელს უპირისპირდებოდა.

ახალი თაობის რეფორმისტური ძიებანი იმდროინდელი
გერმანიის ეკონომიკისა და პოლიტიკის დაპირისპირებულო-
ბის ფაქტორს ითვალისწინებდა. 1893 წელს ვებერი წერდა:
„მე არ ვიცი, ჩემი თანამედროვენი აღიქვამენ ისე ძლიერად
თუ არა როგორც მე, მძიმე დაწვევლას ეპიგონობისას, რომე-
ლიც ერის წინაშე დგას თავიდან ბოლომდე, მაგრამ ჩვენ შეგ-
კწევს უნარი, არ დავუშვათ ის გულუბრყვილო ენთუზიაზმი,
რომელიც ასულდგმულებდა ჩვენს წინაპრებს“.

პროგრესულ ტენდენციებს ვებერი იცავს 1882 წელს გა-
მოქვეყნებულ ნაშრომში: „აღმოსავლეთ გერმანიაში სოფლის
მეურნეობათა მუშაკების მდგომარეობა“, მასში ვებერი აკრი-
ტიკებს იუნკერობის უარყოფით როლს, იცავს რეფორმების
გატარების კურსს, მეტიც, ვებერი გვეკვლინება როგორც რე-
ფორმატორი – გერმანიის სოციალური სტრუქტურების ამ
პერიოდის ანალიზი გამოირჩევა გამბედაობითა და პოლიტი-
კური საკითხებისადმი შემოქმედებითი მიდგომით.

მაშასადამე, მაქს ვებერის პოლიტიკური მრწამსის ჩამოყა-
ლიბება (1876-1895) ხდება მეტად საინტერესო სოციალურ-

პოლიტიკურ ვითარებაში, რომლის ძირითადი თავისებურება მდგომარეობს ძველ თავშეკავებულ (შეიძლება ითქვას რეფორმატორულ, აკადემიურ) კრიტიკაში, ამავე პოზიციებიდან ახლის დამკვიდრების მოთხოვნებში. ეს თავისებურებები ვებერის შრომებში დასაბუთებულია მეცნიერულად, სოციალურ-პოლიტიკური პროცესების ანალიტიკური ანალიზის საფუძველზე.

აღნიშნული თავისებურებები ვებერის მთელი მოღვაწეობისთვის არის დამახასიათებელი. ამ პერიოდში, ერთი შეხედვით, ვებერი არ იღებს აქტიურ მონაწილეობას პოლიტიკური პარტიების საქმიანობაში, არ იჩენს ინიციატივას. ახალი პოლიტიკური პროცესების გამომწვევი მიზეზების ცოდნას მეცნიერების პოზიციიდან ასაბუთებს, ფუნდამენტალურად არკვევს მათ შედეგებს და გამოაქვს სათანადო დასკვნები.

ბ) მაქს ვებერის აკადემიური კარიერის მიზეზები, მის პოლიტიკურ მსოფლმხედველობაში პირველ მსოფლიო ომამდე (1896-1914) მომხდარი ცვლილებების ხასიათი.

1896-1914 წლებში მაქს ვებერი აქტიურ სამეცნიერო მოღვაწეობასთან ერთად პოლიტიკური პროცესების ანალიზისადმი გაზრდილ ინტერესს იჩენს. არა მარტო თვალს ადევნებს, აანალიზებს გერმანიაში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენებს, არამედ თვითონ უშუალოდ მონაწილეობს მათში, რაც საბოლოო ჯამში, მისი თეორიული მოძღვრების პრაქტიკული წყარო ხდება. მივუთითებთ კიდევ ერთ თავისებურებაზე: ვებერი ეცნობა რა ამა თუ იმ პოლიტიკური პარტიის საქმიანობას, არკვევს მის შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში უარყოფს მასთან კონტაქტების შემდგომ გაგრძელებას.

1895 წელს ფრეიბერგის უნივერსიტეტის პროფესორის თანამდებობის დაკავებასთან დაკავშირებით წაკითხულ მოხსენებაში ვებერი აყალიბებს თავისი იმდროინდელი პოლიტიკური შეხედულების ძირითად პრინციპებს (სოციალურ-

პოლიტიკური ვითარების შესაბამისად ვებერი შემდგომში შეცვლის მათ).

ვებერის პოლიტიკური თეორიის ძირითად მიზანს (აღნიშნული მოხსენების შესაბამისად) ძლიერი ნაციონალური გერმანიის სახელმწიფოს შექმნის პრინციპების ჩამოყალიბება წარმოადგენდა. ვებერი, უპირველეს ყოვლისა, ბურჟუაზიის კანონით შეუზღუდველი პოლიტიკური ბატონობის დამყარებას მოითხოვდა. ამ მიზნის მიღწევისათვის, – ვებერის აზრით, – საჭირო იყო ორი პოლიტიკური ტენდენციის მოქმედების სავარაუდო გათვალისწინება. პირველი ტენდენციის თანახმად, ძლიერი სახელმწიფოს შექმნისათვის საშიშია ისეთი კლასის პოლიტიკური ბატონობა, რომელიც ეკონომიურად ძლიერი არ იქნებოდა, მაგრამ უფრო საშიში იყო (მეორე ტენდენცია) ის, რომ იმ კლასის პოლიტიკური ბატონობა, ვის ხელშიც გადადის ეკონომიკური ბატონობა და შესაბამისად პოლიტიკური ბატონობაც, პოლიტიკური ხელმძღვანელობისათვის მოუპწიფებელი გამოდგებოდა.

ითვალისწინებდა რა ამ ორ ტენდენციას ვებერი მათი მიზნობრივი წარმართვისათვის აყალიბებდა ორი ძირითადი ამოცანის რეალიზაციის აუცილებლობას – ნაციონალიზმს და „მამულის“ პოლიტიკის აპოლოგეტიკას.

მხედველობაში მისაღებია ის, რომ ამ პერიოდისათვის მაქს ვებერის მიერ ჩამოყალიბებული პოლიტიკური შეხედულებების თეორიულ წყაროს წარმოადგენდა პოპულარული ფილოსოფიური სისტემები – გ. რიკერტის, ა. რალის, გ. ფონ შულცე-გავერნიცის, გ. მიუნტრტერერგერის და სხვების სახით. ისინი იკრიბებოდნენ ვებერის მეგობრის ა. რილის ბინაზე და მსჯელობდნენ ძლიერი, ერთიანი გერმანიის სახელმწიფოს შექმნაზე.

აღნიშნული პოლიტიკური მოღვაწეობა ძიების ხასიათს ატარებდა. რასაც ნათლად მოწმობს შემდეგი ისტორიული

ფაქტი, პოლიტიკურმა ლიდერმა ფ. ნაუმანმა ვებერის თეორიული მოძღვრების საფუძველზე შექმნა პოლიტიკური პარტია – „ნაციონალურ-სოციალური ფერეინი“, პარტიის წევრებს (მის ერთ-ერთ დამფუძნებლად) შორის არის მაქს ვებერიც. პარტია მიზნად ისახავდა ისეთი სახის „სოციალური მონარქიის“ აგებას, რომელიც მონარქიული სახელმწიფოს და ბურჟუაზიულ-ლიბერალური ლიდერების სინკრეტიზმის სახით ჩამოყალიბდებოდა და რომელიც საბოლოო სახეს ძლიერი პარლამენტარული მართვის სახელმწიფოს ფორმით მიიღებდა.

ამ მიზნის მისაღწევად პარტიას კონკრეტული გზაც ჰქონდა არჩეული – რეიხსტაგში ლიბერალურ-დემოკრატიული უმრავლესობის შეკრება. ეს თერიული ნააზრევი ჩაიშალა, მან პოლიტიკური კრაზი განიცადა, პარტიამ რეიხსტაგში ჩატარებულ 1903 წლის არჩევნებში სრული დამარცხება იგემა, ნაუმანის პარტია დაიშალა. მაქს ვებერს აღნიშნული პოლიტიკური პროცესიდან სათანადო დასკვნები გამოაქვს. იგი ყურადღებას ამახვილებს სხვებისათვის მეორეხარისხოვან მომენტზე – პოლიტიკური ლიდერის საკითხზე შემდგომში ვებერი „მემარცხენე ლიბერალური ელიტიზმის თეორიული ძიებების პროცესში შესანიშნავად გამოიყენებს ამ მარცხს ლიდერის (პოლიტიკური ლიდერის) წამყვანი როლის დასაბუთებისათვის.

როგორც ეს ვებერის მემკვიდრეობის (ამ შემთხვევაში პოლიტიკური მოღვაწეობის) გარკვევისა და შეფასებისადმი მიძღვნილ შრომებში არის აღნიშნული, ახალგაზრდა ვებერის მეტად დაძაბული პოლიტიკური შეხედულებების ჩამოყალიბების პროცესს უკვალოდ არ ჩაუვლია – იგი ფსიქიკურად დაავადდა, რამაც ხუთი წლის განმავლობაში მისი პოლიტიკური ცხოვრებიდან ჩამოშორება გამოიწვია. მაგრამ ვებერის მსოფლმხედველობის (მათ შორის პოლიტიკური შეხედუ-

ლებების) ჩამოყალიბებაში ამ პერიოდმა განსაკუთრებული როლი შეასრულა – რაც პოლიტიკურ მრწამსში მემარჯვენე ნაციონალ ლიბერალიზმიდან მემარცხენე ბურჟუაზიულ ელიტარულ პოზიციისაკენ გადახრაში გამოიხატა. ამის ანალოგიურად, მისმა მეცნიერული კვლევის სფეროებმა და ინტერესებმა შემდგომი გაფართოება განიცადა – ეკონომიკისა და სამართლის საკითხების პარალელურად ვებერი ფუნდამენტალურად მუშაობს თერიულ სოციოლოგიის პრობლემებზე. საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში რელიგიების მნიშვნელობაზე და ა.შ. ყოველივე ეს ნათლად გამოჩნდება მაქს ვებერის და ვ. ზომბერტის მიერ თეორიული ჟურნალის „სოციალური მეცნიერებებისა და სოციალური პოლიტიკის არქივის“ დაარსების შემდეგ, სწორედ ამ ჟურნალის ტიპის ნაშრომთა კრებულში ვებერი სტამბავს თავისი მრავალასპექტიანი თეორიების, კონცეფციებისა და პარადიგმების ამსახველ შრომებს, რომელთაგანაც, პირველ რიგში, უნდა დავასახელოთ ვებერის კაპიტალური შრომა „პროტესტანტული ეთიკა და კაპიტალიზმის სული“. ვებერი სოციალურ მეცნიერებათა ლოგიკისა და მეთოდოლოგიის საფუძვლებს აყალიბებს. მაშასადამე ვებერის პოლიტიკური თეორია – მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას დაუკავშირდა. ეს უკანასკნელი პრაქტიკულად ხორციელდება შრომებში: „სოციალურ-მეცნიერული და სოციალურ-პოლიტიკური შექმნების „ობიექტურობა“ (1906), „როშერი და კნისი და ისტორიული პოლიტეკონომიის ლოგიკური პრობლემები“ (1903-1905 წწ.) „კრიტიკული გამოკვლევები კულტურის შესახებ მეცნიერებათა ლოგიკის სფეროში“ (1906 წ.).

აღნიშნულმა შრომებმა ცხადი გახადეს მაქს ვებერის მეცნიერული კვლევის ინტერესების სიფართოვე. იგი იკვლევს მეურნეობას ანტიკურ, შუასაუკუნეებისა და ახალი დროის პერიოდებში, სწავლობს სამართლის, რელიგიისა და ცნობი-

ერების სხვა ფორმების (მათ შორის ხელოვნების) გავლენას საზოგადოების ყოფიერებაზე. ეს საკითხები ვებერთენ განხილულია კაპიტალიზმის არსის კვლევის კონტექსტში, კაპიტალიზმის მომავლის განსაზღვრის პერსპექტიული ჭვრეტით. ამ ძიებათა შორის ვებური პრობლემას მის მრავალასპექტიანობასა და მრავალფეროვნებაში განიხილავს. ასე მაგალითად, არკვევს ურბანიზაციის პრობლემას, ანტიკური და შუასაუკუნეების ქალაქების ისტორიას, მეცნიერების რაობის საკითხებს და ა.შ.

მაშასადამე, მაქვს ვებურისთვის დამახასიათებელია მოვლენის პროცესის მრავალმიმართებაში წარმოდგენა, ყველა თავისებურებების განხილვა, აღნიშნულის დასაბუთების მიზნით მივუთითებთ შემდეგზე: ვებურის „პროტესტანტული ეთიკა და კაპიტალიზმის სული“ იმ ფუნდამენტალურ შრომებს მიეკუთვნა, რომლებსაც განსაზღვრავს კაპიტალიზმის რაობის კვლევა, ამ თვალსაზრისით საინტერესოა ანალოგიური ხასიათის შრომის, კარლ მარქსის „კაპიტალთან“ მისი შედარება, მარქსმა კაპიტალის არსის გარკვევისათვის, კაპიტალისტური წყობილების რაობის დახასიათებისათვის მეთოდოლოგიური თვალსაზრისით აირჩია ერთი მისი თავისებურების – ზედმეტი ღირებულების – არსის ჩვენება, ხოლო საზოგადოების განვითარების დახასიათებისათვის საზოგადოებრივი ყოფიერების, საზოგადოებრივი ცნობიერების, განსაზღვრის კანონი გამოიყენა, მისცა მას უნივერსალური მნიშვნელობა.

მაქვს ვებური სათანადოს მიუზღვავეს მარქსს. აღიარებს მის დამსახურებას და აღიარებს მისი აღმოჩენის მნიშვნელობას, მაგრამ პრინციპულად არ ეთანხმება მას მეთოდოლოგიური თვალსაზრისით. მოვლენის, პროცესის, მითუმეტეს, სოციალურ-პოლიტიკური ხასიათის პროცესის არსი, ვებურის აზრით, არ არის მონოკაუსალური, იგი პოლიკაუსალური ხასიათისაა, ისტორიული განვითარების სხვადასხვა ეტაპზე

შეუძლებელია სხვადასხვა ფაქტორი იყოს წარმმართველი პროცესის ხასიათის ჩამოყალიბებაზე, აქვე შევნიშნავთ, რომ ვებერის მეცნიერული მემკვიდრეობის შეფასებისას მკვლევარები ყურადღებას ამახვილებენ პროტესტანტული ეთიკის ნორმების კაპიტალიზმზე ზეგავლენის შედარებით გადაჭარბებულ შეფასებაზე. აღნიშნულ საკითხზე დღემდე დაფიქსირებულია აზრთა სხვადასხვაობა, მათ შორის ურთიერთდაპირისპირებაც კი.

საჭიროა ჩვენი აზრით კიდევ ერთ თავისებურებაზე მითითება, რადგან ვებერის მოძღვრების შეფასებისას, ჩვენი აზრით, მხედველობის გარეშეა დარჩენილი სწორედ ეს მნიშვნელოვანი სპეციფიკა, რას ვგულისხმობთ ამ შემთხვევაში? მეცნიერული პრობლემატიკის დამუშავების დროს ვებერი, ერთი წარმოდგენით, შორდება პოლიტიკურ მოღვაწეობას, იგი წმინდა მეცნიერული კვლევით არის დაინტერესებული. ასეთი შეხედულება დამკვიდრებულია იმის გამო, რომ ვებერი მონაწილეობას აღარ იღებდა პოლიტიკური პარტიების საქმიანობაში, ჩამოშორებული იყო პოლიტიკური მოღვაწეობისაგან. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მაქს ვებერი არ იცნობდა და თვალს არ ადევნებდა როგორც გერმანიაში, ასევე სხვა სახელმწიფოებში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს. მეტიც, იგი სწავლობდა პოლიტიკური მოვლენების ხასიათს, გამოჰქონდა სათანადო დასკვნები და ამ უკანასკნელის საფუძველზე თავისი მსოფლმხედველობის პარადიგმებს აგებდა.

აღნიშნულის დასამტკიცებლად საკმარისია იმაზე მითითება, რომ 1905 წელს ვებერი ძალიან დაინტერესდა რუსეთში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებით, კერძოდ, რევოლუციური მოვლენებით. იმ მიზნით რომ ვებერს ჰქონოდა ზუსტი ინფორმაცია რუსეთში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური პროცესების შესახებ, მან რუსული ენა შეისწავლა, რუსული მოვლენების შესახებ ვებერი აქვეყნებს სტატიებს, როგორც

ამ სტატიებიდან ირკვევა რუსეთის ამბები ვებერს იმდენად აინტერესებდა, რამდენადაც მათგან გამოძინარე დასკვნების გათვალისწინებით, შედარებით ადვილი იქნებოდა გერმანიაში ძლიერი, ერთიანი ბურჟუაზიული სახელმწიფო მანქანის შექმნა.

აღნიშნულის პარალელურად ვებერი სათავეში უდგება სოციოლოგიური გამოკვლევების ორგანიზაციის საქმეს. მას კარგად ესმის, რომ თუ თეორიული დებულებები არ ეყრდნობიან კონკრეტული მასალის ანალიზს, მაშინ ისინი აპრიორულ და აბსტრაქტულ ხასიათს ატარებენ ე.ი. გამოუსადეგარი იქნებიან. ამდენად, ვებერი მეცნიერებაში, თუ შეიძლება ასე ითქვას, არსებითად ცვლის მეთოდოლოგიური მიდგომების პრინციპებს. ვებერს ეს ინიციატივა შემდგომში სისტემის ჩამოყალიბებით მთავრდება – ვებერი მეცნიერული სოციოლოგიის ფუძემდებელი ხდება. როგორც საერთოდ მეცნიერული კვლევის მრავალასპექტიანობის აუცილებლობის პრინციპი მისი ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნაა, ასევე სოციოლოგიაში ვებერი როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული-გამოყენებითი სოციოლოგიის მოთხოვნების ფუძემდებელიცაა.

საკითხის გარკვევისათვის, ჩვენი აზრით, უნდა ვუპასუხოთ ერთ კითხვაზე უბრუნდება თუ არა მაქს ვებერი რომელიმე პარტიას? ალადგენს თუ არა იგი პოლიტიკურ მოღვაწეობას? ამ კითხვებზე უარყოფითი პასუხი უნდა გაცივს, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ 1909 წელს ვებერი ოფიციალურად ხდება ეგრეთწოდებული სოციოლოგიური კავშირის წევრი, მაგრამ მის წევრებს შორის აზრთა სხვადასხვაობის გამო იგი ტოვებს ამ კავშირს.

მაშასადამე, 1896-1914 წლებში მაქს ვებერის მსოფლმხედველობის პრინციპების ჩამოყალიბება მთავრდება, გამოიკვეთება აკადემიზმისაკენ მისი გადახრა. ამავე პერიოდში მის პოლიტიკურ შეხედულებებში შეიმჩნევა გარკვეული ხა-

სიათის ცვლილებები – საბოლოო ჯამში ვებერში იმარჯვებს მეცნიერულობის ფენომენი, უკანა პლანზე იწევს პოლიტიკური მოღვაწეობის მოთხოვნები. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ვებერი ჩამოშორდა პოლიტიკური პროცესების შესწავლის საჭიროების იდეას. მეტიც, გერმანიასა და სხვა სახელმწიფოებში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის ანალიტიკური ანალიზის საფუძველზე ვებერი აყალიბებს მისი თეორიის „კარკასს“, ქმნის ახალ პარადიგმებს, პირველ რიგში ამუშავებს დემოკრატიის პლუბიციტური თეორიის საფუძველებს.

გ) მონარქიის დამხობის პერიოდისა და ვეიმარის რესპუბლიკის შექმნის პოლიტიკური ვითარების გავლენა მაქს ვებერის პოლიტიკური პრინციპების სისტემაზე (1914-1920 წწ.).

მაქს ვებერის მოღვაწეობით, მისი პოლიტიკური შეხედულებების ამ პერიოდისათვის დამახასიათებელ თვისებათა შორის, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ვილჰელმ II რეჟიმისადმი მისი აშკარა ბრძოლა, რომელსაც იგი 1914 წლის ომის საშინელებებში, გერმანიისათვის ამ ომის დამღუპველ შედეგებში ადანაშაულებდა ხელისუფლების მიერ ომის წარმოებას, ვებერი მას „სიბრიყვის გამოვლენის კლასიკურ ნიმუშს“ უწოდებდა. პოლიტიკური გამოხდომებიდან მუდამ თავშეკავებულმა ვებერმა ამჯერად უარი არ თქვა სახალხო პარტიის სპეციალურ შეკრებაზე მოხსენების გაკეთებაზე, რომელშიც მან ფაქტიურად უარყო წინა პერიოდში ჩამოყალიბებული თეორია, რომლის თანახმადაც ძლიერი გერმანული სახელმწიფო მონარქიისა და ლიბერალიზმის სინკრეტიზმის ფორმის პარლამენტალური პრინციპების დაცვით უნდა განხორციელებულიყო, ვებერი ახალი მოსაზრების დასაბუთებას სოციალ-დარვინიზმის პრინციპებზე დაყრდნობით ცდილობდა, მოხსენებაში ვებერი ძველი პოლიტიკური კრედოდან მხოლოდ ძლიერი, ერთიანი, მსოფლიო მნიშვნე-

ლობის გერმანიის შექმნის იდეას ინარჩუნებდა. ეს ბუნებრივი იყო. იცვლებოდა ამ სანუკვარი ოცნების მიღწევის ფორმები. იდეის არსი კი უცვლელი რჩებოდა.

მოვლენებისადმი ყოველმხრივი მიდგომის პრინციპის მეთოდოლოგიური მოთხოვნის დამცველი მაქს ვებერი ამ შემთხვევაშიც 1914 წლის ომში გერმანიის დამარცხებას იმ მწარე გაკვეთილად მიიჩნევს, რომლის საფუძველზე გამოტანილი უნდა იქნას შესაბამისი დასკვნები, და მათ საფუძველზე მომავალში აშენდეს ძლიერი გერმანული სახელმწიფო, მიუხედავად ამისა ვებერის მიერ კაიზერული გერმანული მმართველობის კრიტიკა საზოგადოების მიერ აღქმული იქნა, როგორც ანტიგერმანული ქმედება. ვებერს უწოდებენ „დემაგოგს“, „საზღვარგარეთელ აგენტს“, „არაგერმანელს“ და ა.შ. ფსიქიკაშერყეული ვებერისათვის ასეთი და მისი მსგავსი იარლიყების მიკერება მეტად ძნელი და აუტანელი იყო. მიუხედავად ამისა, ვებერი ავლენს პრინციპულობას და 1917 წელს გერმანიის საგარეო და საშინაო პოლიტიკის შესახებ აქვეყნებს წერილებს „ფრანფურტენ ცაიტუნგში“. ამ სტატიების საფუძველზე ვებერი ქმნის ცალკე შრომას „პარლამენტი და მთავრობა რეკონსტრუირებულ გერმანიაში“, რომელშიც პრაქტიკული განსჯა „გამაგრებულია“ ვებერის თეორიული მოსაზრებებით პატრიარქალური, ბიუროკრატიული და ხარისმატული ბატონობის შესახებ.

მაქს ვებერი თანდათანობით საბოლოო სახეს აძლევს მის პოლიტიკურ თეორიას, იცავს პარლამენტარიზმის პრინციპს. უშვებს პროფკავშირებთან და სოციალ-დემოკრატიასთან თანამშრომლობის შესაძლებლობას. ამით, ნებისთ თუ უნებლიედ, უპირისპირდება „მასის ირრაციონალიზმს“. ვებერის პოზიციას გამოხატავს 1921 წელს გამოქვეყნებული შრომის შემდეგი ადგილი: „რასაკვირველია პარლამენტარული სისტემა ხშირად იძულებულს ხდის ინდივიდს დაემორჩილოს

ლიდერს, რომელიც მან შეიძლება აღიქვას როგორც შედარებით „ნაკლები ბოროტება“. მაგრამ ამის საპირისპიროდ ადმინისტრაციული მმართველობის ფორმა მას არჩევანის საშუალებასაც უკარგავს და მას მთლიანად ბიუროკრატია უქვემდებარებს. მეტიც, გერმანიაში, როგორც სხვა სახელმწიფოებში, აღმოცენდა პლუტოკრატია, მხოლოდ სხვა ფორმით, არსებობს ყველა სახის მიზეზები, რომლის საფუძველზე ყოვლადძლიერი მმართველობის ცენტრები, რომლებსაც შეცნობილი აქვთ თავიანთი ინტერესები უფრო კარგად, ვიდრე კაბინეტების თეორეტიკოსებს, ერთხმად უჭერენ მხარს ადმინისტრაციული მმართველობის ფორმას და გამოდიან დემოკრატიისა და პარლამენტარიზმის წინააღმდეგ, რაც ძალიან არის დამახასიათებელი მძიმე მრეწველობის წარმომადგენლობისათვის, რომლებიც კაპიტალისტურ ჯგუფებს შორის ყველაზე ძლიერები არიან“.

მაქს ვებერი იცავს დემოკრატიისა და პარლამენტარიზმის პრინციპს, ამ მიზნით ამუშავებს „პოლიტიკური ელიტის“, „ბელადის“, „პოლიტიკური ლიდერის:“ და ა.შ. კატეგორიებში ნაგულისხმევ შინაარსს, რაც შემდეგში მისი პოლიტიკური თეორიის სტრუქტურაში აისახება.

შევნიშნავთ, რომ მაქს ვებერის პოლიტიკასთან ურთიერთობის ამ პერიოდის შესახებ არსებულ შეფასებითი ხასიათის კვლევებში (აქედან პირველ რიგში გამოვყოფთ ე.გ. ოფიგანოვის დასახელებულ მონოგრაფიას „მაქს ვებერის პოლიტიკური თეორია“) გაანალიზებულია ვებერის შეხედულებები. აღნიშნულია მისი ნაკლი, ჩვენი აზრით ასეთი დამოკიდებულება (შეფასება) გამოწვეულია გარკვეული პოზიციებიდან (მარქსისტულ-ლენინური პოზიციებიდან – კლასობრივი ბრძოლის მარქსისტული თეორიის პრინციპებიდან), რაც იმ პერიოდისათვის აუცილებელი იყო (ოფიგანოვის დასახელებული კვლევა დასტამბულია 1986 წელს),

1917 წლის პოლიტიკურ მოვლენებს მაქს ვებერი მომზადებული ხვდება. ამ პერიოდისათვის ჩამოყალიბებულია მისი პოლიტიკური შეხედულებების სისტემა, გაკლილია პოლიტიკური მოძრაობის მრავალფეროვანი პერიპეტები. ვებერს შემუშავებული აქვს თავისი პოსტულატები, როგორც უკვე აღნიშნეთ რუსეთში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური სიტუაციებისადმი ვებერი ჯერ კიდევ 1905 წლიდან იჩენდა ინტერესს. რუსეთს იგი გერმანიისათვის საშიშ მეტოქედ თვლიდა. ვებერის ეს თეზისი კიდევ უფრო აქტუალური გახდა 1917 წლიდან. ვებერის ბიოგრაფიაში აღინიშნება სოციალიზმისა და ისტორიის მატერიალისტური გაგების პოზიტიური კრიტიკა“, 1918 წლის 13 ივლისს ავსტრიის არმიის ხელმძღვანელობის მოწვევით ოფიცრებს უკითხავს ლექციას: „სოციალიზმის შესახებ“.

ვებერი ასაბუთებდა, რომ გერმანიაში პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებისათვის ბრძოლა მიუღებელია, სხვა მიზეზებთან ერთად ვებერი ყურადღებას ამახვილებდა იმაზე, რომ ასეთი სახის ლიტერატურა სინამდვილეში ბიუროკრატის გამარჯვება იქნებოდა და არა პროლეტარიატის ძალაუფლება. ვებერი არ წყვეტს სოციალისტური რევოლუციის წინააღმდეგ მოქმედებას – 1918 წელს ამ თემაზე კითხულობს ლექციებს მიუნხენის უნივერსიტეტში ფართო აუდიტორიის წინაშე, განსაკუთრებით აღსანიშნავია იმავე წლის 4 ნოემბერი, მისი გამოსვლა სახალხო პარტიის შეკრებაზე საკმაოდ ხანგრძლივი სიტყვით – „გერმანიის პოლიტიკური გარდაქმნა“. ამ მოხსენებაში ვებერი აგრძელებდა იმის მტკიცებას, რომ გერმანელი ხალხისათვის ყველაზე საშიში მტერი არის ბოლშევიზმი, კერძოდ რუსული სოციალიზმი. პარალელურად ვებერი ეძებს პოლიტიკური მმართველობის ისეთ რაციონალურ ფორმას, რომელიც ყველაზე მეტად იქნება მისაღები გერმანიისათვის. იგი ამ მიზნით არჩევს სოციალ-

დემოკრატიული ლიდერების პოტენციურ შესაძლებლობას, ყურადღებას ამახვილებს სახელმწიფოს მმართველობის რესპუბლიკურ ფორმაზე, შესაძლებლად თვლის კონსტიტუციური მონარქიის შენარჩუნებას და ა.შ. 1918 წლის ზამთარში ვებერი ქმნის „დემოკრატიის პლებისციტური თეორიის“ საფუძვლებს, პროგრამას რომელშიც გადამწყვეტ როლს ანიჭებს მმართველის ჰარიზმატულ თვისებებს.

ვებერის პოლიტიკური თეორია სრულებითაც არ ატარებდა აბსტრაქტულ, აპრიორულ ხასიათს. მისი ავტორიტეტის, პოლიტიკურ მოღვაწეობასთან სიახლოვის, მისი პუბლიკაციების პოპულარობის გამო, ოფიციალური ხელისუფლება ყურადღებას აქცევდა ვებერს როგორც პოლიტიკურ მოღვაწეს. მას თავდაპირველად საპასუხისმგებლო სახელმწიფო მოღვაწის თანამდებობაც (შინაგან საქმეთა მდივნის), შემდგომში სხვა თანამდებობებიც კი შესთავაზეს, რომლებიც არ განხორციელებულა. ამის მიუხედავად ვებერი ვეიმარის კონსტიტუციის ტექსტის შემუშავებელ ექსპერტთა სიაში იქნა შეყვანილი, რომლის შედგენის დროს მისი ბევრი მოსაზრება გათვალისწინებული იქნა, მაგრამ ამასთან ერთად დოკუმენტში არ აისახა ყველაზე მნიშვნელოვანი მოთხოვნები ბიუროკრატიაზე პოლიტიკური კონტროლის დაწესების მექანიზმის შემუშავება და განხორციელება რეისკანცლერის ხარიზმატული ბატონობის უზრუნველყოფა. ვებერის ეს მოთხოვნები და თეორიული დასაბუთებანი პრაქტიკულად არ განხორციელდა. ამის მიუხედავად ვებერმა გააგრძელა პარტიული მოღვაწეობა. იგი გახდა გერმანიის დემოკრატიული პარტიის წევრი. მას მიიჩნევდნენ „პირველი რანგის პოლიტიკურ ბელადად“ – ასახელებდნენ ნაციონალური კრების წევრობის ნომერ პირველ კანდიდატად, მაგრამ გაურკვეველი მიზეზების გამო მისი გვარი ამ სიებიდან ამოღებული იქნა, რამაც ვებერის თავმოყვარეობაზე უარყოფითად იმოქმედა და

მას სულიერი ტკივილი გაურთულა. რასაც მოჰყვა მისი გადაწყვეტილება არასდროს არ ითანაშრომლოს პოლიტიკურ პარტიებთან. ვებერის ამ გადაწყვეტილების შესახებ აზრთა სხვადასხვაობა აღინიშნება. მკვლევარები ასახელებენ სხვადასხვა მიზეზებს, მოტივებს, მაგრამ ერთი ცხადია, მაქს ვებერი საბოლოოდ დარწმუნდა დემოკრატიის პლებიცისტური თეორიის სისწორეში. მისმა პოლიტიკურმა მოღვაწეობამ თავისი მისია შეასრულა, სხვადასხვა სახის მმართველობის ფორმების კრიტიკული განხილვის შემდეგ ჩამოაყალიბა პოლიტიკური თეორიის კრედო.

მაქს ვებერი ბოლომდე დარჩა გერმანიის პატრიოტი. გერმანიისთვის უძნელეს სოციალურ-პოლიტიკურ სიტუაციაში იგი ფიქრობდა გერმანიის მომავალ ბედზე, მის აღორძინებაზე. ამ მიზნით აანალიზებდა ომში დამარცხების მიზეზებს – რაიხკანცლერ პრინც მაქს ბადენელთან პირადი კონტაქტების დროს სწორედ ამ საკითხებს არკვევდა, პარალელურად კავშირს ამყარებდა მიუნხენის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან. მიუნხენის ამ უმაღლეს სასწავლებელში კი სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებელთა შორის აღინიშნებოდა აზრთა დაპირისპირება. სწორედ ამიტომ, ვებერის პოლიტიკური გააზრებანი სტუდენტთა ერთმა ნაწილმა არ მიიღო და მას ლექციაზე ობსკურანტიზმი მოუწვევეს. ვებერი იძულებული გახდა ლექციებისათვის მიეცა შედარებით აბსტრაქციულ-განზოგადოებული ხასიათი. „საზოგადოების შესახებ მეცნიერებათა ძირითადი კატეგორიები“ ასე დაასათაურა ვებერმა თავისი ლექციების კურსი. სტუდენტთა კავშირის წევრებისათვის იგი კითხულობს ლექციებს „მეცნიერება, როგორც პროფესია და ხელობა“ და „პოლიტიკა როგორც პროფესია და ხელობა“, სტუდენტობა პოლიტიკური პროცესების ზოგადთეორიული ასპექტის წარმოდგენით დაკმაყოფილდა.

1920 წელს ვებერი საბოლოოდ უარყოფს პოლიტიკურ ორგანიზაციებთან კავშირს და მთლიანად „ეფლობა“ მეცნიერულ მუშაობაში. კერძოდ ცდილობს დაამთავროს ფუნდამენტალური შრომა „ეკონომიკა და საზოგადოება“, რასაც ვერ ახერხებს. 1920 წლის გაზაფხულზე იგი ტოვებს მიუნხენს, გადადის თავის გეიდებერგის სახლში მაგრამ რთულმა პოლიტიკურმა და ფსიქოლოგიურმა სტრესებმა თავისი გაიტანეს – იმავე წლის 14 ივნისს მაქს ვებერი გარდაიცვალა.

მაქს ვებერის პოლიტიკური მოღვაწეობის პრაქტიკული ასპექტის მიმოხილვის შემდეგ კიდევ უფრო ადექვატურად დახასიათდება ვებერის პოლიტიკური თეორიის არსი.

2. მაქს ვებერის პოლიტიკური თეორიის პრინციპები

მაქს ვებერი, თავდაპირველად ცნების „პოლიტიკა“ დეფინიციას ცდილობს, მას კარგად ესმის ის, რომ ცნებათა განსაზღვრის ლოგიკური საშუალება-განსაზღვრება უახლოესი გვარისა და სპეციფიკური ნიშნის მიხედვით – „პოლიტიკის“ კატეგორიის განმარტებისთვის არ გამოდგება. იმიტომ, რომ ცნება „პოლიტიკა“ უზოგადეს კატეგორიას ვერ გამოუნახავთ, ამიტომ ამ კატეგორიის დეფინიცია მხოლოდ მასში მოაზრებული შინაარსის „დალაგებით“ – იმ თვისებათა ჩამოთვლით, იმ თვისებათა დახასიათებით არის შესაძლებელი, რომლებიც პოლიტიკის ცნების შინაარსს გადმოცემენ.

მაქს ვებერი სვამს კითხვას: „რა გვესმის პოლიტიკაში?“ სანამ პოლიტიკაში მოაზრებული შინაარსის გადმოცემას შეუდგებოდეს მაქს ვებერი იძლევა განმარტებას, რომლის თანახმად სხვადასხვა სახის პოლიტიკის ფუნქციონირება ფიქსირდება: ბანკების სავალუტო პოლიტიკა, საიმპერიო ბანკის დისკოგტური პოლიტიკა, პროფკავშირების პოლიტიკა გაფიცვის დროს, საქალაქო თუ სასოფლო თემთა სასკოლო

პოლიტიკა, გაერთიანების ხელმძღვანელობის პოლიტიკა ამ გაერთიანების მართვის საქმეში, ჭკვიანი ქალის პოლიტიკა, მართოს საკუთარი ქმარი, მაგრამ მაქს ვებერი პოლიტიკური თეორიის ჩამოყალიბების დროს პოლიტიკის ასეთი სახის ფართო გაგებას არ გულისხმობს. „ამჯერად, – განმარტავს მაქს ვებერი, – პოლიტიკაში გვინდა გვესმოდეს პოლიტიკური კავშირის, გვინდა სადღეისოდ, სახელმწიფოს მართვა ან ამ მართვაზე ზეგავლენა“.

დეტალურად, შეიძლება ითქვას ფუნდამენტალურად განიხილავს რა ამ პრობლემას (ისე როგორც სხვა პრობლემების გააზრებას) მაქს ვებერი სვამს დამატებით კითხვებს. რა უნდა გვესმოდეს ცნების „პოლიტიკური კავშირი“ შინაარსში, თუ მას სოციოლოგიურად განვიხილავთ და მეორე, რა არის სახელმწიფო? „შეუძლებელია, – წერს მაქს ვებერი, – სახელმწიფო სოციოლოგიურად განისაზღვროს მისი საქმიანობის შინაარსთა საფუძველზე. რაკი თითქმის არ არსებობს ამოცანა, რომლის შესახებაც შეიძლებოდა თქმულიყო, რომ მისი გადაწყვეტა ყოველ დროს მხოლოდ და მხოლოდ იმ პოლიტიკური კავშირის უფლებათა, რომელსაც დღეს სახელმწიფოს უწოდებენ... შესაძლებელია, რომ სახელმწიფო სოციოლოგიურად განისაზღვროს იმ სპეციფიკური ღონისძიების საფუძველზე, რომელიც ისევეა საკუთრად მისი თვისება, როგორც ყოველი სხვა პოლიტიკური კავშირისა. ეს ღონისძიება ფიზიკური ძალადობაა“ (ხაზი ჩვენია. გ. ჩ.).

მაქს ვებერი თითქმის აიგივებს სახელმწიფოსა და ძალადობის ცნებებს. სხვაგვარად თუ ვიტყვით იგი სახელმწიფოს ძირითად თვისებად ფიზიკურ ძალადობას მიიჩნევს. ამ აზრით სახელმწიფო, მაქს ვებერის განმარტებით, არის ადამიანთა ისეთი ერთობა, რომელიც ერს, მის ნიშანდობლივ არეს შიგნით, თავის ხელში იღებს (და წარმატებითაც) მონოპოლიას ლეგიტიმურ ფიზიკურ ძალადობაზე.

სახელმწიფოს ძირითადი ფუნქციის გარკვევის შემდეგ ვებერი არკვევს სახელმწიფოს და პოლიტიკის ურთიერთობას. ამ ორი ცნების გამაერთიანებლად მას მიაჩნია პოლიტიკური ძალაუფლებისაკენ მისწრაფება – „პოლიტიკა სხვა არაფერია, თუ არა მისწრაფება ძალაუფლებაში მონაწილეობისაკენ“. ვებერი სიცხადისათვის მიუთითებს იმაზე, რომ სწორედ სახელმწიფოსა და პოლიტიკას შორის ეს კავშირი (ძალაუფლებისაკენ სწრაფვის საშუალებით) არის ასახული სიტყვათხმარებაში: „პოლიტიკური მოხელე“ – მინისტრზე ან სახელმწიფო მოხელეზე.

მაქს ვებერი მიუთითებს იმაზე, რომ ძალაუფლების ცნებაში აუცილებლად იგულისხმება დამონებული ადამიანების დამორჩილება გაბატონებული პრეტენზიული ავტორიტეტებისადმი. ე.ი. განიხილავს არეალში „ცნებების“, „პოლიტიკა“, „სახელმწიფო“, „ძალაუფლების ხელში ჩაგდებისაკენ მისწრაფება“, შემდეგ „შემოდის:“ კიდევ ერთი პოლიტოლოგიური ცნება „ბატონობა“. მაქს ვებერი დაწვრილებით ახასიათებს ბატონობის ფორმებს: ტრადიციულს, ლეგალურს, ხარიზმატულს და რაციონალურ-სამართლებრივს.

ბატონობის ტრადიციული ფორმა ესაა პატრიარქისა და პატრიამონალური თავადის კანონით შეუზღუდველი ძლიერი ბატონობა, რომელსაც გაბატონებულები ამართლებდნენ „ნაკურთხმის შენარჩუნებასა და ძველთა უძველეს ღირებულებების“ საშუალებით, მიიჩნევდნენ რა ამ უკანასკნელს აბსოლუტური ჭეშმარიტების კრიტერიუმად. მაქს ვებერის შრომებში დაწვრილებით არის აღწერილი ასეთი სახის ბატონობის ხასიათი, მითითებულია მის შედეგებზე.

ხარიზმატული ბატონობა არის წინასწარმეტყველის, პოლიტიკურ სარბიელზე არჩეული მხედართმთავრის თუ პლებიცისტური მბრძანებლის, ბელადის განუსაზღვრელი ბატონობა, რომლის აუციებლობა დასაბუთებულია ლეგალური წეს-

დების ღირებულებებისადმი რწმენაზე, რომელსაც საფუძვლად უდევს ისეთი მორჩილება, რომელიც ადამანებს წესდებით გაუთვალისწინებელი ვალდებულებებს აკისრებს. მაქს ვებერი ბატონობის ამ ფორმას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს.

ბატონობის ლეგალური ანუ რაციონალურ-სამართლებრივი ფორმა არის ლეგიტიმური, მმართველობს ყველაზე აშკარა მასობრივი, ტოტალური დიქტატურის ფორმა.

მიუთითებთ, რომ შრომაში (მოხსენებაში): „პოლიტიკა როგორც მოწოდება და ხელობა“: მაქს ვებერი ბატონობის ფორმებში შინაარსს აზუსტებს და ერთგვარი სახეცვლილებით წარმოადგენს ვიდრე წინა შრომებში, მაგრამ ამ განსხვავების მიუხედავად იგი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ხარიზმატულ ბატონობის დახასიათებას. ამას მოწმობს ისიც, რომ წერს სპეციალურ შრომას: „ხარიზმატული ბატონობა“.

მაქს ვებერის განმარტებით „ხარიზმატული ბატონობა წარმოადგენს ხარიზმულ პირადულ თვისებებთან და მათ დადასტურებასთან დაკავშირებულ უაღრესად პიროვნულ სოციალურ კავშირს. აღნიშნული დეფინიცია გაუგებარი დარჩება თუ არ გავითვალისწინებთ „ხარიზმის“ ვებერისეული განსაზღვრა „ხარიზმად“, – წერს ვებერი, უნდა ჩაითვალოს პიროვნების უჩვეულოდ მიჩნეული თვისება, რომლის წყალობითაც იგი ფასდება ზებუნებრივი, ზეადამიანური, სხვა ადამიანებისათვის მიუღწეველი, განსაკუთრებული ძალებითა და თავისებურებებით დაჯილდოებულად. „ხარიზმი“ განიხილება როგორც ღმერთის მიერ ბოძებული ანდა, როგორც ნიმუში (თავდაპირველად ეს თვისება განპირობებულია მაგიურად და ახასიათებს როგორც წინასწარმეტყველებს, ასევე ბრძენ მკურნალებს, კანონების განმმარტებლებს, მონადირეთა წინამძღოლებს, სამხედრო გმირებს) რაც უნდა „ობიექტურად“, სწორად იყოს შეფასებული შესაბამისი თვისება ეთიკური, ესთეტიკური ანდა სხვა თვალსაზრისით, აბსტრაქტულად

სრულიად უმნიშვნელოა, საყურადღებო ერთია, როგორ ფასდება იგი ფაქტიურად „ხარიზმის“ ხელქვეითების „მიმდევრების“ მიერ“.

მაშასადამე, ვებერის განმარტებით ხარიზმი ბელადის – პოლიტიკური ლიდერის ზებუნებრივი უნარია, სწორედ ამ უნარის გამოყენებით იგი ახერხებს მასებზე ბატონობის განხორციელებას. ვებერი მიუთითებს იმაზე, რომ ხალხი თვითონ კი არ ირჩევს ხარიზმას, თვითონ კი არ აღიარებს ამა თუ იმ პოლიტიკური ლიდერის ფენომენს, არამედ ხარიზმით დაჯილდოებული ლიდერი – ბელადი თავისი უნარის წყალობით იმორჩილებს ხალხთა მასებს, მათ „აბრუებს“, მათ, ცნობიერებაზე ზემოქმედების საშუალებით, „აბედნიერებს“.

მაქს ვებერი უარყოფდა ხალხთა მასების როლს და მნიშვნელობას, იგი იზიარებდა იმ სენტეციის აზრს, რომლის თანახმად „მასა მხოლოდ ზეგამდე ფიქრობს“. მაქს ვებერი ახასიათებდა ხარიზმული პიროვნების უნარს დემაგოგიის საშუალებით ხელში აიყვანოს მასები და გააკეთებინოს ის რაც მას პირადად სურს.

სოციალურ-პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, მაქს ვებერი დაწვრილებით იხილავდა იმ საშუალებებს, რომელთა გამოყენებით ხარიზმატულ პიროვნებას დასახული მიზნის შესრულება შეეძლო. ასეთ საშუალებად ეკონომიკური ბერკეტის გამოყენებას მაქს ვებერი უარყოფდა, მისი ღრმარწმენით ზეგავლენის საშუალება სულიერი, ცნობიერი სფერო უნდა ყოფილიყო, კერძოდ რელიგიური კონცეფციის გამოყენება – ხარიზმული პიროვნება, მაქს ვებერის მითითებით „მისტიკური ძალების წარმომადგენელი და მსახურია“.

პოლიტიკური ლიდერის მასებთან ურთიერთობა, – ვებერისეული სქემით, – ემყარება ფანატიზმის ძალის აღიარებას – „მასების ბელადისადმი ადამიანთა ნდობასა და ფანატიკურ რწმენას“, ასეთი ლიდერი ხალხზე არნახულ დაწოლას,

მათი ცნობიერების ყოველმხრივ დამუშავებას თავისი პირადული მიზნებისათვის, თავისი შემდგომი განდიდებისათვის კულტად თავის თავის გადაქცევას იყენებს. იცავს თუ არა ამ დროს ხარიზმული ლიდერი ზნეობის ნორმებს? იქცევა თუ არა ის წესიერად? – არა – დასახული მიზნის მიღწევისათვის ხარიზმული პიროვნება ყველაფერს კადრულობს, „ყველაფერზე ხელს აწერს“, – ტყუილი, თავისუფლების ხელყოფა, ძალადობა, აბუჩად აგდება, უფლებების შელახვა და ა.შ. მის შეიარაღებაში არსებული არსენალია.

იმის მიუხედავად აშკარაა, რომ თუ არა ბელადის მიერ მოპოვებული ბატონობის მეთოდები და არაზნეობრივი ქცევები, ხალხი აღიარებს ისეთი სახის ძალას, რომელმაც მათი მონობა განაპირობა და, მეტიც, რაც მეტი დრო გადის ბატონობა უფრო ტოტალიტარული, უხეში ხდება – ბელადის ავტორიტეტი კი უფრო იზრდება – იგი ხდება წინამძღოლი, ღმერთის მიერ ბოძებული ძალის მატარებელი, შეუცთომლის იარლიყის მფლობელი – ხარიზმული პიროვნება, რომელიც წარმოადგენს სოციალურ დიქტატორს.

მაქს ვებერი მიუთითებს ხარიზმული ლიდერის თვისებებზე: 1. ეროვნული პოლიტიკური ინტეგრაციის უზრუნველყოფა და 2. სახელმწიფო ადმინისტრაციულ მანქანაზე კონტროლის დაწესება. ამ პირობების განხორციელების შემთხვევაში ხარიზმული ლიდერი, ვებერის განმარტებით შეძლებს დემოკრატიის, იდეალური წესრიგის დამყარებას, ეკონომიურ აღმავლობას. მაგრამ ყოველივე ამის პარალელურად ადამიანები მონურ მდგომარეობაში იმყოფებიან, ისინი მხოლოდ ბელადის ინტერესებისა და ნების შესაბამისად მოქმედებენ, მათში მთლიანად ისპობა ნების თავისუფლება. „ძალადობრივი ბატონობის შესანარჩუნებლად, წერდა მაქს ვებერი, ზუსტად ისევეა საჭირო გარკვეული მატერიალური და გარეგნული ნივთიერი საუნჯეები, როგორც ყოველი სხვა

სამეურნეო დაწესებულების უზრუნველსაყოფად სახელმწიფოებრივი მოწყობის ყოველი ფორმა ერთმანეთისაგან ერთი პრინციპით განსხვავდება. ეს პრინციპი იმის დადგენას გულისხმობს, რომ ადამიანთა დასახელებული შტაბი, სულ ერთია ვინ იქნებიან ისინი – მოხელეები თუ სხვა რამ რჯულის მსახურნი, რომლის მორჩილების იმედიც არის მბრძანებელი – საკუთრივ ფლობს თუ არა ისეთ საშუალებებს, როგორიცაა ფული, შენობა-ნაგებობანი, საბრძოლო მასალა, მანქანების პარკი თუ სხვა რამ ამდაგვარი“, მაქს ვებერი იხილავდა ისეთ სიტუაციასაც, როდესაც მართვის შტაბი „მოწყვეტილი“ იყო მმართველობის საშუალებებს, მაშინ ბატონობა განუხორციელებელი იყო – არ მოქმედებდა დაწოლის მექანიზმი.

მაქს ვებერი აკეთებს ისტორიულ ექსკურსს და აღნიშნულ საკითხს უძველეს პოლიტიკურ წარმონაქმნებში იხილავს. აღნიშნავს, რომ ყველგან ბატონის პირადი მმართველობა არის განხორციელებული. იგი (ეს ბატონობა) პირადალად მასზეა დამოკიდებული და სპეციალური სახელმწიფო მოხელეების – ადამიანების მეშვეობით ხორციელდება. ამ საზოგადოებაში ბატონი თავის სამსახურში მყოფ ადამიანებს – მონებს, სახლეულებს, მოსამსახურეებს და იმ პირებს – ამარაგებს ყველაფრით, ინახავს მათ – მამულიდან მიღებული სახსრებიდან აძლევს მათ ნატურალურ თუ ფულად გასამრჯელოს, ამით უზრუნველყოფს მართვის სადავეების სიმყარესა და სიმტკიცეს.

მაქს ვებერი მისთვის დამახასიათებელი სიღრმისეული ანალიტიკური ანალიზის მეთოდის შესაბამისად იმ ასპექტზეც მიუთითებს, რომელიც პირადი მმართველობის უზრუნველყოფისათვის გამოყენებული მოსამსახურეების ურთიერთობას განსაზღვრავს. ეს იმაში მდგომარეობს, რომ მათ (მოსამსახურეებს) შორის არ აღინიშნება ურთიერთდაპირისპირება, ურთიერთბრძოლა – მათ გასაყოფი არაფერი არა აქვთ.

ამით კი ბატონობის ეს ფორმა განსხვავდება „წოდებრივ“ კავშირში მბრძანებლის ბატონობის ფორმისაგან, სადაც მბრძანებლობა თვითმყოფადი „არისტოკრატიის“ მეშვეობით ხორციელდება.

მაქს ვებერის განმარტებით ბატონობის ეს სახეობა მოიცავს მის პატრიარქალურ და პატრიამონურ ფორმებს, სულთანურ დესპოტიზმსა და სახელმწიფო-ბიუროკრატიულ წყობას.

ახასიათებს რა ბატონობის სხვადასხვა ფორმას, მაქს ვებერი აჩვენებს თანამედროვე სახელმწიფოს თავისებურებებს, იგი აღნიშნავს, რომ თანამედროვე სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესი ყველა ქვეყანაში იმით დაიწყო, რომ მთავრებმა ექსპროპრიაცია მოუწვევეს სამმართველო ძალაუფლების ყველა დამოუკიდებელსა თუ „პრივატულ“ მფლობელს, ჩამოართვეს მათ მართვის უფლებები ომისა და ყველა სახის ფინანსური საშუალებები, ამდენად საფუძველი გამოაცალეს მათი პოლიტიკური ბატონობის ბერკეტებს.

აღნიშნულის შედეგად თანამედროვე სახელმწიფოში განხორციელდა მმართველობის, მოხელეებისა და სხვა პირთა წარმოების ნივთიერი სამუშაოებისაგან მოწყვეტა, ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ ერთპიროვნული მმართველნი: – ბელადები, რომლებმაც თავიანთი კანონით შეუზღუდველი უფლებები უზურპაციისა და არჩევნების გზით მოიპოვეს. „თანამედროვე სახელმწიფო, – განმარტოვდა მაქს ვებერი, – ადამიანებს შორის ბატონობითი ურთიერთობის ისეთი კავშირია, რომელიც წარმოებადაა გამართული და რომელმაც ერთ სფეროში წარმატებით განახორციელა ლეგიტიმური ფიზიკური ძალაუფლების, როგორც ბატონობის საშუალების მონოპოლიზება. ამ მიზნით მან თავისი საკუთარი წინამძღოლობის ხელში გააერთიანა წარმოების ნივთიერი საშუალებანი, ხოლო ექსპროპრიაცია უყო ყველა წოდებრივ ფუნქციონირებას რომლებიც წარმოების ნივთიერ საშუალებებზე

უფლებას იჩემებდნენ, ანდა მათ თვითნებურად განაგებდნენ. ამ ფუნქციონერთა ნაცვლად სახელმწიფომ უზენაეს მმართველად თავისი თავი დაადგინა.

მაქს ვებერი ხსნის თუ როგორ გახდნენ პოლიტიკური საშუალებებით საკუთრების ჩამორთმევის პროცესში, იმ ადამიანთა ჯგუფები, რომელთა „მოწოდება და ხელობა“ პოლიტიკა იყო. ხარიზმატული ბელადებისაგან განსხვავებით მათ არ ჰქონდათ ბატონებად ყოფნის პრეტენზია, ისინი პოლიტიკურ ხელისუფალთა სამსახურში ჩამდგარნი, ძალაუფლების შენარჩუნებისათვის იბრძოდნენ. პოლიტიკის ეს ხელოვნები პოლიტიკით მოპოვებული სახსრებით ცხოვრობდნენ.

რა ვითარება განაპირობებდა „ხელობით პოლიტიკოსთა“ არსებობას? სვამდა კითხვას მაქს ვებერი და თვითონ შემდეგნაირად პასუხობდა. არიან „გარემოებათა გამოისობით“ პოლიტიკოსები. მათი რაოდენობა საკმაოდ მრავალრიცხოვანია, მათ განეკუთვნებიან უბრალო ამომრჩეველები, პოლიტიკური მიტინგების მონაწილენი. არიან „შეთავსებითი“ პოლიტიკოსები – პარტიათა პოლიტიკური კავშირების რწმუნებულები და გამგეობის წევრები, მათთვის პოლიტიკა არ არის ძირითადი „სასიცოცხლო მოთხოვნილებანი“. მაქს ვებერი ასახელებს იმ ადამიანთა ჯგუფებს, რომლებიც პოლიტიკას გამოისობით – სასხვათაშორისოდ მისდევენ, მაგრამ არიან პოლიტიკოსები, რომელსაც ისინი ხელობად იხდიან და რომელიც, ვებერის აზრით, ორნაირად შეიძლება ხელობად გაიხადონ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მთლიანად „იცხოვრონ პოლიტიკისათვის“. პოლიტიკით ცხოვრების ერთ სახეობას განკუთვნილ ადამიანთა ჯგუფი, მატერიალური, ეკონომიკური დაინტერესებით მონაწილეობს პოლიტიკაში, მეორე ჯგუფს ასაზრდოებს სულიერი წონასწორობისა და ღირსების გრძნობა და იგი ასეთი სახის პოლიტიკოსის ცხოვრების საზრისია. „რათა ვინმემ პოლიტიკისათვის“ სიცოცხ-

ლე შეიძლოს, აუცილებელია, – წერდა მაქს ვებერი, – ან თუ გნებავთ, ძალზე ტრივიალური რამდენიმე წინამძღვრის არსებობა. ნორმალურ პირობებში, ეს პირი არ უნდა იყოს დამოკიდებული იმ შემოსავალზე, რომელიც შესაძლოა მას პოლიტიკამ მოუტანოს. ამრიგად საქმე ძალიან მარტივადაა, იგი შეძლებული პირი უნდა იყოს, ანდა ცხოვრებაში ისეთი კერძო მდგომარეობა ეჭიროს, რომელსაც მისთვის საკმარისად მყარი შემოსავალი მოაქვს“.

თავის მოხსენებაში: „პოლიტიკა, როგორც მოწოდება და ხელობა“, მაქს ვებერი ეხება პლუტოკრატიული ხელმძღვანელობის თავისებურებებს. „იმ შემთხვევაში, – განმარტავს მაქს ვებერი, – როცა სახელმწიფოს ან პარტიას ის ხალხი ხელმძღვანელობს, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკის „თვის“ ცოცხლობს (ამ სიტყვის ეკონომიკური მნიშვნელობით) და არ ცხოვრობს პოლიტიკ „ით“ მაშინ ეს აუცილებლად იმას ნიშნავს, რომ განხორციელდა პოლიტიკურად მმართველ ფენებში „პლუტოკრატიული“ გაწვევა. მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ასეთი პლუტოკრატიული ხელმძღვანელობისას პოლიტიკურად გაბატონებული ფენები პოლიტიკ „ით“ ცხოვრებასაც არ ესწრაფვოდეს. პლუტოკრატიული ხელმძღვანელობა პოლიტიკურ ბატონობას ეკონომიკური ინტერესებისთვისაც იყენებს.

მაქს ვებერი ააშკარავებს პარტიების ბრძოლის ძირითად მიზანს – თანამდებობების ხელში ჩაგდებას. „პარტიული ხელმძღვანელები თავიანთს დამქაშებს სხვადასხვა თანამდებობაზე ამწესებენ ხოლმე პარტიათა სამდივნოებში, ამა თუ იმ თემსა თუ შტატში. გამძვინვარებული ბრძოლა პარტიათა შორის როდი ჩაღდგება ხოლმე მარტოდენ საბოლოო მიზანთა გამო, არამედ ყოველის უწინ, ესაა ბრძოლა თანამდებობრივი პატრონაჟის მოსაპოვებლად“. აღნიშნული თეზისის სისწორის დასაბუთებისათვის მაქს ვებერს მოჰყავდა

კონკრეტული მაგალითები და მათი განზოგადების შედეგად ადგენს, რომ რაც უფრო მატულობს თანამდებობათა რიცხვი და რაც უფრო იზრდება მადა მათი, ვითარცა არსებობის განსაკუთრებულ უზრუნველყოფილ ფორმათა დაუფლებისა, მით მეტად უმძაფრდებათ პარტიებს დასახელებული ტენდენცია, ეს კი იმას იწვევს, რომ პარტიები მათი დამქაშებისათვის მხოლოდ საშუალებად იქცევიან ხოლმე, ასეთი უზრუნველყოფით არსებობის მიზნისაკენ მიმავალ გზაზე.

მაქს ვებერი ახასიათებს აღნიშნული მდგომარეობის საპირისპირო ტენდენციას, კერძოდ, სახელმწიფოს მოხელეების ისეთ ტიპს წარმოადგენს, რომლებსაც ხანგრძლივი პროფესიული წრთობა აქვთ გამოვლილი და მაღალკვალიფიციურ გონით მუშაკთა ერთობად არიან ჩამოყალიბებულნი. მათ დამახასიათებელ ნიშნებად მაქს ვებერი ასახელებს წოდებრივი ღირსების გრძნობას. სწორედ აღნიშნული და მისი მსგავსი თვისებების გამო მათი მხრიდან მოსალოდნელი არ არის „საზარელი კორუფცია და მდაბალი მეშჩანურობა“, როგორც სხვა შემთხვევაში თავის ძირითად დებულებებს მაქს ვებერი „ამაგრებს“ ისტორიული ფაქტებით, პარალელებით. მას მოჰყავს კონკრეტული ხასიათის მაგალითები, რომლებიც აჩვენებენ იმ სახელმწიფოთა მმართველთა სახეს, რომელთაც პოლიტიკა, ერთი მხრივ, შემოსავლის წყაროდ გაიხადეს და, მეორე მხრივ, პოლიტიკა ხელობის დონემდე აიყვანეს. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ვებერის აზრით, ბოლო მოუღო დილექტანტურ მმართველობას, რომელსაც ნადავლზე დაგეშილი პოლიტიკოსები ანხორციელებდნენ და რომლის საფუძველზეც იმის მიხედვით, თუ რა შედეგით მთავრდება საპრეზიდენტო არჩევნები, ათასობით მოხელე იცვლებოდა ხოლმე თვით ფოსტალიონების ჩათვლითაც კი.

ინგლისში პარლამენტის არჩევნებში გამარჯვებული პარტიის, კაბინეტის, სამინისტროს და ბოლოს მთავრის – ბე-

ლადის ურთიერთობის ანალიზის საფუძველზე მაქს ვებერი ააშკარავებდა ძალაუფლების ნამდვილ მიზნებს, ახასიათებდა წინასწარ აშენებულ იერარქიულ სახელმწიფო აპარატში მოხელეთა „განლაგების“ პრინციპებს და ასკვნიდა: „ინგლისში ჩამოყალიბდა „კაბინეტი“, რომელსაც ხელმძღვანელობდა პარლამენტის ერთიანი ბელადი ანუ „ლიდერი“, ეს კაბინეტი სხვა არა იყო რა, თუ არა მუდმივი საპარლამენტო კომისია უმრავლესობაში მყოფი პარტიისა რომელსაც მართალია, უარყოფდა ოფიციალური კანონმდებლობა, მაგრამ ფაქტიურად მხოლოდ და მხოლოდ მას ეპყრა ხელთ მთავარი პოლიტიკური ძალაუფლება.

ვებერი იხილავს პოლიტიკის „წარმოებად“ გარდაქმნის შედეგს, რაც იმაში მდგომარეობს, რომ საზოგადოებრივი ფუნქციონირება ორ დაპირისპირებულ კატეგორიად ჩამოყალიბდა – დარგის მნებად და „პოლიტიკურ მოხელეებად“, ამ უკანასკნელთ ვეალებათ ქვეყნის საშინაო მართვის საერთო უზრუნველყოფა, მათი საქმიანობის „პოლიტიკური შინაარსი განისაზღვრება ქვეყანაში წესრიგის“ ანუ ბატონობის არსებულ ურთიერთობათა შენარჩუნებით.

მაქს ვებერი ამტკიცებს, რომ „პროფესიონალი პოლიტიკოსები“ მთავრის კარზე წოდებათა წინააღმდეგ მათი ბრძოლის შედეგად წარმოიშვნენ. მაქს ვებერი ახასიათებდა „პროფესიონალ პოლიტიკოსთა“ შემდეგ სახეებს:

1. მთავრის პოლიტიკის მოსამსახურეები, რომლებიც არაწოდებრივი წარმომავლობისა არიან, მაქს ვებერის განმარტებით წინაინდოეთში, ბუდისტურ ჩინეთსა და იაპონიაში აგრეთვე ლაიმისტურ მონღოლეთში, ისე, როგორც შუა საუკუნეების ქრისტიანულ ოლქებში, ასეთ ფენებს კლირიკები წარმოადგენდნენ. ისინი განათლებულნი, წერა-კითხვის მცოდნენი იყვნენ. მათთან ერთად რელიგიის მსახურთა წარმომადგენლების ცოდნა და განსწავლულობა გამოყენებული

იყო სახელმწიფოს მართვის სტრუქტურაში. კლირიკთა და რელიგიის მსახურთა მმართველობაში გამოყენებას ის უსაფრთხოება განაპირობებდა, რომ ამ უკანასკნელებს არ ჰქონდათ ეკონომიური ინტერესები და პრეტენზიები, იცავდნენ ცელიბატის კანონს (უცილობის პრინციპს) არ იღვწოდნენ ძალაუფლების ხელში ჩაგდებისათვის;

2. მეორე ფენად მაქს ვებერი ასახელებს ჰუმანიტარულად განათლებულ მწიგნობრებს. მმართველის მრჩეველის თანამდებობების დაკავებისათვის აუცილებელი იყო კარგი კალიგრაფიის მქონე პიროვნებები, რომლებსაც, ამასთან ერთად, ეცოდინებოდათ ლათინურად სიტყვების ჩაწერა და ბერძნულად ლექსების თხზვა. მაქს ვებერი ერთმანეთისაგან ანსხვავებს ევროპისა და აზიის მწიგნობრებს. თუ ევროპაში მწიგნობრებად გამოვიდნენ ჰუმანიზმის სკოლების ხელმძღვანელები, რენესანსული იდეების მომხრეები, ჩინეთში ასეთ კატეგორიას განეკუთვნებოდნენ განსწავლული მწიგნობარნი. მაგალითისათვის მაქს ვებერი მიუთითებს ჩინელი განსწავლულის ლი ხე ჩჟენის დღიურებზე, რომელშიც აღიარებულია ის, რომ იგი ლექსებს წერდა და, ამასთან ერთად, კარგი კალიგრაფისტიც;

3. მესამე ფენად მაქს ვებერი წარმოადგენს სასახლის დიდკაცობას. მას შემდეგ რაც ამ ფენამ დაკარგა პოლიტიკური ბატონობა, მმართველმა პირებმა, ბელადებმა გამოიყენეს მათი გამოცდილება და ისინი პოლიტიკასა და დიპლომატიის სამსახურში ჩააყენეს;

4. მეოთხე კატეგორიას მაქს ვებერი პატრიციატს განაკუთვნებს. პატრიციატში გაერთიანებული იყო წვრილი აზნაურობა. ქალაქის მთავარმა ეს ფენა – ტექნიკური სახელწოდებით „ჯენტრი“ ბარონთა წინააღმდეგ ბრძოლაში გამოიყენა, შემდგომში კი „თვითმმართველობის“ თანამდებობათა გამკებლებად დაინიშნა. შემდგომში ამ ფენამ გამოიყენა რამის ხელში ჩაგვარდნის ძალაუფლება გარკვეული გავლენა

მოიპოვა მათი უფროსების მიმართ და სათანადო ეკონომიური სიმდიდრეც დააგროვა. მაქს ვებერის აზრით ამ ფენამ ინგლისი ბიუროკრატიზაციისაგან იხსნა, რაც შემდგომში, კონტინენტურ სახელმწიფოთა საერთო ბედისწერად იქცა;

5. მეხუთე ფენას წარმოადგენდნენ უნივერსიტეტებში განათლებამიღებული იურისტები. ზოგადი დებულების კონკრეტულ ისტორიული მასალით დასაბუთების, მისთვის ჩვეული მეთოდოლოგიური პრინციპით მაქს ვებერი ასაბუთებს ადვოკატთა როლს და მათი საქმიანობის მნიშვნელობას სხვადასხვა სახელმწიფოს მმართველობის ფორმებში. განსაკუთრებით აღნიშნავს მათი მოღვაწეობის გადამწყვეტ გავლენას. მაქს ვებერის განმარტებით სწორედ იურისტები აგვირგვინებენ წარმატებით და ძლევამოსილად ლოგიკურ მძლავრად არგუმენტირებულ საქმესაც. მათგან განსხვავებით პოლიტიკური მოხელე ვარგისიან საქმესაც კი, ტექნიკურად „უგერგილოდ“ წარმართვის წყალობით, ძალზე ხშირად უხეიროდ შემოატრიალებს ხოლმე.

მაქს ვებერი მოვლენას, პროცესს იხილავს მის მთლიანობაში, ყველა ასპექტის გათვალისწინებით. ეს მისი მეთოდოლოგიური ურყევი პრინციპია. ასეა ამჯერადაც, მაქს ვებერს მხედველობიდან არ რჩება ისეთი სახის საკითხები, როგორებიცაა: 1. ნამდვილი მოხელისა (სახელმწიფო მოხელისა) და სახელმწიფოს მეთაურის – ბელადის ან პოლიტიკოსის შედარება; 2. დემაგოგიის ადგილის განსაზღვრა პოლიტიკაში; 3. ჟურნალისტიკის (ჟურნალისტიის) როლი პოლიტიკურ ურთიერთობებში.

1. თუ მოხელე (სახელმწიფო მოხელე) პოლიტიკას კი არ აწარმოებს, არამედ მას „მიუკერძოებლად“ განაგებს, ასრულებს იმ დავალებას, რასაც იღებს ზემოდან, ამის საპირისპიროდ პოლიტიკოსი, ბელადი და მისი ამაღლა ავლენს მიკერძოებას, ვნებას;

2. ისტორიულ-კონსტიტუციური სახელმწიფოდან, სრულად და საბოლოოდ დემოკრატიის პერიოდიდან მოყოლებული, დასავლეთში პოლიტიკოსის მთავარი ტიპი იყო „დემაგოგი“;

3. ჟურნალისტი, – ვებერის განმარტებით, – განეკუთვნება განსაკუთრებულ კასტას, რომელიც „საზოგადოებაში“ სოციალურად ფასდება მისი იმ წარმომადგენლების მიხედვით, რომლებიც ზნეობრივი თვალსაზრისით ყველაზე დაბლა დგანან. მაქს ვებერი არ იზიარებს ამ აზრს და განმარტავს, რომ კარგი ჟურნალისტური ნამოღვაწარი, სულ ცოტა იმდენივე „სულის“ შთაბერვას მაინც მოითხოვს, რამდენსაც ნებისმიერი მეცნიერული მონაპოვარი.

მაქს ვებერი დაწვრილებით აღწერს ჟურნალისტის მოვალეობას, მის ფუნქციებს, „რაკი მეცნიერებაში, – წერს მაქს ვებერი, – გამუდმებით ის ზემოქმედება გვაქვს ხოლმე აღბეჭდილი, რასც ჩვენში უპასუხისმგებლო ჟურნალისტური ნამოღვაწარი ტოვებს, ამიტომაც არაუარა უწევს ანგარიშს იმას, რომ ჟურნალისტს ბევრად მეტი პასუხისმგებლობა აკისრია და რომ, როგორც ამაში ომმა დაგვარწმუნა, მისი პასუხისმგებლობის გრძნობა საშუალოდ ჩამორჩება კი არა და, ბევრად აღემატება კიდევ სწავლულის პასუხისმგებლობას.

მაქს ვებერი ისეთი დაწვრილებით აღწერს ჟურნალისტიკის როლს პოლიტიკური პროცესების მართვაში, მისთვის მიმართულების მიცემის, მასზე ზეგავლენის მოხდენის საკითხებში და ა.შ. რომ თამამად შეიძლება ითქვას, რომ მათ არ დაუკარგავთ თავიანთი აქტუალობა თანამედროვე პირობებში – მასმედიის გაზრდილ როლსა და მნიშვნელობაზე.

შესაშური დაწვრილებით იხილავს მაქს ვებერი პოლიტიკურ წარმოებას, ვითარცა სამოხელეოდ მოწოდების მდგომარეობას სხვადასხვა სახელმწიფოებში, კერძოდ, ინგლისში და ასკენის: „ჟურნალისტობა და პარტიულ სამოხელეო აპა-

რატში რაიმე თანამდებობის დაკავება ამ ამოცანისკენ უმოკლესი გზაა უქონელი ხალხისათვის, ვინც იძულებული გამხდარა პოლიტიკით მოიწყოს ცხოვრება“.

მაქს ვებერი პოლიტიკოსად ყოფნისათვის სამი ძირითადი უნარის არსებობას მოითხოვს, ესენია ვნება, პასუხისმგებლობის გრძნობა და გონების თვალი. იგი დაწვრილებით იხილავს თითოეულ მათგანს. ვნება – მისი განმარტებით, ნიშნავს იმას, რომ მთელი მგზნებარებით მისცემიხარ „საქმეს“ და თავგამოდებით ემსახურები დასახულ მიზნებს. ამასთან ერთად მაქს ვებერი აღნიშნავს, რომ ვნება სხვა რამაა და არა ის სულიერი ტყლარჭვა, რასაც ზოგიერთი ეწევაო (ასახელებს მის სულიერ მეგობარს გეორგ ზიმელს).

ვნება ისეთი გრძნობაა, განაგრძობს ახსნას მაქს ვებერი, რომელიც ინტელექტუალებსაც ასე ძალუმაღ რომ ეუფლებათ ხოლმე. ის, ის „უსაგნო რომანტიკა“, რომელთაც მართლოდენ „ინტელექტუალური მიზნები ამოძრავებთ“ და არ გააჩნიათ ჭეშმარიტი პასუხისმგებლობის გრძნობა. მაგრამ ვნება არ არის იმისათვის საკმარისი, რომ ნამდვილი პოლიტიკოსი იყო, ამ გრძნობასთან ერთად აუცილებელია პასუხისმგებლობის გრძნობა – გონების თვალი, რაც იმას ნიშნავს, რომ შინაგანი წონასწორობითა და სიმშვიდით დაემორჩილო ცხოვრებისეულ რეალობებს, დაიცვა დისტანცია საგნებთან და ადამიანებთან მიმართებაში.

მაქს ვებერი სვამს კითხვას, როგორ ჩავტოთ ერთსა და იმავე სულში მხურვალე ვნება და ცივი გონების თვალი? და პასუხობს: აუცილებელია, რომ პოლიტიკოსი განუწყვეტლივ ებრძოდეს და სძლევედეს თავის ყველაზე ტრივიალურსა და ადამიანურ მტერს – ამპარტაუნობას, რომლისგანაც არავინ არ არის დაზღვეული, რადგან იგი ძალიან გავრცელებული თვისებაა, იგი უფრო გავრცელებულია, – მაქს ვებერის განმარტების თანახმად, – სამეცნიერო წრეებში, მაგრამ თუ ამ

წრეებში ამპარტავნება შედარებით უწყინარია, რადგან იგი თითქმის არ უშლის ხელს მეცნიერების წარმოებას, სულ სხვაა პოლიტიკაში ამპარტავნობის გამოვლენა, რადგან იგი ზერელობასა და უპასუხისმგებლობას ბადებს. სწორედ ამპარტავნობა, ანუ ყველაფერში თავი გამოჩენის სურვილია ის, რასაც პოლიტიკოსი ხან ერთ ცოდვაში შეჰყავს, ხან მეორეში, ანდა ორივეში ერთდროულად.

პოლიტიკოსის მთავარ თვისებად მაქს ვებერი მიიჩნევს იმ საქმის რწმენას, რომელსაც პოლიტიკოსი ემსახურება, ეს უკანასკნელი კი დიდი სფეროა ეროვნული, საკაცობრიო, სოციალური, ეთიკური, კულტურული, საერო და რელიგიური. შეიძლება პოლიტიკოსთა ერთ ნაწილს „პროგრესის“ სჯეროდეს. მეორეს „იდეის“ და ა.შ. მაგრამ, საბოლოო ჯამში, პოლიტიკოსს უნდა ჰქონდეს რწმენა, რწმენა იმ საქმისა, რომელსაც იგი ემსახურება, რომელიც მან ხელობად გაიხადა.

მოხსენების „პოლიტიკა როგორც მოწოდება და ხელობა“, ბოლო ნაწილში მაქს ვებერი წერს: „ზემოთქმული იმას მოასწავებს, რომ მივადეთ დღეს გასარჩევი საკითხებიდან ყველაზე მთავარს; ესაა კითხვა იმის თაობაზე თუ რაა პოლიტიკური საქმის ეთოსი, მიზანდასახულებათა სხვადასხვაობის მიუხედავად, რა დანიშნულებას ასრულებდა იგი მთელი ცხოვრებისეული მეურნეობის ზნეობრივად მოწყობაში? სად არის მისი, ასე ვთქვათ, ეთიკური კერა?“ დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა მაქს ვებერს აქტუალურად მიაჩნია – იმიტომ რომ ამ საკითხზე მსჯელობა, მისი აზრით, არალოგიკურად აიგება.

განმარტების მიზნით მაქს ვებერს მოყავს ცხოვრებისეული მაგალითი: კაცი, რომელიც ცოლს გაეყრება და მეორე ქალთან იჭერს კავშირს, თავს არ იმართლებს, არ ასახელებს გაყრის მიზეზს, იგი მიიჩნევს, რომ მის მიერ კავშირის გაწყვეტა ლეგიტიმური იყო – მას ამის უფლება ჰქონდა, ასეთი სახის გამართლებად მას ეთიკური პოზიცია მოჰყავს ე.ი. თა-

ვის საქციელს ეთიკური პრინციპებიდან გამომდინარე ამართლებს. ვებერის აზრით კი, ეთიკა ასეთ შემთხვევაში უდიერად იქცევა, მისთვის შეუფერებელ როლს თამაშობს.

ამ მიმართებაში მაქს ვებერი კიდევ ერთ კითხვას სვამს – როგორია ჭეშმარიტი კავშირი ეთიკასა და პოლიტიკას შორის მართალი ხომ არ არის დიდი ხნის განმავლობაში არსებული მტკიცებანი ასეთი სახის კავშირის არარსებობის შესახებ? თუ მართალია ის, რომ „ერთი და იგივე“ ეთიკით ფასდება, როგორც პოლიტიკური, ისე ყველა სხვა სახის მოღვაწეობა? ისიც უმტკიცებიათ, რომ ეს ორი რამ ურთიერთგამომრიცხავი მტკიცებაა, რომელთაგან ან ერთია სწორი ან მეორეო. მაქს ვებერი საკითხის სიღრმისეული გარკვევის მიზნით, კიდევ ერთ კითხვას სვამს – განა შეიძლება პოლიტიკოსისადმი წაყენებული ეთიკური მოთხოვნები ანგარიშს არ უწევდეს იმას, რომ პოლიტიკური პირის მოღვაწეობა ფრიად სპეციფიკური ღონისძიებებით, ე.ი. ძალაუფლებით, რომლის მიღმაც ძალადობა იმდება? განა ვერ ვხედავთ, – განმარტავს მაქს ვებერი, – ბოლშევიკური და სპარტაკისტული იდეოლოგიები, რაკი ისინი პოლიტიკის იმ საშუალებას იყენებენ, ზუსტად იმავე შედეგებს იხვეჭენ, რასაც რომელიმე მილიტარისტული დიქტატორი? განა რითი განსხვავდება მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების ბატონობა ძველ რეჟიმთა ნებისმიერი მბრძანებლისაგან, თუ არა მხოლოდ ხელისუფალთა თვითნებობითა და დილექტანტიზმით? ჩვენი დროის ვითომდა ახალი ეთიკის მქადაგებელთა უმრავლესობის პოლემიკა ძველი ეთიკის წარმომადგენლებთან, განა რითიმე განსხვავდება ნებისმიერი სხვა დემაგოგისაგან? დასმული კითხვების შემდეგ, მაქს ვებერი ადგენს ეთიკური ქცევის ფარდობით ხასიათს, მისი გააზრების კრიტერიუმის მნიშვნელობას.

აღნიშნულის საილუსტრაციოდ მაქს ვებერი აანალიზებს პოლიტიკაში მართლის თქმის მოვალეობის ფენომენს და

წერს, რომ უნდა ითქვას სიმართლე იმის შესახებ, რომ აქედან გამომდინარეობს აუცილებლობა იმისა რომ გამოქვეყნდეს ყველა საბუთი, განსაკუთრებით მშობლიური ქვეყნის მამხილებელი დოკუმენტები, მათი ანალიზით კი მივაღებთ მთავარ საკითხს, კარგად გავერკვეთ იმაში, რომ ეთიკურად ორიენტირებული ქმედებანი შეიძლება ექვემდებარებოდნენ ორ ერთმანეთისადმი ძირეულ დაპირისპირებულსა და ურთიერთგამომრიცხავ მაქსიმას რომლებიც შეიძლება ორიენტირებულნი იყვნენ ან „მრწამსის ეთიკაზე“ ან „პასუხისმგებლობაზე“, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ „მრწამსის ეთიკა“ უპასუხისმგებლობის ტოლფასი იყოს, ხოლო პასუხისმგებლობის ეთიკა – „ქრისტიანი ისე იქცევა, როგორც ჯერ არს, ხოლო შედეგზე პასუხისმგებლობა მთლიანად ღმერთისათვის მიუხდვია“, ამ აზრის პასუხისმგებლობის ეთიკის პოზიციებიდან პასუხისმგებლობა სხვაზე გადაიტანება, რაც შეეხება მრწამსის ეთიკას, იგი სრულიად საპირისპირო მოტივით არის განპირობებული – იგი მოქმედებს მრწამსით, რასაც საფუძვლად უდევს შინაგანი წვა, მოვალეობა.

საკითხის საბოლოოდ გარკვევის მიზნით მაქს ვებერი წერს: „ვერც ერთი ეთიკა გვერდს ვერ აუქცევს იმ ფაქტს, რომ ძალზე ხშირად „კეთილი“ მიზნის მისაღწევად ვურიგდებით ხოლმე ზნეობრივად საეჭვო თუ სახიფათო საშუალებათა გამოყენებას, თვალს ვხუჭავთ იმაზე, რომ ამგვარ ქმედებას აუცილებლად, ან შესაძლებლობაში მაინც, თან ახლავს უკეთური შედეგები. ამასთანავე არც ეთიკას ძალუძს გასინჯოს ის, თუ რა სიდიდის უნდა იყოს ეთიკურად კეთილი მიზანი, რომ მან შეძლოს „კურთხევა“ ზნეობრივად სახიფათო საშუალებების და მისი თანამდევნი შედეგებისა“.

მაქს ვებერს კარგად ესმის, რომ პოლიტიკის მთავარი საშუალება ძალადობაა, ამიტომ პოლიტიკური თეორია სრულყოფილად ვერ აიგება თუ არ გაირკვა ძალადობის არსი, მისი

მოქმედების არეალი. ამიტომ ძალადობისა და ეთიკურის –
ზნეობრივად გამართლებული მოქმედების – ურთიერთობა
ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა. მაქს ვებერისათვის და-
მახასიათებელია ზოგადი პოსტულატების გარკვევისათვის
რელიგიების ისტორიული მასალის, სხვა სიტყვებით თუ ვიტ-
ყვით, რელიგიური ფენომენის – როგორც სოციოლოგიური
გამოკვლევის ობიექტის მიზნობრივი გამოყენება. ამ შემთხ-
ვევაშიც ასე ხდება. პოლიტიკური ძალადობის და ეთიკურის
ურთიერთმიმართების გარკვევისათვის იგი მიუთითებს იმაზე,
რომ ხშირად ძალადობის წინააღმდეგ გამოსული პოლიტიკო-
სი თუ რელიგიის მსახური თვითონ მიმართავს ძალადობას,
ხოლო თავის ქცევას მორალურად იმით ამართლებს, რომ
ამბობს, ეს არის უკანასკნელი ძალადობა, რომლის შემდეგ
ძალადობას ადგილი აღარ ექნებათ. მაქს ვებერი ასეთ ქცევას
აღარებს იმ სამხედრო მეთაურების ქცევას, რომლებიც ყოვე-
ლი შეტევის წინ ჯარისკაცებს მიმართავდნენ. ეს იქნება უკა-
ნასკნელი შეტევა, რომლის შემდეგ გამარჯვება და მშვიდობა
დაისადგურებსო. „ვერასოდეს მოხერხდება ეთიკური დადგე-
ნა იმისა, – ასკვნის მაქს ვებერი, – თუ რომელი საშუალება
რომელი მიზნითაა ნაკურთხი... პოლიტიკის ყოველი ეთიკუ-
რი პრობლემის თავისებურება განპირობებულია იმით, რომ
აღამიანთა ერთობებს ხულთ უპყრიათ პირწმინდად ლეგიტი-
მური ძალადობა, როგორც განსაკუთრებული ძალადობა“.

საბოლოოდ მაქს ვებერი ასკვნის, რომ პოლიტიკოსი საქ-
მეს იჭერს სატანურ ძალებთან და მის წინაშე მდგარ ყველა
ამოცანას წყვეტს ძალადობის საშუალებით. მაქს ვებერი
განმარტავს, რომ ამ პოზიციებიდან საჭიროა იმ ამაღლასთან
ურთიერთობის დარეგულირება, რომელიც პოლიტიკოსის
სამსახურშია. ამ შემთხვევაში პოლიტიკას სხვა ამოცანა
აკისრია, ამოცანა, რომლის გადაწყვეტა მხოლოდ და მხო-
ლოდ ძალადობით შეიძლება. მაგრამ პოლიტიკოსის ამოცანა

ის არის, რომ მან პასუხისმგებლობისა და მრწამსის ეთიკა დაპირისპირებულობიდან ერთმანეთს შეუთავსოს, შეავსოს და ერთობლივად შექმნას ნამდვილი ადამიანი, ე.ი. ისეთი ადამიანი, ვისაც შეიძლება პოლიტიკისადმი მოწოდება ჰქონდეს.

მაშასადამე, მაქს ვებერის მსჯელობის თანახმად პოლიტიკური ლიდერი, პოლიტიკოსი, ბელადი ის ადამიანია, რომელიც შეძლებს ყველა იმ ნიუანსის გარკვევას, ეთიკური პრინციპების გონებრივ გამოყენებას, რაც ობიექტურ სინამდვილეში წარმოიშვება, რომელიც დაძლევეს ადამიანურ ემოციებს, ვნებებს, მიკერძოების სინდრომს, ამაღლდება პირადულ განცდაზე მაღლა.

ეწეოდე პოლიტიკას იმას ნიშნავს, – ასკენიდა მაქს ვებერი, – მთელი ძალ-ღონით ბურღავდე მაგარ ქანებს, ამ საქმეში აქსოვდე ვნებას და გონების თვალსაც. მაგრამ აღნიშნულის შესრულებისათვის, მაქს ვებერის აზრით, არა თუ მხოლოდ ბელადი უნდა იყო, არამედ გმირიც, ამ სიტყვის ყველაზე უბრალო გაგებით. მოწოდებით პოლიტიკოსი კი ის არის ვისაც სჯერა, რომ არასოდეს შედრკება, თუნდაც მაშინ, როცა სამყარო მისი შეფასებით საძაგელი ჩანდეს, თუნდაც არ იყოს ღირსი იმისა, რისი მიძღვნც ამ სამყაროსთვის მას უნდოდა და შეგნებულად აღიაროს თავისი ნამოღვაწარის კეთილი მიზნები.

მაქს ვებერის მოხსენების (ნაშრომის) „პოლიტიკა, როგორც მოწოდება და ხელობა“ ნაშრომის „ხარიზმული ბატონობა“ მიმოხილვის შემდეგ ნათელია, თუ რაოდენ აქტუალურია პოლიტიკის ვებერისეული გაგება თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შეფასებისათვის, საქართველოში ღია, დემოკრატიული საზოგადოების აშენებისათვის.

პოლიტიკაში მონაწილეობა

არჩევნების ფორმები
არჩევნების სტრუქტურა
სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობა
წარმოების მართვაში მონაწილეობა

პოლიტიკურ პროცესებში პიროვნების მონაწილეობას, ანუ ქცევას, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამ პროცესის წარმატებით განვითარების თუ შეფერხების თვალსაზრისით. პოლიტიკურ პროცესში პიროვნების მონაწილეობა ერთნაირი არ არის არც აქტივობის დონით, არც როლით და არც რაოდენობით. მაგალითად, როცა საქმე ხელისუფლების მოპოვებისათვის ბრძოლას ეხებოდა, მონაწილეთა რიცხვი გაცილებით მეტია, ვიდრე ფრაქციათა ბრძოლის ან პროგრამულ მიმართულებათა განსაზღვრის დროს. ბოლოს მოხსენიებულ ორ შემთხვევაში მონაწილე წრე ვიწროვდება პირველთან შედარებით, ასევე სხვადასხვაგვარია პოლიტიკურ პროცესში მონაწილეობის ფორმებიც და მეთოდებიც. იგივე ხელისუფლებისათვის ბრძოლაში ზოგიერთი საპარლამენტო ბრძოლას აძლევს უპირატესობას, ზოგიც ძალადობის მეთოდს იყენებს, რა თქმა უნდა, ამ ფორმებისა და მეთოდების შერჩევისას ყველაფერი პიროვნებაზე არ არის დამოკიდებული. ზოგჯერ თვით ობიექტური ვითარება კარნახობს მეთოდის მიზანშეწონილობას იმისდა მიხედვით, თუ როგორი წყობაა მოცემულ სახელმწიფოში – ტოტალიტარული თუ დემოკრატიული, ანუ საკითხი ეხება იმას, თუ რა ადგილი უჭირავს პიროვნებას საზოგადოებაში.

ზემოთაც იყო აღნიშნული, რომ პოლიტიკა არ არსებობს პიროვნების გარეშე. ნებისმიერი სახელმწიფოს საზოგადოებრივი და პოლიტიკური ინსტიტუტების ფუნქციონირე-

ბა პიროვნებათა მეშვეობით ხდება, ის კი არა, ახლა საკითხი დგება პიროვნების არა მხოლოდ თავის ქვეყნის ფარგლებში მიმდინარე პროცესებში მონაწილეობაზე, არამედ მსოფლიო პოლიტიკურ პროცესებში ნებისმიერი პიროვნების მონაწილეობის აუცილებლობის შესახებ (ზომ არსებობს მსოფლიოს გლობალური პრობლემები, რომელთა შესახებ ამავე წიგნის სხვა მონაკვეთშია ლაპარაკი).

პოლიტიკურ პროცესებში პიროვნების მონაწილეობის რამდენიმე აპრობირებული ფორმა არსებობს: 1) არჩევნებში მონაწილეობა; 2) სახელმწიფო საქმეების მართვაში მონაწილეობა; 3) წარმოების მართვაში მონაწილეობა.

პირველი მათგანი ყველაზე მასობრივი და ყველასათვის ხელმისაწვდომი ფორმაა. იგი პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის საკმაოდ ეფექტური ფორმაცაა, თუ მისი ეფექტურობის ყველა ფაქტორი მოქმედებს. არჩევნების ეფექტურობის ერთ-ერთი ფაქტორია მრავალპარტიულობა, კონკურენცია, რაც ჩვენი ქვეყნისთვის დიდი ხნის მანძილზე სრულიად უცნობი იყო და რამაც თავისებური დალი დაასვა ჩვენი ქვეყნის ელექტორატს.

საქართველოში 1990 წლის ოქტომბერში, 70 წლიანი ინტერვალის შემდეგ, პირველად მოეწყო ცივილიზებული ქვეყნებისთვის დამახასიათებელი მრავალპარტიული არჩევნები.

საერთოდ, არჩევნები მნიშვნელოვანი მოვლენაა საზოგადოების ცხოვრებაში. კაცობრიობის ისტორიაში ბევრი კარგი იდეა ჩამოყადიბებულა და გაგრცელებულა. ერთ-ერთი მათგანი ხელისუფლების არჩევის იდეაა. ეს ხელისუფლების მოპოვების ყველაზე მშვიდობიანი და დემოკრატიული გზაა ცივილიზებულ საზოგადოებაში, ის, ვინც არჩევნებში დამარცხდება, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე ადგილს უთმობს გამარჯვებულს, ხალხის რჩეულს.

არჩევნები შეიძლება მოეწყოს როგორც მაჟორიტარული, ასევე პროპორციული წესით. მისი მოწყობა შეიძლება შერეული წესითაც, როცა კანდიდატები პერსონალურადაც იყრიან კენჭს და სიითაც (როგორც ეს საქართველოში იყო ბოლო ორი არჩევნების დროს).

არჩევნების მეშვეობით მოქალაქენი რეგულარულად მონაწილეობენ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში და გამოხატავენ თავიანთ ნებას ხელისუფლებისათვის მებრძოლი ამა თუ იმ კლასის ან პოლიტიკური პარტიისადმი დამოკიდებულებაში. არჩევნები საშუალებას იძლევა, ხელისუფლებაში დამკვიდრდეს ურთიერთმონაცვლეობის დემოკრატიული პრინციპი.

თუ არჩევნების ჩატარების სისწორე ეჭვს არ იწვევს, გადარჩეული ხელისუფლება და პოლიტიკური ლიდერი, როგორც წესი, მშვიდობიანად ტოვებენ მართვის საჭეს, მაგრამ ისეც ხდება, რომ არჩევნების შედეგი შეურიგებელი ურთიერთბრძოლის მიზეზად იქცევა, რომელიც ზოგჯერ წლების მანძილზე გრძელდება ასე. მაგალითად, ჩრდილოეთ ირლანდიაში, სადაც კათოლიკეები და პროტესტანტები გაუთავებელ ბრძოლაში არიან. პროტესტანტებს მიაჩნიათ, რომ რაკი უმრავლესობას წარმოადგენენ, არჩევნების კანონიერად მოწყობის შემთხვევაში, გამარჯვება მათ უნდა დარჩეთ. კათოლიკეებს კი არ სურთ ამას შეურგდნენ და იარაღით იბრძვიან ამის წინააღმდეგ.

ან რა შორს მივიდეთ. საქართველოში „მრგვალი მაგიდის“ ხელისუფლების წასვლის შემდეგ მოეწყო არჩევნები, რომელმაც ხელისუფლებაში ახალი ძალები მოიყვანა, მაგრამ ძველი უზენაესი საბჭო მაინც განაგრძობდა ბრძოლას ხელისუფლების დაბრუნებისათვის და ქვეყანა სამოქალაქო ომის მდგომარეობაში აღმოჩნდა.

ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს არჩევნების სწორად

მოწყობაში მასების დარწმუნებას. ყოფილ საბჭოთა კავშირში, მის ყველა კუთხეში, ხელისუფლების არჩევნებმა იმდენად დაკარგეს ნდობის მანდატი, რომ დღემდე მოქალაქეთა ნაწილი მას ფორმალურ კამპანიად მიიჩნევს და ნაკლებად სჯერა, რომ ნებისმიერი ხელისუფლება მას ოდესმე ობიექტურად მოაწყობს.

მაინც რა არის საჭირო იმისათვის, რომ არჩევნების მექანიზმი სწორად მუშაობდეს? პირველ რიგში, კონსესიუმის უნარი ხელისუფლების მხრივ: არჩევნებში ოპოზიციისადმი სათანადო ადგილის მიკუთვნება; პიროვნების ნების შეუხლულაობა; კენჭისბრის ობიექტურობა; არჩევნებში მონაწილე პარტიათა და მათ კანდიდატთა თანასწორუფლებიანობა; შანტაჟის, ძალადობისა და ამომრჩეველთა მოსყიდვის დაუშვებლობა. სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყანა ჯერ კიდევ ვერ ამადლებულა იმ დონემდე, რომ ყველა ეს მოთხოვნა დაცული იყოს. ჩვენ ხომ თავად ვართ მოწმე ისეთი ფაქტებისა, როცა დეპუტატობის კანდიდატები, სარგებლობდნენ რა ხალხის გაჭირვებული მდგომარეობით, ცდილობდნენ მათ მოსყიდვას, ზოგი სასურსათო პროდუქტების უფასოდ დარიგებით, ზოგი უფასო მგზავრობის დაწესებით (საარჩევნო ოლქების მიხედვით), ზოგიც დაპირებებით და ა.შ.

ჩვენში მრავალპარტიულობა და მრავალპარტიული არჩევნები ახალი მოვლენაა. პარტიათა რაოდენობა საკმაოდ დიდია. ბევრი მათგანი მხოლოდ არჩევნების პერიოდში იწყებს აქტიურობას და საერთოდ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მხოლოდ ამ მომენტში გამოჩნდებიან ხოლმე. თუ ასეთი პარტიები არჩევნებში წარმატებას ვერ აღწევენ, ბუნებრივია, პოლიტიკურმა პარტიამ რაღაც წონა უნდა მოიპოვოს საზოგადოებაში, რაღაც ტრადიცია უნდა შეიქმნას, თავისი პროგრამის რაღაც ნაწილის რეალიზაცია უნდა მოახდინოს, რომ აღიარება მიიღოს და არჩევნებში მხარ-

დამკვირვებები მოიპოვოს. მართო ურთიერთპაექრობა და ურთიერთობდოლა არ კმარა არჩევნებში გამარჯვებისთვის. მით უფრო, როცა ხალხი ახლა სწავლობს დემოკრატიის ელემენტარულ წესებს. არჩევნების ჩატარება იოლი კამპანია არ არის.

მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში არჩევნების დროს, ტრადიციულად, ერთი და იგივე გავლენიანი პარტიები დომინირებენ. ასეთია, მაგალითად, ლიბერალური პარტია იაპონიაში, ნერუს პარტია ინდოეთში და სხვა. ამიტომ ამ ქვეყნებში, თუმცა მის რომელიღაც ნაწილში სხვა პარტიებიც იმარჯვებენ ხოლმე, მაგრამ მაინც შეიძლება წინასწარი ვარაუდი იმისა, თუ საბოლოოდ ვინ გაიმარჯვებს, რადგან ზოგიერთ რეგიონში სხვა ახალგამოჩენილ პარტიათა გამარჯვება საერთო სიტუაციას ვერ ცვლის.

ისეთ ქვეყნებში კი, როგორცაა შვეიცარია, ნორვეგია და ზოგიერთი სხვა ქვეყანა, ჩვენი არ იყოს, იმდენად მრავალი პარტიებია, რომ რომელიმე მათგანის შანსის წინასწარ განსაზღვრა პრაქტიკულად შეუძლებელია. იმ ქვეყნებში კი, სადაც ოპოზიციურ პარტიებს შორის ურთიერთობდოლა ტრადიციული ხასიათისაა (ლიბერალები და კონსერვატორები ინგლისში, დემოკრატები და რესპუბლიკელები აშშ-ში), ხელისუფლებაში მონაცვლეობა ჩვეულებრივი ამბავია და მას არავითარი ექსცესები არ ახლავს.

არჩევნებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტი პოლიტიკური ლიდერის არჩევაა, მით უფრო, საპრეზიდენტო მმართველობის ქვეყნებში, ამომრჩეველი მეტად საპასუხისმგებლო ამოცანის წინაშე დგას, როცა სხვადასხვა პარტია სხვადასხვა კანდიდატურას სთავაზობს (როგორც ეს 1995 წლის ნოემბრის არჩევნების დროს იყო საქართველოში, როცა მოქალაქეთა კავშირმა ე. შვეარდნაძის კანდიდატურა წამოაყენა პრეზიდენტის პოსტზე, საქართველოს

კომპარტიამ პ. გიორგაძის კანდიდატურა, საინიციატივო ჯგუფებმა ჯ. პატიაშვილის, ქ. ღარიბაშვილის, რ. ლიპარტელიანის კანდიდატურები). ამ შემთხვევაში ბევრი რამ დამოკიდებულია კანდიდატის წამომყენებელი პარტიის ავტორიტეტსა და თვით ლიდერის პიროვნებაზე, რამდენად შეძლებს იგი ამომრჩეველთა დარწმუნებას მისი პროგრამის სისწორესა და სარგებლიანობაში. ამ უნარის მქონე ბევრი ლიდერია ცნობილი პოლიტოლოგთა შორის. უახლოესი პერიოდის ლიდერთა შორის პოლიტოლოგები ერთხმად აღიარებენ რონალდ რეიგანს, რომელიც მიაჩნდათ პიროვნებად, რომელსაც შეეძლო ძალზე ოსტატურად და მიმზიდველად მიეტანა თავისი იდეები ამომრჩევლებამდე და ყოველგვარი ტექსტის დაცვით ეპაექრა მეტოქესთან.

არჩევნებში გამარჯვების შემდეგ მეორე მნიშვნელოვანი მომენტი საარჩევნო პროგრამაში შეპირებული იდეების თანმიმდევრული დაცვა. ეს მომენტი განმსაზღვრელი ფაქტორია ლიდერის მაღალი რეიტინგის შესანარჩუნებლად. ცნობილი ფაქტია, რომ როცა ჯორჯ ბუშმა ამომრჩეველთა წინაშე განაცხადა, რომ დამატებით გადასახადებს არ შემოიღებდა, მისმა რეიტინგმა საკმაოდ აიწია, მაგრამ როცა შეპირება არ შეასრულა და სიტყვას უღალატა, სიტუაცია მისი პიროვნების მიმართ მკვეთრად შეიცვალა. ან მეორე მაგალითი, როდესაც მიხეილ გორბაჩოვმა ე.წ. საბჭოთა საზოგადოების გარდაქმნის იდეა წამოაყენა, ხალხმა იგი აიტაცა, რადგან ვველა გრძნობდა, რომ ცხოვრების ასე გაგრძელება აღარ შეიძლებოდა და განახლება აუცილებელი იყო, მაგრამ, როცა მისი სიტყვა და საქმე ერთმანეთს დასცილდა და საშველი არ გამოჩნდა, მისი, როგორც ლიდერის მიმართ დამოკიდებულება მკვეთრად შეიცვალა და რეიტინგიც დაეცა.

არცთუ ისე იშვიათად, ლიდერი, რომელიც კარიერისათვის ბრძოლას უზნეოდ და სამარცხვინოდ აცხადებს, ხოლო

თავად ყველა საშუალებას მიმართავს ხელისუფლების ხელში ჩაგდებისათვის (ან შენარჩუნებისთვის) თვალთმაქცი და ფარისეველია, რაც ამომრჩეველში იმედგაცრუებასა და სინანულს იწვევს ამ პიროვნების მხარდაჭერის გამო.

ქვეყნების აბსოლუტურ უმრავლესობაში არჩევნები ნებაყოფლობითია და მოქალაქეს უფლება აქვს თავად გადაწყვიტოს მასში მონაწილეობა-არმონაწილეობის საკითხი (არჩევნები სავალდებულოდ ითვლება მხოლოდ ნიდერლანდებში). ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ მთელ რიგ ცივილიზებულ ქვეყნებში კი ამ ნებაყოფლობითი, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი აპოლიტიკური პროცესისადმი დამოკიდებულება, მოქალაქეთა დიდი ნაწილის მხრიდან ინდიფერენტულია. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და შვეიცარიაში არჩევნები დიდი ხანია უკვე მოქალაქეთა დიდი ნაწილის მონაწილეობის გარეშე ტარდება. აშშ-ში ბოლო არჩევნებში მოქალაქეთა მხოლოდ 50 პროცენტზე ცოტა მეტმა მიიღო მონაწილეობა. შვეიცარიაში, რომელიც კლასიკური დემოკრატიის სახელმწიფოდ არის მიჩნეული, ბოლო არჩევნებში მოქალაქეთა 48 პროცენტი მონაწილეობდა, ყოფილ გდრ-ში კი 93, ავსტრალიაში – 87, ხოლო ბელგიაში – 86 პროცენტი.

არჩევნებისადმი ასეთი დამოკიდებულების განმაპირობებელი ფაქტორი ყველგან არ არის ერთმნიშვნელოვანი. ზოგიერთ ქვეყანაში მოქალაქეებს ჩამოუყალიბდათ არჩევნებისადმი სტერეოტიპული განწყობა, ისინი თვლიან, რომ არჩევნებში მათი მონაწილეობა-არმონაწილეობა არსებითად არაფერს ცვლის და ამიტომ აღარც მონაწილეობენ მასში. ფაქტიურად, პროტესტს უცხადებენ მას. სხვა შემთხვევაში, პირიქით, ისინი იმ რწმენით არიან, რომ ვინც უნდა მოვიდეს ხელისუფლების სათავეში, მისი ინტერესების გამომხატველი მაინც არ იქნება და ამიტომ, ზედმეტია დროის დაკარგ-

ვა საარჩევნო ყუთთან მისასვლელად. ამრიგად, არჩევნები-სადმი მოქალაქეთა დამოკიდებულებაში ორი უკიდურესობა არსებობს. იგივე ამერიკელები, ესპანელები და ზოგიერთი სხვა ქვეყნების მოქალაქეები თვლიან, რომ მათი არჩევნებში მონაწილეობა შესამჩნევ ზეგავლენას ვერ მოახდენს არჩევნების შედეგებზე და ცხოვრება მაინც თავისი გზით წავა.

ამომრჩევლის აქტიურობა და პასიურობა ქვეყნის სპეციფიკურ მდგომარეობაზეც არის დამოკიდებული. გააჩნია, რა ამოცანის წინაშე დგას მოქალაქე. მაგალითად, ახალ ზელანდიაში ხელისუფლების ლიდერი მხოლოდ ორი პარტიის წარმომადგენლიდან უნდა შეირჩეს, ჰოლანდიაში კი რამდენიმესგან, შესაბამისად ამისა ამოცანაც სხვადასხვაგვარი დგას ამომრჩევლის წინაშე და აქტიურობაც შესაბამისია.

იქ, სადაც არჩევნებში მონაწილე პარტიები კონკრეტული ჯგუფების ინტერესებს გამოხატავენ, ამომრჩეველთა მდგომარეობაც ადვილი განსასაზღვრია. მაგალითად, თუ ქვეყანაში არსებობს ხუთი პარტია: სოციალ-დემოკრატიული, ქრისტიან-დემოკრატიული, ლიბერალური, მწვანეთა და ფერმერთა, ბუნებრივია, ფერმერთა უმრავლესობა ფერმერთა პარტიას მისცემს ხმას. ქვეყნის „მწვანეები“ თავიანთ პარტიას დაუჭერენ მხარს და ა.შ. მოსახლეობა განაწილდება თავისი სოციალური, ეკონომიკური თუ რელიგიური ინტერესების მიხედვით.

ცხოვრებისეული პრაქტიკა ადასტურებს, რომ პირდაპირი კავშირი არსებობს პარტიის საქმიანობის ეფექტურობას, პარტიის ლიდერის ავტორიტეტსა და მათდამი ამომრჩევლების დამოკიდებულებას შორის მაგრამ ასეთი დამოკიდებულება ერთბაშად არ აღინდება. ვთქვათ, პირველი არჩევნების მოწყობისთანავე, ამ დროს იმედი და ვარაუდი მხოლოდ თეორიული განსჯის დონეზეა. პარტიისა და ლიდერის ავტორიტეტი თანდათანობით ყალიბდება – წლების მანძილზე

ხალხის თვალწინ მათი მონაწილეობით. არის კი არჩევნები პიროვნების პოლიტიკური განწყობისა და ქცევის რეალური გამომხატველი? სოციოლოგიური გამოკვლევები ადასტურებენ რომ დეპუტატობის კანდიდატს, უმეტეს შემთხვევაში, ამომრჩეველთა სულ სამი პროცენტი ხვდება, დაახლოებით ამდენივე ეცნობა მის საარჩევნო პროგრამას, დანარჩენები კი ხმას აძლევენ მოვალეობის მოხდის მიზნით. ამიტომ საჭიროა არჩევნების მოწყობის ახალი მექანიზმების განუყრელი ძიება.

როგორც აღინიშნა, პოლიტიკურ პროცესში ასევე მასობრივი მონაწილეობის ფორმაა რეფერენდუმი. იგი უშუალო დემოკრატიის კატეგორიებს მიეკუთვნება. რეფერენდუმი, რომელიც ქვეყნის ყველაზე საჭირობო საკითხების თაობაზე იმართება, საზოგადოებრივი აზრის ხელისუფლებაზე ზეგავლენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა.

პოლიტიკაში პიროვნების მონაწილეობისა და ხელისუფლებაზე ზეგავლენის მოხდენის ერთ-ერთი, დასავლეთში გავრცელებული ფორმა, რომელმაც ჩვენშიც იჩინა თავი, არის მთავრობის მხარდასაჭერად ან მის საწინააღმდეგოდ მოწყობილი მიტინგები, დემონსტრაციები და მანიფესტაციები.

პრინციპში, მიტინგები და მსგავსი აქციები ეწყობა იმ შემთხვევაში, როცა ხელისუფლებაზე ზემოქმედების ყველა სხვა საშუალება ამოწურულია და საჭიროა უკიდურესი ზომების მიღება. სამწუხაროდ, საქართველოში ასეთი აქციების მოწყობის მსურველი პარტიები და მათი ლიდერები ამ ელემენტარულ ჭეშმარიტებას ანგარიშს არ უწევენ და ყოველგვარი წვრილმანი საკითხის გადაწყვეტისასაც უკიდურეს ზომებს მიმართავენ.

პოლიტიკაში პიროვნების პასიურობა და აქტიურობა რამდენიმე ფაქტორზეა დამოკიდებული ერთ-ერთი ასეთი

ფაქტორია მოცემულ საზოგადოებაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა: ადამიანის შემოსავლის (შრომის ანაზღაურების) ოდენობა, პროფესიული მდგომარეობა, საერთო მატერიალური და კულტურული კეთილდღეობა უშუალოდ უკავშირდება პოლიტიკურ პროცესში მონაწილეობის ინტენსიურობას. როგორც წესი, მაღალ სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე მოქალაქეები უფრო აქტიურად მონაწილეობენ საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებაში, ვიდრე ისინი, ვისაც მატერიალურად უჭირს და საერთოდ, ვისი ცხოვრებაც, ყველა მთავრობის ხელში, თითქმის უცვლელია. აშკარად ჩანს, რომ ეკონომიკური სიძლიერე პოლიტიკური სიძლიერის პირდაპირპროპორციულია და ისინი ურთიერთგანმაპირობებელ ფაქტორებად გვევლინებიან, ამ ფაქტის ემპირიული საფუძვლის მოძებნა ძნელი არ არის.

პიროვნების პოლიტიკურ ქცევაზე გავლენას ახდენს აგრეთვე, საზოგადოების მასობრივ-ფსიქოლოგიური მდგომარეობა – როგორც მთელი სახელმწიფოსი, ასევე რეგიონალური მასშტაბით. მკითხველისათვის კარგად არის ცნობილი, თუ რა ფსიქოლოგიური განწყობა იყო საქართველოს სამეგრელოს რეგიონში, იმ დროს მოქმედი სახელმწიფო საბჭოსა და შემდგომ კი სახელმწიფოს მეთაურის მიმართ. სამეგრელოს სიტუაცია აშკარად განსხვავდებოდა ქვეყნის სხვა რაიონებში არსებული სიტუაციისაგან და მაშასადამე, ამ რაიონებში განსახლებულ მოქალაქეთა განწყობა და ქცევაც განსხვავებული იყო.

საერთოდ, პოლიტიკური პროცესი ყოველთვის ატარებს ეროვნულ-ნაციონალურ ელფერს, ეს ყველა შემთხვევაში ანგარიგასაწვევი ფაქტორია, ალბათ, ბუნებრივიც უნდა იყოს, რომ ბალტიისპირეთის პოლიტიკური სიტუაცია და მასობრივ-პოლიტიკური გარემო განსხვავებული იქნება შუ-

ააზის ან კავკასიის სიტუაციისაგან, თუნდაც ერთი და იგივე ხასიათის მოძრაობის დროს.

პიროვნების პოლიტიკურ ქცევაზე არ შეიძლება გავლენა არ იქონიოს იმანაც, თუ რამდენი პარტია და ორგანიზაციაა ჩაბმული პოლიტიკურ პროცესში, მაგალითად, საქართველოში ამჟამად უამრავი, სრულიად განსხვავებული მიმართულებისა და შემაღვენლობის პარტიები და ორგანიზაციები ფუნქციონირებენ. მათ შორის კონსერვატიული პარტიაცაა და ლიბერალურიც, კომუნისტურიც და მონარქიულიც, დემოკრატიულიც და ანარქისტულიც. ბუნებრივია, რომ ასეთ ვითარებაში პიროვნებას გაუჭირდება შესაბამისი ღირებულებებით კრიტერიუმების გამოძებნა არჩევანის გასაკეთებლად, რა თქმა უნდა ძნელი იქნება აგრეთვე ერთიანი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება.

პიროვნების პოლიტიკურ ქცევაზე ზეგავლენის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ეროვნული ტრადიციები, საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული წესჩვეულებანი, ადათ-წესები, რომლებიც მოცემული ხალხის ფსიქიკური წყობის სახითაა გამოხატული, მაგალითად, პოლიტოლოგთა შორის გავრცელებულია ის აზრი, რომ საბჭოთა კავშირში ავტორიტარულ-ტოტალიტარული რეჟიმის დამყარებას მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი რუსულმა ხასიათმა, მისმა ტრადიციებმა და პოლიტიკურმა კულტურამ. კერძოდ იმან, რომ რუს ხალხში მორჩილების ფსიქოლოგია ოდითგანვე საკმაოდ იყო გავრცელებული, „მონობისა“ და ბატონობისადმი ერთგულების ინსტიტუტი ძლიერ ტრადიციას ეფუძნებოდა და ამ საფუძველს ტოტალიტარული რეჟიმიც კარგად მოერგო. სხვათაშორის ის ტრადიციები, რომელმაც ყოფილ საბჭოთა კავშირში და კერძოდ, მის რუსულ ნაწილში შეუწყო ხელი ტოტალიტარული რეჟიმის დამკვიდრებას. ჯერ კიდევ ძლიერია და მიმდინარე პოლი-

ტიკური სოციალიზაცია მას ასე ადვილად ვერ დაძლევეს, დემოკრატიზაციის პროცესი საკმაოდ რთული იქნება ამ ფონზე.

საერთოდ, საზოგადოების სოციალიზაცია მნიშვნელოვანი ფაქტორია პიროვნების პოლიტიკური ქცევის განსაზღვრაში, ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში აღნიშნავდნენ ამის შესახებ, ტრადიციულ საზოგადოებებში როგორც ითქვა იგი ოჯახის, სკოლის, ეკლესიის მეშვეობით ხორციელდება. განსაკუთრებით დიდი როლი ამ საქმეში ოჯახს განეკუთვნება. ამიტომ, ყოველი ტოტალიტარული რეჟიმი ცდილობს, მაქსიმალურად შეზღუდოს ოჯახის ეს ფუნქცია და თვითონ აიღოს თავის თავზე ყველა საკითხის მოგვარება, რათა პიროვნება „ჭანჭიკის“ როლში დარჩეს და არ იქცეს აქტიურ, მოაზროვნე მოქალაქედ, რომელიც კრიტიკულად განსჯის მის გარშემო შექმნილ სიტუაციას, ზედმიწევნით იდეოლოგიზებული სკოლებისა და ოჯახის ფუნქციებში აქტიური ჩარევის გარეშე ტოტალიტარული რეჟიმის არსებობა წარმოუდგენელია. ამიტომ ამ რეჟიმის ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ პიროვნების სოციალიზაციის ყველა საშუალება მის ხელთ იყოს და დამოუკიდებლად არ მოქმედებდეს.

დემოკრატიულ საზოგადოებაში ხელისუფლების როლი პიროვნების სოციალიზაციის პროცესში სრულიად განსხვავებული და თავისებურია. მაგალითად, იგივე აშშ-ს სკოლებში, კოლეჯებში არათუ არ ზღუდავენ მოზარდთა ინიციატივას, არამედ ათასგვარ ფორმებს იყენებენ ინიციატივის წახალისებისა და განვითარებისთვის, რომ ახალგაზრდა მოაზროვნე, კრიტიკულ, აქტიურ პიროვნებად ჩამოყალიბდეს და წინასწარ არ დაკომპლექტდეს სახელმწიფო იდეოლოგიის ზეგავლენით, როგორც ეს საბჭოთა სკოლებში ხდებოდა. თანამედროვე ახალგაზრდა თავად უნდა გაერკვეს

სამყაროს რთულ მრავალფეროვნებაში, თვითონვე შეიქმნას აზრი მის გარშემო მიმდინარე მოვლენების მიმართ და არ მოქმედებდეს მზამზარეულად მიწოდებული იდეოლოგიური დოგმის მიხედვით. პიროვნება საზოგადოებაში გამორჩეულ ინდივიდად მხოლოდ იმ შემთხვევაში იქცევა, როცა იგი სოციალიზაციის ყველა ინსტიტუტის ზემოქმედებას დამოუკიდებლად განიცდის და არა იდეოლოგიზირებული სახელმწიფოებრივი ორგანოების მეშვეობით. ჩვენ მოწმენი ვართ იმისა, რომ ბავშვები საბავშვო ბაღიდან დაწყებული, სწავლებისა და აღზრდის მთელი პერიოდის მანძილზე (ოქტომბრელთა, პიონერთა, კომკავშირულ ორგანიზაციებში), ერთნაირი მეთოდებით, ერთი მიზანდასახულობით ყალიბდებოდნენ და ამიტომ საბჭოთა მოქალაქეები ვაშლებივით ვგავდით ერთმანეთს, ჩვენში ინდივიდუალური ნიშან-თვისებების გამოყოფა, პრაქტიკულად, შეუძლებელი იყო. თუ რაიმე მიზეზით, ვინმე განსხვავებული, ან საზოგადოებისთვის „შეუფერებელი“, სხვანაირად მოაზროვნე დისიდენტი აღმოჩნდებოდა, მათ მიმართ რეაგირებას სათანადო ორგანოები ახდენდნენ.

მასირებული, ყოველდღიური ზეგავლენით, საბჭოთა საზოგადოებაში ჩამოყალიბდა არა მოაზროვნე, განმსჯეული ინდივიდი, არამედ დოგმატი ფუნქციონირერი, ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ დღეს, გარდამავალ პერიოდში მყოფ საზოგადოებაში, საკმაოდ ჭირს ლიდერის შერჩევა, რომელიც რეალურად ფლობდეს იმ ნიშან-თვისებებს, რაც ახალი წყობისა და რეჟიმის შექმნის პროცესის ხელმძღვანელს ესაჭიროება. ჭეშმარიტ დემოკრატ პიროვნებად ჩამოყალიბება არც ისე იოლია. ამისთვის მარტო სურვილი და დემოკრატიის ერთგულ მსახურად თავის გამოცხადება არ კმარა. ამიტომაცაა, რომ რიგ შემთხვევებში, დემოკრატიის დროშით ხელისუფლებაში მოსული ლიდერები ავტორიტა-

რულ რეჟიმს ამყარებენ. შეიძლება ეს ტოტალიტარიზმიდან დემოკრატიზმზე გადასვლის დროს გარკვეულად კანონზომიერებასაც წარმოადგენს, მაგრამ სასურველი არც ერთ შემთხვევაში არ არის.

დემოკრატიის ცნება და კოლიტიკა

დემოკრატიის არსი და გაგება
დემოკრატიული პრინციპები
დემოკრატია და თანამედროვეობა

სიტყვა „დემოკრატია“ პირველად ძველმა ისტორიკოს-მა ფუკიდიდემ იხმარა, როგორც ის ამბობდა, იგი წინააღმდეგი იყო „უკიდურესი დემოკრატიისა“ და მომხრე იყო „ზომიერი ერთიანობისა“, დემოკრატიისა და ოლიგარქიისა. დემოკრატიის პრობლემა ყოველთვის იყო და დღესაც არის იდეოლოგიური და პოლიტიკური დისკუსიის არენა. სხვადასხვა ეპოქის მოაზროვნენი დემოკრატიის ცნებაში განსხვავებულ შინაარსს დებდნენ, ცნობილი ბერძენი ფილოსოფოსები პლატონი და არისტოტელე დემოკრატიას მიიჩნევდნენ როგორც „არასწორ ფორმას“ მმართველობისა. ისინი ათენის არისტოკრატიის წარმომადგენლები იყვნენ და მმართველობის მონათმფლობელურ სისტემას იდეალურ სახელმწიფოდ მიიჩნევდნენ. პლატონის მიხედვით სახელმწიფოს მართავენ ფილოსოფოსები.

რა არის დემოკრატია? დემოკრატიის მრავალი განმარტება არსებობს, აი ერთ-ერთი: დემოკრატია არის პოლიტიკური წყობის ფორმა, რომელიც აღიარებს ხალხის ხელისუფლებას, მოქალაქეთა თავისუფლებასა და თანასწორობას, უმცირესობის უმრავლესობაზე დამორჩილებას, სახელმწიფოს ძირითადი ორგანოების არჩევითობას, მოქალაქეთა პოლიტიკური უფლებების აღიარებასა და სათანადო პირობების არსებობას დემოკრატიის ცხოვრებაში განსახორციელებლად.

ცოტნე დადიანის სახელობის სოხუმის ჰუმანიტარული ინსტიტუტის პოლიტოლოგიის კათედრასთან არსებულმა

საზოგადოებრივმა აზრის შემსწავლელმა ცენტრმა ჩაატარა სოციოლოგიური გამოკითხვა თემაზე: რა არის დემოკრატია? გამოკითხულთა 34%-მა უპასუხა, დემოკრატია ესაა თავისუფლება აზრის გამოთქმისა, 18%-მა – არჩევნების თავისუფლება, 14%-მა – ხალხის თავისუფლება, 11%-მა – სამართლიანობა, 9%-მა – საჯაროობა, 6%-მა – მრავალპარტიულობა.

მსოფლიოში ყველა სახელმწიფო მოღვაწე – მეფე თუ იმპერატორი, პრემიერი თუ პრეზიდენტი, გენერალური მდივანი თუ თავმჯდომარე ხალხის ინტერესების დამცველად და დემოკრატიის მედროშედ აცხადებდა თავის თავს. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ კომუნისტები და მათი ლიდერები სოციალისტურ ქვეყნებში, რომლებიც კომუნისტურ საზოგადოებას ყველაზე ჰუმანიტარულ და დემოკრატიულ წყობილებად აცხადებდნენ. როგორ შეიძლება იმის დადგენა თუ რომელი ქვეყანა ნამდვილად დემოკრატიული და რომელი ტოტალიტარული და ავტოკრატიული? ერთ-ერთმა ამერიკელმა პოლიტოლოგმა შეიმუშავა დემოკრატიის ხუთი კრიტერიუმი:

1. მოზრდილთა უმრავლესობას შეუძლია მონაწილეობდეს საარჩევნო პროცესში;

2. ხმის მიცემა საიდუმლოა და თავისუფალია ძალდატანებისაგან;

3. ხელმძღვანელობას ირჩევენ თავისუფალი არჩევნების გზით, რომელშიც მონაწილეობას იღებს, სულ ცოტა ორი მეტოქე პარტია;

4. ხელისუფლება თავის ლეგიტიმურობას აფუძნებს მოქალაქეთა სურვილებზე;

5. მოქალაქეები, ხელმძღვანელები და პარტიების თანამდებობის პირები სარგებლობენ სიტყვის, პრესის, შეკრების, რელიგიისა და გაერთიანების ძირითადი თავისუფლებით.

ყველა ის ქვეყანა, რომელიც აკმაყოფილებს ამ კრიტერიუმებს, ამერიკელი პოლიტოლოგის აზრით, შეიძლება დემოკრატიულ ქვეყნად ჩაითვალოს. დღეს მსოფლიოში არსებული 200-ზე მეტი სახელმწიფოდან დაახლოებით 80-ს ითვლიან ნამდვილ დემოკრატიულ სახელმწიფოდ. 60-ზე მეტს ნაწილობრივ დემოკრატიულად, ხოლო დანარჩენს არადემოკრატიულად.

დღეს მსოფლიოში ყველაზე მოდური ტერმინია დემოკრატია. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მსოფლიოს პოლიტიკური რუკა რადიკალურად შეიცვალა. დემოკრატიის ანტიპოდი, ყველაზე რეაქციული რეჟიმი მსოფლიოში, ფაშიზმი დამარცხებულ იქნა. დაიშალა იმპერიალიზმის კოლონიურ სისტემა. ასზე მეტმა ყოფილმა კოლონიურმა ქვეყანამ მიიღო რა პოლიტიკური დამოუკიდებლობა ფართოდ გაშალა ეროვნული მოძრაობა, პირველად ეზიარა დემოკრატიას. დაიშალა საბჭოთა კავშირი, მასში შემავალმა ყველა რესპუბლიკამ დამოუკიდებლობა მიიღო. ამ ქვეყნებში ჩატარდა დემოკრატიული არჩევნები, შეიქმნა ხალხის ხელისუფლება, შემოდებულ იქნა პრეზიდენტის ინსტიტუტი, დაიშალა მსოფლიოს სოციალისტური სისტემა და მასში შემავალმა ქვეყნებმა აღადგინეს თავიანთი სუვერენიტეტი.

როდესაც დემოკრატიის არსსა და გაგებაზე ვლაპარაკობთ გვერდს ვერ აუვლით დემოკრატიის ურთიერთობას იდეოლოგიასთან. პოლიტოლოგთა ნაწილი ამტკიცებს, რომ დემოკრატია ზეკლასობრივი, არაისტორიული მოვლენაა, რომელსაც კავშირი არა აქვს საზოგადოების სოციალურ სტრუქტურასთან, ეკონომიურ პირობებთან. 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ, როდესაც ოფიციალურად დააკნინეს სოციალისტური დემოკრატიის ყოვლისშემძლეობა, ხდება დემოკრატიის აშკარა იდეოლოგიზირება

– პოლიტიზირება. ბურჟუაზიულ დემოკრატიასთან შედარებით, „მილიონჯერ უფრო დემოკრატიული“ სოციალისტური დემოკრატია ფარატიანა ქალაქში დარჩა, ხოლო ცხოვრებაში ადამიანი სრულიად უფლებო, არარაობა გახდა, რომელსაც ჭკუას არავენ არ ეკითხებოდა. კიდევ მეტი, მილიონობით ადამიანს, რომელთა უმრავლესობას თავისი აზრიც კი არ გამოუთქვამთ პოლიტიკაზე, სიცოცხლე მოუსპეს.

დემოკრატია არც ერთ საზოგადოებრივ წყობილებაში ზეკლასობრივი არ ყოფილა და ასე თუ ისე, მეტნაკლებად გარკვეული კლასის, თუ ჯგუფის იდეოლოგიის განხორციელების საშუალება იყო, ასე იყო ეს ისტორიულად დაწყებული ათენის დემოკრატიის, დამთავრებული ვთქვათ დღეს, შვეციის დემოკრატით.

დემოკრატიის საწყისებს პირველყოფილ თემურ წყობილებაში ვხვდებით თემური თვითმმართველობის სახით. თემური წყობილებისთვის უცხოა კლასები და კლასთა ბრძოლა, სახელმწიფო, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაცია. თემური დემოკრატიისათვის, შესაბამისად არსებული საზოგადოებრივი სტრუქტურის, დამახასიათებელია თავისუფლება და თანასწორობა, გვაროვნულიდან ტომობრივ ურთიერთობაზე გადასვლასთან დაკავშირებით საზოგადოებრივი ცხოვრება უფრო რთული და მრავალფეროვანი ხდება, მაგრამ მისი დემოკრატიული ხასიათი არ იცვლება. გვარების ან ტომების შეკრებაზე ყველა მოზრდილი მოქალაქე მონაწილეობს, როგორც მამაკაცები ისე ქალები, ირჩევენ უფროსთა საბჭოს, ბელადთა საბჭოს, რომლებიც განსაკუთრებული უფლებებით არ სარგებლობენ და ძალაუფლების რაიმე ბოროტად გამოყენება გამორიცხულია, ძირითადი საკითხები წყდება საერთო კრებებზე.

პირველყოფილ თემური წყობილებიდან მონათმფლობელურზე გადასვლა დაკავშირებულია დემოკრატიის ახალ

ფორმებთან, უწინარეს ყოვლისა მონათმფლობელურ დემოკრატიასთან. მონათმფლობელური დემოკრატიის ტიპიურ ფორმებს წარმოადგენენ ათენისა და რომის დემოკრატია.

ათენის დემოკრატია თავის აყვავებას აღწევს ძვ.წ. V-IV ს. ათენის მონათმფლობელური დემოკრატია თავის უშუალო საწყისს იღებს კლისფენის რეფორმებიდან. მსხვილი ვაჭრებისა და მოხელეთა წარმომადგენლის კლისიფენის მოსვლით ხელისუფლებასთან ათენში მთავრდება ტირანია და იწყება დემოკრატიის ეპოქა, მან მოსპო გვაროვნული წყობილების უკანასკნელი ნაშთები და ქვეყანა დაყო 10 ტერიტორიულ ერთეულად, ნაცვლად 4 გვაროვნულისა. ამ ტერიტორიულ რეორგანიზაციასთან დაკავშირებით შექმნილ იქნა ახალი უმაღლესი ორგანო – საბჭო და სამხედრო კოლეგია. ენგელსის გამოთქმით „კლასფენის რევოლუციამ“ საფუძველი ჩაუყარა მონათმფლობელურ დემოკრატიას. ათენის დემოკრატია აყვავებას აღწევს ჰერაკლეს დროს, რომელსაც ათენის მონათმფლობელური დემოკრატიის ბელადს უწოდებენ.

ათენის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს წარმოადგენდა სახალხო კრება. მასში მონაწილეობის უფლება ჰქონდა ათენის ყველა სრულუფლებიან მოქალაქეს, რომელსაც 20 წელი შეუსრულდა. სახალხო კრებას დიდი უფლებები ჰქონდა. ის იყო კანონმდებელი ორგანო, ირჩევდა უმაღლეს ხელმძღვანელ პირებს, აკონტროლებდა ქვეყნის ეკონომიკას, უშიშროებას და ა.შ. ყოველ მოქალაქეს ჰქონდა უფლება კრებაზე გამოსვლისა. დასაწყისში სახალხო კრებას იწვევდნენ წელიწადში ათჯერ, შემდეგ კი უფრო ხშირად, კრებაზე მნიშვნელოვანი საკითხის გადასაწყვეტად საჭირო იყო ფორუმის მინიმუმი 6 ათასი კაცი, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ათენში მაშინ საარჩევნო ხმის უფლებით სარგებლობდა 45-50 ათასი მოქალაქე.

გასაგებია თუ რამდენად ძნელი იყო ზოგჯერ ფორუმის შეგროვება ამას ისიც უნდა დაუმატოთ, რომ ათენის მოქალაქეთა გარკვეული ნაწილი სულაც არ იყო დაინტერესებული სახალხო კრებაზე დასწრებით, რომელიც ხშირად ფორმალურ ხასიათს ატარებდა.

ათენის დემოკრატიასი პოლიტიკური უფლებებით სარგებლობდნენ მხოლოდ თავისუფალი მამაკაცები. მონებს, თავისუფალ ქალებს არ ჰქონდათ პოლიტიკური უფლებები. ათენის დემოკრატიის აყვავების პერიოდში 350 ათასი მოსახლეობიდან საარჩევნო ხმის უფლებით სარგებლობდა მხოლოდ 50 ათასამდე კაცი. ათენის დემოკრატია იყო მხოლოდ თავისუფალთა დემოკრატია, მაგრამ ისეთი დემოკრატია, რომელიც 2500 წლის შემდეგ, დღესაც შემურდებოდა ძალიან ბევრს.

ათენის ანტიკური მონათმფლობელური დემოკრატიის გარკვეული აზრით გაგრძელებასა და მის დამთავრებას წარმოადგენს რომის დემოკრატია. რომის მონათმფლობელური დემოკრატია მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევს რესპუბლიკის პერიოდში. ხელისუფლების უმაღლესი ორგანო იყო სენატი და რომის მოქალაქეთა სახალხო კრება. სახალხო კრებას იწვევდნენ იშვიათად, ხოლო მიმდინარე პოლიტიკის საკითხებს სწვევტდა სენატი, როგორც აღმასრულებელი ორგანო. სენატის განკარგულებაში იყო ქვეყნის ეკონომიკა, ფინანსები, საგარეო პოლიტიკა, სამხედრო საქმე. უფრო მეტი უფლებები ჰქონდათ კონსულებს, რომლებიც რომში იყო ორი. ისინი არმიას ხელმძღვანელობდნენ. ხშირი იყო შემთხვევები, როცა რომის იმპერიაში საგანგებო შემთხვევაში ინიშნებოდა დიქტატორი ექვსი თვით, რომლის ხელში გადადიოდა მთელი ძალაუფლება.

ფეოდალურ საზოგადოებაში გვხვდება დემოკრატიის ახალი ფორმა ე.წ. ქალაქების კომუნების დემოკრატია. ფეოდა-

ლიზმის წიაღში იქმნება ახალი ფენა და მერე კლასი, ბურჟუაზია, რომლის ფორმირება დაკავშირებულია სწორედ ქალაქების წარმოშობასთან და განმტკიცებასთან. ფეოდალურ საზოგადოებაში იქმნება შუასაუკუნეების ქალაქთა პოლიტიკური მმართველობის ფორმები. ისინი არსებობდნენ გერმანიაში, ინგლისში, საფრანგეთში, იტალიასა და სხვაგან. სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით იტალიის ქალაქებში, რომლებიც ქალაქი-სახელმწიფოები იყვნენ XIII-XV საუკუნეებში დემოკრატიული მმართველობის ფორმა იყო საქალაქო კომუნები.

ამგვარად პირველყოფილ თემურ წყობილებაში, განსაკუთრებით კი მონათმფლობელურ და ფეოდალურ საზოგადოებაში საქმე გვაქვს დემოკრატიის პირველ საწყისებთან. საზოგადოების მოწინავე ადამიანები ცდილობენ ხალხთა ფართო მასების ჩაბმას სახელმწიფოს მართვაში. მაგრამ ეს რეალურად ნაკლებადაა შესაძლებელი, რადგანაც ქვეყანას მართავს მონარქი, დესპოტი.

დემოკრატიის, როგორც სახელმწიფოს მმართველობის ფორმის სრულყოფა და ჩამოყალიბება, განვითარება და განმტკიცება ბურჟუაზიულ საზოგადოებასთანაა დაკავშირებული. ამ უკანასკნელში კი ხდება არსებითად მონარქიიდან რესპუბლიკაზე გადასვლა. რესპუბლიკას აქვს შესაძლებლობა დემოკრატიის ფართოდ განვითარებისა, სხვა საკითხია იყენებს თუ არა იგი მას.

დემოკრატია სახელმწიფოს მმართველობის ფორმაა და თავისი ბუნებით უპირისპირდება მონარქიას და არისტოკრატიას. შ. მონტესკიე მიუთითებს მმართველობის სამ ფორმაზე: რესპუბლიკა, მონარქია და დესპოტიზმი. ტ. ჰობსი აღიარებს მმართველობის სამ სახელმწიფოებრივ ფორმას: დემოკრატია, მონარქია და არისტოკრატია, თვითონ კი უპირატესობას მონარქიას ანიჭებდა. მარქსიზმი დემოკრატიას

თვლის სახელმწიფოს ფორმად, მის ერთ-ერთ ნაირსახეობად.

დემოკრატიის არსის გაგებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მისი კლასობრივი ბუნების გარკვევას. დემოკრატია ზოგადი და განყენებული ცნება არაა. მისი შინაარსი და ტიპები დამოკიდებულია სახელმწიფოს არსზე, რომლის ფორმაც თვითონ დემოკრატია წარმოადგენს. დემოკრატიის კლასობრივი პოლიტიკური ხასიათი წითელი ზოლივით გასდევს საზოგადოების განვითარების მთელ ისტორიულ პერიოდს, საზოგადოების მოწინავე ადამიანები ამის შესახებ გარკვევით მიუთითებდნენ. ჯერ კიდევ არისტოტელე თავის შრომაში „პოლიტიკა“ აღნიშნავდა, რომ სახელმწიფოს ფორმა დამოკიდებულია, ამა თუ იმ, „პოლიტიკური ელემენტის“ უპირატესობაზე.

მარქსი და ენგელსი პროლეტარიატის დიქტატურის, სოციალისტური სახელმწიფოს პოლიტიკურ ფორმად აღიარებდნენ პარლამენტარულ რესპუბლიკას. 1871 წლის პარიზის კომუნის შემდეგ ისინი პროლეტარიატის დიქტატურის საუკეთესო ფორმად თვლიდნენ პარიზის კომუნას. უფრო მოგვიანებით ისინი ისევ უბრუნდებიან მმართველობის პარლამენტურ ფორმას.

1971 წელს ოქტომბრის გადატრიალების შედეგად რუსეთში დამყარდა პროლეტარიატის დიქტატურა. საბჭოები გამოცხადდა სახელმწიფოს პოლიტიკურ ფორმად. დეკრეტით მთელი ძალაუფლება გადაეცემა საბჭოებს. მაგრამ ეს მხოლოდ სიტყვით, საქმით კი საბჭოებს ძალაუფლება ხელთ არც ლენინის სიცოცხლეში და არც მისი სიკვდილის შემდეგ არ ჰქონია. მას მთლიანად პარტია დაეუფლა და ნაცვლად იმისა, რომ იგი გადაქცეულიყო მმართველი ხალხის პარტიად, თვითონ გადაიქცა მმართველად.

როდესაც დემოკრატიის ფორმებზე ვლაპარაკობთ, ყურადღება უნდა გავამახვილოთ კიდევ ერთ მომენტზე. არ-

სებობს პირდაპირი და წარმომადგენლობითი დემოკრატია, პირდაპირი ან უშუალო დემოკრატია. ისტორიულად პირდაპირი დემოკრატიის მაგალითად ასახელებენ ათენის სახალხო კრებას, დასავლეთ ევროპის, რუსეთის სახალხო ვეჩეს და სხვა. პირდაპირი დემოკრატიის დროს თვითონ ხალხი წყვეტს უშუალოდ ყველა იმ საკითხს, რაც საზოგადოებას აწუხებს. პირველყოფილი თემური წყობილების დროს პირდაპირი დემოკრატია მმართველობის საჯარო ფორმის ყველაზე უნივერსალური ფორმაა. გვარისა და ტომის წევრები თვითონ წყვეტენ მათთვის ყველა საჭირობო-ლო საკითხებს.

თანამედროვე ეტაპზე პირდაპირი, უშუალო დემოკრატიის ნათელ გამოხატულებას წარმოადგენს რეფერენდუმი, პლებიციტი. რეფერენდუმი ესაა საყოველთაო კენჭისყრა, ხალხის გამოკითხვა სახელმწიფოებრივი ცხოვრების რომელიმე აქტიურ საკითხზე, მასში მონაწილეობას ღებულობს ყველა, ვისაც აქვს საარჩევნო ხმის უფლება, დასავლეთის ქვეყნებში, მათ შორის აშშ-ში, ინგლისში, საფრანგეთში, იტალიასა და ა.შ. რეფერენდუმი ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს. საბჭოთა კავშირში თავისი არსებობის ხანგრძლივი დროის განმავლობაში არც ერთხელ არ ჩატარებულა რეფერენდუმი. საქართველომ რეფერენდუმი პირველად 1991 წ. ჩაატარა. რეფერენდუმი დემოკრატიის სასინჯი ქვაა. ის ნათლად გამოხატავს ხალხის მისწრაფებას, მის სიხარულს, მის გულისტკივილს, მის მაჯისცემას.

წარმომადგენლობითი დემოკრატია უფრო მასობრივი ფართო და საყოველთაო ხასიათს ატარებს. წარმომადგენლობითი ძალაუფლების ინსტიტუტი არჩეული საკანონმდებლო ორგანოა. ამერიკის შეერთებულ შტატებში მას ეწოდება კონგრესი, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში – ბუნდესტაგი, შვეიცარიაში – ფედერალური კრება, საქართვე-

ლოში – პარლამენტი და ა.შ. პარლამენტი ბურჟუაზიული საზოგადოების წიაღში შეიქმნა, მიუხედავად მისი შეზღუდულობისა მან უდაოდ დიდი როლი ითამაშა და დღესაც თამაშობს საზოგადოების განვითარების საქმეში, დემოკრატიის შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის საქმეში.

პარლამენტი ბურჟუაზიული საზოგადოების ინსტიტუტია. იგი, როგორც თვითონ ბურჟუაზია, ჩაისახა ფეოდალურ სისტემაში. ბურჟუაზია, როგორც ახალი კლასი, თავისი ძალაუფლების გასაძლიერებლად, ფეოდალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად, იყენებს პარლამენტს. არის შემთხვევები, როცა მეფე და მისი ინსტიტუტი თვითონ ქმნის ან იყენებს პარლამენტს რევოლუციაში მოძრაობის შესაჩერებლად, ხალხის მოსატყუებლად. 1789 წელს საფრანგეთის დიდი რევოლუციის წინ ლუდოვიკო XVI-მ მოიწვია გენერალური შტატები, ნიკოლოზ II-მ 1905 წლის რევოლუციის ბობოქარ დღეებში ხალხს უბოძა ე.წ. კონსტიტუცია

მმართველობის პარლამენტური სისტემის დამუშავებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საფრანგეთის დემოკრატიული ინტელიგენციის ისეთმა ბრწყინვალე წარმომადგენლებმა, როგორებიც იყვნენ ვოლტერი, მონტესკიე, რუსო, დიდრო, ჰელვეციუსი, ჰოლბახი და სხვები. ისინი მკაცრად აკრიტიკებდნენ ფეოდალურ-წოდებრივ ურთიერთობასა და იცავდნენ ბურჟუაზიულ დემოკრატიასა და მოქალაქეთა თავისუფლებას, ადამიანთა თანასწორობას.

საფრანგეთის ბურჟუაზია, როგორც კი ხელისუფლების სათავეში მოვიდა, მაშინვე დაიწყო მოქალაქეთა საარჩევნო უფლების შეზღუდვა. საფრანგეთის ყველა კონსტიტუცია 1848 წლამდე ქონებრივი ცენზითა და სხვა საშუალებებით ზღუდავდა მოქალაქეთა საარჩევნო უფლებებს, 1848 წელს საფრანგეთში პირველად გამოცხადებულ იქნა მოქალაქეთა საყოველთაო საარჩევნო უფლება, მაგრამ ბურჟუაზიამ მა-

შინვე გააუქმა იგი იენისის მუშათა აჯანყების ჩახშობის შემდეგ. შემდეგში საპარლამენტო მოძრაობა ისევე ფართოვდება საფრანგეთში. 1863 წლის მაისის არჩევნებში საფრანგეთისა და ალბათ მსოფლიოს მუშათა მოძრაობის ისტორიაში პირველად იქნა წამოყენებული მუშათა კანდიდატები, როგორც ოფიციალური კანდიდატები ბურჟუაზიულ-ლიბერალური ოპოზიციის გვერდით. 1871 წლის პარიზის კომუნა კი სრულიად ახალი ეტაპი იყო მსოფლიოს მუშათა მოძრაობის ისტორიაში, რომელმაც საპარლამენტო ბრძოლისა და დემოკრატიის ახალ ბრწყინვალე წარმატებებს მიაღწია. საპარლამენტო დემოკრატიის უდიდესი გამოცდილება აქვს ინგლისს, იტალიას, შვეიცარიასა და სხვა სახელმწიფოებს.

დემოკრატიის სრულყოფასა და განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ისეთი პრინციპების განხორციელებას, როგორიცაა: პრულარიზმი, საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინება, საჯაროობა, თავისუფლებისა და პასუხისმგებლობის ურთიერთკავშირი და სხვა.

დემოკრატიის დაცვა და მისი ცხოვრებაში პრაქტიკულად განხორციელება დიდადაა დაკავშირებული მრავალპარტიული სისტემის არსებობასთან. საჯაროდ უნდა ვაღიაროთ, რომ ყოველგვარი დემოკრატია ფორმალურ ხასიათს ატარებს, თუ ქვეყანას ერთი პარტია მართავს და გამორიცხულია მრავალპარტიული სისტემა. საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ქვეყნების გამოცდილება ამის ნათელი დადასტურებაა. რუსეთის ისტორიაში ყველაზე დიდი დანაშაული ჩადენილ იქნა 1918 წლის იენისში, როდესაც ბოლშევიკებმა ლენინის ხელმძღვანელობის მემარცხენე ესერები გარეკეს მთავრობიდან, აკრძალეს ესერები და სხვა პარტიები და კომუნისტური პარტია გახდა ერთადერთი და მბრძანებელი პარტია. მეორე ნაბიჯი გადადგმული დემოკრატიის ლიკვიდაციის გზაზე იყო 1921 წელს პარტიის X ყრილობაზე მი-

ღებულის გადაწყვეტილება პარტიის წიგნით ფრაქციულობის აკრძალვის შესახებ. ამ ორი დოკუმენტის მიღებით წერტილი დაესვა ყოველგვარ დემოკრატიას და ყველა დეკრეტი და მათ შორის კონსტიტუციაც, რომელიც საბჭოთა დემოკრატიის ყოვლისშემძლეობასა და ხალხურობას ასაბუთებდა, ფარატიანა ქალაქად გადაიქცა.

დღეს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მდგომარეობა მნიშვნელოვნად შეიცვალა. არსებობს კანონი მრავალპარტიული სისტემის შესახებ. ამ კანონის საფუძველზე როგორც აღვნიშნეთ საქართველოში და რიგ სხვა რესპუბლიკებში არჩევნები ჩატარდა მრავალპარტიული სისტემის პირობებში, ეს დემოკრატიის უდიდესი გამარჯვებაა.

ქართული სახელმწიფოებრიობა ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში, რომელსაც ორ ათეულზე მეტი საუკუნის ისტორია აქვს. XVIII ს-ის ბოლოს მან დაკარგა თავისი დამოუკიდებლობა. იგი რუსეთმა დაიპყრო. 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციისა და ოქტომბრის სოციალისტური გადატრიალების შემდეგ, 1918 წლის 26 მაისს შესაძლებელი გახდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. 1921 წლის 21 თებერვალს საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ საქართველოს სახელმწიფო ისტორიაში მიიღო პირველი კონსტიტუცია, რომელმაც სამწუხაროდ მხოლოდ ოთხი დღე იარსება. სულ მალე 1921 წლის თებერვალში საქართველომ კვლავ დაკარგა დამოუკიდებლობა და მთელი 70 წლის განმავლობაში ფორმალურად ითვლებოდა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ 1991 წლის მარტის რეფერენდუმის შედეგების შესაბამისად, 1991 წლის 9 აპრილს მიიღო დეკლარაცია საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ.

1995 წლის 24 აგვისტო საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი დღეა. საქართველოს პარლამენტმა მიიღო სახელმწიფო უზენაესი კანონი – საქართველოს კონსტიტუცია. კონსტიტუციის პრეამბულაში ნათქვამია, რომ საქართველოს მოქალაქეთა ურყევი ნებაა დაამკვიდრონ ქვეყანაში დემოკრატიული საზოგადოებრივი წყობილება, ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური და სამართობრივი სახელმწიფო, უზრუნველყონ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებანი და თავისებურებანი, განამტკიცონ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სხვა ხალხებთან მშვიდობიანი ურთიერთობა. ეყრდნობა რა ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის ტრადიციებსა და საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ძირითად პრინციპებს, საქვეყნოდ აცხადებს ამ კონსტიტუციას.

საქართველოს კონსტიტუციის მეორე მუხლში ნათქვამია, რომ „საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური წყობილების ფორმა არის დემოკრატიული რესპუბლიკა“.

საქართველოს ახალი კონსტიტუციის მიღება დემოკრატიის უდიდესი ტრიუმფია, ახალი ეტაპია ქვეყანაში დემოკრატიის გაღრმავებისა და განმტკიცების საქმეში, საქართველოს მოქალაქეთა ძირითადი უფლებების დაცვასა და განვითარებაში.

პოლიტიკა და დემოკრატია არასოდეს არ ყოფილა ისე მჭიდროდ დაკავშირებული ერთმანეთთან, როგორც დღეს. მსოფლიოს წინაშე მდგარმა გლობალურმა პრობლემებმა კონტინენტის ხალხები დაუკავშირა ერთმანეთს. ერთი ქვეყნის პოლიტიკური სისტემა მჭიდროდაა დაკავშირებული მეორესთან. მსოფლიოს სოციალისტური სისტემისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად შეიქმნა ხელსაყრელი პირობები დემოკრატიის ერთიანი მოდელის კონტურების შესაქმნელად. დემოკრატია ხალხის ხელისუფლებაა, მაგრამ

დღემდე იგი მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ განხორციელებულა სრულად ხალხის უმუშალო მონაწილეობით, იქნებ XXI საუკუნემ თქვას თავისი სიტყვა ამ საქმეში.

დემოკრატიის მოდელები

პირდაპირი და წარმომადგენლობითი დემოკრატია;
დემოკრატიის პრულარისტული მოდელი;
მაქვს ვებერის პოლიტიკური თეორია.

უპირველესყოვლისა საჭიროდ მიგვაჩნია ცნების „დემოკრატია“ დეფინიცია, მასში მოაზრებული შინაარსის განმარტება, ამ ცნების სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის ახსნა.

ლოგიკაში აღიარებული წესის თანახმად, ცნების განსაზღვრებისათვის საჭიროა ამ ცნების უზოგადოესი გვარისა და სპეციფიკური ნიშნის აღნიშვნა. ასე მაგალითად: ადამიანის ცნების განსაზღვრებისათვის საკმარისია მისი უზოგადოესი გვარის ცნების – ცხოველისა და სპეციფიკური ნიშნის, თავისებურების – იარაღის მკეთებლობა, აზროვნება – აღნიშვნა – „ადამიანი არის იარაღის მკეთებელი ცხოველი“ ან „ადამიანი არის მოაზროვნე ცხოველი“, მაგრამ არის უზოგადოესი გვარის ცნებები, კატეგორიები, რომლებსაც არ მოეძებნებათ მათზე მაღალი ცნება. ასეთ შემთხვევაში, ცნებათა დეფინიციისათვის აღნიშნული კანონი არ „მუშაობს“. ამიტომ მიღებულია ასეთი ცნებების – კატეგორიების ნიშნების, თავისებურებების ჩამოთვლა, განმარტება, სწორედ ასეთი რიგის კატეგორია არის „დემოკრატიის“ ცნება.

ცნება „დემოკრატია“ სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარება, რაც, ერთი მხრივ, განპირობებულია ამ სიტყვის მრავალსაუკუნოვანი ისტორიით და, მეორე მხრივ, მასში მოაზრებული შინაარსის მრავალფეროვნებით, მრავალასპექტიანობით.

„დემოკრატია“ ბერძნული სიტყვაა, იგი ორი საწყისი სიტყვიდან შედგება: „დემოს“ – ხალხი და „კრატინ“ – ხელისუფლება, ე. ი. ხალხის ხელისუფლება ანუ ხალხთმმართველობა. სიტყვა „დემოკრატია“ აღნიშნული ეტიმოლოგიური

მნიშვნელობა არსებითია დემოკრატიის არსის გაგებისათვის. სხვადასხვა მიმართებაში ამ სიტყვის ხმარების საფუძველი, საბოლოო ჯამში, იმის აღნიშვნაა, რომ დემოკრატია არის ცნების: „ხალხის ძალაუფლება ან მმართველობა“, სინონიმი.

„დემოკრატია“-ში მოაზრებული შინაარსი ნათელი იქნება მას შემდეგ, როდესაც მას შევადარებთ არადემოკრატიული მმართველობის ფორმებს „ავტოკრატიას“ და „ოლიგარქიას“. ავტოკრატია მმართველობის ისეთი ფორმაა, როდესაც მთელი უმაღლესი ძალაუფლება ერთი პიროვნების, ბელადის ხელშია მოქცეული შეუზღუდავად, იგულისხმება ის, რომ სწორედ ამ თვითმპყრობელს აქვს უფლებამოსილება მიიღოს გადაწყვეტილება, რომელიც ერთადერთ სწორ, აბსოლუტური ჭეშმარიტების დაშლით მიჩნეულ (საბოლოო) გადაწყვეტილებად არის მიჩნეული თვითმპყრობელობა, აბსოლუტიზმი.

„ოლიგარქიის“ ცნებაში მმართველობის სადავეების „უმცირესობის“ ხელში კონცენტრირება იგულისხმება.

დემოკრატია არ ნიშნავს ხალხის ბრბოს კანონით შეუზღუდველ ბატონობას. ასეთი სახის მმართველობის სახელია „ოხლოკრატია“ – ბრბოს შეუგნებელი ხელისუფლება. სახელმწიფოს მმართველობის ასეთი ფორმა აუცილებლად იწვევს დიქტატორულ, ტოტალიტარულ რეჟიმს, ამკვიდრებს ანარქიას და ქაოსს.

მაშასადამე, სიტყვის ცნების, კატეგორიის „დემოკრატიის“ არსი ხალხთმმართველობაში განსახიერდება. მაგრამ, როგორცუ კვე აღვნიშნეთ, სხვადასხვა მიმართებასა და ღირებულებათა სისტემაში სიტყვა „დემოკრატია“ სხვა შინაარსითაც იხმარება. ამ ცნებას სხვა სახის დატვირთვაც აქვს.

დემოკრატიის ცნებაში, ფართო გაგებით, მოიაზრებენ ყოველი სახის ორგანიზაციის აგებულების ფორმას, რომელიც დაფუძნებულია მმართველობაში მისი წევრების ერთნაირ

(თანაბარ) უფლებებზე. იგულისხმება ყველა შემთხვევა, სადაც არის ორგანიზაცია, ხელისუფლება და მართვა. ისიც ცხადია, რომ დემოკრატიის ამ გაგებაში მოიაზრება სამრეწველო, პროფკავშირული, პარტიული, საზოგადოებრივი, ოჯახური, რელიგიური და ა. შ. დემოკრატია. ასეთი სახის დემოკრატია გულისხმობს პერიოდულობასა და არა მუდმივობას. დემოკრატიულობა ამ შემთხვევაში აუცილებლად ექვემდებარება მართვის ორგანოების არჩევნების პერიოდულობასა და გადაწყვეტილების ხმების უმრავლესობით მიღებას.

დემოკრატია იხმარება იმ სახელმწიფო წყობილების მიმართ, სადაც უზრუნველყოფილია: 1. წესრიგის დაცვა; 2. საზოგადოებრივი სიკეთე; 3. თანასწორობა და 4. სახალხო სუვერენიტეტი. ამ პრინციპებს უპირისპირდება „ფაშიზმი“, „ტოტალიტარიზმი“, „ავტოკრატიზმი“, „მონარქია“ და ა. შ.

დემოკრატიად აღიარებულია ის მოძრაობა ან აქტივიზაცია, რომელიც მიმართულია ხალხთმმართველობის დასამყარებლად, დემოკრატიული მიზნებისა და იდეალების განსახორციელებლად, ზოგადსაკაცობრიო ზნეობრივი იდეალების დასამყარებლად.

აღინიშნება ცნების „დემოკრატიის“ ხმარების სხვა მნიშვნელობაც: (მაგალითად პროგრესულის მიღწევის საშუალება, ყველაზე ღირებული ფასეულობისათვის ბრძოლა და ა. შ.). მაგრამ დემოკრატიის ეტიმოლოგიური გაგება არის ის საფუძველი, რომელზედაც „აშენებულია“ დემოკრატიისადმი ემპირიული და ნორმატიული დამოკიდებულების პრინციპები, შესაძლებლობის და შედეგის თანასწორობის კონცეფციები.

დემოკრატია, როგორც ხალხთმმართველობა, თავად ნორმატიული ხასიათისაა იმ აზრით, რომ იგი ამ ფენომენს (ხალხთმმართველობას) ნორმატიული თვალსაზრისით უდგება. კერძოდ, იდეალად მიჩნეული ღირსებულებებისადმი – თავისუფლებისადმი, თანასწორობისადმი, ადამიანური ღირსე-

ბების პატივისცემისადმი – დამოკიდებულების ნორმატიულ კანონად ქცეულ ქმედებაში გამოხატავს.

დემოკრატიისადმი ნორმატიული დამოკიდებულების პარალელურად, დემოკრატიისადმი ემპირიული დამოკიდებულება დემოკრატიას იხილავს, როგორც მმართველობის ფორმას, რომელიც ეფუძნება არჩევნების დროს ამომრჩევლებისადმი მიცემული დაპირების შესრულების რეალურ მდგომარეობას, ზოგადეთიკური ღირებულებებისადმი დამოკიდებულების რეალურ მდგომარეობას აფასებს არა აპრიორულად, აბსტრაქტულად, არამედ ემპირიულად – კონკრეტული შემთხვევის და კონკრეტულად არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით.

დემოკრატიისადმი ნორმატიული და ემპირიული მიდგომის ურთიერთდაპირისპირება ავლენს თითოეულის „ნაკლს“ და „დადებით ხასიათს“, მის არსს. აღნიშნულიდან გამომდინარე ცნობილმა თანამედროვე პოლიტოლოგმა, იელის უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის კათედრის გამგემ რობერტ დალმა პოლიტოლოგიაში „დანერგა“ ახალი ცნება – „პოლიარხია“. ამ ცნებაში რობერტ დალმა მოიაზრა იმ დემოკრატიული მმართველობის, სახელმწიფოების ხალხთმმართველობა, როდესაც სახელმწიფოს კონკურენციის შედეგად ხალხის მიერ არჩეული მმართველთა უმცირესობა მართავს, თუ დემოკრატია არის ხალხის მასების მმართველობაში მონაწილეობის იდეალი, პოლიარხია არის რეალურად განხორციელებული – ემპირიულად არსებული დემოკრატია.

პოლიტოლოგიაში პოლიარხის ცნების შემოტანამ დაძლია ის სირთულე, რაც მდგომარეობს მმართველობის ფორმების სხვადასხვაობათა შორის საერთოს მოკვლევის სიძნელეში. როგორც დადასტურდა, პოლიარხი არსებობდა ისტორიის ყველა ეტაპზე – მონათმფლობელურ წყობილებაშიც, შუა საუკუნეებშიც და უახლოეს დროსაც.

პოლიარხია თავისთავად „შესაძლებლობის თანასწორობის“ და „შედგების თანასწორობის“ ცნებების ურთიერთობის გარკვევას საჭიროებს.

ღია, დემოკრატიულ საზოგადოებაში უარყოფილია წოდებების პრივილეგიები (მდიდრები, არისტოკრატია, მაღალი რანგის პოლიტიკური და რელიგიური პირები). კანონის წინაშე ყველა თანაბარია, ე. ი. დაკანონებულია შესაძლებლობათა თანასწორობის პრინციპი. ყველას ეძლევა არჩევნის უფლება თავისი უნარით, შრომისმოყვარეობით, ინიციატივით, აქტიურობით მიაღწიოს წარმატებას. საკუთრების ფლობაც არ არის წინაპირობა და აუცილებელი სიძლიერის მოპოვებისათვის. დემოკრატიის ძირითად მოთხოვნად სწორედ ამას მიიჩნევენ, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტთა და პოლიტოლოგთა ერთი ნაწილი მოითხოვს შედეგის თანასწორობას. მათი მტკიცებით „საზოგადოებამ უნდა მიაღწიოს იმას, რომ ყველა თანასწორი იყოს. საკმარისი არ არის ის, რომ მთავრობამ მიანიჭოს ხალხს თანაბარი შესაძლებლობები; მან აგრეთვე უნდა შეიმუშაოს პოლიტიკა სიმდიდრისა და სტატუსის გადასანაწილებლად ისე, რომ ეკონომიკური და სოციალური თანასწორობა ნამდვილად იქნეს მიღწეული“.

ამერიკული დემოკრატიის არსის ჩვენების მიზნით შექმნილ საკმაოდ დიდი მოცულობის წიგნში „დემოკრატიის გამოწვევა: ხელისუფლება ამერიკაში“ სწორად არის მითითებული მასზედ, რომ შედეგის თანასწორობის კონცეფცია არსებითად განსხვავდება შესაძლებლობის თანასწორობის კონცეფციისაგან. (შედგების თანასწორობის პრინციპის) მთავრობისაგან, ხელისუფლებისაგან გაცილებით მეტ ძალისხმევას, თანხებსა და ყურადღებას მოითხოვს. ამასთანავე, ერთად მისი პრაქტიკაში განხორციელება იდეალური სახელმწიფო წყობას მოითხოვს – სახელმწიფოსი, რომელშიც განხორ-

ციელდება პრინციპი „ყველას მოთხოვნების მიხედვით“ (კომუნისტური საზოგადოების უტოპიური პრინციპი).

შესაძლებლობის თანასწორობისა და შედეგის თანასწორობის პრინციპები, ფაქტიურად აფიქსირებენ დემოკრატიის თეორიული პარადიგმის ცხოვრებაში განხორციელების ფაქტს.

დემოკრატიის აღნიშნული ასპექტი მხოლოდ მისი ერთი მხარეა, ერთი ასპექტია. დემოკრატია მრავალასპექტიანი ფენომენია, რასაც ადასტურებს დემოკრატიის პოლიტიკური თეორიების მრავალფეროვნება. პოლიტოლოგიაში აღნიშნავენ შემდეგი სახის ასეთ თეორიებს: ინდივიდუალური თეორია, პლურალისტული კონცეფცია, პოლიტიკური მონაწილეობის თეორია, ნორმატიული თეორია, დემოკრატიის მარქსისტული თეორია და პრაქტიკა, მაქს ვებერის პლემბისციტური დემოკრატიის თეორია. იმასაც შევნიშნავთ, რომ აქ ჩამოთვლილი დემოკრატიის პოლიტიკური თეორიები არ ამოწურავენ დემოკრატიის თეორიათა სრულ სიას.

აღნიშნულ თეორიათა არსის ჩვენების მიზნით მოკლედ მივუთითებთ დემოკრატიის ზოგიერთი თეორიის თავისებურებებზე (დემოკრატიის პოლიტიკური თეორიების ანალიზი, მათი წარმომადგენლების შეხედულებების განხილვა სპეციალური კვლევის საგანია).

„ხალხის“ ცნებაში მოაზრებული შინაარსის სხვადასხვაგვარი განმარტებების მიუხედავად ერთი ცხადია: ხალხი შედგება ინდივიდებისაგან, განსხვავებული ჯგუფებისა და მთლიანად ხალხის, როგორც ერთიანი მთლიანისაგან – სუბიექტებისაგან, რომელსაც აქვს თავისი საკუთარი ისტორია, მიზნები და ამოცანები. იმისდამიხედვით თუ როგორი პრინციპით აგებს დემოკრატიული ხელისუფლება ხალხთან ურთიერთობას – ინდივიდუალურ პიროვნებებზე, სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებზე, თუ კოლექტიურად ყველაზე. დემოკრატია იყოფა ინდივიდუალურ დემოკრატად, პლურალისტურ

დემოკრატიად და კოლექტიურ დემოკრატიად. ამის შესაბამისად ყალბდება დემოკრატიის განსხვავებული მოდელები. მართალია ცალ-ცალკე აღებული მოდელი ჩინური კედლით არ ყოფს ერთმანეთისაგან ინდივიდს, სოციალურ ჯგუფსა და მთლიანად ხალხს, მაგრამ დემოკრატიის დასახელებული მოდელები არსებით მნიშვნელობას ანიჭებს დემოკრატიულ მმართველობაში ხალხის იმ წარმომადგენლობას, რომელიც არჩევნების შედეგად არის აღიარებული.

ინდივიდუალური, პლურალისტური და კოლექტიური დემოკრატიის პარალელურად აღნიშნავენ პირდაპირ და წარმომადგენლობით დემოკრატიას.

პირდაპირ და წარმომადგენლობით დემოკრატიაში, დემოკრატიული მმართველობის ფორმაში, ხალხის წარმომადგენლობის მონაწილეობა იგულისხმება.

ხალხთმმართველობის პირდაპირი დემოკრატიის პრინციპი, როგორც წესი, ხალხის მიერ პოლიტიკური გადაწყვეტილებების, კანონების და ა. შ. მიღებაში მონაწილეობის საშუალებით ხორციელდება. იგულისხმება, რომ ხალხი უშუალოდ მონაწილეობს პოლიტიკური გადაწყვეტილების შემუშავებაში, მის გაფორმებაში, კანონად მიღებასა და ცხოვრებაში განხორციელებაში. ე. ი. დემოკრატიული მმართველობის ფორმა ხორციელდება პირდაპირ.

პირდაპირი დემოკრატია პრაქტიკულად შესაძლებელია ერთი რომელიმე კოლექტივის, ქალაქის, ადგილობრივი მმართველობის შემთხვევაშიც. სპეციალურ პოლიტოლოგიურ ლიტერატურაში ასეთად მიჩნეულია ამერიკის შეერთებული შტატების თითოეულ ქალაქში, უკიდურეს შემთხვევაში, შტატებში დანერგილი დემოკრატიის პირდაპირი ფორმა. დემოკრატიის ასეთი ფორმის კლასიკურ მაგალითად ასევე მიჩნეულია ისრაელის კიბუცების ცხოვრები სწესი. მათ მიერ გატარებული მმართველობა.

პირდაპირი დემოკრატიის პრინციპების გატარების დროს პრაქტიკაში არის დანერგილი ეგრეთ წოდებული იმპერატიული მანდატის ცნება. იგი გულისხმობს წარმომადგენელთა უფლება-მოვალეობას ხმა მისცენ ხალხის – ამომრჩევლების ნება-სურვილს სრული შესაბამისობით. ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკურ ცხოვრებაში წარმომადგენლობათა ინსტიტუტის კლასიკური მაგალითია შტატების შესაბამისად არჩეული წარმომადგენლობათა იმპერატიული მანდატის აუცილებელი დაცვა. შტატის წარმომადგენელი პრეზიდენტობის მხოლოდ იმ კანდიდატს იცავს, რომელსაც ამ შტატის მოსახლეობამ დაუჭირა მხარი, რომლის წარმომადგენელიც ეს პირი არის.

პირდაპირი დემოკრატიისაგან განსხვავდება წარმომადგენლობითი დემოკრატია, სადაც პოლიტიკური გადაწყვეტილებები, მათი კანონებად დამტკიცება და, რაც მთავარია, მათი განხორციელება ხალხის წარმომადგენლების საშუალებით ხდება. წარმომადგენლობითი დემოკრატია ხორციელდება იმ სახელმწიფოებში, რომლებშიც საჭიროა სპეციალური დარგების წარმომადგენლების აქტიური ჩართვა, ამ სახელმწიფოს რთული დემოგრაფიული, ეთნოფსიქოლოგიური და სხვა სახის თავისებურებების გათვალისწინება.

პირდაპირი და წარმომადგენლობითი დემოკრატიის პარალელურად აღნიშნულია ეგრეთწოდებული პოლიტიკური და სოციალური დემოკრატიის მოდელების აგების პრაქტიკა. ამ შემთხვევაში იგულისხმება დემოკრატიის ერთ-ერთი პრინციპის – საზოგადოების მართვის პროცესში მონაწილეობის უზრუნველყოფა – ეს მონაწილეობა ფორმალურია, ე. ი. მხოლოდ პოლიტიკურად არის აღიარებული და არ ხორციელდება, პოლიტიკური თანასწორობა არ ნიშნავს სოციალურ თანასწორობას. ეს პრინციპი უდევს საფუძვლად პოლიტიკურ და სოციალურ დემოკრატიას. პოლიტიკური დემოკრატიის

დროს ხელისუფლების მიერ აღიარებული დემოკრატიული პრინციპები და კანონები არ სრულდება, ისინი პოლიტიკური ლოზუნგების სახეს იღებენ, სოციალური დემოკრატიის ცნება კი გულისხმობს პოლიტიკური პლატფორმის რეალობას, მათ ცხოვრებაში განხორციელებას.

პოლიტიკური ცხოვრების სირთულემ, სახელმწიფოს მმართველობის რთულმა სისტემამ, დაამკვიდრა დესპოტური, ტოტალიტარული და კონსტიტუციური დემოკრატიის ცნებები.

დემოკრატიის ერთ-ერთი თვისება უმრავლესობის უმცირესობისადმი დამორჩილების პრინციპია. მისი ფაქტიური განხორციელების პროცესი შეიძლება იყოს დესპოტური, ტოტალიტარული და კონსტიტუციური.

თუ სახელმწიფოს მმართველობის პროცესი მოიცავს თითოეული ადამიანის ცხოვრების ყველა სფეროს და იგი გულისხმობს მონურ მორჩილებას, მაშინ სახეზეა დესპოტიზმი.

თუ ხელისუფლება მოითხოვს მისდამი სრულ მორჩილებას და ამ მორჩილებაზე ხორციელდება მკაცრი კონტროლი, მაშინ უნდა დაფიქსირდეს ტოტალიტარიზმის რეალობა.

დესპოტიზმისა და ტოტალიტარიზმის საპირისპიროა კონსტიტუციური დემოკრატია, რომლის დროს მმართველის სტრუქტურა გარკვეულ ჩარჩოებშია „ჩასმული“, მისი ნება არ არის აღვირახსნილი, მისი საკანონმდებლო მოქმედება ხალხის მასების, სოციალური ჯგუფების, თითოეული პიროვნების ინტერესების გათვალისწინებით კონტროლირდება.

დემოკრატიის განხილული პარამეტრები, თავისებურებები და სპეციფიკური ნიშნები ქმნიან დემოკრატიის სისტემის კორდინანტს, რომელიც მთლიანობაში არის დემოკრატიის პოლიტიკური თეორიების წარმოშობის მიზეზი, ამ თეორიის განსხვავებისა და სპეციფიკის მაჩვენებელი. ჩვენ მხოლოდ ზოგადად მიმოვიხილეთ დემოკრატიის არსის გამომხატველი

ასპექტები, წარმოვადგინეთ დემოკრატიის სხვადასხვაობა, მათი სპეციფიკა.

აღნიშნულის შემდეგ აუცილებლად მიგვაჩნია, შემდეგი სახის არგუმენტის ჩამოყალიბება: დემოკრატიის პოლიტიკურ თეორიებში ცნების: „დემოკრატია“ განსაზღვრების, დემოკრატიის პოლიტიკურ თეორიათა ურთიერთდამოკიდებულების საშუალებით თვით დემოკრატიის არსის გარკვევის შემდეგ, შესაძლებელი დემოკრატიის ძირითადი ნიშნების დადგენა:

1. ხალხის მმართველობის სუვერენიტეტი. სახელმწიფოში იგი საკანონმდებლო და საკონსტიტუციო ხელისუფლებაში გამოიხატება. ხალხი ირჩევს თავის წარმომადგენლებს, პერიოდულად გადაირჩევს მათ. ამასთანავე, თვითონ იღებს მონაწილეობას მთელი რიგი საკანონმდებლო და სამართლებრივი დოკუმენტების მიღებაში. ამრიგად, მიიღწევა ხალხთმმართველობა იურიდიული თვალსაზრისითა და კონსტიტუციონალურად. არც მონარქი, არც არისტოკრატია, არც ბიუროკრატია, არც სასულიერო პირები და ა. შ. არ ხელმძღვანელობენ სახელმწიფოს. ამ უკანასკნელის მმართველობის სათავეში ხალხი დგას.

2. სახელმწიფოს ძირითადი ორგანოების პერიოდული არჩევითობა. დემოკრატიულად ითვლება ის სახელმწიფო, რომელიც პერიოდულად მმართველი ორგანოების ხელმძღვანელებს გადაირჩევს, ისინი, როგორც წესი, ირჩევიან განსაზღვრული ვადით. ეს პრინციპი უპირისპირდება, მმართველობის იმ ფორმას, რომლის დროსაც მმართველი სიკვდილამდე მმართველობის უფლებით იყო გარანტირებული, მეტიც, მონარქი მმართველობას მემკვიდრეობით გადასცემდა.

3. მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობა მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფოს მმართველოში. ეს მოთხოვნა, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს არჩევნებში მონაწილეობის თა-

ნასწორუფლებიანობას. ამჟამად, აღნიშნული თავისუფლება გულისხმობს თავისუფლებას შექმნან პარტიები, საზოგადოებები, გაერთიანებები, კავშირები და ა. შ. აგრეთვე თავისუფლებას აზრთა სხვადასხვაობის პრინციპის დაცვით, ინფორმაციის მიღების თავისუფლებას, თანამდებობების დაკავების მიზნით ჩატარებულ არჩევნებში მონაწილეობის შეუზღუდავ უფლებას და სხვა.

4. გადაწყვეტილებების მიღება უმრავლესობის პრინციპის დაცვით, და უმცირესობის უმრავლესობისადმი დამორჩილების განხორციელება.

დემოკრატიის აღნიშნული ნიშნები, პრინციპები არის ზოგადი, მინიმალური. ამ პრინციპებით შეიძლება განისაზღვროს სახელმწიფოს დემოკრატიულობა. ამასთან ერთად, თითოეულ კონკრეტულ სიტუაციაში დემოკრატია იღებს სპეციფიკურ ელფერს. მაგრამ, როგორც წესი დემოკრატიის აღნიშნული ძირითადი თავისებურებები, პრინციპები დაცული უნდა იქნან ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.

სწორედ ამ კონცეპტუალური დებულების სამოქმედო პრინციპად მიღების შემდეგ ადვილდება დემოკრატიის კრიტიკულების პრობლემების გადაწყვეტა, დემოკრატიის პოლიტიკური თეორიების კლასიფიკაცია, დემოკრატიის მრავალრიცხოვანი მოდელების ურთიერთშეჯერება და შეფასება. დემოკრატიის აღნიშნული ზოგადი პრინციპები ააშკარავენ ხელისუფალთა და იმ თეორეტიკოსების მტკიცებათა უსაფუძვლობას, რომლებიც არადემოკრატიულ სისტემებს დემოკრატიულად წარმოსახავენ.

იმაზეც მიუთითებთ, რომ დემოკრატიის პოლიტიკურ თეორიებში იმდენად საინტერესო, ურთიერთსაპირისპირო მოდელები არის შექმნილი, რომ მათი სინკრეტიზმი შეუძლებელია. აღნიშნულის საილუსტრაციოდ გავაანალიზებთ ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგების: ქენეთ ჯანდას, ჯეფერი

ბერისა და ჯერო გოლდმანის მიერ ჩამოყალიბებული დემოკრატიული ხელისუფლების თეორიის პრინციპული ხასიათის დებულებებს. ეს ავტორები, თავდაპირველად აფიქსირებენ იმას, რომ „არსებობს დემოკრატიის არსის შემსწავლელი ორი სკოლა: პირველს სჯერო, რომ დემოკრატია მმართველობის ფორმაა: ის წინ წამოსწევს პროცედურებს, რომლებიც აძლევს ხალხს მართვის საშუალებას – შეკრებებს პრობლემების განსახილველად, არჩევნებში მონაწილეობას, კანდიდატურის წამოყენებას თანამდებობებზე ასარჩევად. მეორე სკოლა ხედავს დემოკრატიას სახელმწიფო პოლიტიკის არსში. მაგალითად, რელიგიის თავისუფლების გარანტიებში და ხალხის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში“.

აღნიშნული ავტორები დემოკრატიული ხელისუფლების თეორიის პრინციპულ საკითხად, დემოკრატიისადმი პროცედურული და არსისეული მიდგომის მსგავსება-განსხვავების დადგენას მიიჩნევენ.

დემოკრატიის პროცედურული მიდგომის მოთხოვნის თანახმად, დემოკრატიული ხელისუფლების პირობებში, სახელმწიფო პოლიტიკას საფუძვლად განსაზღვრული პრინციპები უნდა დაედოს, ხოლო მათი გატარების პროცესუალობა მთელი სიზუსტით და თანმიმდევრობით უნდა გატარდეს. დემოკრატიული არსისეული თეორიის ძირითადი მოთხოვნაა სახელმწიფო პოლიტიკის გატარება. კერძოდ, სახელმწიფო პოლიტიკა უნდა იძლეოდეს ისეთი სამოქალაქო თავისუფლების გარანტიას, როგორცაა რელიგიის თავისუფლება და აზრის გამოხატვის თავისუფლება, ისეთი სამოქალაქო უფლებების გარანტია, როგორებიცაა დაცვა დისკრიმინაციისაგან, დასაქმებისა და საცხოვრებელის არჩევის თავისუფლება.

პროცედურული დემოკრატიის დროს ხორციელდება დემოკრატიის არსი – ხალხთმმართველობა. არსისეული დემოკრატია პირველთან შედარებით აბსტრაქტული, აპრიორუ-

ლია, იგი ცილდება სინამდივლეს, შორდება სინამდივლის ადექვატურად ასახვის საზღვრებს.

პოლიტოლოგიაში კლასიკურად ითვლება პროცედურული და არსისეული დემოკრატიის დაახლოების მოდელი, რაც იმას ნიშნავს, რომ დემოკრატიის არსისეული ფენომენი კონკრეტულად პროცედურული ხასიათით ხორციელდება.

მნიშვნელოვანია დემოკრატიის ინსტიტუციური მოდელეების შემოქმედებით განხილვა. ამ შემთხვევაშიც ერთი შეხედვით განსხვავებული მოდელეების: დემოკრატიის მაჟორიტარული მოდელისა და დემოკრატიის პლურალისტური მოდელის შეერთება ხდება.

დემოკრატიის მაჟორიტარული მოდელი ეყრდნობა პრინციპს, რომლის თანახმად ძირითადია ხალხთმმართველობის უზრუნველყოფა. რაც გულისხმობს იმას, რომ მთავრობა იძულებულია გაითვალისწინოს საზოგადოებრივი აზრი, ცხოვრებაში გაატაროს მისი მოთხოვნები, მინიმუმამდე შეკვეცოს თვითნებობა და ა. შ. ამით იგი ხალხის პოლიტიკურ სისტემაში უშუალო მონაწილეობას უზრუნველყოფს. რისთვისაც სახელმწიფოს თანამდებობის პირების არჩევა სახალხო არჩევნებით უნდა მოხდეს, მოქალაქეებმა უნდა გააკონტროლონ მათ მიერ არჩეული პირების საქმიანობა, თუ ის არ შეესაბამება ხალხის ნებას, მოახდინონ მათი გადარჩევები, სახელმწიფოს პოლიტიკის ჩამოყალიბებაც არჩევნების შედეგად უნდა მოხდეს.

დემოკრატიის მაჟორიტარული მოდელის ძირითად მაჩვენებლად მიჩნეულია რეფერენდუმების ჩატარება, როცა ესა თუ ის პოლიტიკური საკითხი მოქალაქეთა მიერ პეტიციების გავრცელებისა და ხელმოწერების საჭირო მინიმალური რაოდენობის შეგროვების შედეგად კენჭისყრის საგანი ხდება.

დემოკრატიის პლურალისტური მოდელის მიხედვით, ხალხის მმართველობა არის ხელისუფლების კლასიკური

ფორმა, რომელიც მოქიშპე, დაინტერესებული ჯგუფების სახით არსებობს. ეს მოდელი აფიქსირებს სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების, საზოგადოებების, კავშირების დამოუკიდებლად მოქმედების შესაძლებლობებს, მეტიც, ისინი თავს ახვევენ ხელისუფლებას თავის ინტერესებს, ზოგიერთ ცალკეულ შემთხვევაში უპირისპირდებიან კიდევ მათ. მაჟორიტარული მოდელისგან განსხვავებით, პლურალისტური მოდელის დამცველებს დემოკრატიულ ხელისუფალთა ყურადღება მასობრივი ამომრჩეველიდან ორგანიზაციულ ჯგუფებზე გადააქვთ, ცვლიან კრიტერიუმს, რომელსაც დემოკრატიულ მთავრობას უყენებენ და ამის ნაცვლად მოქალაქეთა ორგანიზაციულ ჯგუფებთან უკუკავშირს მოითხოვენ.

პლურალისტური დემოკრატია, – მისი თეორეტიკოსების მსჯელობის თანახმად, – უზრუნველყოფს ხალხთმმართველობას, ამიტომ მთელი რიგი დემოკრატიული სახელმწიფოების მმართველთა მტკიცებით დემოკრატიის ეს მოდელი საუკეთესოა. მიჩნეულია ისიც, რომ ამერიკული დემოკრატია თავისი არსით უფრო პლურალისტურია, ვიდრე მაჟორიტარული.

პლურალისტური დემოკრატიის საპირისპიროდ არსებობს ეგრეთწოდებული არადემოკრატიული მოდელი – ელიტარული თეორია, რომლის კლასიკოსმა როი მალზისმა წიგნში „ძალაუფლების ელიტა“ დაასაბუთა, რომ თითქმის ყველა სახელმწიფოში ელიტარული მართვა ხორციელდება, უბრალოდ მას სხვაგვარად წარმოადგენენ. ხელისუფლებას, ამ თეორიის მომხრეების მსჯელობის თანახმად, ახორციელებს სტაბილური და ერთხელ და სამუდამოდ გამოკვეთილი უმცირესობა – რამდენიმე პიროვნება, რომელთაც გააჩნიათ უზარმაზარი სახსრები, ქონება.

ელიტარული თეორიის სიძლიერე ის არის, რომ მის ნაცვლად აღიარებული დემოკრატიის, როგორც ხალხთმმართველობის უარყოფა სინამდვილეში არ ხორციელდება. ელიტის

სიძლიერე იმასაც არეგულირებს, რომ აღმოფხვრავს საპირისპირო ქმედებებს.

ჩვენ ზოგადად მიუვითითეთ დემოკრატიის მოდელებზე, შევაფასეთ დემოკრატიის პოლიტიკური თეორიები. საკითხი შედარებით სრულყოფილი წარმოდგენის მიზნით იგივე პრობლემას ისტორიული თვალსაზრისით განვიხილავთ. დემოკრატიულობის უმჯობესობის კრიტერიუმის დასახელებას შევეცდებით. ამის შემდეგ, ჩვენი აზრით, შედარებით სრულყოფილად გაირკვევა დემოკრატიის ბუნება.

დედმოკრატიის თავისებურ, სტიქიურ, პირველყოფილ, გვაროვნულ ფორმად, პირველყოფილი – სახელმწიფომდე დემოკრატიის სახეობა გვევლინება. პირველყოფილი თემური წყობილების დროს ადამიანები თანასწორუფლებიანობით იყვნენ აღჭურვილნი, მაგრამ საჭირო იყო ერთად ცხოვრების გარკვეული სისტემის, სტრუქტურის შემუშავება. მართალია იგი პრიმიტიული, სტიქიური იყო, მაგრამ ისტორიულად იგი მიჩნეულია როგორც დემოკრატიის პირველი სახე. გვარის ყველა წევრი, ხაზგასმით აღვნიშნავთ მამაკაცი და ქალი, უფლებამოსილი იყო აერჩიათ უხუცესთა საბჭოს – სახემის წარმომადგენლები და ბელადები – ძირითადად სამხედრო საქმეთა წინამძღოლები.

ერთმანეთთან ტერიტორიულად ან გვაროვნულად მონათესავე საბჭოების უფრო ფართო კრებულები, რამდენიმე ფრაქციის ერთიანობა ქმნიდა თემს, რომელსაც თემთა საბჭო ხელმძღვანელობდა. მის შემადგენლობაში იყვნენ სახემები და ბელადები. აღნიშნულ თემთა საბჭოს სხდომები ტარდებოდა ღიად – ყველას შეეძლო მის სხდომებზე დასწრება, ხმის მიცემის უფლების გარეშე. გადაწყვეტილების მიღების წესად ამ დროს ერთხმიანობა იყო მიჩნეული.

თემთა საბჭოს შემადგენლობიდან ხშირად ირჩევდნენ ბელადებს, რომელთა ძალაუფლება აღნიშნული საბჭოებით

კონტროლირდებოდა. პირველყოფილი თემური წყობილების ცხოვრების წესი და ერთმანეთთან ურთიერთობა უშუალო დემოკრატიის პრიმიტიულ ფორმას წარმოადგენდა.

უნდა მიუთითოთ იმაზეც, რომ დემოკრატიის აღნიშნულ ფორმას მოქმედების გარკვეული მექანიზმი ჰქონდა. ასე მაგალითად: ადამიანთა ურთიერთობა ამ სიტუაციაში რეგულირდებოდა ტაბუთი და წეს-ჩვეულებებით. საბჭოს უფლება და ბელადთა ავტორიტეტის საფუძვლად მიჩნეული იყო ზნეობრივი პრინციპები – იმპერატივებად მიღებული პარადიგმები.

პირველყოფილი, სტიქიური, სახელმწიფოებამდე დემოკრატია შედარებით თავისუფალი იყო დანაშაულისაგან, ცხოვრების წესის გაუკუღმართებისაგან და ა. შ. შემდგომში არსებულმა დემოკრატიის სხვა ფორმებმა დემოკრატიის აღნიშნული ფორმებისაგან ბევრი რამ „აიღეს“.

დემოკრატიული სახელმწიფოს პირველ კლასიკურ ფორმად მიჩნეულია ათინური რესპუბლიკა. მმართველობის ეს ფორმა შეიქმნა ჩვენი წელთაღრიცხვის მეხუთე საუკუნეში. დემოკრატიის ამ ფორმის თეორიულ ბაზისად სოლონის კანონები ითვლება, ხოლო მათ პრაქტიკულ განმახორციელებლად პერიკლე.

ბერძენმა პოლიტიკურმა მოღვაწემ და რეფორმატორმა სოლონმა, 594 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე, ევპატრიდებსა და დემოს შორის რეფორმების შესახებ გამართული დისკუსიის დროს არქონტად და ესიმენტად არჩეულმა სახელმწიფოს მმართველობის კარდინალური რეფორმები ჩაატარა. მან თავდაპირველად ღარიბები ღალისაგან გაანთავისუფლა. დემოსი აღარ იყო ვალდებული ევპატრიდებისათვის სავალო ღალა გადაეხადა. ვალების აკრძალვას ბუნებრივად ვალებში ადამიანების გაყიდვის აკრძალვა მოყვა. ამის შედეგად კი ყველა გაყიდული ბერძენი სამშობლოში დაბრუნდა. სოლონმა გვაროვნული ცენზი ქონებრივი ცენზით შეცვალა

ე. ი. „ტიმოკრატია“ დაამყარა. აღნიშნული რეფორმის გატარების შედეგად შეიცვალა საზოგადოების სტრუქტურა იგი ოთხ თანრიგად – სტრეტიად დაიყო: 1. პენტაკოსიომედიები ანუ ხუთასსაწყაოსნები; 2. ტრიაკოსიომედიები ანუ სამასსაწყაოსნები; 3. ზევგიტები; 4. თეტები.

სოლონმა სახელმწიფოს როგორც გარკვეული სტრუქტურის, ორგანიზაციის თითქმის ყველა შემადგენლის ჩამოყალიბება განახორციელა: თავის უფლებებში დატოვა არეოპაგი – უხუცესთა საბჭო, შექმნა დამატებითი სახელმწიფო ორგანოები: ბულე-ოთხასთა საბჭო, პელია მსაჯულთა სასამართლო; დააწესა სახელმწიფო მმართველობაზე კონტროლი – ატამიებიოკოტი, მოქალაქეობის აყრა; მოახდინა მონეტისა და ზომაწონის უნიფიცირება; სათანადო ყურადღება მიაქცია სახელმწიფოს ზნეობრივ-სულიერ ასპექტებს: (მშობლებს ევალებოდათ შვილისათვის განათლება მიეცათ), გააძლიერა ძველი ეკლესია – სახალხო კრება, შემოიღო პასუხისმგებლობა ბილწისიტყვაობისათვის, გარყვნილობისათვის უმკაცრესი ზომა, სიკვდილით დასჯა დააკანონა და ა. შ.

სოლონის საკანონმდებლო აქტებმა შექმნეს დემოკრატიის თეორიული საფუძვლები, გამოავლინეს გვაროვნული დემოკრატიის ნაკლოვანებები და ხელიშეუწყეს მიწათმფლობელური დემოკრატიის განვითარებას.

სოლონის თეორია პრაქტიკაში განახორციელა ბერძენმა გამოჩენილმა სახელმწიფო და პოლიტიკურმა მოღვაწემ პერიკლემ (ძვ. წ. 490-429) ათენის სტრატეგად (მთავარსარდლად) ყოფნის პერიოდში – 429 წლებში მან პოლიტიკური მოღვაწეობა დაიწყო, როგორც რადიკალური დემოკრატიის ბრწყინვალე წარმომადგენელმა, კერძოდ გაატარა რეფორმების მთელი რიგი, რომლებმაც ათენში სრული დემოკრატიის დამყარებას შეუწყო ხელი და ისტორიაში შევიდა როგორც „ოქროს საუკუნე“: გააუქმა ქონებრივი ცენზი, სახელმწიფო

სამსახურისათვის დააწესა ჯამაგირი, ამით უზრუნველყო ღარიბი ფენების წარმომადგენლების სახელმწიფო მმართველობაში მონაწილეობა; გააფართოვა სახალხო კრების (ეკლესიის) უფლებები, მათგან ზოგიერთს საკანონმდებლო სტატუსი მიანიჭა, ქეიროტონიის (ღია ხმის მიცემა) პარალელურად დააწესა კენჭისყრა – როგორც საარჩევნო ფორმა. სათანადო შეღავათები დააწესა ხალხთა სხვადასხვა წრეების წარმომადგენლებისათვის. შეუქმნა მათ მოღვაწეობისა და საქმიანობის ხელსაყრელი პირობები. კლერურქიის (უმიწაწყლო გლეხების დასახლება) შემოღებით გააფართოვა ხალხთმმართველობის ფარგლები, ყურადღება მიაქცია სულიერი, ზნეობრივი აღზრდის სფეროს. როგორც ეკონომიურად, ასევე სულიერად დასაბამი დაუდო საზღვაოსნო ხელოვნებისგანვითარებას, ფილოსოფიის, მწერლობის, პოეზიის, ხელოვნების წარმოჩენას.

ათინური დემოკრატია ითვლება დემოკრატიის კოლექტიური ფორმის კლასიკურ ნიმუშად, რადგან სახელმწიფოს ამ ფორმაში უზრუნველყოფილი იყო ხალხის შედარებით მეტი წარმომადგენლობის მმართველობაში მონაწილეობა. ლიბერალიზმის ცნობილი თეორეტიკოსის, ბერჟამნე კონსტანის შეფასებით, ათინურ დემოკრატიაში უზრუნველყოფილი იყო კოლექტიური თავისუფლება, „განხორციელებული იყო კოლექტიურ ხელმძღვანელობაში... ომისა და მშვიდობის საკითხში, სხვა სახელმწიფოებებთან ხელშეკრულებების გაფორმებისას, კანონთა მიღებაში, სასჯელების გამოტანაში, მაგისტრატების მიერ დანახარჯების კონტროლში, ან მათი ქცევების შეფასებაში. ამასთან ერთად, მმართველობის ეს ფორმა აღიარებდა უძრავლესობისადმი ინდივიდის დამორჩილების პრინციპს, შენარჩუნებული იყო პირად ცხოვრებაზე კონტროლი, უზრუნველყოფილი იყო პირადი უფლებები საკუთრებაზე, საქმიანობაზე, მით უმეტეს რელიგიური მრწამსის შენარჩუნებაზე“.

დემოკრატიის არსის გაგებისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს ძველი ბერძნული ფილოსოფიის კლასიკური წარმომადგენლების პლატონისა (427-347 წწ.) და არისტოტელეს (384-322 წწ.) შეხედულებებს იდეალური სახელმწიფოს მმართველობის ფორმების ძიებაში.

პლატონი „სახელმწიფოში“ ანვითარებს აზრს, რომლის თანახმად სახელმწიფოს მმართველობა ერთ მიზანს – ადამიანთა ბედნიერების მოპოვებას უნდა ისახავდეს. ეს კი მაშინ განხორციელდება, – პლატონის აზრით, – როცა თვითონ საზოგადოება იქნება ერთიანი, თუ წოდებები ერთმანეთს არ დაუპირისპირდებიან და სახელმწიფოს ჰარმონიულად უხელმძღვანელებენ.

პლატონის აზრით სახელმწიფო მმართველობის საუკეთესო ფორმა არის არისტოკრატიული მმართველობა, ხოლო ნეგატიური ფორმებია: ოლიგარქია, ტიმოკრატია, დემოკრატია და ტირანია. თუ სახელმწიფოს არ განაგებს ბრძენი, ფილოსოფოსი, განათლებული პიროვნება და მის ნაცვლად ძალაუფლებას ხელში აიღებს პატივმოყვარე, მაშინ სახელმწიფოში ბატონდება ანარქია, დაპირისპირებანი, ხელისუფლებას იგდებენ ხელში მდიდრები – ოლიგარქია, რაც პლატონის აზრით გააბრაზებს ხალხს, რომელიც თვითონ აიღებს ხელში მმართველობას ე. ი. დამყარდება დემოკრატია, რომელსაც მოსდევს თავაშვებულობა. ეს კი ხელს შეუწყობს ისეთი დიქტატურის ბატონობის დამყარებას, რომელიც მთელ ბატონობას ააგებს ამ ერისათვის დამახასიათებელ ერთ ზნეზე – უარყოფით ვნებაზე ე. ი. დამყარდება ტირანია – მმართველობის ყველაზე ცუდი ფორმა, რომელიც მთლიანად ანადგურებს საზოგადოების ზნეობას, რასაც მოსდევს ბედნიერების – სახელმწიფოს მიზნის სრული უგულებელყოფა.

არისტოტელეს მოძღვრება სახელმწიფოსა და კერძოდ, დემოკრატიის შესახებ მოცემულია მის შრომაში: „პოლიტიკა“.

სახელმწიფოს დემოკრატიის არისტოტელისეული მოდელი ეფუძნება ადამიანის, როგორც პოლიტიკური ცხოველის (ძონ პოლიტიკონ) თეზისს. ადამიანი ცხოველისაგან იმით განსხვავდება, რომ იგი აზროვნებს, აქვს ინტელექტუალური ცხოვრების უნარი და „მისწრაფის მოაწყოს ცხოვრება მშვენიერად“, ჩამოაყალიბოს „საერთო სარგებლიანობის ცნობიერება“.

ადამიანების ჯგუფებად დაყოფის ძირითად მიზეზად არისტოტელე მიიჩნევს სიმდიდრეში განსხვავებას. კერძოდ: „ძალიან მდიდრები“, „უკიდურესად ღარიბნი“ და „საშუალონი“. სახელმწიფო, – არისტოტელეს განმარტებით, – უნდა დაეყრდნოს საშუალო ფენას – ჯგუფს. თავისთავად საშუალო ფენამ უნდა შეძლოს ძალიან მდიდრების და უაღრესად ღარიბების სწორ გზაზე დაყენება, მათი „მოთოკვა“, სიმდიდრისგან გამომდინარე ნეგატიური მოვლენების აღმოფრქვა და სიღარიბისაგან გამოწვეული სისაძაგლეების თავიდან აცილება.

საზოგადოების მიზნად არისტოტელე სიკეთეს მიიჩნევს. სახელმწიფოში ადამიანები სწორედ სიკეთისათვის ერთიანდებიან, მაგრამ ეს ყოველთვის ვერ მიიღწევა, საზოგადოების (არისტოტელე საზოგადოებისა და სახელმწიფო ცნებებს აერთიანებდა) შემადგენლობის შესაბამისად არისტოტელეს მტკიცებით, საკანონმდებლო ფუნქციის პარალელუწყოებით ორ ფორმას გამოყოფდა: ოლიგარქიასა და დემოკრატიას. ამასთან ერთად იგი ასახელებს მმართველობის სწორ და არასწორ ფორმებს. მონარქიას, არისტოკრატიასა და პოლიტიკას იგი სწორ ფორმად მიიჩნევს. ამავე ფორმებიდან მონარქიის უკიდურესობას – ტირანიას, არისტოკრატიის უკიდურესობას – ოლიგარქიას და პოლიტიკის უკიდურესობას – დემოკრატიას არისტოტელე არასწორი ფორმის სახით წარმოადგენს.

მართალია, როგორც პლატონთან, ასევე არისტოტელესთან დემოკრატია უარყოფითად არის დახასიათებული, მაგრამ მათ მოძღვრებაში სახელმწიფოს შესახებ ნაჩვენებია დემოკრატიის თავისებურებანი, მისი ძირითადი ნიშნები.

ანტიკურ აზროვნებაში დემოკრატიის არსის გარკვევის შემდეგ დემოკრატიული წყობა გარკვეული დროით მყარდება ძველ რომში, ძველ ნოვგოროდში, ფლორენციაში. მაგრამ შემდგომი საუკუნეებისათვის, ძირითადად, მონარქიული მმართველობის ფორმა დამყარდა, დემოკრატია მხოლოდ უარყოფითობის ამსახველ ცნებად თუ იხმარებოდა.

სპეციალურ ლიტერატურაში დემოკრატიული წყობის ერთ-ერთ სახეობად მიჩნეულია საეკლესიო მოღვაწეობის ის ფორმა, რომელიც „საეკლესიო მოძრაობის“ სახელწოდებითაა ცნობილი.

ევროპაში ახალი ურთიერთობების დამყარებას მოყვა დემოკრატიის თავისებური აღორძინება, მისი გამოვლენა იყო კლასიკური ლიბერალური დემოკრატია. ლიბერალიზმმა ხმა აიმაღლა პიროვნების დასაცავად, მონარქიული დესპოტიზმისგან მისი განთავისუფლებისათვის. ლიბერალიზმმა პირველად სოციალური აზრის ისტორიაში ინდივიდი საზოგადოებისაგან გამოყო, ერთმანეთისაგან განასხვავა ორი ავტონომიური სფერო – სახელმწიფო და სამოქალაქო საზოგადოება, დაიცვა უმცირესობათა უფლებები უმრავლესობასთან შედარებით, განაცხადა პოლიტიკური ერთობა ყველა მოქალაქისა, პიროვნებას მისცა ფუნდამენტალური, საკანონმდებლო უფლებები და დაადგინა იგი, როგორც პოლიტიკური სისტემის მთავარი სუბიექტი. კლასიკური ლიბერალიზმის დემოკრატიას აქვს თეორიული საფუძვლები და ინგლისში ამ პრინციპების კონკრეტული განხორციელების რეალობა.

თომას ჰობსმა (1588-1679) და ჯონ ლოკმა (1632-1674) ხელისუფლების მიზნების კლასიკური მოდელი შეიმუშავეს.

ჰობსი აღწერდა ცხოვრებას სახელმწიფოს გარეშე და აღნიშნავდა, რომ ადამიანის ცხოვრება „ბუნებრივ მდგომარეობაში ეს არის ეგოისტი, მგლის ცხოვრება, რომელსაც არაფერი არ აკავებს, და არაფრის არ ეშინია, ისინი იტაცებენ, იპარაკენ, კლავენ, ომობენ ე. ი. იქცევიან სხვა ცხოველებზე უარესად. ამიტომ თავის შრომაში: „ლევიათანი“ ჰობსი აყალიბებს იდეალური სახელმწიფოს მოდელს, სადაც ერთპიროვნულ მმართველს ისეთი ძალაუფლება აქვს, რომლითაც რეგულირდება ყოველივე. ამის მიღწევა ჰობსის ღრმა რწმენით შეუძლია ძლიერ სახელმწიფოს, სადაც გაბატონებული განუსაზღვრელი პრინციპით მართვა განხორციელდება. ამის კლასიკურ ფორმად მონარქიიდან, არისტოკრატიიდან და დემოკრატიიდან ჰობსი მიიჩნევდა მონარქიას. მაგრამ ეს არ იყო შუასაუკუნეების მონარქია, იგი კრომველის რევოლუციის შემდგომი პერიოდის „ფრთადატეხილ მონარქიას“ გულისხმობდა.

„ორ ტრაქტატში ხელისუფლების შესახებ“ ლოკმა პიროვნების სიცოცხლის, თავისუფლების დაცვა, საკუთრების ხელშეუხებლობა ხელისუფლების ძირითად მიზნად დასახა. ლოკმა გაიაზრა ბევრი რამ ჰობსის თეორიული მემკვიდრეობიდან, მაგრამ ბევრ რამეში არ დაეთანხმა ჰობსს, პირველ რიგში მასში, რომ ადამიანი ბუნებით ეგოისტია, პირიქით, ლოკის აზრით, ადამიანი ბუნებით სამართლიანობითა და თავისუფლებით ხასიათდება.

ლოკმა ჩამოაყალიბა ძალაუფლების განაწილების პრინციპები. მისი მტკიცებით საკანონმდებლო ფუნქციის პარალელურად უნდა არსებობდეს აღმასრულებელი და ფედერალური ორგანოებიც. ორივე ხელისუფლება მართალია მეფის პრეროგატივიაა, მაგრამ თუ იგი კონსტიტუციის წინააღმდეგ წავა დაისჯება... პარლამენტი, ლოკის მტკიცებით, პოლიტიკური მართვის იდეალური ფორმაა, მაგრამ იგი უნდა მოქმედებდეს უმრავლესობის ნების შესაბამისად.

ჰობსმა და ლოკმა თეორიულად მოამზადეს ლიბერალიზმი ინგლისში, სადაც XIV საუკუნიდან უკვე ფუნქციონირებს პარლამენტი, რომელმაც 1689 წელს უკვე ოფიციალურად მიიღო თავისი უფლებების დამამკვიდრებელი ვერდიქტები.

ჰობსისა და ლოკის აზრებმა დიდი გავლენა მოახდინეს დემოკრატიის პრინციპების გავრცელებაზე საფრანგეთსა და აშშ-ში, კერძოდ, ამერიკული უნივერსალური კანონის „დამოუკიდებლობის დეკლარაციის“ ჩამოყალიბებაში და დაამკვიდრეს დემოკრატიის ძირითადი პრინციპები: 1. წესრიგის დაცვა; 2. საზოგადოებრივი სიკეთის უზრუნველყოფა და 3. თანასწორობის პრინციპის დამკვიდრება.

სოციალურ მეცნიერებასა და პრაქტიკაში აღნიშნული მიმართულებების პარალელურად სახალხო მმართველობის იდეალური მოდელის – „მზის ქალაქის“ აგების სხვა ცდებიც არის დაფიქსირებული. მათგან აღსანიშნავია ჟან-ჟაკ რუსოსა და კარლ მარქსის შეხედულებები დემოკრატიული სახელმწიფოს მოწყობის შესახებ.

ჟან-ჟაკ რუსომ (1712-1778) ფრანგმა განმანათლებელმა და მოაზროვნემ გაანალიზა რა საფრანგეთის ყველაზე უფრო უღარიბესი ქალაქებისა და სოფლის მოსახლეობის ცხოვრების უშუალო დაკვირვების საფუძველზე შეგროვილი მასალა, გამოხატა „მესამე წოდების“ – ყველაზე უუფლებო და ეკონომიურად განადგურებული მოსახლეობის ინტერესები.

წიგნში: „მსჯელობა ადამიანთა შორის უთანასწორობის წარმოშობისა და საფუძვლების შესახებ“ (1755). შრომებში: „იულია ანუ ახალი ელიოზი (1761), „საზოგადოებრივი ხელშეკრულების შესახებ, ანუ პოლიტიკური უფლებების პრინციპი“ (1762), „ემილი, ანუ აღზრდის შესახებ“ (1762), რუსომ ჩამოაყალიბა დემოკრატიის ძირითადი პრინციპები, დაასაბუთა ფეოდალურ ეპოქაში, ადამიანთა შორის ურთიერთობის პირობებში მათი განხორციელების შესაძლებლობა.

რუსო ააშკარავებდა საფრანგეთში შექმნილ სოციალურ მდგომარეობას. იკვლევდა რა ხალხის სხვადასხვა ფენას შორის განსხვავების მიზეზებს, ასახელებდა ადამიანის ბუნებრივი მდგომარეობის დარღვევას, როგორც უთანასწორობის ძირითად მოტივს და ბუნებრივი მდგომარეობის დაბრუნებისკენ მოუწოდებდა. ითვლება, რომ რუსომ თეორიულად მოამზადა საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუცია.

რუსომ დაასაბუთა დემოკრატიის ისეთი პრინციპის მნიშვნელობა, როგორცაა თავისუფლება, საფუძველი ჩაუყარა პიროვნების თავისუფლებისა და თანასწორობის ურთიერთმიმართების გარკვევას, დაახასიათა კერძო საკუთრების ადგილი და როლი საზოგადოებრივი ცხოვრების სტრუქტურაში და ა. შ.

საზოგადოების დემოკრატიული სისტემის მოწყობაში ეპოქალური გარდატეხა მოახდინა კარლ მარქსმა ფრიდრიხ ენგელსთან ერთად, მათ მიერ შექმნილი „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ თეორიული საყრდენი იყო, რომელზედაც აშენდა მოძღვრება სოციალიზმის, როგორც დემოკრატიის უნივერსალურ მოდელზე. მისმა პრაქტიკაში განხორციელებამ აჩვენა ანტიდემოკრატიული სახელმწიფო წყობილების კლასიკურობა; ტოტალიტარიზმში გადაზრდილმა სოციალიზმმა ნათელყო ნამდვილ დემოკრატიზმთან ეგრეთ წოდებული განვითარებული სოციალიზმის შეუთავსებლობა.

პოლიტოლოგიურ სპეციალურ ლიტერატურაში ჟან-ჟაკ რუსოსა და კარლ მარქსის დემოკრატიის მოდელები დასახელებულია როგორც კოლექტივისტური დემოკრატია, მის დამახასიათებელ თავისებურებებად მიჩნეულია:

– ხალხის უფლების კოლექტიურობის აღიარება. ხალხის, როგორც ერთიანი მთლიანის მიჩნევა, რომელსაც აქვს საერთო ინტერესები, მიზნები და ამოცანები;

– ხალხის ფენებს შორის წინააღმდეგობისა ან დაპირისპირების არ არსებობა. მაგრამ მოწინააღმდეგეების პათოლოგიად მიჩნევა და მათი მოსპობის აუცილებლობა;

– თავისუფლების კოლექტიური უფლება, მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფოსა და საზოგადოების მართვასა და წარმართვაში;

– ბელადის უფლებების აბსოლუტიზირება, ტოტალიტარიზმისადმი სრული დამორჩილებულების პრინციპის გატარება, პიროვნების სრული დაუცველობა;

– ადამიანის უფლებების დაცვას სრული „მოხსნა“ იმის საბაბით, რომ სახელმწიფო თვითონ არეგულირებს და უზრუნველყოფს ამას;

– საყოველთაო პოლიტიკური მობილიზაცია, ხალხის მმართველობის სრული ფეტიშიზაცია;

– სოციალური დემოკრატიის დეკლარირება, სამართლებრივის პოლიტიკურისადმი დაქვემდებარების უზურპირება.

კოლექტიური დემოკრატიის პრინციპების ცხოვრებაში გატარების ექსპერიმენტმა ნამდვილ დემოკრატიასთან მისი დაპირისპირება დაასაბუთა.

დემოკრატიის პოლიტიკურ თეორიათა შორის, განსაკუთრებული ადგილი გამოიჩინილი გერმანელი პოლიტოლოგისა და მოაზროვნის მაქს ვებერის (1864-1920) ეგრეთწოდებულ „პლებისციტური ბელადური დემოკრატიის კონცეფციას“ უჭირავს.

მაქს ვებერის აზრით ყველა სახის დემოკრატია აუცილებლად ტოტალურ ბიუროკრატიად გადაიზრდება. მისი მტკიცებით სწორედ სოციალიზმის დროს ხორციელდება საყოველთაო გასახელმწიფოებრიობა ე. ი. ძალადობაზე დამყარებული, ხელოვნური, განუყოფელი ბატონობა – სრული ბიუროკრატიზაცია. ამიტომ ვებერისათვის მიუღებელი იყო დემოკრატიის ასეთი სახესხვაობის დემოკრატია, რომლის

საფუძველი იყო მარქსისტული მოძღვრება პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ.

ვებერისათვის მხოლოდ უნივერსალურ რაციონალიზმზე დამყარებული ბიუროკრატია არის მისაღები. იგი ამ უკანასკნელს განიხილავს როგორც ხელისუფლების ინსტრუმენტს და ყველაზე მეტ მნიშვნელობას ბიუროკრატიულ აპარატზე კონტროლის (მკაცრი კონტროლის) დაწესებას ანიჭებს. მისი მიზანდასახული წარმართვისათვის ამ კონტროლის მექანიზმის სრულყოფას აღიარებს.

მაქს ვებერმა უარყო დემოკრატიის ყველა ფორმა, მისი პრინციპები და არსებითი მნიშვნელობა პლებისციტის საშუალებით პოლიტიკური ელიტის შერჩევის აუცილებლობას მიანიჭა. პლებისციტის ძირითად მიზნად იგი ისეთი ლიდერის (ქარიზმატული ლიდერის) – „ერის ბელადის არჩევას მიიჩნევდა, რომელიც იქნებოდა: 1. ეროვნული პოლიტიკური ინტეგრაციის უზრუნველმყოფელი; 2. სახელმწიფოს ადმინისტრაციულ მანქანაზე უზენაესი კონტროლის განმახორციელებელი და, რაც მთავარია, 3. ხარიზმატული. „ხარიზმად“ უნდა ჩაითვალოს პიროვნების უჩვეულოდ მიჩნეული თვისება, – წერდა მაქს ვებერი შრომაში „ხარიზმული ბატონობა“, რომლის წყალობითაც იგი ფასდება ზებუნებრივი, ზეადამიანური, სხვა ადამიანებისათვის მიუღწეველი, განსაკუთრებული ძალებითა და თავისებურებებით დაჯილდოებული“.

მაქს ვებერი დიდ იმედებს ამყარებს ხარიზმატულ ლიდერზე, მიაჩნია, რომ სწორედ იგი შეძლებს: ერის გაერთიანებას; ბიუროკრატისგან ინდივიდის დაცვას; „სოციალიზმის შემოტევისაგან“ თავდასხმას. „ხარიზმის ანტიავტორიტარულად, ახლებურად გააზრებას ჩვეულებრივ მიყვავართ რაციონალურობამდე. პლებისციტური ლიდერი შეეცდება უზრუნველყოს ზუსტად და შეუცდომლად მოქმედი ჩინოვნიკების

შტაბის მხარდაჭერა. იგი შეეცდება მიიზიდოს ხელქვეითები თავის ხარიზმისაკენ“ წერდა ვებრი.

ვებერს პლებისციტის შედეგად არჩეული ძლიერი პრეზიდენტი მიაჩნდა ნამდვილი დემოკრატიის მიღწევის საშუალებად, – მწვავე კლასობრივი ურთიერთობის მომგვარებლად, წესრიგის უზრუნველმყოფლად და ა. შ.

როგორც ეს სპეციალურ პოლიტოლოგიურ ლიტერატურაში სამართლიანად არის აღნიშნული, ვებერისეული ხარიზმატული ლიდერი, იმის მიუხედავად თუ როგორი სახით იქნება იგი არჩეული – პლებისციტით თუ ძალით – შეიძლება გადაიქცეს ბელადად, ტოტალიტარული მმართველობის კანონით შეუზღვეუდველ ტირანად.

მაშასადამე, დემოკრატიის ცნება საკმაოდ მრავალფეროვანი და მრავალფეროვანია. პოლიტიკური თეორიის ისტორიაში დაფიქსირებული დემოკრატიის სხვადასხვა, ცალკეულ შემთხვევაში ურთიერთდაპირისპირებული მოდელები. საქართველოში ღია, დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის პერიოდში, უნდა შევინარჩუნოთ ყველაზე პროგრესიული მოდელი, გავითვალისწინოთ ეროვნული თავისებურებები და დემოკრატიის ზოგადსაკაცობრიო პრინციპების ცხოვრებაში გატარებით, საქართველოში მცხოვრებ ადამიანებს მოუტანოთ თავისუფლება, სამართლიანობა და კეთილდღეობა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბაშმაძე ვ. ნარკვევები პოლიტიკურ მეცნიერებათა ისტორიიდან. ტ. I, თბ., II, თბ., 1977.
2. აბესაძე გ. ღიბრაძე რ. საზოგადოების პოლიტიკური კულტურა, ჟურნ. „საქ. კომ.“. 1990, № 10.
3. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია. თბ., 1990.
4. ალექსიძე ლ. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი. თბ., 1996.
5. არისტოტელე „პოლიტიკა“, თბ., 1993.
6. ახვლედიანი ე. დემოკრატიის ისტორიული სათავეები და თანამედროვე ინსტიტუტები, დისერტ. იურიდ. მეცნ. კანდ. 1998.
7. გეგეშიძე დ. ყურაშვილი ს. პოლიტოლოგია, თბ., 1991.
8. გორგილაძე ლ. ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან. თბ., 1961.
9. გუგენბერგი ბ. დ. დემოკრატიის თეორია. ჟურნ. „სამართალი“, 1994, № 4.
10. დემოკრატიის კლასიკური დოკუმენტები: სტატიები, თბ., 1994.
11. დემოკრატია: თეორია და პრაქტიკა. საერთაშორისო კონფერენციის მასალები, თბ., 1993.
12. თოთაძე ა. საქართველოს დემოგრაფიული პორტრეტი. თბ., 1993.
13. კეშელავა ვ. კომპრომისტების გრძელი გზა. ჟურნ. „პოლიტიკა“, 1993, № 1.
14. კოდუა ე. პოლიტიკის სოციოლოგია. ჟურნ. „პოლიტიკა“, 1991, № 5.

15. კუხიანიძე ა. მაცაბერიძე მ. დემოკრატიული ცხოვრების წესი. თსუ, 1992.
16. ლუტიძე ბ. ნამდვილი და მოჩვენებითი დემოკრატია. თბ., 1978.
17. მაკიაველი. მთავარი. თბ., 1984.
18. მაქს ვებერი. პოლიტიკა, როგორც მოწოდება და ხელობა, თბ., 1964.
19. მაცაბერიძე მ. თანამედროვე პოლიტიკური მეცნიერების სათავეები, მოოსკა, პარეტო, მიხელსი, ვებერი, ბენტლი, თბ., 1992.
20. მუჩაიძე გ. ერი და დემოკრატია. თბ., 1984.
21. ნილ რიმერი. პოლიტიკური მეცნიერება. ამოცანები, სფეროები, პრობლემები, თბ., 1994.
22. ნიცშე ფ. ესე იტყოდა ზარატუსტრამ, თბ., 1993.
23. ნოღია გ. საით? თბ., 1995.
24. ორტეგა ი. გასეტი ხოსე. მასების ამბოხი, თბ., 1993.
25. ოსვალდ შპენგლერი. პოლიტიკის ფილოსოფია, მაქს ვებერი, ხარიზმატული ბატონობა. თბ., 1995.
26. პოლიტოლოგიის საფუძვლები, თბ., 1992. რეფერატი.
27. პოლიტოლოგიის საფუძვლები, № 1, თბ., 1992.
28. პოლიტოლოგიის საფუძვლები, № 2, თბ., 1992.
29. პოლიტოლოგიის საკითხები № 3, თბ., 1992.
30. მაცაბერიძე მ. პოლიტოლოგია – მეცნიერება პოლიტიკის შესახებ.. თბ., 1991.
31. რეხვიაშვილი ი. ჯალიაშვილი ჯ. ხოჭოლავა, ვ. პოლიტოლოგია, ნაწ, 1, თბ., 1991.
32. როჟე-ჟერარ შვარცენბერგი. პოლიტიკური სოციოლოგია, თბ., 1993.

33. რუსი ფილოსოფოსები დემოკრატიაზე და რევოლუციაზე, თბ., 1993.
34. სამუელ პ. პანტინგტონი. დემოკრატის შესამე ტალდა. „სამართალი“, 1993, 5-6, 7-8.
35. ქარუმიძე ვ. საერთაშორისო ორგანიზაციები, თბ., 1993.
36. ქობალია ი. პოლიტოლოგია როგორც მეცნიერება, თბ., 1993.
37. შამილაძე ვ. ეროვნული პოლიტიკის ისტორიიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში. თბ., 1993.
38. შევარდნაძე ე. გამოსვლა გაეროს გენერალურ ასამბლეის 47-ე სესიაზე 1992 წლის 25 სექტემბერს გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 29 სექტემბერი, 1992.
39. ჩაფიძე გ. ნარკვევები პოლიტოლოგიის ისტორიიდან. თბ., 2004.
40. წერეთელი მ. ერი და კაცობრიობა. თბ., 1990.
41. ჭანუყვაძე ვ. დემოკრატია და თავისუფლება. თბ., 1981.
42. ჭანუყვაძე ვ. პოლიტიკა და პოლიტიკოსები გაზ. „უწყებანი“, 1 ოქტომბერი, 1992.
43. ჭანუყვაძე ვ. პოლიტიკური დიალოგი, თბ., 1993.
44. ჯალიაშვილი ჯ. პოლიტიკური მართვისა და პროგნოზირების თეორიული საკითხები, თბ., 1994.
45. ჯანდა ქენეთ და სხვა ამერიკული დემოკრატია. თბ., 1997.
46. ჯაფარიძე შ. პოლიტოლოგიის საგანი. ამოცანები, დანიშნულება, ბათუმი, 1993.
47. ჯიჯეიშვილი ქ., ნიკოლაძე ნ. სახელმწიფოსა და დემოკრატის პრობლემების შესახებ, თბ., 1999.
48. შუბითიძე ვ. რა შეუძლია პოლიტიკაში კარგ იმიჯს. თბ., 2000.

49. შუბითიძე ვ., დავითაშვილი ო. პოლიტოლოგია. თბ., 2001.
50. შუბითიძე ვ., დავითაშვილი ო. პოლიტოლოგია. პოლიტიკური ტექნოლოგიები. თბ., 2002.

GARI CHAPIDZE

POLITICAL IDEOLOGY

რედაქტორი: – ვაჟა შუბითიძე
მხატვრული რედაქტორი: – მაკა სამხარაძე
ტექნიკური რედაქტორი: – თეონა ჭილაძე
დიზაინერი: – გვანცა მახათაძე

გამომცემლობა – „კოლორი“



გარი ჩაფიქა – საქართველო-უკრაინის სოციალურ-ურთიერთობათა ინსტიტუტის რექტორი. უნივერსიტეტი მოსკოვში დაამთავრა. სხვადასხვა დროს მსახუროვებ ჩე-ლიაპინსკი, კიევი, შემდეგ კი – საქართველოში სავაჭრო-ეკონომიკური და ნომინალ-ტურულ თანამდებობებზე, ამჟამად არის შურნალისტა საერთაშორისო ფედერაციის წევრი, პროფესორი, საქართველო საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი, საქართველო ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, საქართველო მწერალთა, მეც-

ნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემია „ქალღმას“ აკადემიკოსი, ამერიკის შეერთებული შტატების ლინკოლნის უნივერსიტეტის პროფესორი. უკრაინის საკადრო პოლიტიკის მენეჯერებათა აკადემიის აკადემიკოსი, „ფაზისის“ მენეჯერებათა აკადემიის კადემიკოსი, ამერიკის შეერთებულ შტატებში, პენსილვანიის შტატის ქ. ფილადელფიის საერთაშორისო პოლიტიკისა და მთავრობის ინსტიტუტი გარი ჩაფიქის სახელობისაა. ასევე არის საქართველო მოსწავლე-ახალგაზრდობის გაზეთ „ჩირაღდენის“ მთავარი რედაქტორი, საქართველო იაკოვ გომეზაშვილის სახელობის ჰედაგომთა კავშირის თავჯდომარე, უკრაინის საერთაშორისო რეპორნალური აკადემიის ქ. რუსთავის საკონსულტაციო ცენტრის დირექტორი, ავტორი 80-მდე მხატვრულ-ლიტერატურული წიგნისა და 70-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა, რომლებიც თარგმნილი და გამომცემულია მრავალ ენაზე. არის უკრაინულ-ქართული ლექსიკონის პირველი შემდგენელი და ქართულ-გეოგრაფიული სასაზღვროს პირველი ავტორი. მისი კვლევის სფეროებია: ჰედაგომიკა და ჰედაგომიკის ისტორია, მოზარდთა ფსიქოლოგია და ფილოსოფიური აზროვნება, პოლიტოლოგია და საზღვარს გარდაქმნის ახალი მოდელი, პოლიტიკა და პიროვნება, პლემბიცისტიკა და პოლიტიკური თეორიები, მედიცინა და ბიოეთიკა, კულტურა და აზროვნება, შურნალისტიკა და პირი, ადამიანთმცოდნეობა და პერსონალთა მართვა, პოლიტიკური ფილოსოფია და კატაკლიზმები XXI საუკუნეში. მიღებული აქვს საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების მთავრობათა ჯილდოები. მათ შორის ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, გალაკტიონ ტაბიკის, დავით გურამიშვილის სახელობის მედლები და პრემიები. „საქართველო-უკრაინის მეგობრობის“, საერთაშორისო მენეჯერული მიღწევებისათვის“, „საერთაშორისო მენეჯერული დამსახურებისათვის“ – მედლები, არის ქართული ჰედაგომიკური ელიტის უმაღლესი ჯილდოს იაკოვ გომეზაშვილის სახელობის ორგანის მედალოსანი, ასევე „ბანეთების განვითარებისათვის“ ოქროს ორდენის, ამერიკის შეერთებული შტატების თავისუფლების ოქროს ორდენის, მსოფლიო მენეჯერების ფუქემდებლის პლატონის ოქროს ორდენის და ღირსების ორდენის კავალარი.



9 789941 048746